საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge
-8 თებერ... №5(736) * ფასი 1,50 ლარი



რა ხერხით ჩაიკლა გუჯა ბურდულმა სიმთვრალეში მოქალაქეული ფრენის სურვილი და რომელი ნაიარევი დარჩა მას მკლავზე ამ სურვილის სამახსოვროდ

გვ. 65

რა ოცნების ასახდენად მიდის ნიუ-იორკში ნატალია ქუთათელაძე და ვისგან ნასროლი ისარი არ ასცდება მას მომავალში



გვ. 2

გვ. 14

რას აჩვევს თავის ტყუპებს მუცლადყოფნის პერიოდში მარიკო ეზრალიძე და როდის სურს მას საოცნებო ქორწილის გადახდა

ISSN 1987-569X

გვ. 71

რა აკავშირებს ნათია ფარჯანაძეს ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილთან და იქნება თუ არა მისი პერსონაჟი სერიალის მომდევნო სეზონში



გვ. 70

რა შესთავაზეს გია სურამელაშვილს და რატომ გადაიჭრა მან ვენები



გვ. 16

სად მიაჩნია მარიტა როხვაძეს გაშიშვლება დასაშვებად და რატომ ატარებდა ის საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს



რა აკავშირებს ედვარდ მეისონს ვლად არამოვთან და რის გამო ეგონათ ის პატარაობიდანვე გეი

გვ. 62



გვ. 66

რა ხიბლავთ ჩინურ კლუბში მისულებს ყველაზე მეტად ბედინაში და ვინ აცხოვრებს მას სამშობლოდან შორს ნამდვილი რეპერივით



რატომ უზის ქართველს ხასიათში კუდაბზიკობა ისტორიულად და რატომ უნდა გიორგი კალანდიას, ქართველები ჰგავდნენ იაპონელებს

გვ. 10



გვ. 17

რატომ გაშორდა ერეკლე დეისაძე ცოლს და რატომ „აუპატიურებს“ ის სამშობლოს

# გილოცავთ დავითობას!

**23 წლის, მეცო-სოპრანო, ნატალია ქუთათელაძე, ცოტა ხანში ამერიკაში მიემგზავრება გამოცდების ჩასაბარებლად. ამისთვის, ის წლებია, ემზადება და თავს არ ზოგავს. ქალბატონი ნანი ბრეგვაძის შვილიშვილი და ეკა მამალაძის შვილი რომ სცენაზე დგას, ეს გასაკვირი არ არის. თუმცა ის, რომ ნატალია საოპერო ჟანრში აპირებს კარიერის გაგრძელებას, უკვე საინტერესოა. როგორც თავად ამბობს, „ამერიკული ოცნების" ასახდენად ბევრს შრომობს და იმედი აქვს, სულ მალე, დიდ საოპერო სცენაზე დადგება. ჩვენი ჟურნალის სახელით, წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა მომღერალს და იმედია, მალე იმ ახალგაზრდა, ქართველი საოპერო ვარსკვლავების გვერდით ვიხილავთ, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის სახელი უცხოეთში გაიტანეს და გვასახელეს.**

# რა ოცნების ასახდენად მიდის ნიუ-იორკში ნატალია ქუთათელაძე და ვისგან ნასროლი ისარი არ ასცდება მას მომავალში

**ნატალია ქუთათელაძე:** წელს ვამთავრებ კონსერვატორიის მაგისტრატურის მეორე კურსს და გეგმაში მაქვს, უცხოეთში წასვლა. კერძოდ, სულ მალე მივემგზავრები ამერიკაში, მუსიკალურ სკოლა „ჯულიარდში" და მოსმენის შემდეგ, გადაწყდება ჩემი იქ დარჩენა. ზოგადად, სექტემბერში, ვგეგმავ ნიუ-იორკში გადავიდე სასწავლებლად. ეს კი, ბევრ პროცედურაზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუმცა, ზაფხულში, „ლა სკალაშიც" მინდა მოსმენაზე წასვლა და საბოლოო ჯამში, გადაწყდება, სად დავრჩები. თუმცა, „ლა სკალაშიც" და ნიუ-იორკშიც, აუცილებლად რომ წავალ მოსმენაზე, ეს ზუსტად ვიცი.

**– თუ „ლა სკალაშიც" და ნიუ-იორკშიც მოგისმინეს და დადებითი შეფასება მოგცეს, ამ შემთხვევაში, რომელს აირჩევ? როგორც ვიცი, საოპერო ხელოვნება „ლა სკალაში" უფრო მაღალ დონეზეა.**

– ბევრს უკვირს და ეჭვქვეშ აყენებს ჩემს ამერიკულ არჩევანს, მაგრამ ჩემი ინიციატივაა ამ ქვეყანაში ძალების მოსინჯვა. ამერიკული გარემო ჩემთვის იდეალურია. რამდენჯერმე ვარ იქ ნამყოფი და ამიტომ, ვიცი, ეს ქვეყანა ბევრ რამეს მომცემს. მე ვცდი და თუ ვერ მოვიხიბლე ისე, როგორი მოლოდინიც მაქვს, სხვა არჩევანიც არის.

**– როდის მიხვდი, რომ საოპერო მონაცემი გაქვს და ამ ჟანრში უნდა სცადო ბედი?**

– ბავშვობიდან ნამდვილად არ მქონდა საოპერო ხმა. როცა აბიტურიენტი გავხდი, უნდა ამერჩია კონკრეტული ფაკულტეტი. ნიჭიერთა ათწლედი დავამთავრე საფორტეპიანო განხრით და ზუსტად ვიცოდი, ჩემგან პიანისტი ნამდვილად ვერ დადგებოდა. ეს დიდ შრომას და ინსტრუმენტთან გატარებულ ბევრ საათს ითხოვს, რაც ჩემგან არ იყო მოსალოდნელი და ხმის დამუშავება დავიწყე. შემდეგ, ჩემმა პედაგოგმა, ქალბატონმა დოდო დიასამიძემ აღმოაჩინა, რომ საოპერო ხმა მაქვს. მეც ჩამითრია ამ ჟანრმა და გადავწყვიტე ოპერის მომღერლობა. შვიდი წელია, რაც ეს ნიჭი აღმომაჩნდა და დღეს, მინდა, ამ სფეროში დავიმკვიდრო ჩემი ადგილი.

**– თქვი, პიანისტობაზე უარი იმიტომ ვთქვი, კოლოსალური შრომა უნდაო. თუმცა, ოპერის მომღერლობასაც, თუ გინდა, წარმატებებს მიაღწიო, არანაკლები შრომა და დრო უნდა. არ მეთანხმები?**

– გეთანხმებით, ოპერის მომღერლობა, მარტო შრომას და დროს კი არა, მთლიანად ცხოვრების რეჟიმის შეცვლას ითხოვს. ეს ძალიან რთულია. მიჭირს ამ რეჟიმის დაცვა, მაგრამ ვცდილობ. მთავარია, კვება, ძილი და ფიზიკური აქტივობა – ეს უნდა გქონდეს ოპერის მომღერალს მოწესრიგებული. თან, ორგანიზმი დასვენებული და ძლიერი უნდა იყოს, სტრესსა და ხმაურიან ადგილებს უნდა მოერიდო, რომ ხმას ძალა არ დაადგეს ხმამაღალი საუბრით. ეს ოპერის მომღერლისთვის ყველაზე მთავარია.



ამერიკის მერე, „ლა სკალაშიც" მინდა, მოსმენაზე წასვლა და საბოლოო ჯამში, გადაწყდება, სად დავრჩები

**– ესე იგი, ღამის, კლუბური ცხოვრება გამორიცხულია?**

– გამორიცხულია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ასე არ არის, რადგან არაფერში არ მიყვარს რადიკალიზმი. ცოტ-ცოტა ყველაფერი დასაშვებია. ადრე ოპერის მომღერალი რომ ჭარბწონიან ადამიანთან ასოცირდებოდა, დღეს ეს სტერეოტიპი შეიცვალა. ხმის მასშტაბთან, ნიჭიერებასა და ტექნიკასათან ერთად, მომღერალი ვიზუალურადაც კარგად უნდა გამოიყურებოდეს. არ არის აუცილებელი, ასოთხმოცი კილო იყო, რომ კარგად მღეროდე არიას.

**– ის, რომ ახლა დგამ ამ ჟანრში პირველ ნაბიჯებს და ამაში დიდი შრომა და ძალისხმევა უნდა ჩადო, მომავალში წარმატებების მისაღწევად, გასაგებია. მაგრამ, პირადი ცხოვრება, ამ მხრივ რა ხდება?**

**ოპერის მომღერლისთვის ღამის, კლუბური ცხოვრება გამორიცხულია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ასე არ არის**

– პირად ცხოვრებაში, ამწუთას არაფერი ხდება. გადართული ვარ ჩემს მომავალ გეგმებზე და ვცდილობ, პირადზე ფიქრით გული და ტვინი არ გადავღალო. თან, სიყვარული ძალით ხომ არ მოდის? თუ ვინმე გამოჩნდა და „მესროლა" ისარი, ვერ ამცდება *(იცინის).* ამ ეტაპზე კი, ამურის ისრით, ნამდვილად არ დავჭრილვარ *(იცინის).*

**– ოჯახში, ბებია – ქალბატონი ნანი ბრეგვაძე და დედა – ეკა მამალაძე, როგორ უყურებენ შენს საოპერო კარიერას?**

– ძალიან ნერვიულობენ, განსაკუთრებით ბებია, რადგან მისთვის ჩემი ცხოვრებისა და კერძოდ, ძილის რეჟიმი მიუღებელია. მეუბნება, თუ ასე უნდა იცხოვრო, არაფერი გამოგივა და რაღას მანერვიულებ, პირდაპირ მითხარი, რომ სხვანაირად ცხოვრება არ შეგიძლიაო *(იცინის).* მე კი ვუმტკიცებ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ წარმატებებს მივაღწიო-მეთქი. ყველა ნერვიულობს ოჯახში, მაგრამ ნანი განსაკუთრებულად. თუ, ღვთის მადლით, მიმიღეს და ამერიკაში მომიწია დიდი ხნით ცხოვრება, რასაკვირველია, ოჯახისთვის რთული იქნება. მაგრამ ამაზე, ახლა არ ვფიქრობთ.

**– როგორ ფიქრობ, რას შეცვლის შენთვის ამერიკა?**

– ამერიკამ უკვე ძალიან ბევრი რამ შეცვალა ჩემში. ყოველ ჩასვლაზე ვგრძნობ, რომ ეს ქვეყანა ჩემია. თან, ძალიან ემოციური ვარ და ნიუ-იორკმა ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. ვგრძნობ, რომ ამერიკა ჩემთვის ძალიან მისაღებია. იქ თავისუფლების განცდა უფრო მეტად შევიგრძენი. მას ისეთი რიტმი, მიზიდულობის ძალა, ენერგეტიკა და შარმი აქვს, ერთხელ თუ დადგი ფეხი, სხვა ქვეყანაში ცხოვრება აღარ მოგინდება.

**– ესე იგი, უცხოეთში წასვლით, „ამერიკულ ოცნებას" სულ მალე აიხდენ?**

– ამერიკაში, ყველას უხდება ოცნებები, მთავარია მონდომება. ეს ის ქვეყანაა, სადაც ყველას ყველაფერი უფასდება. ბევრს შესაძლოა გაეღიმოს, მაგრამ, მე ასე მჯერა. იქ ყოფნის დროს, იმდენი შანსი და კარტი გადამეშალა წინ, ამან შოკში ჩამაგდო, თავი სიზმარში მეგონა. მაგრამ, ფაქტია, ეს მოხდა და ამიტომაც წავალ იქ. შორეულმა ამერიკამ მომხიბლა და ზუსტად ვიცი, ამ ქვეყანაში დიდ წარმატებებს მივაღწევ. ამისთვის ბევრს ვშრომობ და ვეცდები, ჩემი ნიჭისა და მონდომების მაქსიმუმი ჩავდო საოპერო ჟანრში, რომელსაც მინდა, ცხოვრების ბოლომდე ვემსახურო.

**ნონა დათეშიძე**

**თანამედროვე ქართულ მედიცინაში მან უკვე თქვა თავისი სიტყვა. ის, როგორც იტყვიან, უკვე ბრენდია! ამაში კი ეჭვი აღარავის ეპარება – მათ, ვისაც ერთხელ მაინც დასჭირვებია კლინიკა „გულის“ სამედიცინო დახმარება. ჩვენი მკითხველის დიდი ნაწილიც სწორედ ამიტომ აკეთებს მასზე არჩევანს მომსახურების, პროფესიონალიზმისა და პაციენტისადმი ადამიანური მიდგომების გამო.**

# რომელ კარდიოლოგიურ კლინიკას უნდა მიმართოთ, როცა გული გაწუხებთ?!

**ნესტან ბეჟაური** *(კლინიკის მენეჯერი)*: კარდიოლოგიური კლინიკა „გული“ 1996 წელს გაიხსნა. დღეისთვის ის სრულად უზრუნველყოფს კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას



ამბულატორიულ, სტაციონარულ თუ სახლის (პირადი კარდიოლოგის სამსახური) პირობებში. ის აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმებით, რომელთაგან უმრავლესობას უცხოეთში აქვს გამოცდილება მიღებული. თავად კლინიკას ხელმძღვანელობს პროფესორი ანზორ მელია, დარგის კვალიფიციური კადრი და მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი, რომელსაც არაერთი საერთაშორისო ჯილდო აქვს მინიჭებული. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ბატონი ანზორ მელია გამორჩეული არ გახლავთ მხოლოდ სამედიცინო რეგალიებით. მას აქვს მდიდარი სულიერი სამყარო. პაციენტებთან ურთიერთობისას განსაკუთრებულად გულისხმიერია. ცდილობს, გაითვალისწინოს ყველა ნიუანსი და აქედან გამომდინარე, ცხოვრობს თითოეული პაციენტის ტკივილითა და სიხარულით. ბატონი ანზორი არა მხოლოდ პაციენტებისადმია გულისხმიერი, არამედ თანამშრომლების პრობლემებსაც ყურადღებით ეკიდება და ცდილობს, დახმარება გაუწიოს.

**– რა სახის მომსახურებას სთავაზობს კლინიკა პაციენტებს?**

– სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სერვისთან ერთად, კლინიკა გთავაზობთ: რითმის დარღვევების (არითმიების) სრულყოფილ გამოკვლევას. სუპრავენტრიკულური არითმიების (დამატებითი გზების) რადიოსიხშირულ აბლაციას; რითმის დარღვევების ოპერაციულ მკურნალობას, გულის სისხლძარღვთა ინვაზიურ გამოკვლევას (კორონოგრაფია) და ანგიოპლასტიკას; გულის მძიმე უკმარისობის მკურნალობა მცირე ოპერაციით – სამკამერიანი სტიმულაცია, რესინქრონიზაციული თერაპია; გულის იშემიური დაავადებებისა და მისი გართულებების განვითარების 10-წლიანი რისკის განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებითა და სხვა მაღალი ხარისხის მქონე შესაბამისი დიაგნოსტიკური მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მაღალი დონის კლინიკა მხოლოდ დედაქალაქში კი არა, ზუგდიდშიც გაიხსნა რამდენიმე წლის წინ და ის ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. სულ ახლახან ზუგდიდის კლინიკაში დაინერგა ინვაზიური ჩარევა და კეთდება კორონოგრაფია-ანგიოპლასტიკა. შევიძინეთ ზუგდიდის კლინიკისთვის ტომოგრაფიის ულტრათანამედროვე, ახალი აპარატი და ფაქტობრივად, მაღალი სტანდარტების აპარატურით გადაიარაღება მოხდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. კლინიკა „გულში“ როგორც თბილისში, ასევე ზუგდიდის ფილიალში ფუნქციონირებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, რომლის ბრიგადებიც დაკომპლექტებულია კლინიკის მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტებით. სასწრაფო სამედიცინო სამსახური აღჭურვილია კომფორტული ტრანსპორტით, უახლესი აპარატურით და უზრუნველყოფილია პირველადი კარდიოლოგიური დახმარებისთვის აუცილებელი ყველა პირობით.

**– კლინიკა გამორჩეულია იმითაც, რომ მუდმივად ხდება მისი განახლება და სამედიცინო ნოვაციების დანერგვა...**

– ჩვენ ჩართულები ვართ სახელმწიფო პროგრამებში, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის, ასევე მოსახლეობის (ინდივიდუალური) რეფერალური დახმარების პროგრამაში. ჩვენს კლინიკაში ფუნქციონირებს კათეტერიზაციისა და ელექტროფიზიოლოგიის ლაბორატორია, სადაც დიდი წარმატებით კეთდება ინვაზიური ჩარევები გულზე, როგორიცაა: ანგიოგრაფია, ანგიოპლასტიკა, მუდმივი კარდიოსტიმულატორის იმპლანტაცია, სხვადასხვა ტიპის არითმიების რადიოსიხშირული აბლაცია. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში პირველად ჩვენთან დაინერგა კარდიოვერტერ-დეფიბრილატორი უეცარი სიკვდილის თავიდან ასაცილებლად. ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს რითმოლოგი ხათუნა ჯალაბაძე. ბოლო წლებია, დაიწყო ანგიოლოგიური ოპერაციების გაკეთება, რომელსაც ახორციელებენ კვალიფიციური ანგიოლოგები. თანდათან იზრდება და ვითარდება ჩვენი კლინიკა. დავამატეთ ანგიოლოგის, ენდოკრინოლოგისა და ნევროპათოლოგის კაბინეტი, სადაც კარდიოლოგიური პროფილის გარდა, სრულყოფილად ხდება პაციენტის მომსახურება.





ჩვენთან მიმდინარეობს სარეზიდენტო პროგრამა „კარდიოლოგიაში“. ჩვენი ექიმები მუდმივად იმაღლებენ კვალიფიკაციას საერთაშორისო მასშტაბით. კლინიკაში პაციენტებთან ურთიერთობის განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევიან და როგორც იტყვიან, პაციენტის გულის გასაჭირი გულთან ახლოს მიაქვთ. ვფიქრობ, რომ ჩვენი კლინიკა, გარდა მაღალკვალიფიციური მომსახურებისა, სწორედ ამ მიდგომებითაც გამოირჩევა. ჩვენ ვუფრთხილდებით ჩვენი პაციენტების ჯანმრთელობას. კლინიკის დევიზიც აქედან მოდის: „გულის მკურნალი მხოლოდ გულია!“

**ანა თაბაგარი**

# ფაფიჭამიები

## „დუმელების“ „დუმები“

იმის მიუხედავადაც, რომ რუსეთის ფედერაციაში რუბლი ქვესკნელისკენ მიექანება, ფასები კი – ზეცისკენ, სახელდობრ, სახელმწიფო „დუმის“ დეპუტატები სულ სხვა პრობლემას შეუშფოთებია: არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატის სასადილოში ფასების ზრდას! –

კერძოდ, ფრაქცია „ელ დე პე ერის“ წევრმა სერგეი ივანოვმა თავის გამოსვლაში კოლეგებს მოუწოდა, გაეანალიზებინათ ფასების ზრდა საუზმესა და სადილ-



ზე. ყველაზე მეტად კი რუსი ხალხის რჩეულის გული ფაფის ფასის 2,5-ჯერ ზრდას დაუსევდიანებია!

სხვათა შორის, მხოლოდ რიტორიკას არ დასჯერდა და განმარტა, თუ რად შეაშფოთა სწორედაც რომ ფაფამ და არა რამე სხვამ (მომყავს ციტატა): „ჩვენს სასადილოში ერთი ულუფა ფაფა 20 რუბლი ღირდა, ახლა 53 ღირს და ჩვენ ამაშიც კი ვერ გავრკვეულვართ (მაგრამ ყირიმი ხომ მათია?!).“

ფაფის ფასით გაოგნებულმა რუსმა დეპუტატმა კოლეგებს შეახსენა, რომ პარლამენტარების მთავარი ამოცანა ქვეყანაში ფასების ზრდასთან ბრძოლაა. რაკი რუსეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომია გაჩაღებული, ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა სავაჭრო ქსელში ფასებზე მკაცრი კონტროლის დამყარება. აქედან გამომდინარე კი, სავსებით ლოგიკურია დეპუტატის შეშფოთება: აბა, როგორ დაამყარებენ, თუკი საკუთარი ფაფაც კი ვერ დაუცავთ?! –

# პრეზიდენტი VS ნაპოლეონი?!

## მოჩქარეს მოუგვიანდესო

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მძლავრი რყევებია, დასავლეთი თითქოს რუსეთს უტევს, ოღონდ ძველი მეთოდით. აი, იმით, თავის დროზე აშშ-მა სსრკ რომ დაანგრია (და გულზე ხელს თუ დავიდებთ, ჩვენ ეს ფრიადაც მოგვწონს). შესაბამისად, ნავთობის ფასი ისე დაეცა, რომ რუსეთის ბიუჯეტი ალთას მირბის, რუბლი-ბალთას, ხოლო ამასობაში აშშ-ის დოლარი მყარდება. ამის პარალელურად კი, დანარჩენი ვალუტებიც უფასურდება დოლარის მიმართ.



ამ ამბავს ვერც ლარი ასცდა და, თუმცა გაუფასურებული მსოფლიო ვალუტების რეიტინგში ლარი ერთ-ერთი ყველაზე მყარია და გირვანქა სტერლინგსა და კანადურ დოლარს შორისაა, ეს მაინც დიდი ვერაფერი შეღავათია საქართველოს მოქალაქეებისთვის, იმიტომ რომ, თუმცა საწვავი გაუიაფდათ, რაღაც-რაღაცეები გაუძვირდათ, განსაკუთრებით, დოლარში გამოტანილი კრედიტები.

ამ კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს ეროვნული ბანკი დუმილის უფლებას იყენებდა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ჩვენი ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 2-ანს მიუახლოვდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გვაცნობა, „მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მომდევნო კვირიდან დავიწყოთ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს.“



მეტიც, დაგვაიმედა, „ჩვენი ჩარევა იქნება თანმიმდევრული, იმ მოცულობის და დოზის, რაც საჭირო იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.“

ქართული ეკონომიკის სიმცირისა და ხელოვნურობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, იბადება რიტორიკული კითხვა: რა ეჩქარებოდათ?! – ან, იქნებ, ეს ჩვენი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნაპოლეონივით ბოლო წამამდე ელოდებოდა ლარის სრულ მოდუნებას, რომ მოულოდნელად დასხმოდა თავს და გამანადგურებლად დაუფლებოდა?! –

# ჯიბეშეთხელებულთა დიადი მიზნები

## ანუ ვის არ უნდოდა დასავლური რძე და ყველი

იმ მარტივი ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყირიმის გადაყლაპვამ რუსული კუჭისკენ სხვა რამე-რუმეებს გადაუკეტა გზა, გასულ კვირას რფ-ის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა თანამემამულეთ მიმართა და განუმარტა, რომ პასუხისმგებლობა ყირიმის შემოერთებაზე ყველა პოლიტიკური ძალის მხრებზეა გადანაწილებული, მეტიც, ყველა იმ მოქალაქის მხრებზეც (მე ვიტყოდი, ტყავზე), რომლებსაც ეს ამბავი გაუხარდათო (მოდი და ნუ დაეთანხმები?!), ამიტომაც შესთავაზა, გავერთიანდეთ და სოლიდარული პოლიტიკა შევინარჩუნოთო.

იმის გამო, რომ ყირიმთან სახმელეთო კომუნიკაციაა აუცილებელი, სანამ რფ უკრაინას იმ სახმელეთო ნაწილსაც მოაგლეჯს, რომელიც ყირიმთან მისასვლელს მისცემს (სწორედ ამას ემსახურება სეპარატიზმის გაღვივება უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში), დაიგეგმა ხიდის მშენებლობა თვით ქერჩის ყურეში, რომელიც რფ-ის ბედკრულ ბიუჯეტს 300 000 მილიარდი რუბლი დაუჯდება (ექსპლუატაციაში გაშვება 2018 წელს იგეგმება).

აქედან გამომდინარე, რფ-ელ პრ. პუტინს მოქალაქეები მიმართავენ და უბნობენ, რაკი რუსეთის ყველა მოქალაქე, ჩინოვნიკით დაწყებული და უბრალო მოკვდავით დამთავრებული, მხარს უჭერს ყირიმის დედა-რუსეთის დიდ წიაღში დაბრუნებას, მათ ჯიბეებიც უნდა მოიჩხრიკონ. შესაბამისად, სთავაზობენ, გამოუშვას სახელმწიფო ობლიგაციები, რომლებსაც ის რუსეთელები შეიძენენ, მხარს რომ უჭერენ რუსეთის მიწების დაბრუნება-გაბევრებას. და ამ პროცესში თავად ყირიმელების ჩართვაც იგულისხმება.

აქედან გამომდინარე კი, საყველპურო ქართული გამონათქვამი: არ გინდოდათ დასავლური რძე და ყველი, ასეც შეიძლება, ითქვას, ჭამეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყირიმი და 300-მილიარდიანი ხიდი.


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თენგუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# ანექსია ანექსიის წილ დეფიციტში გარღვევაა

ისე მოხდა, რომ **ამ გაქანებული დაპირისპირების დროსაც კი გერმანია ლამის გუნდრუკს უკმევს რფ-ს**, რასაც, მართალია, **აქვს ფრიად პროზაული მიზეზი** – გერმანული ეკონომიკა ფრიად **მსუყე შემოსავალს იღებს რუსული ბაზრიდან**, მაგრამ მაინც **უსიამოვნო საცქერია, როგორ ხდება ეს უკრაინელების ბედ-იღბლის ხარჯზე.**

მაგრამ თვით ამ **გუნდრუკის მიუხედავადაც, რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს თავკაცმა** სერგეი ნარიშკინმა **საერთაშორისო საქმეთა კომიტეტს მაინც დაავალა, შეესწავლა** საკითხი, შეუძლიათ თუ არა, მიიღონ განცხადება, რომელიც **დაგმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიას 1989 წელს.**

ისტორია კი ასე იწყებოდა: **რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრმა და „დუმელმა," ვინმე ნიკოლაი ივანოვმა** (გასულ კვირას გენიალური იდეები რფ-ის ტერიტორიაზე სწორედ და რატომღაც ივანოვების თავებში მწიფდებოდა) **ასე პათეტიკურად მიმართა ზემოხსენებულ ნარიშკინს**: „ჩვენ ყველანი მთელი გულით თანაგიგრძნობდით, როდესაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე თქვენ იგერიებდით თავდასხმებს, რომელთა **მიზანი იყო რუსეთის დადანაშიულება ყირიმის ანექსიაში**. ამიტომ **საპასუხო ნაბიჯად გთავაზობთ განცხადებას**, რომელიც **დაგმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიას.“**

მეტიც, მავანი ივანოვი უფრო შორსაც წავიდა – **ყირიმისგან განსხვავებით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რეფერენდუმიც კი არ ჩატარებულაო**. –

**„დუმის“ ხელმძღვანელს ინიციატივა ისე მოეწონა, რომ** საქმეში მსწრაფლ ჩაერთო, როგორც ოკუპანტები იტყოდნენ – **„ნე ოტხოდია ოტ კასსი“** – და იქვე განმარტა, **თუ ყირიმის მიერთება ანექსიაა, მაშინ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის მიერთებაც სწორედაც რომ ანექსიააო.**

ჩვენ არ ვიცით, **რით დასრულდება სიტყვათა ეს თამაში**, თუმცა ის კი აშკარაა, რომ, როგორც თვით პროკრემლური ჩემი კოლეგა ვლადიმირ სოლოვიოვი იტყოდა: В России не хватает Министерства Здравого Смысла. –

# გულმოფონებულები

## შენ რომ ჩემთვის ჯარი არ გამოგიგზავნიაო?!

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სამხედრო წვრთნებია და **თვით „ნატოს“ გენმდივნის მოადგილემ, ბ-ნმა ვერშბოუმ ვერ დამალა აღფრთოვანება** – აქაოდა, **საქართველოს ჯარი საუკეთესოებს შორისააო.** ეს სიტყვები კი მას შემდეგ **აღმოხდა, რაც ვაზიანში მიმდინარე სამხედრო წვრთნა იხილა.** –

ჩვენ, **ბუნებრივია, გულს მოგვეფონა,** ან კი **როგორ არ მოგვეფონებოდა ჩვენი ქვეყნის რუკის პატრონებს.** მეტიც, ზემოხსენებულმა ბ-ნმა **ვერშბოუმ ისიც განაცხადა, რომ ქართველი სამხედროები ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ ავღანეთშიო.**

მეტი დამაჯერებლობისთვის სულაც ციტატას მოვიხმობ: **„მოხიბლული ვარ მათი პროფესიონალური უნარებით** (იგულისხმება ჩვენი შეიარაღებული ძალები). ძალიან შთამბეჭდ-



ავი ღონისძიებაა და **კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რაც ხშირად მომისმენია „ნატოსა“ და ამერიკელი მეთაურებისგან, რომ საქართველოს ჯარები საუკეთესოებს შორისაა**... ამ არმიას დიდი პოტენციალი აქვს მომავალში.“

ზედ, **იმითაც გაგვახარა, რომ თებერვალში,** აი, ხეში რომ წყალი ჩადგება, **ექსპერტები ჩამოვლენ, რათა „ნატოს“ სასწავლო ცენტრის ადგილმდებარეობა შეარჩიონ.** მანამდე კი ჩვენმა **თავდაცვის მინისტრმა გვაუწყა, რომ „ნატოს“ სასწავლო ცენტრის სავანედ თვით ვაზიანის სამხედრო ბაზაც განიხილება.**

ერთი სიტყვით, ამ საქებარი სიტყვების მოსმენის შემდეგ (რომელშიც მინიშნებაც კი არ ყოფილა, რომ ეს ჩვენი საუკეთესო ჯარი მზადაა საქართველოს ტერიტორიული პრობლემების გასადაჭრელად) იმის ეჭვიც ჩნდება, **შეიარაღებულ ძალებსაც უკრაინისთვის ხომ არ ამზადებენ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# ყოფილთცვენა

## „სანადიროდ“ გაქცეულები?!

გასულ კვირას **კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე შეემატა უკრაინის სამთავრობო გუნდს.** ამჯერად აჭარის ავტონომიის ყოფილი თავი, ბ-ნი **ვარშალომიძე მოგვევლინა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მრჩევლად**. თუმცა აწ უკვე მრჩეველმა მოგვახსენა, რომ **იუსტიციისა და ეკონომიკის სფეროს რეფორმირებაში უკრაინელ კოლეგებთან ერთად ჯერ კიდევ გასული წლის აპრილიდან იყო ჩართული**.

მოვიხმობ ციტატას: „**საქმე ჯერ ბევრია გასაკეთებელი. ყველას მოგეხსენებათ, რა რთულ სიტუაციაშია დღეს უკრაინა... დღეს, ალბათ, ყველა პატრიოტი ქართველი უკრაინელია** (და განა იმიტომ, ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო?!).“

უფრო ადრე, მოგეხსენებათ, **მინისტრების პორტფელები ქ-ნმა ზღულაძემ და ბ-ნმა კვიტაშვილმა ჩაიბარეს**, მათ მიჰყვა ჩვენი რჩეული – **დავით საყვარელიძე**: მართალია, **მთლად მინისტრადაც არა**, მაგრამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, **გია გეწაძე, თვით გიორგი ვაშაძე** (ოღონდ ეს უკანასკნელი მთლად ოფიციალურად არ დანიშნულა) და კიდევ რამდენიმე წვრილჩინოვნიკობა.



**ქართველთცვენის ამ ტემპისა და რაოდენობის გათვალისწინებით,** აშკარაა, რომ **ჩვენს თანამემამულეთა და, ამავდროულად, ჩვენს ყოფილთა ოდენობა უკრაინის მთავრობაში გაიზრდება** (და მე მთელი გულით ვიმედოვნებ, რომ ერთი უკრაინის ადგილას სამ სახელმწიფო წარმონაქმნს არ მივიღებთ, როგორც ეს მოხდა ჩვენთან, როდესაც ახლა უკრაინის მთავრობაში მყოფები საქართველოს მთავრობაში იყვნენ).

ეს აქტივობა იმდენად თვალშისაცემია, რომ, ჩვენი მეზობლები ხუმრობენ – **საქართველოს მოქალაქეებს ქუჩაში გასვლის ეშინიათ, მათ იჭერენ და უკრაინის მთავრობაში აგზავნიან სამუშაოდ.** –


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძემ გვაცნობა სიხარულით ბნელ 90-ანებში, საქართველო ნავთობსა და გაზზე დგასო და ისიც გვახსოვს, როგორ დალია ჭიქა ნავთობი ერთ-ერთ ჭაბურღილთან, ამის პარალელურად, აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ საძიებო სამუშაოები არ მიმდინარეობს ჯეროვნად, თორემ აქეთ – ნავთობი წაგვლეკავს და იქით – გაზი დაგვახრჩობს. ამასობაში, ანუ სულ ახლახან ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ, რომელიც საძიებო სამუშაოებს კახეთში ატარებს, გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაზის 42 მილიარდი კუბური მეტრი დაზვერილი მარაგი აღმოაჩინა. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია და, საერთოდაც, როგორია საქართველოს საგაზო და სანავთობო პერსპექტივა? – ამ თემაზე საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების მართვის დეპარტამენტის მთავარ გეოლოგს, ექსპერტ სოსო ლუდუშაურს გავესაუბრეთ.**

# არის თუ არა ერთმანეთთან კავშირში საქართველოსა და აზერბაიჯანის გაზისა და ნავთობის მარაგები და როდის დაიწყება ენერგომატარებლების ბურღვა საქართველოში არსებულ 40 პერსპექტიულ უბანზე

**– რას ნიშნავს დაზვერილი მარაგები და რამდენი ამოვა რეალურად მიწის ზედაპირზე?**

– ჩვენს დარგში ნავთობის გეოლოგიაში, ზოგადი ტერმინია ნავთობისა და გაზის რესურსი, შემდეგ მიდის მისი დეტალიზაცია, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ ეს რესურსი იქნება მოპოვებული. ყველაზე მაღალი ალბათობის რესურსს ჩვენ ვუწოდებთ მარაგს, ეს არის იმ რესურსის კატეგორია, რომლის არსებობა დადასტურებულია ჭაბურღილების ბურღვის შედეგად და მოპოვება შესაძლებელია დღეს არსებული ტექნოლოგიით. შემდეგი ეს არის პირობითი რესურსი, რომელიც აღმოჩენილია ბურღვით, რათა ჯეროვანი სიზუსტით განვსაზღვროთ, თუ რა რაოდენობისაა, რა შესაძლებლობა არსებობს მის მოსაპოვებლად და არის თუ არა კომერციული, რადგან, თუ 1 000 კვადრატული მეტრი გაზის მოპოვება 500 დოლარი ჯდება და ამ დროს გასაყიდი ფასი 300 დოლარია, მის მოპოვებას აზრი არ აქვს. და ყველაზე უფრო ნაკლები ალბათობის რესურსია პერსპექტიული რესურსი, რომელიც არ არის შესწავლილი ბურღვით, მაგრამ გეოფიზიკურ და გეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ არის წიაღის ამა თუ იმ უბანზე.

**– საიდან მოვიდა მაშინ ეს ტერმინი – დაზვერილი?**

– ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, როდესაც ჩვენს დარგში დასავლური ტერმინოლოგიაც იხმარება და ყოფილი საბჭოთაც. მე ახლა ჩამოვთვალე დასავლური ტერმინოლოგია. დაზვერილი მარაგი კი უფრო საბჭოთა ტერმინოლოგიას განეკუთვნება. ეს ორი ტიპის ტერმინოლოგია ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ ერთი და იგივე არ არის, რადგან საბჭოთა ეკონომიკა განსხვავდებოდა დასავლურისგან და არ იყო ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. დავუბრუნდეთ თქვენს კითხვას: თქვენ მიერ ხსენებული კომპანიის წარმომადგენლის განცხადებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა კატეგორიის რესურსზე იყო ლაპარაკი. მათგან ველით ოფიციალურ წერილს, რომლის წარმოდგენაც მათ ევალებათ საქართველოს კანონმდებლობით.



**გამოვლინდა ძალიან პერსპექტიული უბნები თბილისის სიახლოვეს. უახლოეს დღეებში დაიწყება ღრმა ჭაბურღილის ბურღვა კახეთში, მანავის ფართობზე**

**– დღეს არსებული ინფორმაციით, გაზისა და ნავთობის რა მარაგია საქართველოში?**

– თქვენ სწორად გახსოვთ, რაც შევარდნაძემ თქვა თავის დროზე. დარწმუნებული ვარ, კარგად გახსოვთ, რას ამბობდა პრეზიდენტი სააკაშვილიც: მან მრავალგზის გაიმეორა, რომ საქართველოში ნავთობი და გაზი არ არის, როგორც ყოველთვის, სიმართლე სადღაც შუაშია. მშრალ ფაქტებს მოვიტან და თავად გააკეთეთ დასკვნები: საქართველოს წიაღიდან გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან დღემდე ჯამურად მოპოვებულია, დაახლოებით, 27,5 მილიონი ტონა ნავთობი და 3,2 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზი. თუ აზერბაიჯანს შევადარებთ, ეს ცოტაა, მაგრამ, თუ სომხეთს, მოლდოვას ან ყირგიზეთს, მაშინ ბევრია.

**– თუ ამას შევადარებთ საქართველოს მიერ გაზის დღევანდელ წლიურ მოხმარებას, 1,8 მილიარდ კუბურ მეტრს, მაშინაც ძალიან ცოტა გამოდის.**

– დღეს საქართველო წლიურად მოიხმარს, დაახლოებით, 1,8-2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზსა და 800 000-დან 1 მილიონ ტონამდე ნავთობპროდუქტებს. გადავხედოთ, როგორ იცვლებოდა წლიური მოპოვება საქართველოში: გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან დაწყებული ნავთობის წლიური მოპოვება იყო რამდენიმე ათეული ათასი ტონა, მაგრამ საკმაოდ გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დროს, იმიტომ რომ ომის დროს, სადაც კი საბადო იყო, მაქსიმალურად დაიწყეს საექსპლუატაციო ჭაბურღილების ბურღვა და იმ წლებში საქართველოში წელიწადში 55 000-56 000 ტონა ნავთობი მოიპოვებოდა. გასული საუკუნის 70-ან წლებში თბილისის ახლოს, სართიჭალასთან, აღმოაჩინეს მაღალდებეტიანი საბადო „სამგორი“.მაღალდებეტიანს ვუწოდებთ ჭაბურღილებს, თუ ის დღე-ღამეში 10-15 ტონა ნავთობზე მეტს იძლევა. საბადო ექსპლუატაციაში 70-ანი წლების პირველ ნახევარში შევიდა და 1980 წელს უკვე საქართველოში ნავთობის მოპოვებამ წელიწადში 3 მილიონ ტონას გადააჭარბა და ასე იყო კიდევ სამი წლის განმავლობაში.

**– მერე სად წავიდა ეს ნავთობი?**

– ამ საბადოს გარდა, აქვე თბილისის ახლოს გაიხსნა საკმაოდ მნიშვნელოვანი საბადოები: „თელეთი“, „სამგორის სამხრეთი თაღი“, „რუსთავი“, „დასავლეთ რუსთავი“. ამ საბადოების ექსპლუატაციაში შეყვანამ გამოიწვია წლიური მოპოვების ასეთი შთამბეჭდავი ზრდა. ამის შემდეგ ახალი, მაღალდებეტიანი საბადოების აღმოჩენა ველარ მოხერხდა. საერთოდ, როდესაც აღმოაჩენ საბადოს, ის არის ხელუხლებელი საბადო, იწყებ იქიდან მოპოვებას, მარაგი იკლებს და მოპოვების მიღწეული დონე რომ შეინარჩუნო, ამ უკვე გამოფიტულ საბადოს უნდა შეეშველოს ახლად აღმოჩენილი, ხელუხლებელი საბადო. მაგრამ შემდეგ ახალი, მსგავსი მახასიათებლების მქონე საბადოების აღმოჩენა ველარ მოხერხდა: მოგეხსენებათ, 80-ანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა მოირყა და დასრულდა სრული კოლაფსით.

**– გაზის მარაგის მხრივ როგორი მონაცემებია?**

– გაზი არის ორი სახის: თავისუფალი, რომელიც წიაღში დაგროვილია ნავთობის გარეშე და თანმყოლი გაზი, რომელიც წიაღში დაგროვილ ნავთობშია გახსნილი. გეტყვით მონაცემებს, ძირითადად, თავისუფალი გაზის რესურსის შესახებ. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით, გაზის ყველაზე მაღალი ალბათობის მქონე მარაგი არის, დაახლოებით, 7 მილიარდი კუბური მეტრი. პირობითი რესურსი – რომლის არსებობა ბურღვითაა დადასტურებული, მაგრამ არ ვიცით, რამდენად იქნება შესაძლებელი დღეს არსებული ტექნიკური საშუალებებით მისი კომერციული მოპოვება – დათვლილი გვაქვს 15,4 მილიარდი კუბური მეტრი. რაც შეეხება პროგნოზულ რესურსს – ასეთი დათვლილი გვაქვს, დაახლოებით, 150 მილიარდი კუბური მეტრი. ეს ციფრები არც ისე პატარაა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. რა თქმა უნდა, უპირველესად, უნდა ვიმუშაოთ იმ რესურსის მოპოვებაზე, რომელთა არსებობის ალბათობა უფრო გამყარებულია, ვგულისხმობ, 7 მილიარდ კუბურ მეტრს. რაც შეეხება ნავთობის რესურსს: მარაგებია 7,3 მილიონი ტონა, პირობითი რესურსი – 51,4 ტონა და პერსპექტიული რესურსი – 677 მილიონი ტონა.

**– დღეის მდგომარეობით, როგორია გაზის მოპოვების მაჩვენებელი?**

– ბოლო წლებში ჩვენ მოვიპოვებთ საკმაოდ ცოტა რაოდენობას. მაგალითად, გასულ წელს მოვიპოვეთ 15,6 მილიონი კუბური მეტრი გაზი.

**– ჩვენთან მოპოვებული გაზის თვითღირებულება როგორია?**

– ამის თქმა რთულია, იმიტომ რომ გაზი, რასაც ჩვენ მოვიპოვებთ, არის როგორც თანმყოლი, ისე თავისუფალი, რომლის ღირებულების დადგენაც ძალიან რთულია.

**– მაშინ ჩვენთან მოპოვებული ნავთობის თვითღირებულება ვთქვათ, თუ**

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**საქართველოს პარლამენტში უკვე შეტანილია დიდი ხნის ნანატრი კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებით შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ, რის მიხედვითაც, უნდა განისაზღვროს, თუ ვის ექნება საქართველოში ამ ტიპის მიწის შეძენის უფლება, რა პირობებით თუ უპირობოდ და, რაც მთავარია, რა მოცულობით. კანონპროექტში ვკითხულობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ: სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს; ასევე, უცხოელს, თუ მას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიღებული აქვს მემკვიდრეობით ან საქართველოს მოქალაქეზე ქორწინების შემდეგ არის მიწის თანამესაკუთრე. როგორც ოპონენტები ამბობენ, მთავრობამ – ცვლილებების ინიციატორმა, არ გაითვალისწინა ძირითადი შენიშვნები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა განიავების ობიექტად აქცია, თუ რატომ, ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ პაატა კოღუაშვილთან ერთად ვისაუბრებთ.**

# ვის მოუწევს ჯარიმის გადახდა მიწის ნაკვეთის დაუმუშავებლობის გამო, რატომ არ აქვს სტატუსი საქართველოში სოფელს და რატომ გახდებიან გლეხები იძულებულნი, გაყიდონ საკუთარი მიწის ნაკვეთები

**– მთავარი პრობლემა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში იყო ის, რომ მაქსიმალურად დაგვეცვა შეძლებული უცხოელების უწესო მოძალებისგან. აწესებს კანონპროექტი, ამ მხრივ, გონივრულ ბარიერებს?**

– საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწის იურიდიული პირისთვის მიყიდვისადმი დასავლური კანონმდებლობის დამოკიდებულება უარყოფითია და ამისგან, როგორც წესი, თავს იკავებენ და იურიდიულ პირებს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში აძლევენ მიწას. კანონპროექტის პირველ ვარიანტში იყო ასეთი ჩანაწერი, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვის უფლება ენიჭება საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს თუ საქართველოს მოქალაქე ფლობს წილის ნახევარზე მეტს. ეს ჩანაწერი გააქრეს. საერთოდ, კანონი უნდა იყოს ნათელი: როგორც კითხულობ, ისე უნდა გესმოდეს და არ უნდა სჭირდებოდეს ინტერპრეტაცია. ასევე, კანონპროექტში მითითებულია, რომ მიწის შეძენის უფლება აქვს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მაგრამ ვინ არის ეს? რომელიმე სამინისტრო ან საჯარო სკოლა? სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი?! სად გინახავთ ასეთი რამ?! არსებობს კანონი საქართველოს სახელმწიფო ქონების შესახებ და ის არეგულირებს საკითხს, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიწა ეძლევათ მხოლოდ უზუფრუქტის სახით. იმის თქმა მინდა, რომ ეს კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის სხვა კანონებთან, კონსტიტუციასთანაც კი.

კანონპროექტში ჩამოყალიბებული უნდა იყოს, რა პირობებით ეძლევათ მიწა უცხოელებს. კერძოდ, თუ შესაბამის სტრუქტურას წარუდგენს სამოქმედო საინვესტიციო გეგმას იმ მიწაზე, რომლის ყიდვის პრეტენზიაც აქვს და თავდაპირველ ვარიანტში ეწერა კიდეც, რომ ეს უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და სასურსათო უსაფრთხოებასთან. მეორე – მას უნდა ჰქონდეს სპეციალური აგრარული განათლება და გამოცდილება, ამ მიწაზე სამოქმედო კაპიტალი. მეტიც, არათუ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ფული, როდესაც მიწას ყიდულობს, არამედ მაშინაც, თუ იჯარით იღებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. ჩვენთან კი რა ხდება? ჩამოდის უცხოელი, იყიდის მიწას და შემდეგ აქ ცდილობს კრედიტის შოვნას. კიდევ კარგი, ჯერჯერობით მხოლოდ ღარიბები და მრავალშვილიანები მოდიან, რომლებიც აქ რჩებიან. ამ კანონპროექტის მთავარი საფრთხე კი ის არის, რომ მიწა შეიძლება, გახდეს სპეკულაციის საგანი.

**– კანონპროექტში წერია, რომ იურიდიულ პირს არ აქვს უფლება შეიძინოს 20 ჰექტარზე ნაკლები და 200 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამდენ მიწას მიჰყიდი და არ სთხოვ გეგმას, რას გააკეთებს? აუზი რომ ააშენოს ან ცხენების საჯირითო?**

– კანონის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. ეს მუხლი იყო კანონში, მაგარმ წინა ხელისუფლებამ გააუქმა და შედეგად, დაწერდი განცხადებას საჯარო რეესტრში და მიწას უცვლიდი კატეგორიას. მართალია, ახალმა ხელისუფლებამ შეაჩერა ამ მუხლის მოქმედება, შემოიტანა ნორმა, რომ მიწისთვის კატეგორიის შეცვლაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ის უნდა ამოქმედებულიყო 2014 წლის პირველი იანვრიდან, მაგრამ ვერ ჩამოაყალიბეს ნორმალური ფორმულირება და კიდევ გადაავადეს.



**1861 წელს, როდესაც აბრაამ ლინკოლნმა შეერთებულ შტატებში დაიწყო მიწის რეფორმა, ჩაიწერა, რომ შტატების ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, აქვს უფლება, სახელმწიფოსგან უფასოდ მიიღოს 160 აკრი მიწა იმ პირობით, რომ 5 თვის განმავლობაში შექმნის ფერმას, ხოლო, თუ არ შექმნის, ეს მიწა მას ჩამოერთმევა**

რაც შეეხება მიწის რაოდენობას: წარმოუდგენელია, რომ ფიზიკურ პირს ჰქონდეს 5-დან 20-მდე, იურიდიულს კი 20-დან 200 ჰექტრამდე ყიდვის უფლება. ის იურიდიული პირი, ვისაც ექნება მიწის ყიდვის უფლება, უნდა იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი ან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმო და ასე შემდეგ. ამ ცვლილებებით თითქოს უბოდიშებენ უცხოელებს, მეტის გაკეთება ვერ შევძელითო; ეს წარმოუდგენელი სიბეცე, ახლომხედველობა და საქართველოს მიწის განიავების მცდელობაა. ასეთ დროს, როგორც წესი, ხალხი რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს და დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია, ჩაატაროს რეფერენდუმი. დროებით ხარ მოსული და ვის ქონებას ასხვისებ?! ან რას ნიშნავს ჩანაწერი – რომ მიწის ყიდვის უფლება აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას?! სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ყიდულობს მიწას?! ასეთი რამ წარმოუდგენელია.

**– არის ჩვენთან 200-ჰექტრიანი მიწის ფართობები?**

– ჩვენ ამის საშუალება გვაქვს კახეთის ერთი-ორ რაიონში და ქართლში, სხვაგან იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა იძულებული გახდება, დაიწყოს მიწის გასხვისება. ვიმეორებ: იმედის დამყარება ვიღაც გადამთიელებზე სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის, ფუჭი მცდელობაა. მაშინ, როდესაც ერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ადგილობრივი სასოფლო წარმოების მხარდასაჭერად. ბოლო 25 წლის განმავლობაში, გარდა იმისა, რომ გლეხს მივეცით 1,25 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ბარში, მთაში კი – 3-5 ჰექტარი, არაფერი გაგვიკეთებია. ვერაფრით ვეხმარებით გლეხკაცს, მაშინ, როდესაც მსოფლიო ქვეყნების უდიდეს ნაწილში სოფლის მეურნეობა სუბსიდიურია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერებს სუბსიდიას აძლევენ არა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოები, არამედ ევროკავშირიც – თითოეულ ჰექტარზე 400 ევროს. ჩვენთან ხომ ამაზე დაპარაკიც არ არის?! იმის მაგივრად, შანსი მიგვეცა ქართველი გლეხკაცისთვის, რომ ფეხზე წამომდგარიყო, 2005 წლის შემდეგ ასეთი იდეოლოგია ჩამოყალიბდა: უსაქმურია, არაფერი იცის და მხოლოდ და მხოლოდ უცხოელს შეუძლია მიწის დამუშავება. არადა, ჯერ კიდევ ილია წერდა, ფუჭი მცდელობაა, გადამთიელებს მივანდოთ მიწათმოქმედების საქმეო... იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიწის მოცილება უნდათ, რასაც მათ არავინ აპატიებს. ბოლოს და ბოლოს, თუ ასე უნდათ, ავიღოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილება და გადმოვიღოთ; ავიღოთ ავსტრიის გამოცდილება და გადმოვიღოთ; ავიღოთ შვეიცარიის გამოცდილება და გადმოვიღოთ. ეს ძალიან საშიში კანონია.

**– რატომ არის საშიში, თუ საბოლოოდ მიწა მაინც დამუშავდება?**

– მაგალითად, ვთქვათ, „გაზპრომმა“ იყიდა 200 ჰექტარი მიწა, მას სრული უფლება აქვს, თავისივე უშიშროების კონცეფციიდან გამომდინარე, საკუთარი ძალებით დაიცვას ის ტერიტორია და ამას წინ ვერავინ აღუდგება. კანონპროექტის ამ ვარიანტის მიღება არაფრის დიდებით არ შეიძლება. ჩამოსაწერია მუხლები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას, მივიღოთ თანამედროვეობას მორგებული კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ბალანსს. მეტიც – იმას გარდა, რომ 200 ჰექტარი წარმოუდგენლად დიდ რაოდენობად მიმაჩნია, ჩანაწერია, რომ შეიქმნება რაღაც საბჭო, რომელსაც ექნება უფლება, მიჰყიდოს მსურველს დამატებითი მიწის ნაკვეთი, ანუ 200 ჰექტარზე მეტი მიწის მიღების უფლებას აძლევენ. რაც მთავარია: სოფლის მეურნეობის სამინისტროს არანაირი შეხება არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან: პოლიტიკას განსაზღვრავს ეკონომიკის სამინისტრო, რაზეც ვდაობ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

გარდა ამისა, მსოფლიოში არსებული პრაქტიკით, მიწის ყიდვა-გაყიდვა ყველას არ შეუძლია. ეროვნული კანონმდებლობები იმგვარადაა გაკეთებული, რომ თავდაპირველად ფერმერის სტატუსი უნდა მოიპოვოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა. მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ მიწათმოქმედის სტატუსის მქონე პირებს შორის უნდა იყოს შესაძლებელი და ეს სტატუსი უნდა მოიპოვოს როგორც საქართველოს მოქალაქემ, ისე უცხოელმა, ამიტომ საჭიროა ამ ნორმატიული აქტის მიღება.

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

**საქართველოს მთავრობამ სისხლის სამართლის კოდექსში ცლილებები შეიმუშავა, რომელიც სიძულვილის ენის რეგულირებას ეხება და რომლის მიზანი ამ მიმართულებით კანონმდებლობის გამკაცრებაა. კერძოდ, დღეს მოქმედი კოდექსით, სისხლის სამართლის წესით არ ისჯება ისეთი ქმედება, როგორიცაა შუღლის გაღვივება. თუმცა ისჯება შუღლის გაღვივების ნიადაგზე ჩადენილი ქმედებები (განზრახ მკვლელობა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი შეუწყნარებლობის გამო). შესაბამისად, კანონპროექტი გვამცნობს, რომ აწი (თუ ცვლილებები ძალაში შევა), კოდექსს დაემატება 239-ე პრიმა მუხლი – „მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით", რის მიხედვითაც: „მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით, ესე იგი ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის რომელიმე სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება ძალადობრივი ქმედებისკენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნების მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე". ამ მუხლის მეორე პუნქტით კი, იგივე ქმედება, თუ ის გამოიწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის, ან განხეთქილების ჩამოგდებას, რაც გამოიხატა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, სიცოცხლის მოსპობაში ან სხვა მძიმე შედეგში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 8-დან 15 წლამდე. ხოლო 239-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით. არასამთავრობო სექტორი აღნიშნულ ცვლილებებს არც თუ დადებითად გამოეხმაურა, თუ რატომ, ამის შესახებ საიას ხელმძღვანელთან, ანა ნაცვლიშვილთან, ერთად ვისაუბრებთ.**

# რატომ გამოიწვევს ახალი რეგულაციები მედია-საშუალებების ნაწილის დახურვას და როგორ დაარეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი შუღლის გაღვივებას

**– რა არ მოგწონთ მთავრობის მიერ შემუშავებულ ცვლილებებში?**

– თვითონ კანონპროექტი ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხება, ამიტომ, ბუნებრივია, კანონმდებელი ამ თემებზე თვალს ვერ დახუჭავს. შემოთავაზებული ცვლილებები ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის რეგულირებას ისახავს მიზნად და ამ თვალსაზრისით, აქტუალობას ვერ დავაკნინებთ. მაგრამ ჩვენი მიზანი, როგორც ყოველთვის, არის ის, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება იყოს შესაბამისობაში, უპირველესად, საქართველოში უკვე მოქმედ კანონმდებლობასთან და შემდეგ – საერთაშორისო სტანდარტებთან. ბუნებრივია, ტერორიზმთან ბრძოლა და შუღლის გაღვივების საკითხებზე რეაგირება ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა გვქონდეს კარგი რეგულაციები და კანონები, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებები.

**– და რა ღირებულებებს ლახავს ეს რეგულაცია?**

– შემოთავაზებული ფორმულირება არ არის შესაბამისობაში, მათ შორის, არც საქართველოს კანონმდებლობასთან, იმიტომ რომ, ჩვენ უკვე გვაქვს საკმაოდ კარგი „კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელშიც სპეციფიკურადაა განმარტებული „მოწოდება" და ზუსტად იმ განმარტებასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამ კანონპროექტის შინაარსი.

**– შევახსენოთ მკითხველს ფორმულირება.**

– იმისთვის, რომ მოწოდება იწვევდეს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომებს, მას თან უნდა ახლდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის არსებითი, პირდაპირი და აშკარა საფრთხე, თუ ასეთი საფრთხე მოწოდებას არ ახლავს, უკვე მოქმედი კანონით, ის არ შეიძლება, ექცეოდეს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის ქვეშ.



ამ ახალი რეგულაციით, მიზანმიმართულად თუ შეცდომით, კანონი ამბობს, რომ სიტყვის თავისუფლებაზე უნდა დაწესდეს ზღვარი

**– კონკრეტულად ვთქვათ, როგორი უნდა იყოს მოწოდება, რომ შეიცავდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის საფრთხეს?**

– როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოს სასამართლო სისტემები აფასებენ კონკრეტულ საქმეებს, შეიცავს თუ არა ესა თუ ის მოწოდება საფრთხეს, ისინი ითვალისწინებენ სხვადასხვა გარემოებას. მათ შორის, მთავარია, ვინ არის მოწოდების ავტორი, რა გავლენა აქვს მას საზოგადოებაზე; რა არის მოწოდების კონტექსტი, რა მედიასაშუალებაა გამოყენებული მის გასავრცელებლად – რიგ შემთხვევაში ტელევიზიას აქვს სერიოზული გავლენის შესაძლებლობა, ვიდრე ბეჭდურ მედიას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დგინდება, რამდენად შეიძლება, რომ ამ გამოხატვამ რეალურად გამოიწვიოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ანუ შუღლის გაღვივება ჯგუფებს შორის. ეს დელიკატური საკითხია, რადგან, ერთი მხრივ, საქმე ეხება ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვას – საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მშვიდობიან თანაცხოვრებას და მეორე მხარეს დგას სიტყვის თავისუფლება. „შარლი ებდოს" ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გახადა აქტუალური ეს საკითხი – სად გადის ზღვარი და ამ შემთხვევაში ცალსახაა საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გვეუბნება: სიტყვის თავისუფლება იცავს ისეთ გამოხატვას და ისეთ შინაარსსაც, რომელიც შეიძლება, მიუღებელი იყოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, მათ შორის, უმრავლესობისთვის და ლოგიკურად, სწორედ ასეთ გამოხატვას სჭირდება დაცვა.

**– ცალსახაა, ადამიანი არ უნდა მოკლა, რაც უნდა თქვას, დახატოს ან დაწეროს. მეც ბევრს ვფიქრობ ამ დღეებში ამ თემაზე, გვერდზე გადავდოთ რელიგიური გრძნობები, ეს შეიძლება, ვერ გაიგოს, ვთქვათ, ათეისტმა, დავუშვათ, მე დავხატე კონკრეტული ადამიანის კარიკატურა ინცესტის თემაზე. ეს ჩემი გამოხატვის თავისუფლებაა?! ან ირაკლი ვაჭარაძის სტილში – მონაზვნები სასწრაფოდ უნდა დაორსულდნენო, მაპატიოს მკითხველმა, განვაცხადე – დააორსულეთ დები-მეთქი. ესეც ჩემი გამოხატვის თავისუფლებაა? ასე ხომ სრულ მარაზმში გადავალთ, ნებსით თუ უნებლიეთ?**

– მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ამ რეგულაციით, მიზანმიმართულად თუ შეცდომით, კანონი ამბობს, რომ სიტყვის თავისუფლებაზე უნდა დაწესდეს ზღვარი. არადა ეს ზღვარი უკვე დადგენილია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის არ დაირღვეს. როდესაც ჩვენ გამოხატვის რეგულირებას ვიწყებთ შინაარსით, თუ რა არის და არ არის მისაღები, ეს ძალიან საშიშია, რადგან ვილაცისთვის და ჩემთვისაც, როგორც ერთი, რიგითი ადამიანისთვის, ნამდვილად არ არის მოსაწონი ის კარიკატურა, რამაც გამოიწვია, რაც გამოიწვია, მაგრამ როგორ შეიძლება, ეს შევადაროთ ამდენი ადამიანის დახოცვას?! ეს არაპროპორციული პასუხია: გამოხატვის საპასუხოდ სიკვდილი. შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო ერევა გამოხატვაში, ეს ჩარევა უნდა იყოს პროპორციული. ზოგადადაც, სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებაში უნდა იყოს უკიდურესი აუცილებლობა, როდესაც სხვა ტიპის სანქციები – სამოქალაქო და ადმინისტრაციული – ვერ აღწევს დასახულ მიზანს. როდესაც გამოხატვის შინაარსის გარჩევას ვიწყებთ, შესაძლოა, გამოვიდეს რომელიმე პოლიტიკური ძალა, ეს ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ხელისუფლება, იმიტომ რომ, მას აქვს ძალა და თქვას: მე არ მომწონს ეს პოლიტიკური შინაარსი და ამას დავბლოკავ; შემდეგ გამოვა ბანკის წარმომადგენელი და იტყვის, მე არ მომწონს ამ ეკონომიკური ანალიზის შინაარსი, ამიტომ ეს უნდა დაიბლოკოს. ანუ ყოველთვის გამოჩნდება სხვადასხვა ჯგუფი, რომელსაც შინაარსი არ მოეწონება და როდესაც ცოტ-ცოტას შემოვაკლებთ ამ შინაარსს, აღარაფერი დარჩება.

**– ადამიანს უდიდესი შეურაცხყოფა შეიძლება, მიაყენო ისე დახვეწილად, რომ ვერც კი მოგედავოს, ეს მხოლოდ ინტელექტის ამბავია. მაგრამ, თუ ამ საკითხს შევხედავთ მეორე მხრიდან – ჩვენმა საზოგადოებამ გამოხატვის თავისუფლება ძალიან ბოროტად გამოიყენა. დაარღვია ეთიკისა და ზრდილობის ყველანაირი ჩარჩო. დიალოგი გაგებულია, როგორც ლანძღვა და შეურაცხყოფის მიყენება. რა უნდა ქნას კანონმდებელმა ასეთ სიტუაციაში?**

– ის პრობლემა, რაც ჩვენ გვიდგას, ორ სიკეთეს შორის ზღვრის გავლება, სხვა საზოგადოებებმა გაიარეს, ზოგი ჩვენ მსგავსად ახლა გადის. მათ დაინახეს, რომ შეიძლება, აშკარად არსებობდეს სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების ტენდენციები, მაგრამ ის იმდენად ფაქიზი თემაა, რომ მინიმალურმა ჩარევამაც კი შეიძლება, გამოიწვიოს ძალიან მძიმე უკუშედეგი ისევ და ისევ საზოგადოებისთვის. ამიტომ მოიფიქრეს ორი რამ: ერთი, რომ სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს თვითრეგულირებადი. სწორედ ამიტომ გვაქვს ჩვენ ჟურნალისტური ეთიკა და სტანდარტები, რომ მედია-საშუალებები თავს გრძნობდნენ თვითშებოჭილად ამ ეთიკური სტანდარტებით. ჩვენ გვაქვს ეთიკის ქარტია, მაგრამ რამდენიმე მედია-საშუალება მისი ხელმომწერი არ არის, რადგან არ მიიჩნევენ თავს ვალდებულად, რომ ეთიკით შეიბოჭონ თავი. ჩემთვის პირადად პროფესიული და ეთიკური ჟურნალისტიკა სინონიმებია.

**– ლანძღვა ყველაზე ადვილი დასაწერი**

# რა უძრავი ქონება აქვს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და როგორ დააგროვა დუშეთში მიწის ხუთი ნაკვეთი

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 1969 წლის სექტემბერშია დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო, სპეციალობით – ფილოსოფია. 1993-1994 წლებში სწავლობდა პრაღაში, ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში, 1993-1996 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. აქვს თსუ-ის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე მისი ბიოგრაფია საკმაოდ პოეტური ფორმითაა გადმოცემული (მაგალითად: „ყოფილი ვიცე-პრემიერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მტკიცე დემოკრატი და რეფორმატორია, რომელმაც მანამდე პოლიტიზებული განათლების სისტემის არსებითი გარდაქმნის პროცესი დაიწყო. 2013 წლის მაისში უპარტიო გიორგი მარგველაშვილი მმართველმა კოალიციამ, „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანიდადატად დაასახელა, რომელმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა ხმათა 62,18 პროცენტით“) და, ამდენად, მისი კარიერული გზის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა ჭირს. ასეა თუ ისე, 1990-იანებში ბ-ნი მარგველაშვილი სხვადასხვა სამოგზაურო კომპანიაში მუშაობდა მთამსვლელთა გიდად. 1996-1997 წლებში ასწავლიდა ფილოსოფიასა და კულტუროლოგიას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. 1995-დან 2000 წლის ჩათვლით იყო ადგილობრივი მთავრობის ექსპერტი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თბილისის ოფისში. 2000-დან 2012 წლის ჩათვლით მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA), მათ შორის, ორჯერ (2000-2006, 2010-2012 წლებში) იყო რექტორი; 2006-2010 წლებში კი – GIPA-ს კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი. იყო ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიისას. 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს ბ-ნი მარგველაშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა, 2013 წლის თებერვალში – პირველ ვიცე-პრემიერად. 2013 წლის ოქტომბრის ბოლოდან კი ის საქართველოს პრეზიდენტია.



გიორგი მარგველაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2012 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: 1933 წელს დაბადებული მზეანა გომელაური და 1938 წელს დაბადებული თეიმურაზ მარგველაშვილი. იმხანად მარგველაშვილების ოჯახის ქონება შემდეგნაირი იყო: თეიმურაზ მარგველაშვილს ეკუთვნოდა ბინა თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე (ფართობი – 165 კვ.მ.), გიორგი მარგველაშვილს კი – ბინა თბილისში, იაშვილის ქუჩაზე (ფართობი – 120 კვ.მ.), საცხოვრებელი სახლი (200 კვ.მ.) და სამი მიწის ნაკვეთი დუშეთში (775, 1 200 და 946 კვ. მ. ფართობის). 2011 წლის განმავლობაში ბ-ნ მარგველაშვილის დედ-მამამ პენსიის სახით, 1 440-1 440 ლარი აიღეს, დამატებით ქ-ნმა მზეანამ 1 931 ლარიც, როგორც სამხატვრო აკადემიის ლექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა კი, როგორც საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა და ლექტორმა, საერთო ჯამში, 57 347 ლარი.

2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში ოჯახის წევრთა ჩამონათვალშია ბ-ნი მარგველაშვილის 1993 წელს დაბადებული ქალიშვილი ანა. პრეზიდენტის უძრავი ქონებაც გაზრდილა – მას კიდევ ერით მიწის ნაკვეთი აქვს დუშეთში – 541 კვ. მ. ფართობის. რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში ბ-ნი მარგველაშვილის მშობლებმა კვლავ მიიღეს 1 440-1 440 ლარის ოდენობით პენსია, ხოლო ქ-ნმა მზეანამ, დამატებით, როგორც სამხატვრო აკადემიის ლექტორმა, 1 931 ლარი. გიორგი მარგველაშვილმა კი, როგორც საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა და ლექტორმა – 51 517 ლარი; როგორც საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარმა – 25 000 ლარი; როგორც „კვირის აზრების“ ავტორმა – 1 400 ლარი; როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა (ორ თვეში) – 6 307 ლარი.

2014 წელს გიორგი მარგველაშვილმა დეკლარაცია უკვე საქართველოს პრეზიდენტის რანგში შეავსო. მას 2013 წელს კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი შეუძენია დუშეთში – 1 000 კვ. მ. ფართობის. 2013 წლის განმავლობაში ქ-ნმა მზეანამ, როგორც სამხატვრო აკადემიის ლექტორმა, 2 588 ლარი აიღო, როგორც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორმა, 1 225 ლარი. ხოლო გიორგი მარგველაშვილმა, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, 9 თვის განმავლობაში, 21 937 ლარი მიიღო, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ორ თვეში – 5 653 ლარი.

***P. S. საქართველოს პრეზიდენტის ყველა ქონებრივ დეკლარაციაში პაოლო იაშვილის სახელად მითითებულია პაულო. იმედია, ამ, სავარაუდოდ, უნებლიე ხარვეზს უახლოეს მომავალში გამოასწორებენ.***

**ნინო ხაჩიძე**

---

**და სათქმელია, რთული საფუძვლიანი კრიტიკაა.**

– მეორე: თუ ეთიკითა და თვითრეგულირებით მაინც ვერ იქნა მიღწეული მიზანი – საზოგადოებრივი სიმშვიდე, საერთაშორისო პრაქტიკა ითვლისწინებს, რომ შემოვიდეს კანონი, როგორც რეგულატორი. მაგრამ აქაც არის ორი მიმართულება: სისხლის სამართლის ნორმა უნდა იყოს გამოყენებული უკიდურეს ზომად, რადგან, როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩარევა არის არაპროპორციული, იმიტომ რომ, არათანაზომადია, ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, ციხე ან მედია-საშულების ლიკვიდაცია. მეორე მიმართულებაა ადმინისტრაციული და სამოქალაქო ტიპის სანქციები. სამოქალაქო ტიპის სანქცია შეიძლება, იყოს ჯარიმა, მაგრამ, თუ ჯარიმა იქნება ერთი მილიონი ლარი.

**– ამას დაპატიმრება ჯობია.**

– ეს იქნება არაპროპორციული ქმედება. ამდენად, ჩემი აზრით, 239-ე მუხლში „მოწოდება“ უნდა იყოს განმარტებული ისე, როგორც არის განმარტებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში, რაც ზემოთ ვთქვი და ვისურვებდი, რომ აი, ის შენიშვნა, რომელიც ამ მუხლის ბოლო ნაწილშია, როცა იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, შეიცვალოს, რადგან, დარწმუნებული ვარ, საქმეთა 99 პროცენტში ეს იქნება არაპროპორციული სანქცია. თან, ამ ლოგიკით, ძალიან ბევრი მედია-საშუალება შესაძლოა, უბრალოდ ლიკვიდირებული იქნას და ამით გაცილებით დიდი საფრთხე შევუქმნათ იმას, რის დაცვაც გვინდა. მთავარია, ტერორიზმთან თუ შუღლის ჩამოგდებასთან ბრძოლისას არ დაკარგოთ ის, რაც მოგვიპოვებია.

**– თუმცა ისიც ფაქტია, რომ ცოტა უფრო კულტურულები და ზრდილობიანები უნდა გავხდეთ.**

– ოღონდ არა სანქციის შიშით, მედიას არ უნდა დაუწესდეს ცენზურა. მით უმეტეს, რომ ცენზურა ისტორიულადაც გამოიარა საქართველომ მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში.

**– 2004 წლიდან პერიოდიც გაჯერებული იყო ცენზურით.**

– დიახ და ხომ დავინახეთ, რომ ეს საშინელებაა?! სადაც არის თავისუფალი მედია, იქ ხელისუფლება ვერ ახერხებს, იყოლიოს მოსახლეობა მანიპულაციის ქვეშ და მოუწყოს რეპრესიები. მე მესმის საზოგადოების შეშფოთება, ხშირად ადამიანები აღშფოთებულები არიან იმით, რასაც კითხულობენ და რაც ესმით, მაგრამ არ შეიძლება ასეთი ხისტი ჩარევა სიტყვის თავისუფლებაში. ეს უფრო ცუდ შედეგს მოგვიტანს, ვიდრე კარგს, ამიტომ ფაქიზი მიდგომაა საჭირო, როდესაც საქმე ეხება მედია-საშუალებებს და, მეორე მხრივ, მედია-საშუალებებსაც უნდა ესმოდეთ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ აქვთ, მათი თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

**– თუმცა ჩვენთან კანონმდებლობა, ფაქტობრივად, არანაირ სანქციას არ აკისრებს ჟურნალისტს დეზინფორმაციისა და ადამიანისთვის ბრალის წაყენებაში. შესაბამისად, ჩემი კოლეგების ნაწილი ხშირად წერს მასალებს, აგებულს სიცრუესა და ფაქტების ფალსიფიცირებაზე და ცილს სწამებს ადამიანებს. თუკი ხელისუფლება შეარბილებს პოზიციას ამ ცვლილებებში, უპრიანი ხომ არ იქნება, ინფორმაციის გამავრცელებელს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმისთვის, რასაც წერს?**

– ვერ ვიტყოდი, რომ ეს პირდაპირ კანონმდებლობის ხარვეზია, იმიტომ რომ, სამოქალაქო კოდექსში ჩვენ გვაქვს მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ცილისწამების შემთხვევაში პირს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს.

**– მესმის, მაგრამ ეს ხომ მკვდარი მუხლია? სასამართლოს მიმართვის პრაქტიკა გვაქვს?**

– ამაში გეთანხმებით და ამდენად, ამ მუხლის გაცოცხლებაა აუცილებელი და იმ ადამიანებმა, რომლებსაც ცილი დასწამეს, ხშირად უნდა მიმართონ სასამართლოს. ეს ცივილიზებული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა: როდესაც ერთი ადამიანი იყენებს სიტყვისა და გამოხატვის უფლებას, ამის პასუხი უნდა იყოს არა შეიარაღებული თავდასხმა, „ქილერის“ დაქირავება ან ვილაცეების მიგზავნა, გააჩუმე ეს ჟურნალისტიო, არამედ ცივილიზებული მეთოდი, რასაც გვეუბნება კანონი: ვიდავოთ. სასურველია, სასამართლო, ამ მიმართულებით, კიდევ უფრო მაღალ სტარდარტებს აწესებდეს, მაგრამ სამართლებრივი ფორმებით უნდა დავიცვათ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რატომ უზის ქართველს ხასიათში კუდაბზიკობა ისტორიულად და რატომ უნდა გიორგი კალანდიას, ქართველები ჰგავდნენ იაპონელებს

**მინი დოსიე:**

**ეროვნება** – ქართველი

**საცხოვრებელი ადგილი** – თბილისი

**სამუშაო ადგილი** – საქართველოს ხელოვნების სასახლე. ანუ... საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი...

**პროფესია** – ისტორიკოსი

**ოჯახური მდგომარეობა** – ეული

**გიორგი კალანდია:** ეროვნება – ქართველის მიღმა ბევრი რამ შეიძლება, იგულისხმებოდეს... ეს არ ნიშნავს, მხოლოდ წარმოშობით, დაბადებით, მშობლებით ქართველს... უპირველეს ყოვლისა, მენტალობით ქართველობაა მნიშვნელოვანი. ჩემს სტუდენტებს ხშირად ვეუბნები ხოლმე: ჩემთვის ქართველობა, უმთავრესად, ქართული ენაა-მეთქი... „მთლად დიადი ქვეყანა აღირიცხების, სადაც ქართულითა ენითა უბნობენ“... ვისთვისაც მშობლიური ენა ქართულია და ვინც კარგად საუბრობს ქართულად, მაშინ ის ჩემთვის ქართველია. „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“... თქვენ რომ ერთ ოთახში ჩაგკეტონ მართლმადიდებელ მალაიზიელთან და მუსლიმ სპარსელთან, თუ ის სპარსი ლაპარაკობს ქართულად, ხოლო მართლმადიდებელი მალაიზიელი უცხო ენაზე, კომუნიკაციას მუსლიმ სპარსთან მოახერხებთ. მასთან არჩევთ სიახლოვეს. ანუ, მთავარი საიდენტიფიკაციო ატრიბუტი ჩვენი ეროვნულობისა არის ქართული ენა. დიახ, მისი აღმატებულება და უდიდებულესობა ქართული ენა *(იღიმება).*



ჩვენ გიორგი მთაწმინდელის ერიც ვართ, ანუ „ცივი“ გონებით, ზომიერი გადაწყვეტილებების მიღებაც უნდა გავიხსენოთ. კი არ უნდა ვისწავლოთ, მხოლოდ გავიხსენოთ

**– და... სამწუხაროდ, საქართველოს ბევრმა მოქალაქემ არ იცის ქართული ენა...**

– ეს დიდი პრობლემაა. ეროვნებით ქართველად უნდა ვაღიაროთ პიროვნება, რომელიც ლაპარაკობს ქართულად. საქართველოს ბევრი მოქალაქე ვერ ახერხებს ამას და თუ სურვილი არ ექნებათ, გამოსწორდეს ეს, მაშინ ვერ გახდებიან ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი ნაწილი, ვერ მოახდენენ საქართველოსთან იდენტიფიკაციას. თუმცა, იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა არ იციან ქართული ენა, ჩვენს ბრალეულობას უფრო ვხედავ. ჩვენ არ ვუფრთხილდებით ქართულ ენას. არ ვუვლით მას, მიუხედავად იმისა, რომ არანაირ მატერიალურ დანახარჯებს არ მოითხოვს ეს ჩვენგან. ენათმეცნიერივით კი ვლაპარაკობ, მაგრამ ქართველისთვის ქართული ენა უმთავრესია. ვყოფილვარ სპარსეთში, ინდოეთში, თურქეთში, პორტუგალიაში. გადამიღია დოკუმენტური ფილმები იქ მცხოვრებ ქართველებზე და მხოლოდ მაშინ აღმიქვია ისინი ქართველებად, როცა ლაპარაკი ქართულად დაუწყიათ. მინახავს ოთხასი წლის წინ მიზანდარანსა და ფერეიდნის უდაბნოში გადასახლებული ქართველები და როცა ისინი ამეტყველდნენ ქართულ ენაზე, მაშინ მივხვდი, რაოდენ დიდი ძალა აქვს ქართულ ენას...

**– „იავნანამ რა ჰქმნა“?!**

– დიახ, ბატონო. არც ეს არის შემთხვევით დაწერილი... მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიხედებოდეთ უკან, არამედ უნდა ვიყუროთ წინ. თუ ჩვენი წინხედვა წარსულით იქნება გამყარებული, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: არც ყოველთვის უკან გახედვა ვარგაო... ამიტომ, არ მინდა, ჩვენი სწორება ხდებოდეს მოლოდ წარსულზე. გვიმაგრებდეს წარსული ზურგს და ისე ვიაროთ წინ...

**– ძალიან დავშორდით ჩვენს დიდებულ წინაპრებს?**

– ლოგიკურია იმის თქმა, რომ დავშორდებოდით. ვერ იქნებიან დღევანდელ საქართველოში დავითისა და თამარის მსგავსი ქართველები და არც მაქვს პრეტენზია, რომ აუცილებლად ეს სტანდარტი იყოს დამკვიდრებული. მაგრამ, აუცილებელია, მომავალს ვაშენებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების პრინციპებით და ვახერხებდეთ მათგან მიღებული მემკვიდრეობის ინტეგრირებას მომავალთან. ინგლისი ამის ბრწყინვალე მაგალითია... მე ძალიან მინდა, ქართველები იაპონელებს ჰგავდნენ, რომელთაც აქვთ უნარი, ტანთ ეცვათ კიმონო და მოიგონონ მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიები. თუ ჩვენ მოვახერხებთ, გვქონდეს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის კავშირი, მაშინ აუცილებლად მოვხვდებით ძლიერი ერების თანავარსკვლავედში.

**– რა გვიშლის ამაში ხელს?!**

– ხელს გვიშლის ის, რაც თავის დროზე არ გავითვალისწინეთ და არც ახლა ვიღებთ ყურად: „...ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“ როცა ამ ლექსს ვკითხულობთ, რომელიც ქართველი ერის დიაგნოზია, არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს დიაგნოზი გავითვალისწინოთ. თუ გავითვალისწინებთ, მერე ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ კი, ჯერჯერობით მას, როგორც ჩვეულებრივ ლექსს, ისე ვკითხულობთ.

**– სხვათა შორის, მაგ ლექსში არის ცუდი მახასიათებლები ქართველისა, რაც დიდად არ გვსიამოვნებს.**

– მართალია... არ გვსიამოვნებს. მეც არ მსიამოვნებს. მაგრამ „კაცია-ადამიანში“ კარგად ამბობს ილია – მე სარკე მოგიტანე, რათა, თუ სახეზე რამე ურიგობა გაქვს, შენიშნო და ნუ გაბრაზდები სარკის მომტანზეო... ჩვენ სწორად სარკის მომტანზე ვბრაზობთ. თუმცა, ახსნა ამასაც აქვს – ჩვენ დიდი ტრადიციების, ამაყი ერი ვართ. არ ვამბობ, რომ ჩვენი ეს კუდაბზიკობა მომწონს, მაგრამ ეს ისტორიულ ხასიათში გვიზის. იმიტომ, რომ თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის მშობელი ერი ვართ.

**– ეს ხომ ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებს ერს?**

– მაგაშია საქმე. ყოველთვის ვერ ვაცნობიერებთ ამ პასუხისმგებლობას და მხოლოდ კუდაბზიკობის საფუძვლად გვაქვს. გასათვალისწინებელია ეს ყველაფერი. ყველაზე კარგები, რა თქმა უნდა, არ ვართ, მაგრამ არც ხელწამოსაკრავი ერი ვართ. ვიტყვი, რომ ვართ არაჩვეულებრივები და ძალიან ორიგინალურები *(იღიმება).* თუმცა, არაჩვეულებრივობა არ ნიშნავს არც არაჩვეულებრივად კარგს, არც არაჩვეულებრივად ცუდს. არაჩვეულებრივობა გულისხმობს იმას, რომ გვაქვს ბევრი რამ ისეთი, რაც სხვას არ გააჩნია. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, უპირველესად, ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს პრობლემებსაც და წარმატებებსაც. ძალიან არ მომწონს და ვბრაზობ, როცა ქართველებს გამოაცხადებენ ხოლმე ყველაზე მაგრებად ან ყველა უბედურების წყაროდ, ჩვენ ვართ უნიკალური ერი... გვაქვს ბევრი პრობლემა და გვაქვს წარმატებებიც. ვერ ვიტყვი, რომ ხელში მაქვს ჩვენი პრობლემების წამალი, მაგრამ არც ისე ცუდად მიდის საქმე, როგორც წარმოგვიდგენია... ჩვენ ქართველები ვართ და ეს უკვე ძალიან კარგია.

**– თუმცა, ძალიან გვიჭირს გავაცნობიეროთ საკუთარი ქართველობის არსი.**

– კი. ძალიან უჭირთ ხოლმე, იმიტომ რომ, უკან ძალიან დიდი მემკვიდრეობა გვაქვს და დასაკარგი ბევრია. უფრთხილდებიან ერები, რაც საუკუნეებით მოსდგამთ... თუმცა, ნამდვილად მამაცი ერი ვართ და ამისი კარგი მაგალითია, სულ ახლახან მომხდარი სასულიერო მამის გმირული საქციელი. ვერ უარვყოფთ, რომ გვაქვს ეს... თუმცა, პარალელურად, ისეთი რამეც შეიძლება მოხდეს, შეგძრას სულიერად. ამიტომ ვამბობ, არაჩვეულებრივი ერი ვართ-მეთქი.

**– ხომ არ გვემუქრება გაქრობა...**

– ღმერთმა დაგვიფაროს. არა, არ გვემუქრება ჩვენ გაქრობა... ეე... ჩვენი გაქრობა ეგრე ადვილი არ არის! თუმცა, ჩვენც და ჩვენზე დიდ ერებსაც აქვთ სერიოზული პრობლემა – გაუძლონ თანამედროვეობის გამოწვევებს... ჩვენ კარი კი არ უნდა დავგმანოთ, პირიქით, ძალიან ფართოდ უნდა გავაღოთ. ჩვენი წარმატება ამაშია და არა იზოლაციაში. მაგრამ, ფართოდ კარის გაღება არ ნიშნავს გათქვეფას, აზელვას... უნდა გვეკავოს ჩვენი ნიშა, ჩვენი ღირსეული ადგილი და არ გვეშინოდეს უცხოსი. საქართველო იმდენად დიდი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა, მე არ ვფიქრობ, მას ვინმესი ან რამის უნდა ეშინოდეს. როცა ჩვენს ქუჩებში ვხედავთ უცხო ერის ადამიანებს, უნდა ვიამაყოთ ამით და მაშინვე გაგვახსენდეს, რომ ქართველებიც ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში. მათი კვალიც კი ჩანს ამ ქვეყნებში, რითაც ასევე, უნდა ვამაყობდეთ... და ფართოდ გაღებულ კარში ჩვენი ინდივიდუალურობა, ჩვენი განსაკუთრებულობა არ დავკარგოთ... ჩვენ გიორგი მთაწმინდელის ერიც ვართ, ანუ „ცივი“ გონებით, ზომიერი გადაწყვეტილებების მიღებაც უნდა გავიხსენოთ. კი არ უნდა ვისწავლოთ, მხოლოდ გავიხსენოთ...

რა არის ქართველობა? – ამისი ფორმულა არ არსებობს... მახსენდება რეზო თაბუკაშვილის სიტყვები – ჩვენ უნდა გვქონდეს და გაგვაჩნდეს ეროვნული მადლიერების ინსტინქტიო... რადგან ჩვენს ისტორიაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ეთნიკურად ქართველები, მაგრამ ჩვენი ისტორია მათ გარეშე ვერ წარმომიდგენია... თუ ადამიანი შენს ქვეყანას ემსახურება, თუ ყველაფერს აკეთებს მისი გაძლიერებისთვის, თუ შვილს საქართველოს უზრდის, როგორც ეროვნებით არაქართველი ჩვენი დედოფლები უზრდიდნენ ქვეყანას ტახტის მემკვიდრეებს, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება თქვა, რომ ეს ადამიანი არ არის ქართველი...

**ნინუცა წულუკიძე**

# „კამელინი“ – 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული საშუალება, რომელიც ადამიანის იმუნურ სისტემაზე დადებითად მოქმედებს და მისი გამოყენება ეფექტურია სხვადასხვა დაავადების დროს

„კამელინი” 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური და ჰიპოალერგიული პრეპარატია; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი; არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. მართალია, „კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, მაგრამ, ის უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს და დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. პრეპარატი შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი და, ასევე, დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის იმუნური პასუხის ოპტიმიზაცია. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარეც, უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მკურნალობით მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება. პრეპარატი „კამელინი“ აძლიერებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს სიმსივნის უჯრედებს და აფერხებს მათ გამრავლებას.

ერთ-ერთ პაციენტს ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე. გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ, მაინც ძალიან მძიმედ იყო. მან მხოლოდ „კამელინით“ განაგრძო მკურნალობა და ხუთი კურსის შემდეგ გამოკეთდა – შეჩერდა სიმსივნური წარმონაქმნის ზრდა, გაქრა მეტასტაზები. ფაქტია, რომ „კამელინის“ გამოყენებით ადამიანებს უხანგრძლივდებათ სიცოცხლე და უუმჯობესდებათ მისი ხარისხი. ერთ პაციენტს ფილტვის სიმსივნე ჰქონდა, ისრაელშიც იყო, მოსკოვშიც და, ყველგან უთხრეს, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე თვე იყო. მან სამი წელი იცოცხლა და რა თქმა უნდა, მკურნალობდა „კამელინით“, თან, აქტიურად ცხოვრობდა. ტკივილი არ ჰქონია, მხოლოდ ბოლო ერთი თვე იწვა.

ერთი პაციენტი 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა ჯერ უშვილობის გამო, შემდეგ წყლული გაუჩნდა, რომელიც არ შეხორცდა, მერე კი უკვე მედიკამენტური ინტოქსიკაცია დაემართა. ბოლოს ყველანაირ მკურნალობას დაანება თავი, „კამელინის“ გამოყენებაზე გადავიდა და, როგორც თქვა, პირველი კურსის ჩატარების შემდეგ მოეხსნა ინტოქსიკაცია, ექვსი კურსის ბოლოს კი წყლული შეუხორცდა. დიდია ისეთი პაციენტების რაოდენობა, რომლებიც „კამელინით“ მკურნალობენ ვაგინალურ ინფექციებს; ასევე, არაერთი პაციენტია, რომლებსაც ბაქტერიულ-ვირუსული ვაგინიტების დროს აქვთ ჭარბი გამონადენი, ქავილი და მკურნალობას სანთლებით იწყებენ.

**დათო** ***(30 წლის):*** წლების განმავლობაში მაწუხებდა დერმოიდი, რომელსაც „ბეწვის ჩაზრუნებას“ ეძახიან. ბოლო პერიოდში განსაკუთრებლად გამირთულდა – ველარ ვჯდებოდი, ველარ ვწვებოდი, ერთ ადგილას დიდი ხნის ჯდომის შემდეგ კი ტკივილები იმატებდა. ბოლოს ისე ამტკივდა, რომ, საერთოდ ვერ დავდიოდი და ვერ ვჯდებოდი; ამიწია ტემპერატურამ. გადავწყვიტე, „კამელინის“ მალამო წამესვა გამაგრებულ ადგილას. ღამით უსიამოვნო შეგრძნებამ და სუნმა გამაღვიძა: „კამელინს“ მთელი ჩირქი ერთ ადგილას შეექუჩებინა და გარეთ გამოსული იყო. ორი დღის განმავლობაში ვისვამდი „კამელინს“. სიცხემ დამიწია და, როდესაც ქირურგთან მივედი, ანთებითი პროცესიც ჩამქრალი იყო და აღარც ჩირქოვანი კერა აღინიშნებოდა, რამაც ოპერაციის გაკეთება უფრო გააადვილა. ოპერაციის შემდეგაც ვისვამდი „კამელინის“ მალამოს და ჭრილობა მალე შემიხორცდა.

ერთ-ერთ პაციენტს კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი – ხორხის ზედა და ხორხის წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნებოდა ცენტრისკენ მდებარე არასწორი – მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30 მილიმეტრი. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა – დაეწყო ყლაპვის პრობლემები და თითოეულ ლუკმას სითხის დახმარებით იღებდა. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და, გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მკურნალობა „კამელინი მ 1“ ინიექციითა და „კამელინი მ 2“-კაფსულებით. ინიექციას იკეთებდა არა მხოლოდ კუნთში, არამედ, აზავებდა წყალთან და იკეთებდა სავლებებს. ოცდღიანი კურსის გავლის შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შედეგად სპეციალისტებმა შეინიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომაში შემცირებით. ექიმები განცვიფრებულები დარჩნენ – სიმსივნური წარმონაქმნი ზომაში 15 პროცენტით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, მან განაგრძო კამელინოთერაპიის კურსი.



ერთ-ერთ პაციენტს 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი. მან ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, რის შედეგადაც გასცვივდა თმა; იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს; დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. მან დაიწყო „კამელინ მ 1” – ინიექციითა და „კამელინ მ 2 – კაფსულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსის პროცესშივე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა და, ამიტომ, გადაწყდა გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალშისაცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა და დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს კამელინოთერაპიას პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს.

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის” აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** ადრეული კვლევები, რომლის საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა და, მათ შორის უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სტადიაში მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო ის უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ონკოლოგიური პაციენტები არიან. მართალია, ეს უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ, ძალიან კარგი პრეპარატია – ძლიერი იმუნომოდულატორი. ამიტომაც, ძალიან კარგი საშუალებაა პროფილაქტიკისთვის და სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად, ანუ, პროფილაქტიკის მიზნით, ჯანმრთელ ადამიანსაც შეუძლია, წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს მკურნალობის თითო კურსი ისე, რომ გვერდითი მოვლენები არ ექნება. „კამელინის“ ამ თვისებებით განსაკუთრებულად იხიბლებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები და, ამიტომაც სურთ, რომ მათ ბაზარზე „კამელინი“ შევიდეს არა მხოლოდ დაავადების აღმოფხვრისა და შეჩერების, არამედ, პრევენციის მიზნითაც. საინიექციო ფორმა – „კამელინი მ 1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში; ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ 4“ – სანთლების (იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ 2“-კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით ხანგრძლივი დროითაც კი არანაირ გვერდით მოვლენებს არ იწვევს. ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია და დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ დადიოდა სქემარქიმანდრიტი ვიტალი პატარა ზომის ჩექმებით, სხეულზე შემოხვეული რკინის ჯაჭვით და რა უწინასწარმეტყველა მიტროპოლიტმა ზინობმა მის უწმიდესობას, ილია მეორეს

*„მარტო როდი ხარ, არამედ გვერდითაა უფალი, დედა ღვთისა, წმიდა ანგელოზნი, ღვთის კაცნი. მხოლოდ გიყვარდეს და მთელი სამყარო და ყველა ადამიანი შენი ნათესავი გახდება. რთული არაფერი იქნება, თუ ადამიანები გეყვარება, გულწრფელად შეეცდები მათ შეწევნას. მაშინ, შენთვის ძალზე ადვილი იქნება ცხონება. თუ გეყვარება, არც მწუხარება შემოგაწვება, არც გულგატეხილობა და სევდა-ნაღველი. ისწავლე ყველას სიყვარული, მაშინ მარტო არასდროს იქნები,“ – ეს სიტყვები სქემარქიმანდრიტ ვიტალის ეკუთვნის (მასალა მომზადებულია წიგნის „სქემარქიმანდრიტი ვიტალის (სიდორენკო) ცხოვრების“ მიხედვით), რომელიც სიცოცხლეშივე მოყვასისადმი უდიდესი სიყვარულით გამოირჩეოდა და გარდაცვალების შემდეგაც (დასაფლავებულია წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიის ეზოში) ანუგეშებს მასთან საფლავზე მისულ ადამიანებს.*

ნიკოლოზ და ალექსანდრა სიდორენკოების ღარიბ, გლეხურ ოჯახში 1928 დაიბადა ჩვილი, რომელსაც ვიტალი უწოდეს. ქრისტიანული წესის თანახმად, ალექსანდრამ ვაჟიშვილი მეორმოცე დღეს ეკლესიაში მიიყვანა. მღვდელმა ჩვილი საკურთხეველში შეიყვანა. მაშინვე იგრძნო მისგან გამომავალი მადლი და ის ამაღლებულ ადგილზე დააწვინა. შემდეგ მან ბავშვი საკურთხევლიდან გამოიყვანა და დედას გადასცა: „ეს ბავშვი დიდი ადამიანი იქნება“. სახლში დედას ბიჭის აკვანთან ხშირად ესმოდა ანგელოზთა საოცარი გალობა. მამის ნათესავებს – დებსა და ბებიას სძულდათ ბავშვი და მისი სიკვდილი სურდათ. ისინი დედას ჩვილის გამოსაკვებად მინდვრიდან არ უშვებდნენ. ბიჭი მთელი დღის განმავლობაში მშიერი და სველი იყო. თუმცა, არასდროს ტიროდა, რაც მათ უფრო მეტად აბოროტებდათ – ისინი ბავშვს პირში ჩალას ტენიდნენ და ძირს აგდებდნენ. 5 წლის ასაკიდან ვიტალიმ მარხვა დაიწყო: ხორცს საერთოდ არ ჭამდა, ოთხშაბათსა და პარასკევს რძის ნაწარმზეც უარს ამბობდა. როდესაც 8 წლის გახდა, ყველა თავისი თანატოლის მსგავსად, სკოლაში წავიდა. მას სულ თან დაქონდა სახარება და ყველას უკითხავდა. მოგვიანებით, ვიტალი ხალხს სთხოვდა, მისთვის „წმიდანთა ცხოვრება“ და სხვა სულიერი წიგნები მიეცათ წასაკითხად. ახალგაზრდობის წლებში კი, გაძლიერებულად ლოცულობდა. ლოცვისთვის განცალკევებული ადგილები ჰქონდა. 8-10 წლის ასაკში ბოსტანში ორმო ამოთხარა, სადაც დიდხანს ლოცულობდა. ცხრა წლის ვიტალის კოლმეურნეობის ნახირის მწყემსვა დაავალეს. მან საქონელი საძოვარზე გარეკა, თვითონ კი სახარების კითხვა დაიწყო და ვერც შეამჩნია, როგორ შეჭამეს ძროხებმა მარცვლეული, ზომაზე მეტი მოუვიდათ და დაცვივდნენ. ვიტალი თითოეულ ძროხასთან მიდიოდა, გარშემო შემოუვლიდა, ჯვარს გადასახავდა და საქონელი ფეხზე დგებოდა. ასე წამოაყენა ფეხზე მთელი ნახირი და სოფელში გარეკა. მეშვიდე კლასში იყო, როცა ის ნეკრასოვის ლექსის – „რკინიგზის“ წასაკითხად გაკვეთილზე გამოიძახეს. მან ასე წაიკითხა: „სამყაროში არის მეფე, ის დაუნდობელია – ეს სტალინია“. მასწავლებლებმა იცოდნენ, რომ მასზე არანაირი სასჯელი არ იმოქმედებდა. ამიტომაც, მას საძულველ იარლიყთან „მორწმუნესთან“ ერთად, „პოლიტიკურიც“ დაუმატეს და სკოლიდან გააძევეს.

### ზეციური მეუფის მხედარი

14 წლის ასაკიდან მან მწირის ღვაწლი იტვირთა. მისი ღამის გასათევი ხშირად იყო თივის ზვინი, მიტოვებული ფარდული, ვაგონის კარსელი. მის, როგორც მწირის, მდგომარეობას მეტად ართულებდა ისიც, რომ ვიტალი შეგნებულად ამბობდა უარს რაიმე დოკუმენტის ქონაზე. 16 წლის ასაკში მან თავისი პასპორტი დახია. სურდა, ზეციური მეუფის მხედარი გამხდარიყო, ზეციური მოქალაქეობის სურვილი ჰქონდა, ამიტომ მიწიერ მოქალაქეობაზე იმედებს არ ამყარებდა. მოგვიანებით, გადაწყვიტა, გლინის უდაბნოში წასულიყო, რომელიც ცნობილი იყო ბერების მაღალი სულიერებით. მისი



შევიდნენ მორგში, ვიტალი იჯდა მკვდრებს შორის და აღდგომის კანონს გალობდა

სულიერი მოძღვარი გახლდათ მამა სერაფიმე (რომანცოვი), საძმოს სულიერი მოძღვარი – მკაცრი და მომთხოვნი. მას სერაფიმე-მესვეტეს უწოდებდნენ, რადგან ერთადერთი გადარჩენილი კოშკის მეორე სართულზე ცხოვრობდა. გლინის უდაბნოს ყველა ბერს მადლმოსილი სულიერი ნიჭი ჰქონდა. პირველი და უმთავრესი გაკვეთილი, რომელიც მამა ვიტალიმ გლინის უდაბნოში მიიღო, იყო ბერების მორჩილება საკუთარი ნების გარეშე... 1950-იანი წლების ბოლოს ხელისუფლების მხრიდან კონტროლი გამკაცრდა. სულ უფრო ხშირად მიდიოდნენ გლინის უდაბნოში შესამოწმებლად. ძმებს აკრძალული ჰქონდათ მომლოცველთა გამოკვება და მათი ღამისთევით დატოვება. მამა ვიტალის მონასტერში ყოფნა სახიფათო გახდა და ის ტაგანროგში გაემგზავრა. შეუმჩნეველი არ დარჩენილა ტაგანროგის მცხოვრებთათვის მონასტრის თავმდაბალი და გარეგნულად უპოვარი მორჩილი ვიტალი. მასთან სიარული დაიწყო სულიერ საზრდოს მოწყურებულმა უამრავმა ადამიანმა. რუსეთში მწირობის დროს მამა ვიტალი ყოველთვის კაბით და სამგზავრო კვერთხით დადიოდა, მისი შეუმჩნევლად დარჩენა შეუძლებელი იყო. თითქმის ყველა სოფელში მილიცია ელოდა. ამ დროის შესახებ ის სულიერ შვილებს მოუთხრობდა: მიმავალს გზაზედ მდინარე შემხვდა. გადავედი მეორე ნაპირზე, ვხედავ, მორიგე მილიციელი დგას. მე მას თაყვანი ვეცი და ისე შემაქცია ზურგი, თითქოსდა ვერ შემაჩნია. სხვაგან კი, როგორც ბატონს, მანქანით დამხვდნენ. ძალიან ლამაზ სახლში შემიყვანეს და მომეფერნენ – ეს ნიშნავდა, რომ სასტიკად სცემეს. „აი, მილიციაში მცემდნენ,” – წერდა ის წერილში, – „მასწავლიდნენ, რომ არ გავზარმაცებულიყავი“. როცა მას სცემდნენ, ამბობდა, რომ ფეხბურთი ითამაშა, ან ეფერებოდნენ თავზე, მუცელში, ზურგზე. ერთხელ ტაგანროგში, მილიციაში მამა ვიტალი ისე სცემეს საავადმყოფოს მორგში გადაიყვანეს. ექიმმა ნახა, რომ პულსი არ ითვლებოდა: რა დავწერო დასკვნაში, მოგიკლავთო. მომვლელმა, მორწმუნე ქალმა იცნო მამა ვიტალი და ტირილი დაიწყო. ღამის 12 საათზე უეცრად მამა ვიტალის გალობა შემოესმა: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი...“. მომვლელი ქალი გაიქცა: ის ცოცხალია. შეუძლებელია, – გაოცდა ექიმი. შევიდნენ მორგში, ვიტალი იჯდა მკვდრებს შორის და აღდგომის კანონს გალობდა... 1954 წელს კი ის ტაგანროგის საავადმყოფოში დააწვინეს, დიაგნოზით – უკანასკნელი სტადიის ტუბერკულოზი. ფილტვების დაშლა დაიწყო, გამოჯანმრთელების არავითარი იმედი არ იყო. ბევრი ხალხი მიდიოდა მის სანახავად. ერთ დამწუხრებულ დას მამა ვიტალიმ უთხრა: „თუ დედა ღვთისმშობელი ფილტვებს გამომიცვლის, ვიცოცხლებ“. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, უფლის სასწაულმა არ დააყოვნა და მამა ვიტალი გადარჩა.

### ორი ღვთივგანბრძნობილი ბერი

დაახლოებით 1958 წელს მამა სერაფიმემ და მამა ანდრონიკემ მამა ვიტალი სამონაზვნოდ აღკვეცეს. 1960-იანი წლების შუა ხანებში მან იდუმლად მიიღო სქემა ვიტალის სახელით, რის შემდეგაც ის ჯერ სოხუმში, ხოლო შემდეგ მაღალმთიან ბარგანში გაემგზავრა. 1969 წელს კი თბილისში ჩამოვიდა და წმიდა კეთილმორწმუნე მეფის, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მივიდა, სადაც მაშინ მიტროპოლიტი ზინობი ცხოვრობდა.

სქემიღუმენია სერაფიმა: „როდესაც მამა ვიტალი თბილისში ჩამოვიდა, თავიდან ფეხებამდე ჭუჭყიანი იყო, ეცვა ძონძები – სხვა სახელს მის სამოსს ვერ უწოდებდი. მეუფემ ის აკურთხა, ყველაფერი დაუწვა, რაც ეცვა, და სუფთა ჩააცვა. ჩექმები, რომელიც ეცვა ზომით პატარა ჰქონდა. ჩვენც დავინახეთ როგორ იტანჯებოდა და მეუფის კურთხევით სხვა ფეხსაცმელი მიევეცით. მამა ვიტალი მეუფეს ფეხებში ჩაუვარდა: „მეუფე, ის ჩექმები ჩემი ჟღარუნები იყო, ლოცვას მაიძულებდნენ“. როდესაც დაკონკილ კაბას ხდიდნენ, აღმოაჩინეს, რომ თითქოს სხეულზე შეზრდილ ჯაჭვს ატარებდა. დიდხანს არ იხსნიდა, სანამ უზიარებლობის სასჯელის შიშმა არ აიძულა ამის გაკეთება. მეუფე ზინობმა ის ჯერ ბერ-დიაკვანად, შემდეგ მღვდელმონაზვნად აკურთხა. თავად მიტროპოლიტი ზინობი სქემაში სერაფიმე 1914 წლიდან გლინის უდაბნოში ცხოვრობდა, რომლის დახურვის შემდეგ, სოხუმის ეპარქიაში, დრანდის მიძინების სახელობის მონასტერში მივიდა. 1926 წელს მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1930 წელს დააპატიმ-

(გაგრძელება 27-ე გვერდზე)

# არის თუ არა ერთმანეთთან კავშირში საქართველოსა და აზერბაიჯანის გაზისა და ნავთობის მარაგები და როდის დაიწყება ენერგომატარებლების ბურღვა საქართველოში არსებულ 40 პერსპექტიულ უბანზე

(მე-6 გვერდიდან)

**ეს შესაძლებელია?**

– ძალიან მიჭირს კონკრეტული ციფრების დასახელება, იმიტომ რომ 5 კომპანია მოიპოვებს ნავთობს და თან ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა, თუმცა შემიძლია გითხრათ ზოგადი მოსაზრება. ახლა დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი ნავთობის ფასის ვარდნაზე მსოფლიო ბაზარზე: ნავთობის ყველაზე დაბალი თვითღირებულებაა ახლო აღმოსავლეთში, მაგალითად, საუდის არაბეთში ბარელი ნავთობის თვითღირებულება 4-5 დოლარია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი თვითღირებულება აქვს რუსეთში მოპოვებულ ნავთობს – 30-35 დოლარი. საქართველოში სადღაც ამათ შორისაა მოპოვებული ნავთობის თვითღირებულება, რადგან საქართველო გეოგრაფიულად ისეთ რეგიონშია, რომ ნავთობის ტრანსპორტირებისთვის მისი ბათუმამდე მიტანა დაგვჭირდება მხოლოდ. ნავთობის თვითღირებულებაში შედის სამი ძირითადი კომპონენტი: ბურღვითი სამუშაოები, საოპერაციო ხარჯი და ტრანსპორტირება. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, საექსპლუატაციო ბურღვა მინიმალური მოცულობით მიმდინარეობს ჩვენთან, რადგან ახალი საბადოები არ გვაქვს გახსნილი; ბუნებრივია, არის საოპერაციო ხარჯიც, მაგრამ ტრანსპორტირების ხარჯი ძვირი არ იქნება. წარმოიდგინეთ, რუსეთში ციმბირიდან ნოვოროსიისკამდეა ტრანსპორტირების გზა, ჩვენთან კი – ბათუმამდე. ამდენად, საქართველოში ნავთობის მოპოვება ცალსახად მომგებიანია დღეს არსებული ფასების პირობებშიც კი.

**– თქვით, რომ 1980 წლამდე საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობის ნავთობს მოიპოვებდნენ „სამგორის“ საბადოზე, წელიწადში 3 მილიონ ტონას, მაგრამ ახალი საბადოების აღმოჩენა შეწყდა. არის ალბათობა, რომ იქ მართლაც იყოს ნავთობი და თუ არის, რით ვერ აღმოაჩინეს ამდენ ხანს?**

– არის ალბათობა და ის უცხოური კომპანიებიც სწორედ ამისთვის შემოვიდნენ. გარდა ბურღვითი სამუშაოებისა, ბოლო პერიოდში ჩატარდა სეისმოძიება როგორც საქართველოს ხმელეთზე, ისე შავ ზღვაში და ამ სამუშაოების შედეგად საქართველოში აღმოჩენილია 40-მდე პერსპექტიული უბანი, სადაც ვვარაუდობთ, რომ იქნება ნავთობისა და გაზის საბადოები, მათ შორის, 6-7 უბანი არის შავი ზღვის შელფზეც. მათი ნაწილი არის აფხაზეთის მხარეს.

**– აი, იქ, სადაც „როსნეფტი“ აპირებს ბურღვის დაწყებას?**

– დიახ, ხმა დადიოდა ამის შესახებ. მათ შორის, ასევე, გამოვლინდა ძალიან პერსპექტიული უბნები თბილისის სიახლოვეს. უახლოეს დღეებში ერთ-ერთ ასეთ უბანზე დაიწყება ღრმა შემფასებელი ჭაბურღილის ბურღვა კახეთში, მანავის ფართობზე.

**– ხშირად მსმენია, რომ თითქოს აზერბაიჯანისა და საქართველოს გაზისა და ნავთობის რესურსი დაკავშირებულია ერთმანეთთან და აქ იმიტომაც არ ბურღავენ, რომ აზერბაიჯანს არ დააკლდეს. ეს მართლაც ასეა?**

– არა. იმ დანალექი ქანების აუზი, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანში ნავთობი და გაზი მოიპოვება, გრძელდება საქართველოში, სურამის ქედამდე, აღმოსავლეთით კი – თურქმენეთისკენ. ამ თვალსაზრისით, კავშირი გვაქვს აზერბაიჯანის გეოლოგიასთან, მაგრამ ნავთობისა და გაზის საბადოები ძალიან ლოკალურ უბნებზეა გავრცელებული და ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანში აღმოჩენილი საბადოებიდან ნავთობისა და გაზის მოპოვებას ერთმანეთთან კავშირი არ აქვს. ჩემთვისაც ხშირად უთქვამთ ეს მოსაზრება, მაგრამ რეალობას არ შეესაბამება. უბრალოდ მსგავსი გეოლოგიური აგებულებაა.

**– ანუ იმათ თავიანთი მარაგი აქვთ, ჩვენ – ჩვენი?**

– დიახ... აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა შავი ზღვის შელფზე. შავი ზღვა ბოლო ათწლეულია მსოფლიოს დიდ ყურადღებას იქცევს, რადგან ის თავისი აგებულებით ძალიან ჰგავს, ერთი მხრივ, კასპიის ზღვას, რომელშიც გაზისა და ნავთობის ბევრი საბადოა და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთის ზღვას, რომელშიც ნორვეგია, ბრიტანეთი და ჰოლანდია მოიპოვებენ დიდი რაოდენობით ნავთობსა და გაზს, მაგრამ მათგან განსხვავებით, შავი ზღვა თითქმის შეუსწავლელია, განსაკუთრებით, ბურღვით. შედარებისთვის: ჩრდილოეთის ზღვაში რამდენიმე ათეული ათასი ჭაბურღილია გაბურღული, თუ არ ვცდები, 50 000-70 000, შავ ზღვაში კი – 200-ზე ცოტა მეტი. საქართველოს ნაწილში კი საერთოდ არ არის გაბურღული. უმეტესად საბჭოთა დროს ბურღავდნენ, ყირიმის ნახევარკუნძულის დასავლეთით, უკრაინის შელფზე.

**– იპოვეს რამე?**

– მოიპოვებენ, მაგრამ ისეთი დიდი რაოდენობით არა, როგორც კასპიისა და ჩრდილოეთის ზღვებში. ანუ შეიძლება, ჩაითვალოს, რომ ბურღვის თვალსაზრისით, შავი ზღვის აუზი თითქმის ხელშეუხებელია, ამიტომ შავ ზღვას უყურებენ, როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელ სამომავლო ახალ მძლავრ კერას. ამდენად, ჩვენც უნდა ვიაქტიუროთ. ამერიკულმა კომპანიამ „ანადარკომ“ საქართველოს კუთვნილ საზღვაო ნაწილში ჩაატარა კვლევები, მოამზადა ყველა პირობა ბურღვისთვის, შერჩეულია ადგილები, სადაც უნდა გაიბურღოს ორი საძიებო ჭაბურღილი, მაგრამ ეს ძალიან ძვირად ღირებული სიამოვნებაა: თუ ხმელეთზე 10-30 მილიონი ჯდება ერთი ჭაბურღილის გაბურღვა, ასეთივე სიღრმის ჭაბურღილის გაბურღვის ღირებულება ზღვაში, დაახლოებით, 100-150 მილიონი დოლარია. ასე რომ, აქ დიდი და მძლავრი კომპანია უნდა შემოვიდეს. მოგეხსენებათ, ომის დროს ყველა გენერალს თავისი ფრონტი მიაჩნია გადამწყვეტად. მეც, როგორც ნავთობის მრეწველობის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ ეს არის დარგი, რომელიც, ნავთობის ფასის დღევანდელ პირობებშიც კი, წარმატების შემთხვევაში ისეთ ბიძგს მისცემს ქვეყანსის ეკონომიკას, რის პოტენციალიც სხვა დარგებს ნაკლებად აქვს.

**ნინო ხაჩიძე**

# ვის მოუწევს ჯარიმის გადახდა მიწის ნაკვეთის დაუმუშავებლობის გამო, რატომ არ აქვს სტატუსი საქართველოში სოფელს და რატომ ხდებიან გლეხები იძულებულნი, გაყიდონ საკუთარი მიწის ნაკვეთები

(მე-7 გვერდიდან)

**– გავრცელდა სოფლის მეურნეობის მინისტრის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ მიწის დაუმუშავებლობის შემთხვევაში, მიწის მფლობელი დაჯარიმდება, ოღონდ ეს ნორმა ეხება მიწის დიდი ფართობების მფლობელს და არა მცირენაკვეთიან გლეხებს.**

– ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაშია მსგავსი ჩანაწერი და პირველად ასეთი რამ გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში 1861 წელს, როდესაც აბრაამ ლინკოლნმა შეერთებულ შტატებში დაიწყო მიწის რეფორმა. იქ ჩაიწერა, რომ შტატების ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი ან ოჯახის უფროსს, აქვს უფლება, სახელმწიფოსგან უფასოდ მიიღოს 160 აკრი მიწა იმ პირობით, რომ 5 თვის განმავლობაში შექმნის ფერმას, ხოლო, თუ არ შექმნის, ეს მიწა მას ჩამოერთმევა. სასოფლო-სამეურნეო მიწა არ არის ჩვეულებრივი საქონელი და მისი განხილვა ჩვეულებრივ გასაყიდ ობიექტად არ შეიძლება, რადგან მას განსაკუთრებული სოციალური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვა გააჩნია. მაგრამ ის, რაც სოფლის მეურნეობის მინისტრმა თქვა, არ არის ამ კანონპროექტში, ვერც იქნება, ეს სხვა კანონით უნდა დარეგულირდეს და უნდა დარეგულირდეს ისე, როგორც ეს ჩვენ გვქონდა კანონში: თუ მფლობელი 2 წლის განმავლობაში არ დაამუშავებდა მისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს, ის მას სასამართლო წესით ჩამოერთმეოდა. ეს არის დასავლური გამოცდილება. მიწას სჭირდება დამუშავება და ამიტომ ის უნდა მოხვდეს იმ ადამიანების ხელში, ვისაც მისი დამუშავების სურვილი აქვს.

**– ეს კანონპროექტი შეუწყობს ხელს, წაახალისებს მიწის დამუშავებას?**

– უმძიმესი პრობლემაა მიწის პარცელაცია, ანუ დანაწევრება, ამდენად, საჭიროა მისი კონსოლიდაცია. მაგალითად, თურქეთში, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, შეგიძლია, იყიდო 2,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და თუ წარმოადგენ მნიშვნელოვან საინვესტიციო გეგმას, შეიძლება, 30 ჰექტრამდე გაგიზარდონ. არავინ მიდის მიწის გაყიდვაზე ასე ადვილად. ჩვენთანაც არავინ მოვა ოხრახუშისა და ნიახურის მოსაყვანი მიწის შესაძენად, მაგრამ ისეთ ფონს უქმნიან, თითქოს მიწის ყიდვა არის ინვესტიცია, რაც ახლომხედველობა და ხალხის მოტყუების მცდელობაა, რადგან მიწის გაყიდვა არ არის ინვესტიცია. ბოლო 10 წლის განმავლობაში ინვესტიციების საერთო რაოდენობიდან სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციების წილი 0,3-დან 1,7 პროცენტამდეა. თანხობრივად, წლების მიხედვით, ეს არის 2-3 მილიონი, 10 მილიონი იყო ერთხელ და ამით დამთავრდა ყველაფერი. ეს არ არის ინვესტიციატევადი დარგი და მეორე, ეს დარგი არ არის მზად ფართომასშტაბიანი ინვესტიციებისთვის, იმ პრობლემების გამო, რაც ვთქვი მიწის დანაწევრების შესახებ. ჩვენი ამოცანაა, ჩვენი მიწა ჩვენვე დავამუშაოთ და შემდეგ, თუ აუცილებელი გახდება, გავასხვისოთ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთი პროცენტიც კი არ არის გასხვისებული უცხოელებზე. ბალტიისპირეთის ქვეყნები მიწასა და ტყეს ასხვისებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საჭიროება და საერთოდ არ ასხვისებს ევროკავშირის მოქალაქეების გარდა არავისზე. ჩვენც ასე უნდა შევხედოთ ამ საკითხს, მაგრამ ამ კანონპროექტის შემმუშავებლებს, სამწუხაროდ, არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება.

**ნინო ხაჩიძე**

**მარიკო ებრალიძის ცხოვრებაში ძალიან ბევრი სიახლეა, როგორც კარიერის, ასევე პირადი ცხოვრების მხრივ. ნოემბერში ოჯახი შექმნა, მისი მეუღლე გიორგი დოლიძეა. ნიჭიერი, ხალისიანი და ენერგიული მომღერალი 2014 წლის მიწურულს „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გადაცემა „სიტყვების თამაშის“ წამყვანი გახდა. ახლა პროექტში – „ორი ვარსკვლავი“ მონაწილეობს. მას მეწყვილეობას როლანდ ოქროპირიძე უწევს. მარიკოს კიდევ ერთი სიახლე აქვს, რომელსაც ინტერვიუდან გაიგებთ.**

# რას აჩვევს საკუთარ ტყუპებს მუცლადყოფნის პერიოდში მარიკო ებრალიძე და როდის სურს მას საოცნებო ქორწილის გადახდა

**– ახალი გათხოვილი იყავი, როცა დაგირეკე და მაშინ მითხარი, ჯერჯერობით მიჭირს ამ თემაზე საუბარიო. შეეჩვიე ახალ სტატუსს?**

– მუსიკალურ თემაზეც რომ მიწვევდნენ სასაუბროდ, რა თქმა უნდა, ვერკვევი მუსიკაში, მაგრამ თავიდან ცოტა მაინც იბნევი, ისე ვერ ლაპარაკობ როგორც გინდა. ამ შემთხვევაშიც ასეა – ჯერჯერობით მიჭირს ამ თემაზე საუბარი, ისე, როგორც მკითხველს მოეწონება და მაყურებელს გაუხარდება. მინდა, მოვყვე ის, რაც გულწრფელი ემოციაა და გადმოვცე ლამაზად. ამიტომ, მინდა, ჯერ დავლვინდე, ანუ დალვინება მჭირდება პირად ცხოვრებაში, რომ მერე ლამაზად ვისაუბრო.

**– შენს მეუღლეს არ უყვარს პრესის ფურცლებზე, ტელევიზიაში გამოჩენა?**

– არა, არ უყვარს. ერთხელ მის პროფესიასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია დაწერეს. ეგონა, მე ვთქვი ასე და ცოტა გამინაწყენდა: ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ უნდა იცოდე ვინ ვარ, თან, მერე იტყვიან იბრალებს რაღაცეებსო. ასე რომ, კატეგორიულ უარს ამბობს. ურჩევნია, პროფესიასთან დაკავშირებით იყოს საინტერესო, ვიდრე იმის გამო, რომ მარიკო ებრალიძის მეუღლეა. სიმართლე გითხრა, ეს მეც მახარებს. მირჩევნია, საქმის მხრივ ვიყო საინტერესო, ვიდრე დაიწეროს: გათხოვდა, ორსულად არის, გააჩინა, ბავშვი ბაღში წაიყვანა და ასე შემდეგ.

**– ზუსტად ისეთია, როგორიც გინდოდა რომ გვერდით გყოლოდა?**

– ჯერ ერთი, ასეთი შეყვარებული ადრე არ ვყოფილვარ. პირველი სიყვარულია ნამდვილად, თუმცა მოწონება, გატაცება, ფლირტი ყოველთვის იყო. ვისაც ვუყვარდი, ყოველთვის იმ ადამიანისგან ვითხოვდი თავიდანვე კომფორტს. თუ ის იმ პირობებს არ შემიქმნიდა, რაც მე მომეწონებოდა, რა თქმა უნდა, მთავრდებოდა ყველაფერი. თან, როცა ფიზიკურად მოგწონს ადამიანი, მერე კი საუბრის დროს, ისეთი არ აღმოჩენილა, ხშირად იქვე დასრულებულა ურთიერთობა. ბავშვობიდან აქამდე მამაკაცების მიმართ მიდგომა არ შემიცვლია – ის ძირითადი ღერძი მუდმივად იყო.

**– ჰოდა, მან დააკმაყოფილა შენი პირობები?**

– კი, დააკმაყოფილა. ამიტომ, ქეც შედგა ჩვენი ურთიერთობა და ქეც დავიდგით გვირგვინი.

**– როგორც ვიცი, პროფესიით ექიმია.**

– კი. გინეკოლოგი, მცირე მენჯის ქირურგი, ლაპარასკოპისტი. მისი ოჯახი ძალიან მუსიკალურია და თვითონაც ერუდირებულია ამ საქმეში – არა დილეტანტის დონეზე, არამედ საფუძვლიანად იცის ყველაფერი იმის შესახებ, ვინც უყვარს და მოსწონს. რამე რომ დამჭირდეს, შემიძლია, დავურეკო და რჩევა ვკითხო. მე და ვაჟა მანია ვამბობდით ხოლმე, როცა კეიტ ჯარეტს ჩართავ, მან, ვინც შენს გვერდით არის, არ უნდა გითხრას: გამორთე ან გადართეო – ეს ჩვენთვის ერთგვარი ლაიტმოტივი იყო. ვირტუალური საუბრები რომ გვქონდა „ფეისბუქზე”, პირველი შოკი მივიღე, როცა ისეთი მუსიკოსები დამისახელა, ხშირად ჩვენ, მუსიკოსებიც ვერ ვუსმენთ. წიგნს რომ წაიკითხავ, მასალას გაეცნობი, ასე ვუსმენთ მათ მუსიკას. ის კი ასეთ მუსიკოსებს უსმენდა, თან, ჩამომითვალა მათი შემოქმედება, მთელი მოღვაწეობა. გავოცდი და გავგიჟდი. შეიძლება, უცებ იფიქრო: „გუგლი“ აქვს გახნილიო, მაგრამ პირად საუბრებში დაამტკიცა ის, რასაც მანამდე მეუბნებოდა. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, კლინიკაში სრულიად შემთხვევით შევხვდით. იქ ჩემს ნათესავთან მივედი და როგორც გაირკვა, მოვწონებივარ. დამიმეგობრა „ფეისბუქზე“ და იქ შედგა საუბარი, კოორდინატების გაცვლა. პირველად რომ შევხვდით, მივხვდი – დამაინტერესა, მომეწონა. ამ შეხვედრის მერე არ გვქონია კონტაქტი და ამან უფრო ჩამაგდო ინტერესში. მერე მართვის მოწმობის გამოცდა ჩავაბარე, „ფეისბუქზე“ დავდე სტატუსად და მომილოცა: „გილოცავ, შუმახერო“. ჯაზ-ფესტივალი იყო და იმ დღეს სულ ტელევიზორში ვიყავი. ვერ მივხვდი, რას მილოცავდა. მოკლედ, ვიმესიჯეთ და ერთი კვირა ისევ პაუზა. რომ ავიღე მართვის მოწმობა, თვითონ მივწერე: ახლა შეგიძლია, ნამდვილად მომილოცო-მეთქი და უბრალოდ – გილოცავო. მე გაგიჟებული, როგორ ბედავს და მოკლედ... ასე, ნელ-ნელა აეწყო ურთიერთობა.



**ეგვიპტეში ვიყავით, სასწაული დაბადების დღე მომიწყო, ამ პერიოდში იყო გადაკრული საუბრები. მერე ისრაელში წავედი, ძალიან მომინდა იქ ჯვრის დაწერა, დავურეკე: კარგი იდეაა აქ ჯვრის დაწერა-მეთქი**

**– როგორ მიგიყვანა გათხოვების გადაწყვეტილებამდე?**

– გიორგი ამბობდა ცოტა ხნის წინ: მე უკვე ველარ წარმომედგინა სხვა ჩემ გვერდით, ჩემი მომავალი შვილების დედად. ან უნდა მოვმკვდარიყავი, ან შენი ქმარი უნდა გავმხდარიყავიო. ეგვიპტეში ვიყავით, სასწაული დაბადების დღე მომიწყო. ამ პერიოდში იყო გადაკრული საუბრები. მერე ისრაელში წავედი, ძალიან მომინდა იქ ჯვრის დაწერა. დავურეკე: კარგი იდეაა აქ ჯვრის დაწერა-მეთქი. რომ ჩამოვედი, აღმოჩნდა, ვერ ვახერხებდით, რადგან მარტო ხომ არ წავიდოდით. საბოლოოდ, 8 ნოემბერს დავიწერეთ თბილისში ჯვარი. მომავალში, ალბათ, გვექნება საოცნებო ქორწილი, რადგან ძალიან მინდა.

**– ისიც შენსავით ენერგიულია?**

– დინჯია, წყნარი, მაგრამ აქვს შინაგანი დიდი ენერგია, რომელსაც პერიოდულად უშვებს. ჩემნაირი გიჟმაჟი არ არის. თუმცა, უცბად შეიძლება, ჩემზე მეტი და არანორმალური ენერგიის პატრონი გახდეს. უბრალოდ, ჩემსავით უაზროდ არ ხარჯავს თავის ენერგიასა და ძალებს.

**– შეხვედრის წინ მითხარი: შენთვის კარგი ამბავი მაქვსო. დაახლოებით ვხვდები და მითხარი, რას გულისხმობდი.**

– ორსულად ვარ ტყუპებზე – ხომ ხედავ, პირველად შენ გეუბნები.

**– საოცარი სიახლე გაქვს, ძალიან გამიხარდა.**

– სქესი ჯერ არ ვიცი, მაგრამ გულისცემა მოვისმინე. ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, თუმცა გენეტიკაში არც ერთს არ გვაქვს. ზოგადად, ჩვევად მაქვს, ყოველთვის ყველაფერს წყვილად ვყიდულობ და ახლა ხომ წარმოგიდგენია, რას ვიზამ. 6 იანვარს გავიგე, რომ ორსულად ვიყავი. 8 იანვარს კი გავიგე, რომ ტყუპებს ველოდები. მოკლედ, ვწევარ ჩემთვის, თამარ ხეცურიანი მიკეთებს ექოსკოპიას და უცებ საოცარი ემოცია ჰქონდა, თან გაწითლდა. გიორგი არ შემოვიდა, „ღელვები” ჰქონდა. ქალბატონი მაკრინე იყო შემოსული, რომელმაც უნდა მიპატრონოს მთელი ორსულობა და სანამ მე აზრზე მოვიდოდი, წამოხტა: ტყუპებიაო. რომ წამომივიდა ცრემლები ღვარად, ბოლო ხმაზე ვყვიროდი. გიორგი ამბობდა, რომ გავიგე ყვირილი, დავაკვირდი როგორი ყვირილი იყო და მერე მივხვდი, სიხარულის ემოცია იყოო... შემოვარდა, რომ გაიგო ტყუპებია, ეგრევე პროფესიული ამბები ჩაერთო: აბა, როგორ არის საქმე... აბა, ანალიზები... აბა, ეს და მე დავდიოდი ტირილით. გადამეხვია და ვაიმე, რა კარგიაო, – ასე არ ყოფილა.

**– ახლა, რაც შეეხება „ორ ვარსკვლავს“, რომელიც 3 თებერვალს იწყება და შენ მონაწილეობ.**

– მანამდე დაიწყო ჩემი გადაცემა. თავიდან ვნერვიულობდი, მეგონა, მეტყველების პრობლემა მქონდა, მაგრამ არ ყოფილა ასე. ეს გადაცემა, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალურია და მერე აზარტული. ქართული ასოებისგან უნდა შეადგინო სიტყვა, ურთულესი თამაშია. აქედან გამომდინარე საკუთარ თავს 100 პროცენტით მორგება ვთხოვე. რაც მთავარია, ხალხს მოსწონს და ეს მიხარია. პლუს ამას, „ორი ვარსკვლავიც“ იწყება და მოკლედ, ყველაფერი თავზე მაყრია. მაგრამ, ძალიან მიხარია, რადგან ბავშვები მუცლადყოფნისთანავე მიეჩვევიან აქტიურ ცხოვრებას, მუსიკას, კამერებს, სცენას, სიმღერას, საუბარს, სიცილს, მხიარულებას.

**ნათია უტიაშვილი**

**ზურაბ გურიელიძისთვის მოგზაურობა ერთდროულად ჰობიცაა და მისი საქმიანობის შემადგენელი ნაწილიც. როგორც მოგეხსენებათ, ის ზოოპარკის დირექტორია და ჩვენს ინტერვიუში მასთან სწორედ მოგზაურობაზე ვისაუბრებთ.**

# აფრიკის რომელ ტომებში ხდება ქალების წინდაცვეთა და სად მიირთმევენ გამხმარ თავებსა და მაიმუნებს

**ზურაბ გურიელიძე:** მოგზაურობა, შეიძლება ითქვას, ჩემი პროფესიის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც ბუნების, განსაკუთრებით ცხოველთა სამყაროს, შესწავლა ყოველთვის დაკავშირებულია მოგზაურობასთან. დროთა განმავლობაში, ეს საქმიანობა მოთხვნილებად მექცა.

**– თქვენი მეხსიერება რამდენ ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ინახავს?**

– საკმაოდ ბევრი ქვეყანა გამოდის. ავსტრალიისა და ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე მიმოგზაურია. პირველი ადგილი თავისთავად აფრიკას ეკუთვნის. მას ვერ შეედრება ალბათ ვერც ერთი კონტინენტი. ისიც, სადაც ნამყოფი ვარ და სადაც – არა.

**– რამდენიმე ჩვენც გაგვიზიარეთ.**

– ჩემთვის აფრიკის ქვეყნებიდან, ყველაზე უფრო საყვარელი ტანზანიაა. იქ ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვარ ნამყოფი. ამოუწურავი შთაბეჭდილებების ქვეყანაა. მოგზაურობა, ძირითადად, ჩრდილო ტანზანიიდან იწყება. იქ ბევრი საინტერესო ადგილია. როგორც კი ქალაქ არუშადან გადიხარ, ხვდები საოცრებათა ქვეყანაში. აქ არის უამრავი ცხოველი. ეს გახლავთ მასაებით დასახლებული ქვეყანა. მასაები არიან ადამიანები, რომლებიც დღემდე ისეთივე პირობებში ცხოვრობენ, როგორშიც – მათი წინაპრები. როდესაც ჩავდივარ, ყოველთვის ვცდილობ, მათაც ვესტუმრო სოფელში. ამაში ვიხდი გარკვეულ თანხას, რაც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, თუ ერთადერთს არა. ისინი გიყვებიან თავიანთ შესახებ, გაჩვენებენ თუ როგორ ცხოვრობენ, წარმოგიდგენენ თავიანთ რამდენიმე ცეკვას, სიმღერას, ესაა სულ. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ღარიბი და ერთფეროვანი პროგრამა აქვთ, ეს ძალიან საინტერესოა. მათთან საუბარი ინფორმაციულია. მათაც ბევრი რამ აინტერესებთ ჩვენზე. მაგალითად, ერთ-ერთმა ადგილობრივმა რომ გაიგო, ჩვენ შორეული ქვეყნიდან ვიყავით, იკითხა: მზე ჩადის თუ არა საქართველოში. ასევე ძალიან გამხიარულდა, ჩვენს ფულზე გამოსახული ლომი რომ ნახა. მოკვდა სიცილით, როგორც ჩანს, ქართველებს არ გინახავთ ლომი როგორ გამოიყურებაო.

**– მასაების რომელიმე ტრადიციაზე მიამბეთ.**

– მორანების ტრადიციაზე გიამბობთ. მორანები არიან მასაის ტომის მეომრები. ბიჭი მორანი რომ გახდეს, უნდა მოინადიროს ლომი. ამისთვის 13 წლის ასაკიდან უშვებენ მარტოს. მასაების იარაღია შუბი და სიმი – დაახლოებით 50 სანტიმეტრი სიგრძის ხანჯალივით იარაღი. თუ მამაკაცს ლომი არ მოუპოვებია, ის მორანი ვერ გახდება.



**– ლომზე როგორ ნადირობენ?**

– როდესაც ლომს ალყას შემოარტყამენ, ერთ-ერთი ყოველთვის ცდილობს, ლომი კუდით დაიჭიროს. დანარჩენები კი შუბს ესვრიან. აუცილებელია, თავდასხმის დროს წამოსულ ლომს გალეწულ ხახაში ჩასცენ შუბი.

**– მასაებშიც ხდება ქალების წინდაცვეთა?**

– საერთოდ, აფრიკის ბევრ ქვეყანაში ხდება ქალების წინდაცვეთა, მაგრამ მასაებს ეს არ ახასიათებთ. ქალების წინდაცვეთის ტრადიცია უფრო დასავლეთ აფრიკის ტომებშია გავრცე-



**ერთ-ერთმა ადგილობრივმა, როდესაც გაიგო რომ ჩვენ შორეული ქვეყნიდან ვიყავით, იკითხა: მზე ჩადის თუ არა საქართველოში**

ლებული. აღმოსავლეთში მსგავსი არ მსმენია. ეს ორი მხარე კულტურით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი ძირითადი ღვთაებაა ლენგაის მთა, რომელიც არის მოქმედი ვულკანი.

**– მრავალცოლიანობა გავრცელებულია?**

– მასაებში მრავალცოლიანობა არის. პატარძალს ყიდულობენ საქონლით, ან თხით. აქაც შეზღუდვაა. მამაკაცი აუცილებლად მორანი უნდა იყოს, რომ ცოლი შეირთოს.

მასაები არიან დედამიწაზე, ალბათ, ყველაზე მაღალი ადამიანები. გამხდარი და საკმაოდ ლამაზები. ქორწინება იმით გამოიხატება, რომ ყველა გათხოვილ ქალს აუცილებლად თავი აქვს გადაპარსული. ატარებენ დიდი ზომის საყურეებს, რის გამოც ყურები ჩამოწელილი აქვთ.

მთელი მათი ჩაცმულობაა ტანზე შემოხვეული, ძირითადად წითელი პლედი. თუმცა, ახლა სხვა ფერებსაც იყენებენ, მაგრამ ტრადიციული ფერი წითელია, რომელსაც ადრე თვითონ ამზადებდნენ. ახლა ძირითადად, ჩინეთში დამზადებულს მოიხმარენ. მე ვიყიდე მასაებისგან ასეთი პლედი სუვენირად და თბილისში რომ ჩამოვედი, აღმოვაჩინე, რომ ჩინეთში დამზადებული ყოფილა. ასე რომ, ახლა მისი ფასეულობა მხოლოდ ისაა, რომ მასაებისგანაა შეძენილი. ბიჭები რიდესაც მორანობისათვის ემზადებიან შავად იმოსებიან, სახე თეთრად აქვთ მოხატული. მასაების ფეხსაცმელებია კიდევ ძალიან საინტერესო, რომელსაც ადრე, ალბათ, ტყავისგან კერავდნენ. ახლა კი ძველი საბურავებისგან ამზადებენ სანდლების მაგვარს.

შევხვდი ერთ-ერთ მასაის, რომელიც მეცნიერულად საუბრობდა სხვადასხვა საკითხზე და აღმოჩნდა, რომ მას ინგლისის რომელიღაცა უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. შემდეგ კი დაუბრუნდა თავის ტომს, დადის კვლავ პლედშემოხვეული და ასეთი ყოფა ურჩევნია.

ტანზანიაზე რომ ვისაუბროთ – ერთ-ერთი შთამბეჭდავი ადგილია ზანზიბარის კუნძულები. აქ ზურმუხტისფერი გამჭვირვალე ოკეანეა, სადაც ძალიან კარგად ჩანს ფსკერი ზედაპირიდანაც კი. მდიდარია საოცარი წყალქვეშა მარჯნის ბაღებით. აქ ბინადრობენ დელფინები, რომელთაც არ უყვართ, როცა ხელით ეხებიან და მიდიან მაშინვე. რაც შეეხება ხმელეთს, ამ ადგილების ცხოველთა სამყარო შედარებით უფრო მწირია. იქ მდებარეობს ჯოზანის ტყე, სადაც ბინადრობენ ზანზიბარული წითელი კოლობუსები. ესენია პატარა მაიმუნები. მათ შორისაა ჯგუფები, აბსოლუტურად რომ არ უფრთხიან ადამიანს. უფრთხიან კი არა, სურათს რომ ვუღებდით, ობიექტივს ხელს კიდებდნენ და შიგნით იყურებოდნენ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ისე გადის რამდენიმე საათი მათთან ურთიერთობაში, რომ ვერ გრძნობ.

**– რა ენაზე ურთიერთობდით მათთან?**

– მათმა უმრავლესობამ ინგლისური იცის. ასევე, საუბრობენ სუაჰილის ტომის ენაზე, რომელიც ამდენი მოგზაურობის შემდეგ, უკვე ჩვენც გვესმის. სუაჰილი არის აღმოსავლეთ აფრიკის „ინგლისური", ანუ საერთაშორისო ენა. კენია, ტანზანია, რუანდა, ბურუნდი, უგანდა – მათი ოფიციალური ენა ინგლისურთან ერთად, სუაჰილიცაა.

**– რომელი მოგეჩვენათ ყველაზე განვითარებულად აფრიკის ქვეყნებიდან?**

– რა თქმა უნდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ის მნიშვნელოვნად განვითარებული და



ძალიან საინტერესო ქვეყანაა. აქ დიდი ქალაქებია. მაგალითად, კეიპტაუნი. რაც ნაკლი აქვს ამ ადგილს ისაა, რომ იქ აფრიკა ამ ქალაქის ირგვლივ ნაკლებად არის შემორჩენილი, სამაგიეროდ, ოკეანეა ძალიან საინტერესო. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობა, რაც აფრიკაში მინახავს, ეს იყო ვეშაპების მიგრაცია კეთილი იმედის კონცხთან და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებთან. ეს არის საოცარი, სამხრეთული ნამდვილი ვეშაპი. დაახლოებით 20 მეტრის სიდიდის ცხოველი. დაუვიწყარი სანახავია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ხტუნავენ წყლიდან.

**(გაგრძელება მე-31 გვერდზე)**

**მარიტა როხვაძე მაყურებელმა „ჯეოსტარით“ გაიცნო, რომელშიც გაიმარჯვა კიდეც. მაშინ გადაწყვიტა მარიტამ, რომ ვიზუალიც შეეცვალა. რამდენიმეთვიანი მკაცრი დიეტისა და მონდომების შედეგად, პუტკუნა სხეულის ნაცვლად, არაჩვეულებრივი აღნაგობა მიიღო და „ბრავოში“ მაყურებლის წინაშე, აბსოლუტურად სხვა მარიტა წარდგა. ვიზუალის ცვლილებამ მის ცხოვრებაში ბევრი სასიამოვნო სიახლე მოიტანა, თუმცა ბევრი ახალი ჭორისა და უარყოფითი შეფასების მიზეზიც გახდა.**

# სად მიაჩნია მარიტა როხვაძეს გაშიშვლება დასაშვებად და რატომ ატარებდა ის საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს

**– „ბრავოს“ შემდეგ დასვენება და განტვირთვა თუ მოახერხე?**

– ჩემი დასვენება და განტვირთვა ასე ადვილად არ ხერხდება. საკუთარი ბენდი მყავს და ბევრს ვმუშაობ. „ბრავოს“ შემდეგ, პირიქით, უფრო გამოვცოცხლდი.

**– პოპულარობას ბევრი უარყოფითი შეფასებებიც მოჰყვება ხოლმე. ასეა შენს შემთხვევაშიც. განსაკუთრებით შენს კაბაზე გამოხმაურება მახსენდება. ამ ყველაფერს ძალიან განიცდი?**

– როცა თვრამეტი წლის ვიყავი და „ჯეოსტარი“ მოვიგე, მაშინ განვიცდიდი უარყოფით შეფასებებს. „ვაიმე ეს გოგო რამხელაა, რატომ დგას სცენაზე, ჩამოიყვანეთ“ და ასე შემდეგ. როცა წონაში დავიკელი და ფორმაში ჩავდექი, დაიწყეს – „ნუ ეს რა არის, გაიხადა“ და სხვა. ვერ ვხვდები, ამ ხალხის აზრს. არ ვიცი, ეს შურია თუ რა არის – რაც არ უნდა გააკეთო, რამდენადაც არ უნდა დაიხარჯო, ყოველთვის არის უარყოფითი შეფასებები. არ აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნები ადრესატი თუ, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. ამას ყურადღებას აღარ ვაქცევ, უბრალოდ, მეცინება. უარყოფითი კომენტარების ავტორების გვერდებს რომ ვათვალიერებ, ან სურათები არ აქვთ, ან ორი დღის შექმნილი გვერდებია. იმ ადამინებისგან კი, ვისაც არ ვიცნობ, შეფასებებიც არ მაინტერესებს და არც მწყინს. თუმცა, ჯანსაღი კრიტიკა ჩემთვის მისაღებია.



**„ვაიმე, ეს გოგო რამხელა არის, რატომ დგას სცენაზე, ჩამოიყვანეთ“ და ასე შემდეგ. როცა წონაში დავიკელი და ფორმაში ჩავდექი, დაიწყეს – „ნუ ეს რა არის, გაიხადა“**

**– საგრძნობლად დაიკელი წონაში. მცირე დროში ეს როგორ მოახერხე?**

– ამაზე ბევრს ვლაპარაკობ. „ჯეოსტარის“ შემდეგ, სარკეში რომ ვიხედებოდი, იმხელა ვიყავი, ველარ ვეტეოდი. გადავწყვიტე, აუცილებლად შემეცვალა ვიზუალი. ოთხი თვე მარტო წიწიბურას ვჭამდი და წყალს ვსვამდი. პარალელურად – ვარჯიში, საუნა, ტრენაჟორები და ცურვა. ოთხი თვის შემდეგ 17 კილო მქონდა დაკლებული. შემდეგი ერთი თვე – კიდევ ოთხი კილო და ჯამში, 21 კილო დავიკელი. ახლა ცომეულს და ცხიმიანს არ ვჭამ. თუ ისე მოხდა, რომ შევჭამე, მეორე დღეს მარტო ხილს და ბოსტნეულს მივირთმევ.

**– გახდომის შემდეგ, ბუნებრივია, შეიცვალე ჩაცმის სტილიც.**

– ახლა ვიცვამ ყველაფერს, რაც მინდა. ხშირად მიწევს სცენაზე დგომა და მიმაჩნია, რომ იქ აუცილებლად უნდა განსხვავდებოდე მაყურებლისგან. ამიტომ ვიცვამ კაბებს და მაღალქუსლიან ფეხსაცმელს. ყოველდღიურად სპორტულად და კომფორტულად ჩაცმა მიყვარს. წონაში რომ დავიკელი, რასაც მანამდე ვერ ვიცვამდი, ყველაფერი ერთად მომინდა. მაღაზიებში რომ შევდივარ, ცოტა რთულადაა საქმე *(იცინის).* რომ გითხრა, ბრენდებზე ვგიჟდები, არა, მაგრამ რამდენიმე ძვირად ღირებული ნივთი არის ჩემს გარდეროში – ისეთი, რომელზეც მითქვამს, მინდა, მჭირდება, უნდა მქონდეს და მიყიდია.

**– ვარცხნილობაც შეიცვალე. გიყვარს საკუთარ თავზე ექსპერიმენტების ჩატარება?**

– ექსპერიმენტები მიყვარდა მაშინ, როცა გრძელი თმა მქონდა. ამის გამო ცოტა გამიფუჭდა და გადავწყვიტე, შემეჭრა. ყველა ამბობს, რომ მიხდება და მეც არ მბეზრდება ჯერ. მაგრამ, არ ვიცი, თვითონ როგორ გავიკეთო და ყოველ მეორე დღეს მიწევს სალონში მისვლა, რაც თმისთვის ცუდია.

**– პლასტიკურ ქირურგიას თუ მიმართავ ოდესმე?**

– პლასტიკურ ქირურგიას აუცილებლად მივმართავ, როცა დამჭირდება. ახლა ნამდვილად არ მჭირდება. ეს იმისთვის არის, რომ რაც არ მოგწონს, გამოასწორო და იყო ლამაზი – ამას მივესალმები. თუმცა, მე ჯერ 21 წლის ვარ და ჩემი ნაკვთები და აღნაგობა მომწონს.

**– ალბათ, შენმა ახალმა სტილმა თაყვანისმცემლების რაოდენობა გაზარდა?**

– თაყვანისმცემლები არიან და იყვნენ კიდეც. თუმცა, რომ გავხდი და ფორმაში ჩავდექი, უფრო მეტნი გახდნენ. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია.

**– ეს ხომ არ გახდა შეყვარებულთან დაშორების მიზეზი?**

– არა, შეყვარებულთან დაშორების მიზეზი მანძილი გახდა. სულ ცალ-ცალკე ვიყავით და დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანებს აშორებს.

**– შენი მოთხოვნები თუ შეიცვალა ურთიერთობებში?**

– ცოტა უფრო დამთმობი გავხდი. მაშინ ძალიან ჯიუტი ვიყავი და მინდოდა, ყველაფერი ჩემი გამეტანა. ახლა ვისწავლე, საკუთარი თავი როგორ ვმართო მეორე ადამიანთან ურთიერთობაში. არ შეიძლება, მართლა ყველამ ჩემს კაპრიზებზე იაროს. ყველას თავის მე აქვს, თუმცა, ახლაც მინდა ხოლმე, რომ ჩემი გავიტანო. მაინც შემომრჩა ეს და ყოველთვის ვამბობ, რომ ადამიანი უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის. მის შეცვლას არ უნდა ეცადო. მას თუ უნდა, თვითონ შეიცვლება. მაშინ უფრო ბავშვური კაპრიზები და ახირებები მქონდა და ახლა კი მწყობრში ჩავდექი.

**– როგორი მამაკაცი ვერ წარმოგიდგენია გვერდით?**

– არ მომწონს „ბეზდელნიკი“ და თავში ავარდნილი ბიჭები, რომ ჰგონიათ, ყველა გოგო მათია. ადამიანი ჯერ ვიზუალურად უნდა მომეწონოს, მერე – მისი საუბარი. ერთი, რაც ზუსტად ვიცი, ჩემ გვერდით „ხისთავიანი“ არ იქნება. გვერდით უნდა მყავდეს ისეთი ადამიანი, რომელიც კარგად გაიგებს რა არის ჩემი სამსახური და არ დამიწყებს: კლუბში რატომ მღერი, როდის მოხვალ და ასე შემდეგ.

**– მის გამო რაიმე დათმობაზე წახვიდოდი, თუნდაც კარიერაში?**

– არავისთვის არ დავთმობ კარიერას. დავუშვათ, სცენაზე ვარ და მაცვია თუნდაც ის კაბა, რაც მეცვა ან ბოდე და რომ მითხრას, გაიხადეო, ვერ ავიტან. სულ ვამბობ, რომ სცენაზე ხარ პერსონაჟი, მსახიობი, რომელიც ვიღაცის როლს ირგებ და მღერი. ამაზე არ უნდა ჰქონდეს ვინმეს რეაქცია – „ვაიმე, ეს რა გააკეთა“. კლუბში ასე ვერ ჩაიცვამ, ამას მე თვითონ არ დავუშვებ, მაგრამ ეკრანი სულ სხვა რაღაცაა. ეკრანზე შეიძლება, მართლა გაშიშვლდე. როგორც შენს წარმოსახვაში, ისე ვიზუალურადაც და მაყურებელიც გააშიშვლო.

**– თაყვანისმცემლები სიურპრიზებს თუ გიწყობენ ხოლმე?**

– გრანდიოზული სიაურპრიზი არა, თუმცა სამკაული უჩუქებიათ. კართან საჩუქრები დამხვედრია და დღემდე არ ვიცი, ვისგან. ძვირად ღირებული მოოქრული ხელთათმანი მაჩუქეს, თუმცა, ვინ? – არ ვიცი. რომ მითხრან, ძალიან გამიხარდება. არ ვიცი, ვის დავუბრუნო, გადაგდება მენანება და ვინაობას თუ მეტყვიან, მადლობას მაინც გადავუხდი *(იცინის).*

**– ახლა თუ ხარ შეყვარებული?**

– ჩემი პირადი ცხოვრება არის კარიერა. არ ვარ მზად სერიოზული ურთიერთობისთვის. ვიცი, თავი რომ გამომეჭედება, მერე ჩემს საყვარელ საქმეს კარგად ველარ გავაკეთებ *(იცინის).* როცა მეორე ნახევარი გყავს, მასთანაც და კარიერაშიც რაღაცეების დათმობა მოგიწევს, მაგრამ მე ამ ეტაპზე პატარა დათმობასაც არ დავუშვებ.

**– შემოქმედებაში რა გეგმები გაქვს?**

– მყავს ბენდი, ვმუშაობ დისკზე. ცალკე პროექტს ვაკეთებ დიჯეისთან ერთად და მინდა, ჩემი ქვეყნის ფარგლებს გავცდე. მეზობელი ქვეყნებიდან მინდა დავიწყო. ზაფხულში ბაქოში მქონდა მიწვევა, ალიევების ოჯახში და ამის შემდეგ წამოვიდა შემოთავაზებები. ხომ იცი, საქართველოში ეგრეა, საზღვარგარეთ რომ მიდიან და მერე ბრუნდებიან – უფრო აფასებენ. თუმცა მთავარია, იქ რამე კარგი გააკეთო და არა ისეთი, რომ თვითონაც შეგრცხვეს.

**ქეთი კაპანაძე**

## შესწორება

„თბილისელების“ წინა ნომერში გასულ სტატიაში ენერგობიოკორექტორ ნანა მამაგულაშვილის შესახებ მობილურის ნომერი გავიდა შეცდომით. უნდა იყოს: **568-87-87-24.**

**ერეკლე დეისაძეს ცხოვრების ახალი ეტაპი აქვს – მას შემდეგ, რაც თეატრის მსახიობის როლი მოირგო, ტელეწამყვანის ამპლუაშიც სცადა ბედი. რუბრიკა, რომელსაც ის წარუძღვება ტელეკომპანია GDS-ის ეთერში გავა. ამბობს, რომ ამ როლშიც ეპატაჟური იქნება. თუმცა, იმ ერეკლე დეისაძისგან როგორიც საზოგადოებამ წლების წინ გაიცნო, ბევრი არაფერი დარჩა. ცხოვრების ახალ წესებს იღებს, თუმცა მის მთავარ სამიზნედ მაინც ხალხი რჩება, რომელსაც დროდადრო მისთვის ჩვეულ სიურპრიზებს არ აკლებს.**

# რატომ გაშორდა ერეკლე დეისაძე ცოლს და რატომ „აუპატიურებს" ის სამშობლოს

**ერეკლე დეისაძე:** ტელეწამყვანის ამპლუაში დებიუტი მაქვს. გადაცემა „ბინა 18-ს," რომელიც ტელეკომპანია GDS-ის ეთერში გადის, დაემატა ახალი რუბრიკა და მომავალი კვირიდან მას მე წავიყვან. ეს იქნება „კურიერის" გაშარჟებული ვერსიები. ნიუსებს წავიკითხავ მუსიკის ფონზე, ჰიპ-ჰოპით, იუმორისტულ ვარიანტში. ავარჩევთ კვირის მთავარ თემას, რომლის იუმორისტულ ვარიანტსაც შევთავაზებთ მაყურებელს. მივხვდი, რომ დადგა დრო, როცა ტელევიზიაშიც უნდა მეცადა ძალები. მქონდა რამდენიმე შემოთავაზება, მათ შორის, სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები". ახალ პერსონაჟზე იყო საუბარი, მაგრამ საბოლოოდ, ეს ვარიანტი არ გამოვიდა. დროის პრობლემა მქონდა და თან, ასე მოუმზადებლად, არც მინდოდა ტელეეკრანზე „გაჭრა". ბოლო ერთი თვეა, ახმეტელის თეატრშიც ვარ დაკავებული სპექტაკლში, რომელიც უკრაინელმა რეჟისორმა დადგა. ერთ-ერთი მთავარი როლი მაქვს – სამი შვილი ვართ. სამი დედაა, ოღონდ დედა დედასამშობლოა, რომელსაც ყველა ვთელავთ, ვაუპატიურებთ და ნაწილებად ვშლით. უკრაინული მესიჯია რუსული პოლიტიკის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რაც ქართულ მესიჯთან ისე ახლოსაა, ტექსტი რომ წავიკითხე, მივხვდი, სიამოვნებით ვითამაშებდი ამ როლს. ექსპერიმენტული სპექტაკლია, ჩემს სიმღერებს ვმღერი ფანდურზე. თეატრში ვისწავლე ფანდურის დაკვრა.

**– ერეკლე დეისაძე და ფანდური?**

– კი, ცოტა ხანში ალბათ, ჩოხოსანიც გავხდები *(იცინის)*. თეატრი მიყვარს. პროფესიით რეჟისორი ვარ. ამ წლებში უამრავი რამ შევითავსე. ერთადერთი, ჩემი პროფესიით არ გამიკეთებია ჯერ არაფერი. თუმცა, ამისი დროც მოვა. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგ ფილმს გადავიღებ, ეს იქნება განსხვავებული კინო. ძალიან მინდა, რომ ქართულ კინოში გამხოვანდეს ის თემები, რასაც აქამდე გვერდს ვუვლიდით.

**– ბევრი მიმართულებით „უტევ" სხვადასხვა ქართულ ტაბუს. ტელეწამყვანის როლშიც ეპატაჟური იქნები?**

– მე ასეთი ტიპი ვარ. ყოველ დილით, როცა ვიღვიძებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თავიდან დავიბადე და ახალი ცხოვრება იწყება. მიყვარს სიახლეები, მრავალფეროვნება. ეპატაჟს რაც შეეხება, სულ ვფიქრობ, რომ თუ რამეს მთავაზობენ, მთავაზობენ ჩემი ეპატაჟის გამო. მგონია, რომ ისე, არც არავის ვჭირდები. ჩემი ეპატაჟი მასაც „ყიდის", ვინც მეძახის და „მყიდის" მეც. თუმცა, ეპატაჟსაც აქვს თავისი ფორმები – დროთა განმავლობაში იხვეწება, იცვლება. თუ ადრე დედის გინებით შემეძლო, ვილაცის „აგდება", ახლა თუ სურვილი მაქვს, ეს შემიძლია, გავაკეთო მშვიდად, კულტურულად. გულწრფელად გეტყვით, ახლა ვილაცეების „წამოკიდების" სურვილიც აღარ მაქვს. უფრო კონკრეტული საკითხების დასმა მაინტერესებს, ვიდრე ვილაცეების გალიზიანება. ახლა უფრო უკეთ გამომდის საკუთარი თავისა და ემოციების მართვა, ვიდრე ეს შემეძლო ადრე. არ შეიძლება, ყოველთვის ერთ „დუხზე" იყო. თუ მუდმივად ცვალებად პროცესში არ ხარ, არ ხარ საინტერესო და საკუთარ თავსაც მალე ამოწურავ. ჩემ გარშემო ყველაფერი სწრაფად იცვლება, საკუთარ თავზე სულ ექსპერიმენტებს ვატარებ. მაგალითად, ვცადე, მომესინჯა ცხოვრების აკადემიური რეჟიმი – დილით ვდგები და მივდივარ სამსახურში. ასეთი ცხოვრება არასდროს მქონია. ახლა ვუთხარი საკუთარ თავს – შენ ესეც უნდა შეძლო-მეთქი და გამომივიდა!



**ფანდურზე ვუკრავ, ცოტა ხანში, ალბათ, ჩოხოსანიც გავხდები**

**– როგორ ფიქრობ, საზოგადოება მიგიღებს ტელეწამყვანის როლში?**

– კი, სადაც სტუმრის ამპლუაში მიღებდა გადაცემებში, რატომ არ უნდა მიმიღოს წამყვანის როლში? ბოლო პერიოდში, არაერთხელ დავრწმუნდი, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ჩემ მიმართ შეიცვალა. ველარ ვგრძნობ იმ აგრესიას, რასაც ვხედავდი და ვგრძნობდი ადრე. საბოლოო ჯამში, მივხვდი, რომ ხალხმა ისწავლა მოსმენა. თუ ადრე ვილაც ჩემი გამოჩენისთანავე გინებას იწყებდა და ცუდი წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე, ახლა მისმენს. ხვდება, რომ ისეთს არაფერს ვამბობ, ვინმემ შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი. საბოლოო ჯამში, მე მაინც ხალხის მხარეს ვდგავარ ნებისმიერ დროს. ამის გამო პრობლემებიც მქონია პოლიტიკოსებთან და ვილაცეებთან. იმ ხალხმა შეიძლება, ხვალ ქვებით ჩამქოლოს, თუმცა ჩემი სამიზნე და დაკვირვების ობიექტი, რაც მე ძალას მაძლევს, მაინც ეს ხალხია. ახლა უკვე ვცდილობ, საერთო ენა გამოვნახო მათთან, უკვე თვითონაც წამოვიდნენ ჩემთან კომუნიკაციაზე. ახლა საოცარ კომენტარებს ვნახულობ „იუ თუბის" ვიდეოებზე.

**– ცოტა ხნის წინ გააკეთე კლიპი „რა უნდა მამას", რომელსაც ასევე, სკანდალი და ხმაური მოჰყვა.**

– გახმაურდა, მაგრამ ამ კლიპში არც ბილწსიტყვაობაა და არც არაფერი. მარტივი ენით მოყოლილი ტექსტია. ყველა მიხვდა, რომ მე არავის დედას და მამას არ ვერჩი. ეს არის ალეგორია, მეტაფორა. ამ შემთხვევაში, მამა არის საზოგადოებრივი მორალი. რაც უფრო მეტ სიბრტყეს მოიცავს შენი შემოქმედება, უფრო საინტერესოა. იყო ისეთი მოსაზრებაც, რომ მამა-შვილის ურთიერთობაში ბერას და ბიძინას ისტორიას ვგულისხმობდი. ზოგი, ვინც ყველაფერში ღმერთს ხედავს, უფრო შორს წავიდა და მამაში მამაღმერთი იგულისხმა, იძახს. საბოლოო ჯამში, ეს კარგია, რადგან ისევ და ისევ იმ ადამიანებს „აშიშვლებს", ვინც ასეთ რეაქციას გამოხატავს. სიმართლე მტკივნეულია ადამიანებისთვის, მე მიყვარს სიმართლე.

**– შენს ამ ხმაურიან კლიპზე პრეზიდენტის ორსული ცოლიც აცეკვდა.**

– ეს იყო წინანდლის დაჯილდოებაზე, სადაც ვმონაწილეობდი როგორც მიწვეული სტუმარი. მე, სალომე კორკოტაშვილმა და ნიკოლოზ რაჭველმა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ექსპერიმენტი გავაკეთეთ. მგონი, საინტერესო გამოვიდა. პრეზიდენტის სიტყვა დასრულდა თუ არა, მაშინვე ეს სიმღერა დავიწყეთ. მერე ვნახე ის ვიდეო, სადაც მაკა ჩიჩუა ცეკვავდა. ამ წყვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მაკა ოქრო გოგოა, ბუნებრივი. რა რეაქციაც გაუჩნდა იმ მომენტში, არ დამალა და გამოავლინა, რაც ძალიან მესიამოვნა.

**– და ღვიძლმა მამამ რაო, კლიპი ნახა?**

– მამას ძალიან მოეწონა. ჩვენ მაგარი ძმაკაცები ვართ, ბევრ თემებზე ვსაუბრობთ და ხშირად ერთნაირი დამოკიდებულებებიც გვაქვს. ბოლო პერიოდში ჩემი ცხოვრება ყველას და ყველაფრის მიმართ შეიცვალა. ვილაცეები მიდიან, ვილაცეები – მოდიან. უკვე აღარ მწყდება გული იმაზე, რაც გულს მწყვეტდა. ვინც წასასვლელია, უნდა მიუშვა თავის ნებაზე. იმდენი ახალი ადამიანია ირგვლივ, უკვე ჯაჭვანიც მაქვს ჩემი. ვიცი, სად როგორ ვიმოქმედო – სად გავჩერდე, სად გავაგრძელო გზა. ის ერეკლე, რომელიც საზოგადოებამ გაიცნო, უკვე მოვკალი. დღეს უკვე გაზრდილი ვარ, საკითხებს დაბრძენებული ვუყურებ *(იცინის)*.

**– როგორც ვიცი, შენთვის ძვირფასი ადამიანიც წავიდა შენი ცხოვრებიდან. რატომ დაშორდი მეუღლეს?**

– წასულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ჩემს შემთხვევაში კარგს ვერაფერს ვიტყვი, ამიტომ ჯობია, არაფერი ვთქვა. ჩვენ სხვადასხვა სამყაროს ადამიანები აღმოვჩნდით და ეს ურთიერთობაც დასრულდა. ნახევარი წელია, ჩემს ცხოვრებაში ახალი სიყვარულია. სხვათა შორის, როცა ცოლს გავშორდი, იმ საღამოსვე ავკრიფე ამ გოგონას ნომერი და ვუთხარი, რომ მისი ნახვა მინდოდა. უცებ, ვილაც რომ მიდის შენგან და მიხვდები, რა გიშველის, ეს დამემართა. ახლა ბევრად ბედნიერი ვარ. უკვე გააზრებული მაქვს ყველაფერი. იმდენად დიდი ენერგეტიკა აქვს ჩვენს ურთიერთობას, მისთვის სახელის დარქმევა ძალიან მესახარისხოვანია ორივესთვის.

**– ოფიციოზი და მრგვალი ბეჭედი არ იქნება?**

– მგონია, რომ ეს ყველაფერი ურთიერთობას ანგრევს, ახლა იმ ეტაპზე ვართ, როცა ვტკბებით იმით, რაც გვაქვს. მან აშკარად შემცვალა უკეთესობისკენ, ბევრი უწესება დავივიწყე, თუმცა არის ერთი, რასაც ვერ ველევი – მოწევა ერთადერთი კანონდარღვევაა, რომელსაც ჩავდივარ. სხვა მხრივ ეს უწესო, მაგრამ კეთილი ტიპი, რომელიც თავზეხელაღებულ რაღაცეებსაც სჩადიოდა, ძალიან კანონმორჩილი გავხდი *(იცინის)*.

**თამუნა ნიჟარაძე**

**დღეს მონასტრისადმი ჩვენი დამოკიდებულება ხშირად არასწორი და არაჯანსაღია და, რაც მთავარია, ამის არასწორი პროპაგანდა ხდება. თუმცა, ამ საკითხის შესახებ უკეთ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რისი არასწორი წახალისება ხდება დღეს სასულიერო პირების მიერ და რატომ არ უნდა წავიდნენ ადამიანები მონასტერში პატარ-პატარა ტრაგედიებისა და გაუაზრებელი ქცევების გამო

**– დღეს, ბევრი ჩვენგანი, როცა რაღაც გაუჭირდება და პრობლემები შეექმნება, ამის მოსაგვარებლად მონასტერში მიდის, თავის პრობლემებს კი „აქ" ტოვებს, თუმცა, საბოლოოდ, ისევ ამ პრობლემებთან ბრუნდება. რამდენად სწორია ასეთი დამოკიდებულება?**

– მთავარი განმსაზღვრელი და სულის ჩამდგმელი ეკლესიაში არის ევქარისტია, ლიტურგია, ღმერთთან ურთიერთობა. თუ ჩვენ ეს ვიცით და ვაღიარებთ, მაშინ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი ყველგან არის: სამრევლო ტაძარშიც და მონასტერშიც. როდესაც ადამიანს აქვს პრობლემები, ის წყვეტს, რომ მათ ერში ვერ მოუვლის, ვერ გადალახავს, ამიტომ, ცდილობს, გაერიდოს ამ პრობლემებს და მირბის მონასტერში, თითქოსდა მონასტერში რეალობა აღარ არის – ეს მიდგომა არასწორია, თორემ, მონასტერი მართლა ის ადგილია, სადაც ისეთი ფონია შექმნილი, რომ ადამიანს შეუძლია, განმარტოვდეს (რა თქმა უნდა, თუ ეს ფონი კიდევ არსებობს), სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს და დარჩეს საკუთარ თავთან. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ასეთი მონასტრები, თუმცა, ბევრი არა, რადგან, ბევრგან დაიკარგა მონასტრული სული. თუ ადამიანს მონასტერში უნდა ყოფნა და გადაწყვეტს, რომ გააგრძელოს მონასტრული ცხოვრება, საინტერესოა, ის ამ ყველაფერს როგორ იწყებს, საიდან მომდინარეობს მისი ეს გადაწყვეტილება: პრობლემა აქვს და იმას გაურბის, თუ, მისთვის მნიშვნელოვანია არა პრობლემები, არამედ, მისი სული ითხოვს ამას. ასეთი სულისკვეთებით თუ მიდის ადამიანი მონასტერში, ეს სწორი და მნიშვნელოვანია. ვინც ასე მიდიოდა, ისინი ჭეშმარიტი მონაზვნები იყვნენ და ისინი ქმნიდნენ ნამდვილ მონასტრებს. ის, რაც ხდება დღეს, ძალიან ცუდი პრეცედენტია და ასეთი რამ არ ყოფილა აქამდე. მონასტრული ცხოვრება მეოთხე საუკუნიდან იწყებს ათვლის წერტილს და, აქედან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ადამიანები ამ საკითხს ასე უყურებდნენ: მე მინდა ასეთი ცხოვრება და ამიტომ მივდივარ, და არა იმიტომ, რომ პრობლემები მაქვს და მათ გავურბივარ. შავი სამღვდელოება, მონაზვნობა ბევრ ახალგაზრდას – გოგონასა თუ ბიჭს, მოუწოდებს, რომ დატოვონ ეს სოფელი და წავიდნენ მონასტერში. ძველი მეუდაბნოეების, ჭეშმარიტი მამების, მონაზვნების მიდგომა კი ცნობილია ჩვენთვის: ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ამ გადაწყვეტილებას და ხშირად არც იღებდნენ ახალგაზრდებს თავიანთ მორჩილებაში. საკმარისია, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება წავიკითხოთ, სადაც წმიდა მამა მკაცრად ემიჯებოდა ასეთ რამეს: მკაცრი გამოცდის გარეშე არ იღებდა არავის მონასტერში, რადგან, მონასტრული ცხოვრება არ არის ყველასთვის; ეს არ გახლავთ მასობრივი საქმიანობა, განსაკუთრებით, იმ პრიზმით, როგორც დღეს ხდება – გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად. მონაზვნობა განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობაა და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, მონაზონს თვითონ როგორ სწამს, ძალუძს თუ არა ღმერთთან ცხოვრება მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, თავის გადადება: რომ დაუტევოს თავი თვისი, სული თვისი და აიღოს ჯვარი და შეუდგეს უფალს. ამის გაკეთება ყველას არ შეუძლია; ეს დიდი საქმეა და ამის მინიმუმამდე დაყვანა ძალიან ცუდია. შავი სასულიერო პირებიდან ბევრი უჩიჩინებს 18-19-20 წლის გოგონას, რომ უნდა წავიდნენ მონასტერში – მე ვხედავ, შენგან კარგი მონაზონი გამოვაო.



**მონასტრული ცხოვრება არ არის ყველასთვის, განსაკუთრებით იმ პრიზმით, როგორც დღეს ხდება – გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად**

როდესაც ახალგაზრდა გაუაზრებლად მიდის მონასტერში და მას არანაირი სულიერი თუ ადამიანური გამოცდილება არ გააჩნია, არ იცის დაცემის შემდეგ, როგორ უნდა ადგეს, ერთი ფაქტი მოხდა მის ცხოვრებაში, გარდა იმ „პატარა ტრაგედიისა" და ამის გამო უნდა წავიდეს მონასტერში. და ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამის გაუაზრებლად წახალისება ხდება, თან, რის ფონზე: თუ თქვენ მონასტერში წახვალთ, გარანტირებული გექნებათ ცხონება. რა თქმა უნდა, მონასტერში შესაძლებელია ცხონება, მაგრამ, ამის გარანტია არავის აქვს. რამხელა ნომინალიზმია ადამიანის ცნობიერებაში, როდესაც ამბობენ, რომ სამრევლო ტაძარში ისეთი მადლი არ არის, როგორიც მონასტერში; სამრევლო ეკლესიაში ნაყიდი სანთელი უმადლოა, მონასტრის სანთელი უფრო მადლიანია, ისევე, როგორც სასულიერო პირი ან ის ადამიანი, რომელიც მონასტერში დადის. ეს უკვე წარმართული აზროვნებაა და ქრისტიანულ აზროვნებას არ მიესადაგება. მადლი ყველგან არის და მთავარი ისაა, როგორ იღებს მას ადამიანი. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არ განსაზღვრავს მადლის გადმოდინებას. მონასტერში უამრავი ადამიანი მიდის და, იქიდან, შეიძლება, დამშვიდებული სახით ბრუნდებიან, რადგან, გარემო მოქმედებს მათზე დადებითად, მაგრამ, მერე იმავე და უარეს ცხოვრებას უბრუნდებიან. იქ წასვლით კი პრობლემები არ გვარდება, ისევ ხვდება იგივე პრობლემები, რომლებიც, შეიძლება, უფრო გართულებულია და, ველარ გაუგია, იყო თუ არა საჭირო მონასტერში წასვლა. თუ საჭირო იყო, რატომ ვერ მოგვარდა პრობლემები და, ამის გამო გაორება ემართება, მთელი ცხოვრება ეძებს ღმერთს და, ვერ გაუგია, რომ ღმერთი ჯერ საკუთარ თავში უნდა ეძებოს.

**– გასათხოვარ გოგონებსაც ხშირად ეუბნებიან: ან უნდა გათხოვდე, ან უნდა წახვიდე მონასტერშიო. არა მგონია, ეს მიდგომა სწორი იყოს.**

– თუ ვინმეს უნდა მონასტერში წასვლა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებაა მისი, უნდა წავიდეს. თუმცა, ამის წახალისება, რომ აუცილებელი და საჭიროა, განსაკუთრებით – ამ დროში, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. თუნდაც იმ დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც დღეს გვაქვს. ანუ, ცრუ წახალისება არ უნდა ხდებოდეს – რომ, წახვალ და ცხონდები, რადგან, ცხონება ყველგან შეიძლება: ბუნებაში, უდაბნოში, ტყეში, ქუჩაში, სამარშრუტო ტაქსიში, მეტროში, რა თქმა უნდა, თუ ადამიანს უნდა ცხონება, რის საშუალებასაც ქრისტეს მისტიკური სხეული, ეკლესია იძლევა თავისი ცოცხალი გადმოცემით – სახარებით; ამის ალტერნატივა არის აღსრულებული საქმეები, იმ სიყვარულისა და სიხარულის გათავისება, რასაც ღმერთთან ურთიერთობა ჰქვია. მე, როგორც მოძღვარი, ყოველთვის მოვუწოდებ ახალგაზრდებს, მეტი ისწავლონ, განვითარდნენ, თუმცა, განათლებისკენ სწრაფვამ არ უნდა შეიწიროს მათი მომავალი ცხოვრება. მთავარი მიზანი, რასაც დედობა, ოჯახი, შვილების კარგად, პატიოსნად აღზრდა ჰქვია, უნდა შეასრულოს – ეს უფრო მეტ წარმატებად მიმაჩნია, ვიდრე ის, რომ მშრალი აზროვნებით წავიდეს მონასტერში და იქ არაფერი აკეთოს; ღვაწლმოსილი დედაოს ბრმა მორჩილებაში იყოს, რაც, ხშირ შემთხვევაში, გამოიხატება ხილის დაკრეფაში, კომპოტის გაკეთებაში, ხელსაქმის სწავლაში, მოქსოვაში, მერე თავისი ნამუშევრის გაყიდვაში და დედაოსთვის ჩაბარებაში. ეს არის ადამიანების ერთგვარი ექსპლუატაცია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მონასტერში ასე ხდება. მაგრამ, იმ ახალგაზრდების გაშვება მონასტერში, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არ აქვთ, ნიშნავს მათ ექსპლუატაციას, ზომბირებას. პირადად ჩემი სულიერი შვილი, პატარა გოგონა, ამ ცრუ პროპაგანდის გამო მოხვდა მონასტერში და მას უშლიან მოძღვართან ურთიერთობას, რადგან, მათი თქმით, თეთრი მღვდლები სულ სხვანაირად ფიქრობენ მონასტრებზე. სხვანაირად კი ეს ნიშნავს იმას, რომ ის ადამიანი არ იყოს მოტყუებული, რასაც ეთანხმება მთელი პატროლოგია, წმიდა მამების სწავლება. თანაც, ვინ უკრძალავს მას მოძღვართან ურთიერთობას – დედაო, რომელსაც ამის უფლება არ გააჩნია. როცა 18 წლისას მონაზვნად აკურთხებ ან 15 წლის მიგყავს მორჩილად, ეს საერთოდ კატასტროფაა. განა ყველა იმ სულითაა მოწოდებული, რომ ის მონასტერში იყოს?! 22 წლის ასაკში რომ ეწყება ხორციელი ბრძოლები, ველარ უმკლავდება და გამორბის მონასტრიდან. მონასტერი კი გამოცდილების სავანეა, იქ მიდიან ადამიანები, რომლებსაც ამის მოწოდება აქვთ და არა ვილაცის კარნახით, რადგან, ჩემი გადასაწყვეტია, გავხდები თუ არა მონაზონი. ამაში ღმერთი არ ერევა და, როგორ შეიძლება, ვინმე მამაო ჩაერიოს?! ამიტომ, ჯობია, ბიჭმაც და გოგონამაც, თავისი განათლებით, ცხოვრებით, მეტი სარგებელი მოუტანოს ქვეყანას, ოჯახს და საკუთარ თავს, მონასტერშიც კი ის წავიდეს, ვისაც ამის ჭეშმარიტი მოწოდება აქვს.

**ნათია უტიაშვილი**

# დალმატის ღვთისმშობლის ხატი

„დალმატის ღვთისმშობლად" წოდებული ხატი რუსეთში, პერმის გუბერნიის ქალაქ დალმატში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარშია დაბრძანებული. მონასტერი 1644 წელს მოსაგრე დალმატმა დააარსა, რომელმაც ნევიანსკის მონასტერი დატოვა და განდეგილობის ღვაწლი იტვირთა. მონასტრიდან დალმატის წამოსვლის მიზეზი ძმების მიერ წინამძღვრად მისი დადგენის სურვილი იყო. დალმატმა თან მხოლოდ ღვთისმშობლის მიძინების ხატი წამოიღო და მდინარე ისეტის პირას დაემკვიდრა. ეს მიწა ტიუმენელ თათარს – ილიგეის ეკუთვნოდა, რომელმაც, გაიგო თუ არა უცნობი ბერის მის მიწაზე დამკვიდრება, მოსაგრის განდევნა და ყოველივე ნაშენების ცეცხლით განადგურება გადაწყვიტა. მაგრამ, განზრახვის აღსასრულებლად მიმავალ ილიგეისა და მის მხლებლებს ღამით ბრწყინვალესამოსიანი და გვირგვინოსანი ღვთისმშობელი გამოეცხადათ, რომელსაც ხელთ ცეცხლოვანი მახვილი ეპყრა. ზეციურმა დედოფალმა ილიგეის უბრძანა, დალმატისთვის არაფერი დაეშავებინა, მისთვის მიწა დაეთმო და სავანის აშენებაში ხელი არ შეეშალა. სასწაულებრივი გამოცხადებით შეშინებული ილიგეი მთელი თავისი ამალით ეახლა მოსაგრეს და მონასტრის მშენებლობისთვის საკმარისი მიწა დაუთმო. ამასთანავე, მან დალმატს სხვა ბევრი საჩუქარიც უძღვნა. დალმატმა, ერისკაცობაში დიმიტრი ივანეს ძე მოკრინსკიმ, ნაჩუქარ მიწაზე 1646 წელს ხის ეკლესია ააგო და სენაკები მოაწყო. 1664 წელს მონასტერს ციმბირის ხანი – დევლეთ გირეი დაესხა, რომელმაც სავანე გაძარცვა და გადაწვა, მაგრამ, ეკლესიაში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი უვნებლად გადარჩა, თუმცა, მაინც დაიწვა ხატის უკანა მხარის ის ადგილი, რომელზეც ერთ-ერთმა მუსლიმანმა მას ხელი შეახო. შემდგომში მონასტერი არქიმანდრიტმა ისააკმა განაახლა – ძველი ხის ეკლესიის სანაცვლოდ, ქვის ახალი ტაძარი აშენდა, რომელშიც დალმატის მიერ ნევიანსკის მონასტრიდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი დააბრძანეს. დალმატის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მორწმუნეთა მიერ მისთვის მიძღვნილი ძვირფასეულობებით უხვად არის შემკული, მთელი ციმბირის უდიდეს სიწმიდედაა აღიარებული.

ყოველ წელიწადს, 15 აგვისტოს, ტაძრის დღესასწაულზე, დალმატის ღვთისმშობლის თაყვანსაცემად დიდძალი ხალხი იყრის ხოლმე თავს.

# მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: **როგორ აფასებს ეკლესია მცირე ცოდვას, რომელსაც ხშირად ჩავდივართ?**

პასუხი: ასეთი „მცირე" ცოდვა ძალიან ახლოს არის სასიკვდილე ცოდვასთან. შევადაროთ დიდი ცოდვა დიდ ქვას, ხოლო პატარა – ქვიშის ნაწილაკს. თუ ქვიშა ბევრია, ის ქვასაც გადაწონის. მაგალითად, სიცრუე არ არის სასიკვდილე ცოდვა, მაგრამ ხშირად ამ ცოდვის გამეორების შემთხვევაში, ადამიანი უფლის მადლს განაქარვებს და სასჯელს მოიწევს.

კითხვა: **რადგან სხვა შემოსავალი არ გამაჩნია, მცირედ თანხას გავასესხებ პროცენტით. ცოდვას ხომ არ ჩავდივარ?**

პასუხი: მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლების მიხედვით თანხის გაპროცენტება, ანუ მევახშეობა ცოდვაა.

კითხვა: **გადადის თუ არა ცოდვა ბავშვზე, თუ ის ჩაისახება ქორწინების გარეშე?**

პასუხი: ბავშვზე ცოდვა არ გადადის, ყველა ადამიანი თავის ცოდვაზე თვითონ აგებს პასუხს.

კითხვა: **შეშვენის თუ არა მოძღვარს მრისხანების გამოვლენა მრევლის წინაშე? ამით ხომ შეიძლება ვინმე დაბრკოლდეს.**

პასუხი: მოძღვარიც ჩვეულებრივი ადამიანია, თუმცა ის ხელდასხმულია ღვთისაგან, ამიტომ მანაც შეიძლება ჩაიდინოს ცოდვა, ამის გამო მრევლმა არ უნდა განსაჯოს. უფალი თვითონ მოჰკითხავს ყველა ჩვენგანს ჩვენს ცოდვებს. გარდა ამისა, ტაძარში ხანდახან ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სიმკაცრე აუცილებელია მოძღვრის მხრიდან, მაგალითად, მაშინ, როდესაც მრევლის ერთი წევრი თავისი საქციელით აბრკოლებს სხვებს.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### საფასური რწმენის ღალატისთვის

ღირსი ვადიმი ქრისტეს რწმენისთვის იჯდა საპყრობილეში, მშიერი იყო და იტანჯებოდა. იმავე დროს, ერთი არიანელი თავადი, ნირსანიც დატუსაღებული იყო ქრისტიანობის გამო, მაგრამ, მას ვადიმისნაირი დიდსულოვნება და მოთმინება არ აღმოაჩნდა; მოსალოდნელი ტანჯვის შეეშინდა და ბოლოს თქვა: „როგორ დავკარგო ხილული ნეტარება უხილავის მოლოდინში?" – და იმავე წუთს გაგზავნა ერთ-ერთი მცველი მეფე საბორთან თხოვნით, მისი კეთილგანწყობა დაებრუნებინა; თვითონ კი, თავის მხრივ, ქრისტიანობის უარყოფას აპირებდა. მეფეს გაუხარდა და ბრძანა, ნირსანი მასთან მიეყვანათ.

„მე მსურს, დაგიმტკიცო ჩემი მეფური წყალობა იმით, რითაც მოისურვებ, – უთხრა საბორმა, – მაგრამ შენც, ნირსან, დამიმტკიცე ერთგული ქვეშევრდომის მორჩილება"... – შემდეგ მან რაღაც უჩურჩულა თავის ერთ-ერთ მსახურს და, მალე, მძიმე ბორკილდადებული ვადიმი მათ წინაშე წარდგა. „თუ ნირსანი საკუთარი ხელით მოკლავს ვადიმს, – უთხრა საბორმა გვერდით მდგარ დიდებულებს, – სიცოცხლეს შევუნარჩუნებ მას, დავუბრუნებ ხარისხს, ქონებასა და ჩემს სიყვარულს". ავისმოქმედმა აიღო მახვილი და მოიქნია... მაგრამ, უეცრად, ღვთის ხელი აღიმართა მასზე – ბოროტმოქმედი თრთოლამ შეიპყრო და ხელი თითქოს გაუქვავდა. „ულმრთო ადამიანო! – უთხრა მას ვადიმმა, – აქამდე დავიდა შენი სიშმაგე, რომ, არა მხოლოდ ქრისტეს განუდექი, არამედ, მის მონებსაც კლავ? ვაი, შენ, ღვთის სამსჯავროს საშინელ დღეს! მე სიხარულით ვკვდები ქრისტეს რწმენისთვის, მაგრამ, შენი ხელით სიკვდილი არ მინდა". ღვთისაგან განდგომილმა ვერ იგრძნო მართალი ადამიანის ვედრება, თუმცა, აღარ შეეძლო ტირანის ნების აღსრულება, თრთოდა და გაბოროტებული შეჰყურებდა ვადიმს. ბოლოს ძალა მოიკრიბა, დაძაბულმა ასწია ხელი წმიდანზე, მაგრამ, ააცდინა. მან რამდენჯერმე სცადა და, მრავალრიცხოვანი ჭრილობის მიყენების შემდეგ, ძლივს მოახერხა წმიდანის მოკვლა. ასე უთრთოდა ხელები მკვლელს!

იქ მდგარი დიდებულები გაოცებულნი დარჩნენ მოწამის მოთმინებით (რომელიც მრავალგზის დარტყმების შემდეგ მთასავით გაუნძრევლად იდგა) და ლანძღავდნენ მკვლელს, რომელიც ასეთი მშიშარა და სულმოკლე იყო.

სამწუხარო იყო სიცოცხლე ღვთისაგან განდგომილი კაცისა, რადგან, ურწმუნოებმა იეჭვეს, ხომ არ დაუბრუნდებოდა იგი ქრისტიანობას და, ყოველი შემთხვევისთვის, აყვედრიდნენ, რომ, რადგან ერთხელ უღალატა წინაპრების რწმენას, არ შეიძლება, ყოფილიყო კარგი მოქალაქე; ქრისტიანები კი მასთან შეხვედრისას შორს გარბოდნენ ან პირქვე ემხობოდნენ, რათა თვალები ასეთი ადამიანის დანახვით არ შეებილწათ... ბოლოს, სასოწარკვეთილმა ნირსანმა თავი მოიკლა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



## ანანასი ასუფთავებს ნაწლავებს და შლის ცხიმებს

ანანასი მდიდარია პროვიტამინით, $B_1$ და $B_{12}$ ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, რკინით, სპილენძით, თუთიით, კალციუმით, მაგნიუმითა და იოდით. ამ ნივთიერებების წყალობით ანანასი უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა: ის არეგულირებს საჭმლის მონელებას, ასუფთავებს ნაწლავებს და ამცირებს სისხლის წნევას, რაც ათეროსკლეროზის განვითარებისაგან იცავს ადამიანს.

ორგანიზმში ცხიმების დაშლა ანანასის მიღებიდან 24 საათის შემდეგ იწყება; შედეგად, ცხიმი ფენებად აღარ გროვდება და ადამიანი დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს ზედმეტ კილოგრამებს. ასე რომ, თუ გსურთ, თავი აარიდოთ სიმსუქნით გამოწვეულ ბევრ დაავადებას, ხშირად მიირთვით ანანასი.

## ასკილი დადებითად მოქმედებს პოტენციაზე და ამაღლებს იმუნიტეტს

ასკილის ნაყოფი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ასკილის შემცველი პრეპარატები კი გამოირჩევა მატონიზებელი, ანთების საწინააღმდეგო, სისხლის აღმდგენი, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტისკლეროზული თვისებებით. ის ამაგრებს ძარღვების კედლებს, აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, დადებითად მოქმედებს პოტენციაზე. ასკილის ფესვებისგან დამზადებული წამლები კი ხელს უწყობს სისხლის შედედებასა და ქვების დაშლას; ასევე, ის კარგი ნაღველმდენი და ანტისეპტიკური საშუალებაა.

ჰიპერტონიისა და ნაღველში ქვიშის დაგროვების დროს, 5 სადილის კოვზ კარგად დანაყილ ასკილის ფესვებს დაასხით 3 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. დადგით ნელ ცეცხლზე დაახლოებით 15-10 წუთით. გააცივეთ, გადაწურეთ, დაამატეთ ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის მისაღებად და ჭამამდე ერთი საათით ადრე მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა. კურსი გაიმეორეთ სამჯერ, ორკვირიანი შესვენებებით.

გასტრიტის, ცისტიტის, სისხლნაკლებობის, ათეროსკლეროზის, ბრონქიტის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და ნევროზის დროს, 3 სადილის კოვზი დანაყილი ასკილის ნაყოფი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ერთი ღამე. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შემთბარი ნაყენი, დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ქოლეცისტიტისა და ავიტამინოზის დროს, 1 სადილის კოვზ დანაყილ ასკილს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ გადმოდგით და გააჩერეთ ორი საათი. გადაწურეთ და მიიღეთ ერთი მესამედი ჩაის კოვზი შემთბარი ნაყენი, დღეში ორჯერ, ჭამამდე ათი-თხუთმეტი წუთით ადრე.

ასკილით მომზადებული წამლებისა და ნაყენების მიღება არ შეიძლება, თუ კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, თრომბოფლებიტი ან სისხლის დაქვეითებული მიმოქცევა გაწუხებთ.

## რა არის მეორადი ნივთიერებები და რა როლს ასრულებენ ისინი ჩვენს ორგანიზმზე

ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ორგანული ნაერთები – ყველა ეს ჩამოთვლილი ნივთიერება ენერგიის მიმწოდებლის როლს ასრულებს და აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის.

საკვების მეორადი ნივთიერებების ჯგუფში შედის მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა ქიმიური ნაერთი, კერძოდ, ვაროტინოიდები, ფოტოესტროგენები, ფლავონოიდები, პოლიფენოლები, საპონინები და ასე შემდეგ. ყველა ამ ნივთიერების საერთო დამახასიათებელი ნიშანია ანტიმჟანგავი თვისება, რითაც მათ ცოცხალი უჯრედების მნიშვნელოვანი ელემენტების ეგრეთ წოდებული „დამშეული“ თავისუფალი რადიკალების დაბრკოლება შეუძლიათ.

ადამიანის ორგანიზმი მეორად ნივთიერებებს საკვებთან ერთად იღებს. ანტიმჟანგავი აქტივობის წყალობით, ისინი აძლიერებენ იმუნიტეტს, აფერხებენ ნაადრევ სიბერეს, ამცირებენ აფროსცეროზიას, გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიურ და სხვა საშიშ დაავადებათა რისკს.

ადამიანის ორგანიზმში საჭიროა, საკვებთან ერთად მოხვდეს ის ნივთიერებები, რომლებიც მასში მიმდინარე პროცესების ჰარმონიულობასა და წონასწორობას უზრუნველყოფს. მეორადი ნივთიერებები სიმხნევეს, გამძლეობას, შრომისუნარიანობას გვმატებს. ასევე, გვეხმარება სტრესის დაძლევასა და გადალახვაში.

მეორადი ნივთიერებებით მდიდარია ბოსტნეული, ხილსა და მარცვლეულში კი ის შედარებით ნაკლებად მოიპოვება.

მეორადი ნივთიერებები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ღვინოში, ასევე, ჭარხალში, პომიდორში, სტაფილოში, მჟავე კომბოსტოსა და მწვანე ჩაიში.

## შეუსაბამეთ მენიუ ასაკს და ნუ ჩაიკლავთ დარდს გულში

თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები. ამით საკუთარ ორგანიზმსაც ბევრ პრობლემას აარიდებთ და თავსაც გაცილებით უკეთ იგრძნობთ.

* ეცადეთ, დღე-ღამეში 1 500 კალორია იკმაროთ და გადაეჩვიოთ დანაყრებას. ამ გზით თქვენი ორგანიზმის უჯრედებს იდეალურ პირობებს შეუქმნით, განტვირთვაშიც შეუწყობთ ხელს და აქტივობასაც შეუნარჩუნებთ. ასეთ პირობებში უჯრედები მუდმივად განახლდება, იმუნური სისტემა მყარდება, ორგანიზმი კი ავადმყოფობას ადვილად ებრძვის. ასე რომ, იკვებეთ ყოველთვის ზომიერად.

* შეუსაბამეთ საკვები მენიუ თქვენს ასაკს. თუ გსურთ, ნაადრევი ნაოჭები არ გაგიჩნდეთ, რეგულარულად ჭამეთ ნიგოზი და საქონლის ღვიძლი. 30 წლიდან ადამიანმა აუცილებლად უნდა მიიღოს ბეტაკაროტინით მდიდარი საკვები, 40 წლიდან კი კალციუმი და მაგნიუმი არ უნდა მოაკლოთ საკუთარ ორგანიზმს. მამაკაცებისთვის განსაკუთრებით აუცილებელია სელენიუმი, რომელიც ხელს უწყობს სტრესისგან განმუხტვას. მას დიდი რაოდენობით შეიცავს ყველი. ასევე, კარგია თევზი, კერძოდ, ის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისგან გვიცავს.

* იყავით მეტად აქტიური. ყოველდღე დაახლოებით თხუთმეტწუთიანი ვარჯიში ახანგრძლივებს სიცოცხლეს. მოძრაობის პროცესში თავისუფლდება ზრდის ჰორმონი და ყველა ის ნივთიერება, რომელთა წარმოქმნაც 30 წლის ასაკიდან იკლებს.

* ნუ ჩაიკლავთ დარდს გულში, რადგან ეს სიმსივნური დაავადების განვითარების საფრთხეს ერთიორად ზრდის.

* ნუ მოადუნებთ ტვინს. ხშირად ჩაერთეთ დისკუსიებში, ინტელექტუალურ საუბრებში, შეავსეთ კროსვორდები და ასე შემდეგ. ამით გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივ დეგრადაციას შეაჩერებთ და გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების, ასევე, ნივთიერებათა ცვლის პროცესების აქტივობასაც შეუწყობთ ხელს.

ასე რომ, თუ გაითვალისწინებთ საკმაოდ მარტივ რჩევებს, თქვენს ორგანიზმსა და გონებრივ შესაძლებლობებს არ მისცემთ უფლებას, მოდუნდეს და ცხოვრების სტიმული და ხალისი დაკარგოთ.

### თალგამი ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია

თალგამი შეიცავს ბევრ ისეთ ორგანულ მჟავას, მინერალურ მარილს, ვიტამინებსა და ფერმენტებს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს. ასევე, თალგამს ორგანიზმიდან გამოაქვს ჭარბი ქოლესტერინი, ამიტომ, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის ის შეუცვლელი ბოსტნეულია.

თალგამში დიდი რაოდენობითაა კალციუმის, კალიუმის, გოგირდისა და მაგნიუმის მარილები და ვიტამინები. ამიტომ, შაქრიანი დიაბეტის დროს მისი ჭამა აუცილებელია.

თალგამის ახალგამოწურულ წვენს შარდმდენი, ნაღველმდენი და ბაქტერიოციდული მოქმედება აქვს. ის აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. მისი კომპრესი შველის ნიკრისის ქარსა და რადიკულიტს; თალგამის წვენი, ასევე, ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას და აუმჯობესებს მადას.

ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს თალგამი ნამდვილი წამალია. თანაბარი რაოდენობით შერეული თალგამის წვენი და თაფლი ბრონქიტისა და ხველის დროს შეუცვლელია. დალიეთ დღეში 3-4-ჯერ, თითო სადილის კოვზი. მას ამოსახველებელი ეფექტი აქვს.

თუ ნაღველკენჭოვანი დაავადება გაწუხებთ, დილით, ჭამის შემდეგ, დალიეთ 100 მილილიტრი ახალგამოწურული თალგამის წვენი. შეგიძლიათ, მას დაუმატოთ 50 მილილიტრი ახალგამოწურული ჭარხლის წვენიც.

ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დროს მიიღეთ თაფლისა და თალგამის ნარევი, კერძოდ, 1 ჩაის ჭიქა თალგამის წვენი და 2 სადილის კოვზი თაფლი კარგად აურიეთ და დადგით გრილ ადგილას. მიიღეთ დღეში სამჯერ, თითო სადილის კოვზი, ჭამის წინ ან ჭამის დროს.

### როდის არის აუცილებელი სამკურნალო შიმშილი

თუ საკვებით მოწამვლის ან ზედმეტი კვების შემდეგ კუჭმა ძალიან შეგაწუხათ, კარგი იქნება, დაახლოებით რვა-ათი საათის განმავლობაში თავი შეიკავოთ ჭამისგან, რადგან, ამ დროს აუცილებელია, კუჭმა დაისვენოს. სამკურნალო შიმშილის შემდეგ კი შეგიძლიათ, მიიღოთ საკვები მცირე ულუფებად, 4-5 საათში ერთხელ. უმჯობესია, პირველ დღეს მიირთვათ ორცხობილა, უცხიმო ხაჭო, მაწონი, წყალში მოხარშული ბრინჯი ან შვრიის ფაფა; მეორე დღეს – ქათმის ბულიონი, ბრინჯის წვნიანი, მოხარშული ხორცი, კარტოფილის ან სტაფილოს პიურე.

ასევე, გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ შიმშილით ვერ მოიწესრიგებთ კუჭის მოქმედებას. იმისთვის, რომ ორგანიზმიდან მავნე ტოქსინები გამოიდევნოს, აუცილებელია, ყოველ საათში ერთხელ მიიღოთ დაახლოებით 250 მილილიტრი სითხე. უმჯობესია, დალიოთ ოდნავ დამტკბარი, თბილი, ღია შეფერილობის ჩაი.



თუ მარილიანი საკვები მოგინდათ, ეს იმის მანიშნებელია, რომ ორგანიზმმა დაკარგა არა მხოლოდ სითხე, არამედ, ნატრიუმიც და ქლორიც. ამ დროს გირჩევთ, გახსნათ 1 ჩაის კოვზი მარილი 1 ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალში და, რომ გაგრილდება, დიდი ყლუპებით დალიოთ.

სტაფილოს ან კარტოფილის ნახარში დაეხმარება თქვენს ორგანიზმს კალიუმის აღდგენაში. გახეხეთ 3-4 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი ან სტაფილო, დაასხით 2 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, წამოადუღეთ და დაახლოებით 20 წუთი გააჩერეთ ნელ ცეცხლზე. შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ, გემოვნებით მოაყარეთ მარილი და მიირთვით. ასევე, უშაქროდ მოხარშეთ ქერმის ჩირი და ქიშმიში, დაუმატეთ დაბლენდერებული ბანანი. სვით ეს წვენი და შეივსეთ ორგანიზმი კალიუმით.

## ექიმის რჩევები

**კითხვა: ძალიან ხშირად სხვადასხვა ადგილას მიჩნდება ძირმაგარები და თვალზე ჭიბლიბო. ამჯერად, ძირმაგარა საზარდულის არეში მაქვს და არ მინდა, ქირურგს მივმართო. იქნებ რამე მირჩიოთ?**

**პასუხი:** უპირველესად, სასურველია, აიღოთ ნაცხი ძირმაგარიდან და ჩაატაროთ მისი ბაქტერიოლოგიური კვლევა. დადგინდება გამომწვევი და ანტიბიოტიკოგრამით შესაძლებელი იქნება, მკურნლობის სქემის შემუშავება. რაც შეეხება მათ პროფილაქტიკას, აუცილებელია, იმუნიტეტის ამაღლება.

**კითხვა: კოლოიდური ვერცხლი რას წარმოადგენს, რას კურნავს და რა დანიშნულება აქვს?**

**პასუხი:** კოლოიდური ვერცხლი არის ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, რომელიც გამოიყენება ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ.

**კითხვა: რას ნიშნავს დიფუზური ექოგენობის კვანძი?**

**პასუხი:** ექოგენობა შეიძლება იყოს დაქვეითებული, ან მომატებული, რაც შეეხება სიტყვა „დიფუზურს" – ნიშნავს სხვადასხვა ნაწილის შერწყმით წარმოქმნილ, დაუნაწევრებელი შენების კვანძს.

**კითხვა: ვარ 33 წლის. სახეზე, წარბზე მაქვს ხალი, რომელიც კანიდანაა ამოზრდილი. დაახლოებით სამი წელია, რაც აღნიშნულმა ხალმა დაიწყო მცირედად ზრდა. ბოლო დროს გამიჩნდა შეგრძნება, რომ ხალის გარშემო მაქვს ტკივილი. გთხოვთ მიპასუხოთ, საშიში ხომ არ არის აღნიშნული სიმპტომი და აუცილებელია თუ არა ონკოლოგთან ვიზიტი?**

**პასუხი:** ხალის ზრდისას სპეციალისტთან ვიზიტი აუცილებელია.

**კითხვა: რომელი დაავადებების მკურნალობა ეხება ფიზიოთერაპევტს და რომელ ნივთიერებებს იყენებს სამკურნალოდ?**

**პასუხი:** ფიზიოთერაპიული პროცედურები შეიძლება დაინიშნოს თითქმის ყველა დაავადების დროს. სამკურნალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტკივილგამაყუჩებლები, ჰორმონები და სხვა პრეპარატები, რომელიც კონკრეტულად, ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ფაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# რატომ დადიოდა სამი დღის განმავლობაში თენგიზ აბულაძესთან გამოპრანჭული ზეინაბ ბოცვაძე და რატომ არ აქცევდა მას ყურადღებას რეჟისორი

*მისი ბიოგრაფია მისმა ცნობილმა ტრილოგიამ შექმნა: „ვედრება", „ნატვრის ხე", „მონანიება". დღეს მინდა, თენგიზ აბულაძის დღიურები ყველაზე საინტერესო გვერდზე გადავფურცლო – ფილმი „მონანიება", რომელმაც არა მხოლოდ თავად რეჟისორის, არამედ, ბევრი ადამიანის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და გააერთიანა, მათ შორის – გეგა კობახიძის. ეს ფილმი აბულაძემ 1983 წელს თავისი რძლის, ნანა ჯანელიძის სცენარის მიხედვით შექმნა. „კაგებე" მის ლიკვიდირებას შეეცადა – მიაჩნდა, რომ ბიბლიური მოტივებითა და იგავებით გაჯერებული ფილმი არა მარტო ადამიანთა ბოროტებას, არსებულ რეჟიმსა და მის საზარელ იდეოლოგიასაც ეხებოდა.*





*მაშ, ასე: თენგიზ აბულაძის ცხოვრების რთული და გრძელი გზა, სახელად – „მონანიება".*

„ადრეული ასაკიდან დავიწყე დისიდენტური ლიტერატურის კითხვა. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნადეჟდა მანდელშტამის წიგნმა „მოგონებები", – გვიამბობს ნანა ჯანელიძე, – ბატონმა თენგიზმა გამიზიარა მცირე სიუჟეტი, რომელიც მას ნოდარ წულეისკირმა უამბო: დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში შურისმაძიებელმა მიცვალებული ამოთხარა. ვიღაც პროკურორმა 12 წლის ბიჭს მამა გადაუსახლა და დედამისი საყვარლად გაიხადა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ დედამ თავი ჩამოიხრჩო. მთელი ეს უბედურება ამ ბიჭის თვალწინ ხდებოდა და, როდესაც ასაკოვანი კაცი გახდა, ის კაცი საფლავიდან ამოთხარა. ეს ისტორია იყო ბიძგი, ამხელა სცენარი რომ დაწერილიყო. ბატონმა თენგიზმა და ნოდარ წულეისკირმა დაწერეს ათგვერდიანი მასალა, რომელშიც წარმოდგენილი იყო იდეა, ანუ, ჩვენს ენაზე – სინოფსისი. როდესაც ის ბატონმა თენგიზმა წამაკითხა, მომეჩვენა რომ თემას რაღაც აკლდა. კი, აღწერ რეპრესიების პერიოდს, მაგრამ, რა? ეს ხომ მორჩა, დამთავრდა და აღარ არის?! ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ ვიღებთ ამას ახლა? ვიფიქრე, რომ სცენარში აუცილებლად უნდა შესულიყო ახალი გმირი ჩემი თაობიდან; დამნაშავეს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა შვილი, სახელად თორნიკე. ჩემი ხედვით, საინტერესო იყო, ყოველივე ამას როგორ აღიქვამდა ჩემი თაობა. ყველაფერი ეს კი უნდა გაცოცხლებულიყო რეალური ისტორიებით და დავიწყეთ იმ ადამიანებთან შეხვედრა, ვინც დიდი ტკივილი გამოიარა იმ პერიოდში. საინტერესო ისტორიები მოვისმინეთ, მაგრამ ქარგა ყველას ერთი ჰქონდა – ვიღაც აუცილებლად იყო ხალხის მტერი. არსებობს სცენარის რამდენიმე ვარიანტი, ის გაუთავებლად იწერებოდა. დიდხანს არ ვიცოდით, თუ ვის უნდა ეთამაშა არავიძის როლი. ავთო მახარაძემ რომ წაიკითხა სცენარი, აღფრთოვანდა და ბატონ თენგიზს სთხოვა – იქნებ, ვარლამზე მომსინჯოთო. ვარლამისა და მისი შვილის გარეგნობა სრულიად სხვადასხვა უნდა ყოფილიყო. მხატვარმა ესკიზები გააკეთა. ავთო მახარაძემ შუბლი აიპარსა, ჰიტლერის ულვაში და ბერიას პენსნე გაიკეთა. ფოტოსინჯებში ძალიან კარგი აღმოჩნდა და ბატონმა თენგიზმა უთხრა, ორივე როლს შენ ითამაშებო. ტრაგიკული აღმოჩნდა თორნიკე არავიძის როლი გეგა კობახიძისთვის – ჩვენ ის მხოლოდ ორ ეპიზოდში გადავიღეთ და ის უბედური შემთხვევაც მოხდა. შემდეგ ის მერაბ ნინიძემ ჩაანაცვლა.







„მონანიების" სცენარი თვავიდან ბატონმა თენგიზმა შევარდნაძეს მიუტანა და უთხრა, რომ მისი გადაღება უნდოდა. წაიკითხა, ძალიან მოეწონა. დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ფილმის მოსკოვის გარეშე გადაღება. რეზო ჩხეიძეს ასეთი აზრი მოუვიდა: საქართველოს ტელევიზიას ჰქონდა თავისუფალი ორი საათი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აფინანსებდა. მოდი, ამ ორ საათში ჩავსვათ ფილმი, ვითომ სატელევიზიო ფილმია. მოსკოვში კი გავგზავნოთ ცნობა, ვითომ აბულაძე მორალურ-ზნეობრივ თემაზე იღებსო. მაგრამ გეგა რომ დაიჭირეს, „კაგებემ" მის სახლში სცენარი აღმოაჩინა. დაინტერესდნენ და დაწერეს დასმენა: აბულაძე ანტისაბჭოთა ფილმს იღებს და სასწრაფო ზომებია მისაღებიო. მთელი ჩვე-





გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ნი ექსპედიცია მოხსნეს. იმ გადაღებებიდან მხოლოდ მორების ეპიზოდი დარჩა. შევარდნაძის კაბინეტში იდო ბრძანება, რომ ყველაფერი გასანადგურებელია. ბატონმა თენგიზმა, რაც კი დისიდენტური ლიტერატურა ჰქონდა, ყველაფერი გაზიდა სახლიდან – დაჭერას ელოდა. 31 იანვარი მისი დაბადების დღე იყო. შევარდნაძემ დაურეკა, მიულოცა და უთხრა: დარწმუნებული ვარ ყველაფერი კარგად იქნება და, აბა, შენ იციო. ეს იყო ნიშანი, რომ ჩვენ განვაგრძობთ გადაღებას. მთელი ფილმი (ორი სერია) ორ თვეში გადავიღეთ. ბატონ თენგიზს უნდოდა, ბოლო ფრაზა „ნატვრის ხის" ფუფალას ეთქვა. როცა სცენარი იწერებოდა, ვფიქრობდით, რომ ფილმში შესულიყო ფრაგმენტები ფილმებიდან „ნატვრის ხე" და „ვედრება". „სოფიკო ჭიაურელს ვათქმევინოთ ეს ფრაზა, იყოს ფუფალა, ოღონდ, დავაბეროთ," _ თქვა თენგიზმა. მან დაურეკა სოფიკოს და უთხრა, რაც უნდოდა. სოფიკომ უპასუხა – რაღა მე უნდა დამაბეროთ, აგერ, ვერიკო გვყავს და ის გადავიღოთო. ეს შოკი იყო თენგიზისთვის, რადგან, ვერიკო მაშინ 83 წლის იყო აღარავინ იღებდა და აღარც თეატრში იყო, თან, მოერიდა შეწუხება და სოფიკოს ჰკითხა – ნუთუ დაგვთანხმდებაო. შენ მოდი და ყველაფერს მე მოვაგვარებო. მივუტანეთ ტანსაცმელი, ჩავაცვით და, იქვე, თავის სადარბაზოსთან გადავიღეთ...






ზეინაბ ბოცვაძე (ქეთევანის როლის შემსრულებელი) ბატონმა თენგიზმა დაიბარა. ბეწვეულში და სამკაულებში გამოპრანჭული მოვიდა. სანდრო ბარათელის ჩამოხრჩობის ეპიზოდს ვიღებდით და მისთვის არავის ეცალა. ზეიკომ არც იცოდა, რისთვის გამოიძახეს, იცოდა მხოლოდ, რომ აბულაძე იღებდა რაღაც ფილმს. ორი დღე ასე გამოპრანჭულმა იარა, მაგრამ კაციშვილმა ყურადღება არ მიაქცია. გაგიჟდა, ვეღარ მოითმინა და წავიდა – მეგობრებთან ერთად სადღაც უქეიფია. ისევ გამოიძახა ბატონმა თენგიზმა და მოვიდა გაწუწული წიწილასავით, ღამენათევი, შეციებული.



ფილმი დასრულდა. რა თქმა უნდა, ის მთავრობას უნდა ენახა. ფილმის დასრულების შემდეგ შევარდნაძე აღფრთოვანებული დარჩა და ბატონი თენგიზი გადაკოცნა, მაგრამ, ორი შენიშვნა მაინც მისცა: ერთ-ერთი პატიმრის გვარი ფილმში ამილახვარი იყო – ეს გვარი შეცვალეთ დარბაისელით, რადგან ეს გვარი საქართველოში აღარ არსებობსო; მეორე, ვერიკო რომ ამბობს – „ეს გზა ტაძართან მიმიყვანს?" – ამის მაგივრად უნდა იყოს – „არა, ეს ვარლამის ქუჩაა". ამ ორი შენიშვნის გათვალისწინება ხანგრძლივ ტექნოლოგიურ პროცესს მოითხოვდა. უნდა დაგვეშალა, თავიდან გაგვეხმოვანებინა, აგვეწყო, ნეგატივი ხელახლა აგვეკრიფა და ბოლოს დაგვებეჭდა. ამ შენიშვნებმა ფილმის ორი თვით შეჩერება გამოიწვია. ამ დროს შევარდნაძე მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს და ფილმი უპატრონოდ დარჩა – აღარ ჰყავდა ის ძალა, რომელიც მას გაიტანდა. ბატონ თენგიზს შესთავაზეს ფილმის ვიდეოკასეტაზე გადაღება, რათა მისი პირვანდელი სახე დარჩენილიყო. აქ თავი ისევ „კაგებემ" წამოყო: დაიწყეს ფილმის კასეტებზე გამრავლება, მერე კი გვირეკავდნენ და გვეუბნებოდნენ, დღეს თქვენი ფილმი ვნახეთო. ვერ მივხვდი, საიდან ვრცელდებოდა ეს კასეტები. ამის გამო მეორე დასმენა დაწერეს: თენგიზ აბულაძე და მისი ვაჟი ავრცელებენ თავიანთი ფილმის კასეტებს. ისინი ჩირქს სცხებენ საბჭოთა ხალხს და, დიდი საშიშროებაა იმისა, რომ ის უცხოეთში მოხვდესო. ჩერნენკომ ფილმის შესახებ გორბაჩოვს მოახსენა. გორბაჩოვმა ერთ-ერთ შეხვედრაზე შევარდნაძეს ჰკითხა – რა ხდება თქვენთან, საქართველოში, რა ანტისაბჭოთა ფილმზეა საუბარი, ვინ იღებსო. შევარდნაძემ უპასუხა: ეს ფილმი საბჭოთა კავშირში კანონების დარღვევის წინააღმდეგ არისო. მოგვიანებით „მონანიება" კლიმოვამ დაიცვა. იმ პერიოდში ის საკავშირო კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრად აირჩიეს. რეზო ჩხეიძემ ეს ფილმი თავისი ფილმის – „რაიკომის მდივნის" კოლოფებში ჩააწყო და ისე გაიტანა მოსკოვში. კლიმოვამ რომ ნახა, თქვა, მისი გადარჩენა იქნება ჩემი ცხოვრების მთავარი არსიო. მერე მიამბო,







რომ ის აგარაკზე რაისა გორბაჩოვასთვის უჩვენებია. მეგონა, გამბდღვნიდნენ – ამ ფილმით ხომ მთელი მათი სამყარო ინგრეოდა, მაგრამ გადავრჩიო".

**ეკა პატარაია**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

**სხვადასხვა ფერის სანთლის ალს გარკვეული მაგიური თვისებები გააჩნია და ამაზე არაერთ ეზოთერიკულ ლიტერატურაში ამოიკითხავთ. ალბათ, ბევრს არ სჯერა და მსგავს რამეებს სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ, როგორც ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ეზოთერიკოსი, ქალბატონი ლია ამბობს, ზოგიერთი სანთლის დანთებითა და მისი ალის საშუალებით ადამიანი ბევრ რამეს იგებს. ასევე, არსებობს დღეები, როცა ზოგიერთი ფერის სანთლის ანთება კარგია, ზოგის კი კატეგორიულად იკრძალება.**

# ახდენს თუ არა გავლენას ყოველდღიური სამოსის ფერი ჩვენს წარმატებაზე და რაზე აგებს პასუხს კვირის კონკრეტულ დღეებში ფერადი სანთლების ანთება

**ლია**: ჩემი დიდი ბებია ეზოთერიკაში გათვითცნობიერებული ქალბატონი გახლდათ და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მართალია, ჩვენთან არ ცხოვრობდა, მაგრამ მასთან ხშირად მივდიოდით სტუმრად და ახლაც მახსოვს ის სურნელი, რომელიც მის ბინაში ტრიალებდა. ბებო ყოველდღე სხვადასხვა ფერის სანთლებს ანთებდა, და როცა იქ ვრჩებოდი, ყოველ დილით სხვადასხვა სურნელი იფრქვეოდა ბინაში. ერთხელაც, დავინტერესდი და ვკითხე, რატომ ანთია ყოველთვის სხვადასხვა ფერის სანთლები და რა სუნები ტრიალებს-მეთქი. ბებიას გაეცინა, ჩამოჯდა ჩემს საწოლზე და ისეთი რამეები მითხრა, რომელსაც ახლაც კი ვითვალისწინებ. სხვათა შორის, ზუსტად ვიცი, რომ, თუკი დღეს ბედს არ ვუჩივი და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი ვარ, ეს მისი დამსახურებაა.

**– იქნებ ჩვენც გაგვანდოთ ბებიას რჩევები?**

– დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რა მაგიური თვისებები გააჩნია სანთლის ფერს და რაზე აგებს პასუხს მისი კონკრეტულ დღეებში ანთება. მოკლედ, ყოველ დღეს თავისი „შესატყვისი" ფერის სანთელი აქვს, რომლის დანთებასაც გარკვეული მაგიური ძალა სწორედ იმ კონკრეტულ დღეს ენიჭება და აუცილებელია საცხოვრებელ ბინაში ყოველდღე ტრიალებდეს ამა თუ იმ ბალახის სურნელი. ეს პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობასა და ადამიანებთან ურთიერთობაში დაგეხმარებათ.

**– დღეს ფერადი სანთლების ყიდვა პრობლემა არ არის, მაგრამ, შეგიძლიათ, გვითხრათ, რომელ დღეს რა ფერის სანთლის ანთება რაზე მოქმედებს დადებითად?**

– რასაკვირველია, შემიძლია და, ძალიან მინდა, ამ საკითხზე თქვენი მკითხველიც დაფიქრდეს. დიახ, დღეს ფერადი სანთლების ყიდვა პრობლემა აღარ არის. მაღაზიაში უამრავი დეკორატიული, ფერადი, ლამაზი სანთელი იყიდება და არც ისე ძვირი ღირს. თანაც, თუ იცი, რომ ის დაგეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვფიქრობ, თანხა არც უნდა დაინანო. ყოველ შემთხვევაში, ხომ უნდა სცადოთ, რომ დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების სიმართლეში? არ დაგიმალავთ, თავიდან მეც ასე დავიწყე – ვიფიქრე, ვცდი, ავანთებ, დავაკვირდები და, თუ გაამართლა ვნახავ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, მე კარგად დავცადე. მოკლედ, გეტყვით, რომ თეთრი სანთლები უმჯობესია, დაანთოთ და დაწვათ ორშაბათს – ის ბინაში მთვარის ენერგიას იზიდავს და დაკარგული ძალების აღდგენაში გვეხმარება; წითელ სანთლებს უდიდესი მაგიური დატვირთვა აქვს და, უმჯობესია, ისინი სამშაბათს დაანთოთ, თანაც, დილის საათებში – ეს დაგეხმარებათ საკუთარი ნიჭის დემონსტრირებაში და ენერგიით აგავსებთ მთელი დღის განმავლობაში; ნარინჯისფერი სანთლები უმჯობესია, აანთოთ ოთხშაბათს, რადგან ეს ოჯახური თანაცხოვრებისას ჰარმონიის დამყარებაში შეგიწყობთ ხელს; ცისფერი სანთლები ხუთშაბათისაა – მათი



დანთებით სიმშვიდესა და ბედნიერებას დაიბედებთ, იღბლიანობაც გაიზრდება და მეტად მომთმენს გაგხდით; ვარდისფერი სანთლის დანთება შაბათს არის სასურველი – ის რომანტიკულ გრძნობებს აღძრავს და მეტად წარმოაჩენს თქვენს სინაზესა და სექსუალურობას; მწვანე სანთლების ანთება ბინაში რეკომენდებულია კვირა დღეს – ის ჰარმონიისა და წარმატების სიმბოლოდ ითვლება. ასე რომ, თუ ამ ფერის სანთელს კვირა დღეს აანთებთ, ისეთ დადებით მუხტს იგრძნობთ, რომელიც, შეიძლება, მთელი კვირა გაგყვეთ. ყვითელი სანთელი კი მაშინ უნდა დაანთოთ, როცა ხვდებით, რომ პროფესიონალურ სფეროში რიგზე ვერ გაქვთ საქმე, ან, როცა ბარიერები და წინაღობები გხვდებათ სამსახურში. საერთოდ, თუ რწმენით მიუდგებით საქმეს, ყველაფერი კარგად გამოგივათ. როგორც გითხარით, თავიდან მეც არ მჯეროდა ასეთი რამეების, მაგრამ, საკუთარ თავზე გამოვცადე და, მერწმუნეთ, შედეგით ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

### წითელ სანთლებს უდიდესი მაგიური დატვირთვა აქვს და, უმჯობესია, ისინი სამშაბათს დაანთოთ

**– გამიგია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს წესები, რომელთა დაცვით ადვილად შეგვიძლია წარმატების მიღწევა და იღბლიანობის გაორმაგება. ამისთვის როგორ უნდა მოვიქცეთ?**

– ამისთვის ელემენტარული წესები უნდა დაიცვათ, მაგალითად, უნდა დააკვირდეთ, რომელი ფერის ტანსაცმლის, ჩანთის, ფეხსაცმლისა თუ ნივთის ტარებისას გაგიღიმათ ბედმა მეტად და წარმატებასაც ადვილად მიაღწიეთ. ასეთი ნივთები არსებობს, უბრალოდ, ჩვენ ამას არ ვაქცევთ ყურადღებას. პირადად მე ასეთ რამეებს თეთრი ტანსაცმლის ტარებისას ვგრძნობ, ანუ, კარგად მაქვს დაცდილი. ზოგადად ტანსაცმლის ფერს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ბედზე. დაკვირვებული ვარ, როცა ადამიანს შავი სამოსი აცვია, ყოველთვის ცუდ განწყობაზეა, ღია ფერის ტანსაცმლის ტარებისას კი მეტ სიმშვიდესა და დადებით განწყობას ვგრძნობთ. ამით გზავნი მესიჯს, რომ შენ კარგად ხარ და ცხოვრება გიხარია, ერთი სიტყვით, ტანსაცმლის ფერით გარშემო მყოფებს შენს შინაგან სიმშვიდეს აგებინებ და შენი განწყობა მათზეც დადებითად აისახება. ასევე, კარგია, თუ ჩანთით პატარა ტომსიკაში ჩაყრილ ბრინჯს ატარებთ – ის სხვების ცუდი ზრახვებისგან დაგიცავთ და თქვენდამი კეთილგანწყობილი ადამიანების ყურადღებას მიიზიდავს. ასევე, ბრინჯი სიმდიდრის სიმბოლოდ მოიაზრება და მისი ტარებით, ჩანთაში ფული მუდამ გექნებათ; და, არ დაგავიწყდეთ ბინაში სურნელოვანი ჩხირების ხშირად ანთება.

**– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, სურნელოვანი ჩხირების ანთებით სახლში რა ენერგიას ვიზიდავთ?**

– სურნელოვანი ჩხირები მაშინ უნდა აანთოთ სახლში, როცა სტუმარს ელით – მისი სუნი იმ ადამიანის მიერ შემოტანილ უარყოფით ენერგიას მალევე გაანეიტრალებს და თქვენდამი მის კეთილგანწყობას ერთიორად გაზრდის. მაგალითად, ამისთვის ყველზე კარგია ლავანდის ან ველური ვარდის სურნელი, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, თუ ამის არ გჯერათ, მაინც სცადეთ და შედეგებს დაელოდეთ – ეს მარტივია.

**ნონა დათეშიძე**

## ნევროზი თუ გაფრთხილება?

ზოგჯერ მომავალზე ბევრს ვფიქრობთ და ბევრსაც ვნერვიულობთ. განვიცდით იმას, რაც ჯერ არ მომხდარა. შეგვიძლია, ამას ერთგვარი ნევროზიც დავარქვათ, თუმცა, რაღაც სასარგებლო ამ შფოთვაში ნამდვილად არის. შიშმა და აფორიაქებამ ჯერ არ მომხდარის წინაშე, შეიძლება, კარგი სამსახურიც გაგვიწიოს – დაგვიცვას გაუაზრებელი, არაგონივრული საქციელისგან, რაც სერიოზულად დაგვაზარალებდა. მთავარია, ეს ყველაფერი ნორმის ფარგლებს არ გასცდეს და ისეთ მასშტაბებს არ მიაღწიოს, რაც ჩვენც „გადაგვყლაპავს“ და ჩვენ გარშემომყოფებსაც გადასწვდება. რა მოჰყვება ნაბიჯს, რომელსაც გადავდგამთ – ამაზე უნდა ვიფიქროთ და ეს პასუხისმგებლობაა. ცუდია გამუდმებული ფიქრი ნეგატივზე. ასეთი ფიქრები ზოგჯერ „განსხეულებას“ იწყებენ და ის ხდება, რაც არ გვინდა, რომ მოხდეს. გჯეროდეთ მხოლოდ სიკეთის. რა თქმა უნდა, ჩვენ გარშემო ნეგატიური მოვლენებიც ხდება და ეს გარდაუვალია, მაგრამ, ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ დაუსრულებლად ვიფიქროთ ამაზე და ცხოვრების თანამგზავრად ვაქციოთ. დიახ, საკუთარ თავს გაფრთხილება უნდა მისცეთ – ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ, გულხელდაკრეფილი არ უნდა დაჯდეთ და უმოქმედობაში არ ეძებოთ გამოსავალი – ეს ყველაზე დიდი შეცდომა იქნება...

## ინტუიცია – ნაბიჯი წინ!..

ნამდვილი ინტუიცია არ საჭიროებს არანაირ წინასწარ მომზადებას ან ვარჯიშს. ძირითადად, ინტუიცია დამოკიდებულია ემოციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. აზროვნების, მეხსიერების, წარმოსახვის, ფანტაზიისა და ყურადღების ტანდემით, სრული მობილიზაციითა და მზადყოფნით ვითარდება ინტუიცია. ზოგიერთი ადამიანი მეტად გრძნობს ინტუიციის კარნახს, ზოგიც – ნაკლებად. ყველაფერი იმ კომპონენტების სიმძაფრეზეა დამოკიდებული, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. დაკვირვებული, ჩუმი ადამიანები, რომლებიც ხშირად საუბრობენ საკუთარ თავთან, მეტად განვითარებულ ინტუიციას ფლობენ. სიტუაციების გვერდიდან ჭვრეტის ნიჭი ნამდვილი ხელოვნებაა, მხოლოდ ასე შეიძლება საკუთარი შეცდომების დანახვა და მათი კარგად გააზრება. ინტუიციის კარნახის სწორად გაგებას შეუძლია, ნაბიჯი წინ გადაადგმევინოთ. თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ინტუიცია საერთოდ არ გაგაჩნიათ, ძალიან ცდებით, თანაც, ქალებს ის ორმაგად აქვთ განვითარებული, რადგან, მამაკაცებთან შედარებით, ფანტაზიის უნარიც უფრო ძლიერი აქვთ. ინტუიციას ხელს არ უშლის წარმოსახვის უნარიც, პირიქით, ძალიან ეხმარება მას. თუ ხშირად წარმოიდგენთ თავს იმ სიტუაციაში, რომელში ყოფნაც ძალიან გინდათ, ადრე თუ გვიან, წარმოსახვა რეალობად იქცევა. წარმოსახვაში გადადგით ნაბიჯი წინ – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... განიცადეთ წინსვლით გამოწვეული სიხარული და ეს აუცილებლად მოხდება.

## გაიღიმეთ... გაგივლით!

არცთუ იშვიათად, ცხოვრება უსიამოვნო სიურპრიზებით გვანებივრებს. მაგრამ, ასეთ დროს დაუშვებელია ფიქრი იმაზე, რომ, თუ ერთხელ შედგი ფეხი „შავ ზოლიკზე“, მთელი დარჩენილი ცხოვრებაც ასე იქნება. სხვათა შორის, ზუსტად ისე გვექცევა ცხოვრება, როგორც ჩვენ ვექცევით მას... ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, შეიძლება რთულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ, თუკი დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ მთავარი პრობლემა მხოლოდ ჩვენშია. ჩვენი ფიქრები, ოცნებები, სურვილები... ყოველთვის პოზიტიურია?! იქნებ, გგონიათ, რომ „შავ ზოლიკზე“ შემთხვევით აღმოჩნდით? ეს ასე არ არის. ყოველთვის გარემოებებზე ძლიერი უნდა იყოთ. თუ იფიქრებთ, რომ მსხვერპლი ხართ და ამ როლში ხშირად დარჩებით, სიხარული და ბედნიერება გვერდს აგივლით. ისეთ წუთებში, როცა ძალიან, ძალიან გიჭირთ, უთხარით საკუთარ თავს, რომ ეს ყველაფერი დროებითია და აუცილებლად გაივლის... და რომ ხვალ ყველაფერი ისევ კარგად, შესანიშნავადაც კი იქნება. თქვენ სიახლოვეს აუცილებლად იარსებებს ადამიანი, რომელიც თქვენზე მეტად საჭიროებს თანადგომასა და ნუგეშისცემას. როცა გასცემთ ემოციას, ის ორმაგი პოზიტივით დაგიბრუნდებათ. სულიერი წონასწორობის აღდგენაში ძალიან გვეხმარება „ემოციური გაცვლები,“ ღიმილი და, კიდევ, იმის გაცნობიერება, რომ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი ცუდი გაივლის...

## ჰარმონიულობა გადაგარჩენთ

თუ ხშირად ფიქრობთ, რომ ცხოვრება ერთი შავი ლაქაა და მას გროშის ფასი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავთან ჰარმონიაში კი არა, კონფლიქტში ცხოვრობთ. თქვენ ვერ გახდებით ბედნიერი და ვერ მიიღებთ სიამოვნებას ყოველი გათენებული დილისგან.

თანამედროვე ცხოვრება თავისი თავბრუდამხვევი რიტმით საკმაოდ დიდ მოთხოვნებს გვიყენებს – ხშირად გვცდის გამძლეობაზე და ათასგვარ ტესტებს გვიტარებს. წარმოიდგინეთ, თუკი საკუთარი თავის რწმენა არ გვექნება, როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ ყველაფერს?! ემოციური ფონი მუდმივად ახლავს ჩვენს ყოველდღიურობას. ჰარმონიულობა საკუთარ პიროვნებასთან თქვენი ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი საიმედო გარანტია. მაგრამ, სულიერი ჰარმონია არ ნიშნავს უპრობლემო, ღრუბლო ცხოვრებას. უბრალოდ, საკუთარ თავთან ჰარმონიულობა მთლიანად ცვლის პრობლემებისადმი დამოკიდებულებას და კონფლიქტებიც არ იქნება თქვენთვის ძნელად დასაძლევი. ერთი სიტყვით, ჰარმონიულობა ნამდვილად გადაგარჩენთ – წინ წაგწევთ და იმ თავისუფლებას მოგცემთ, რომელიც ადამიანებს ყოველდღიურობისგან სიამოვნების მიღებას ასწავლის. კიდევ ერთიც: როცა საკუთარ თავთან „დაალაგებთ“ ურთიერთობას, მაშინ არც დანარჩენ ადამიანებთან კომუნიკაცია იქნება რთული...

## სუფთა ფურცლიდან

წელი მხოლოდ ახლა დაიწყო და თქვენ რეალურად გაქვთ შანსი, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. არსებობს სამი უტყუარი მეთოდი, რაც ამაში ძალიან დაგეხმარებათ:

1. გაიხსენეთ ყველა ის წარუმატებლობა, რომლებიც გასულ წელს გქონდათ, მაგალითად, რაში მოგეცარათ ხელი. სიყვარულში განიცადეთ მარცხი? – მორჩა! ეს ყველაფერი წარსულშია და იქვე უნდა დარჩეს. აჯობებს, მომავალზე და ახალ ურთიერთობაზე იფიქროთ. დაგეგმეთ ცხოვრება ისე, რომ დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროთ. ოღონდ, რეალისტურად შეაფასეთ ისინი. ყველაფერი „იმას“ არ გადააბრალოთ – „ის“ აღარ არსებობს!



2. გახსოვდეთ და წელს მაინც გაიაზრეთ კარგად, რომ საკუთარი თავის პატრონები თავადვე ხართ, ამიტომ, მიიღეთ ისეთი, როგორიც ხართ სინამდვილეში და შეიყვარეთ.

3. წელს მაინც აუცილებლად გაინებივრეთ თავი – გააკეთეთ ის, რაც მართლა გინდათ. ნუ დაგენანებათ ფულიც. მაგალითად, თუ ეს სურვილი ძვირად ღირებულ კონცერტზე ან რესტორანში წასვლას უკავშირდება, ნუ იტყვით, რომ ეს მეტისმეტი ფუფუნებაა თქვენთვის; პირიქით – იფიქრეთ, რომ იმსახურებთ ამ ყველაფერს, რათა კიდევ უფრო მეტი გააკეთოთ. სტიმულს ხვალინდელი წარმატებული დღისთვის სწორედ ასეთი პატარ-პატარა სიხარულები გვანიჭებენ.

***P.S. გამოდით ქუჩაში და გაისეირნეთ. გაიარეთ ფეხით, დაათვალიერეთ მაღაზიების ვიტრინები... ისუნთქეთ ღრმად და თავისუფლად. ცხოვრება წინ გაქვთ – ახალი, ბედნიერი ცხოვრება სუფთა ფურცლიდან...***

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# რატომ ღუპავს ზოგიერთ ქალს ერთი მამაკაცის სიყვარულზე ცხოვრების აგება

**იდეალური მამაკაცი არ არსებობს და, რაც მალე მიხვდება ქალი ამას, მით უპრობლემო ცხოვრება ექნება. ქალი მაშინ ცდება, როცა მთელ თავის ოცნებებს, მომავლის გეგმებსა და იმედებს, ერთი სიტყვით – ყველაფერს, ერთადერთ კაცს უკავშირებს და დარწმუნებულია, რომ მის გარეშე ცხოვრება დასრულდება... პარტნიორი, მეუღლე უნდა გიყვარდეს და ამაში არაფერია არაბუნებრივი, მაგრამ, საკუთარი თავიც არ უნდა დაივიწყო. ანუ, ჯერ საკუთარი თავი და მერე – სხვა, თუნდაც ძალიან საყვარელი ადამიანი! როცა ამას ვერ ვხვდებით, ჩვენი პრობლემებიც მაშინ იწყება...**

ლალი *(38 წლის)*: კაცის გამო ცხოვრება როგორ უნდა დაინგრიოს გონიერმა ქალმა?! მაგრამ, ლაპარაკი და სიტყვა ერთია, რეალობა კი – მეორე. ცხოვრებაში ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც გვინდა და ვგეგმავთ; უფრო მეტიც, ხშირად რადიკალურად სხვანაირად არის ხოლმე ყველაფერი. მე ყოველთვის ვფიქრობდი, ყველაფერს ცივი გონებით გადავწყვეტ-მეთქი, მაგრამ, საკმაოდ სოლიდურ ასაკში მომიწყო გულმა სერიოზული გამოცდა. ჩემი მეგობრების შემყურეს, კაცის შეყვარება კი არა, გათხოვებაც კი არ მინდოდა.

**– რატომ?**

– პასუხი მარტივია და ეს თქვენც იცით – რომელი გათხოვილი ქალი გინახავთ დამშვიდებული და ბედნიერი?! სანერვიულო მეტ-ნაკლებად ყველას აქვს – მუდმივ ტონუსში არიან, რომ ქმარმა არ უღალატოს.

**– ფიქრობთ, რომ ყველა გათხოვილი ქალი ამ რეჟიმში ცხოვრობს?**

– არა? არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც სხვა ქალისკენ არ გაურბოდეს საცუღლუტოდ თვალი, თუნდაც ეს ქალი მის ცოლზე გაცილებით უშნო და შეუხედავი იყოს. არ ვიცი, რა სჭირთ. ამისთანა რა ჰორმონების აფეთქება აქვთ, რომ ყოველთვის მზად არიან ღალატისთვის. ჭკვიანი ქალი ქმარს ერთ ნაბიჯზეც არ ენდობა – არ შეიძლება მიშვება, ეგრევე სანანებელი გაგიხდება. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და ერთ-ერთი „ნიმუში" სახლში მყავს... ყველაფერი კარგად იყო და სიტუაციას მშვენივრად ვაკონტროლებდი, სანამ საკუთარ თავს ქმრის შეყვარების უფლებას მივცემდი.

**– ასე ხდება? საკუთარ თავს შეყვარების უფლება უნდა მისცე?!**

– იცით, როგორ არის? თუ ახერხებ, რომ გული გონებას დაუმორჩილო, პრობლემებიც ნაკლებად შეგექმნება – ქმართან ურთიერთობას ვგულისხმობ. თუმცა, ეს „ოქროს წესი" ყველაფერში კარგად მუშაობს. არავინ უნდა შეიყვარო საკუთარ თავზე მეტად, მით უმეტეს – ქმარი რომელიც არაფრით არ არის სუპერმამაკაცი, უფრო მეტიც – ჩვეულებრივი ნაძირალაა.

**– ოჯახი იმიტომ იქმნება, რომ ნაძირალას გვერდით იცხოვრო? ეს ხომ აბსურდია!**

– გეთანხმებით, აბსურდია და იმიტომაც ვცხოვრობთ აბსურდის თეატრში. არ მითხრათ, რომ ასე არ არის. ჩვენ ვაძლევთ ჩვენს უანგარო სიყვარულს იმას, ვინც არ იმსახურებს; გამონაკლისები თითქმის არ არსებობდნენ და არც ახლა არსებობენ – ყველა კაცი ერთნაირად აზროვნებს: როგორც კი შეიყვარებ და მიხვდება, რომ მის გამო ყველაფერზე ხარ თანახმა, ეგრევე გადაგივლის.

**– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ: „ყველაფერზე ხარ თანახმა" და „ეგრევე გადაგივლის"?**

– ღალატის პატიებაზე. ჩემი ქმარი მანამდე იყო ჩემ მიმართ ყურადღებიანი და თბილი, სანამ არ მიხვდა, რომ უზომოდ მიყვარდა. ეგრევე აიშვა და მიღალატა კიდეც.

**– ამას ისე ამბობთ, რომ არც ნერვიულობთ?**

– ვინერვიულე უკვე. ძალიან ვინერვიულე. ისტერიკაც მქონდა და დეპრესიაც. ლამის კედლებზე გავედი და გაგიჟებასაც ლაარაფერი მაკლდა. ვტიროდი, გაყრით ვემუქრებოდი და ესეც ძალიან დიდი შეცდომა იყო.

**რომელი გათხოვილი ქალი გინახავთ დამშვიდებული? მუდმივად ტონუსში არიან, რომ ქმარმა არ უღალატოს**

**– ანუ, მუქარას აზრი არ აქვს?**

– თუკი ის ხვდება, რომ გიყვარს – არა. უკეთ აგიხსნიათ: კაცები სულელები არ არიან. ისინი შესანიშნავად ხვდებიან, რომ შეყვარებული ქალის მოტყუებაზე ადვილი არაფერია. რეალობაც ხომ ეს არის? საკმარისია, კაცმა, რომელიც გიყვარს, თავზე გადაგისვას ხელი, რომ, მზად ხარ, ყველაზე საშინელი ტყუილი აპატიო. სამწუხაროა, მაგრამ – ფაქტია. მეც ზუსტად ეს დამემართა, უთავმოყვარეო, ულირსი დებილივით მოვიქეცი და თავი დავიმცირე. საერთოდ რომ არ ამომელო ხმა, ჯობდა. თუ ყვირილს იწყებ, ლოგიკურად უნდა დაასრულო – ან წახვიდე შენ, ან გააგდო ის. გიყვარს? გიჟდები, ისე გიყვარს? მაშინ, კეთილი ინებე და მისგან ღალატიც აიტანე – ეს არის ქმარზე უზომოდ შეყვარებული ცოლის ხვედრი.

**– ასეთი საშინელებაა სიყვარული?**

– დიახ, ზუსტად ასეთი საშინელებაა. თუ ზომიერების გრძნობას დაკარგავ, შენი ცხოვრება ერთ კაცზე არ უნდა ააგო. როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს ის. თუ ასე მოიქცევი, დაიღუპები: დაკარგავ ყველაფერს – ღირსებასაც და საკუთარი თავის პატივისცემას – ეს ხომ არის დაღუპვა თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთს – ღირსებადაკარგულსა და გამოლენჩებამდე შეყვარებულს, კაცი უარესს გაგიკეთებს?! მეორედაც გიღალატებს, მესამედაც, მეოთხედაც და ბოდიშსაც არ მოგიხდის; მერე ჩვევაში გადაეზრდება შენი დამცირება და ფეხებსაც გაიწმენდს შენზე.

**– ამას ქმარი გააკეთებს?**

– დიახ, საყვარელი ქმარი, ერთადერთი რომ გგონია; შენს დამცველად და მოკავშირედ რომ მიგაჩნია. საზიზღარი განცდაა, როცა გრძნობ, როგორ არაფერში სჭირდები მას.

**– აბა, როგორ უნდა მოიქცე, ქმარს არ უნდა აგრძნობინო, რომ გიყვარს?**

– არა. მას არ უნდა ეგონოს, რომ შეუცვლელია და მის იქით მამაკაცი არ არსებობს. ხვდებით, რას ვგულისხმობ? თუ იფიქრებ: ეს თუ ჩემგან წავა, ვერ ვიცოცხლებ, ცხოვრება აზრს დაკარგავსო, – შენი პიროვნება წაშლილია. ძალიან ბევრ ქალი სწორედ ამიტომ იტანს უამრავ შეურაცხყოფას ქმრისგან. ვერ მივმხვდარვართ, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. შეგვიძლია, იქით ვუკარნახოთ თამაშის პირობები, თუკი არ დავანახვებთ, რომ ვგიჟდებით მათზე და ჩვენს ცხოვრებას ჩალის ფასი აქვს მათ გარეშე.

**– სათქმელად, ალბათ, უფრო ადვილია.**

– გეთანხმებით. ამ ჭეშმარიტებამდე რომ მივსულიყავი, ძალიან ბევრი ტკივილი გადავიტანე, ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვინერვიულე... ისეთი „ჩავარდნები" მქონდა, მეგონა, ცხოვრების გაგრძელებას ველარ შევძლებდი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ჩემი ქმარი, „შეფერებული" და „მიტევებული," ისეთი ღირსეული ღიმილით დაიარებოდა, ნერვები მაწყდებოდა... არანაირი სინდისის ქენჯნა, არანაირი სინანული არ ჰქონია; რამაც გამაცოფა. მერე ერთბაშად გონება გამინათდა და აღმოვაჩინე, რომ დამნაშავე ვიყავი მე და არა ის და მის მიმართ ტყუილად მქონდა აგრესია. მე მივიყვანე ჩვენი ურთიერთობა აქამდე, მხოლოდ მე და სხვამ არავინ; თავი არ დავაყენე ისეთ სიმაღლეზე, რომ პატივი ეცა ჩემთვის. მისთვის ჩამოვაყალიბე უპრინციპო, უთავმოყვარეო ქალის პორტრეტი, რომელსაც, როგორც არ უნდა მოქცეოდა, მაინც ყველაფერს აპატიებდა. ამას რომ

მივხვდი, მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება – ცვლილებები საკუთარი თავიდან დამეწყო.

**– რას გულისხმობთ?**

– ფსიქოლოგიას. ყოველი ადამიანი იმდენად უნდა ერკვეოდეს ფსიქოლოგიაში, რომ საკუთარ თავს გამოადგეს მკურნალად.

**– ამას სერიოზული ცოდნა არ სჭირდება?**

– იცით, რა, გონება უფრო სჭირდება და მიხვედრილობა და, ალღოც, რა თქმა უნდა. რაღაც მომენტში ეს ყველაფერი თუ არ გაიაზრე, თუ არ მიხვდი, რომ არ არის ქმრის გარეშე დარჩენა კატასტროფა, არაფერი გეშველება. ქმარი ყოველთვის იძალადებს შენზე რაღაც ფორმით. აუცილებელი ხომ არ არის, გცემოს და გტყიპოს?! ფსიქოლოგიურ-ემოციური ძალადობა არანაკლებ საშინელებაა. გული უნდა გაიცივო და დაჯაბნო გრძნობა – ეს აუცილებელია.

**არავინ არ უნდა შეიყვარო საკუთარ თავზე მეტად. მით უმეტეს – ქმარი, რომელიც არ არის სუპერმამაკაცი, უფრო მეტიც – ჩვეულებრივი ნაძირალაა**

**– თქვენ ეს შეძელით?**

– ბოლომდე ვერა, თუმცა, ძალიან ვცდილობ და მიზანმიმართულად მივდივარ საბოლოო მიზნისკენ. ქმარი ამჩნევს ცვლილებებს, მაგრამ, ჯერ რეაქცია არა აქვს – არ ვიცი, არ იმჩნევს თუ ბოლომდე ვერ ხვდება, რა ხდება. ნელ-ნელა ცხვირი მაღლა ავწიე. გულგრილობის ნიღაბიც მაქვს მომარჯვებული და, ვნახოთ, რა გამოვა. ფაქტია, რომ მთელი ჩემი ცხოვრების ერთ კაცზე ჩამოკიდებამ არათუ ბედნიერი ვერ გამხადა, პრობლემებიც შემიქმნა. ახლა მართლა შემიძლია, კარი გავუღო და სახლიდან მშვიდად გავაგდო. გავაკეთებ კიდეც ამას, თუკი ისევ მილალატებს.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქალები სულ წუწუნებენ, რომ რთული ცხოვრება აქვთ. არც მამაკაცებს გვილხინს. მაგალითად, მე ძალიან განვიცდი იმას, რომ ჩემს ცოლს ორ სამსახურში უწევს შრომა, რადგან, მე იმდენი ვერ შემომაქვს ოჯახში, რომ ჩვენი მოთხოვნილებები სრულად დავაკმაყოფილო. ცოლი კი წუწუნებს, რომ იღლება. ხასიათი სულ გაუფუჭდა. მე შეძლებისდაგვარად ვეხმარები სახლში, მაგრამ, რა ვქნა, ჭურჭელიც ვრეცხო და იატაკიც ვწმინდო? ვერც უთოს მოვკიდებ ხელს. ის კი ჩხუბობს და ეგოისტს მეძახის. მწყინს. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** თბილად დაელაპარაკეთ. გამოსავალი ერთად უნდა გამონახოთ და ამას აუცილებლად შეძლებთ, თუკი მოეფერებით. მას აშკარად თქვენი ყურადღება, ალერსი და სითბო აკლია, თან, სჭირდება კიდეც. ასე თუ მოაგვარებთ ურთიერთობას.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

(მე-12 გვერდიდან)

რეს, სასჯელს იხდიდა ბელორო-ბალტის ბანაკებში. 1952 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი იყო. 1956 წელს სტეფანწმინდის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი, 1960 წლიდან კი თეთრიწყაროსი. 1972 წელს მიტროპოლის ხარისხში აიყვანეს. მას ძალიან უყვარდა ივერია და დიდ პატივს მიაგებდა საქართველოს ეკლესიის წმინდანებს. მის მიერ აღკვეცილთა შორის არის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელსაც მან უკვე მაშინ უწინასწარმეტყველა საპატრიარქოს მსახურება. 1950 წლიდან გარდაცვალებამდე მიტროპოლიტი ზინობი თბილისის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი იყო და ამავე ტაძრის ეზოში მდებარე პატარა სახლში ცხოვრობდა. მისი მიტოვება მაშინაც არ მოისურვა, როდესაც მიტროპოლიტი გახდა. მეუფე ყველას გარშემი იკრებდა. ყოველ წელს, 12 ნოემბერს, მისი ანგელოზის ხსენების დღეს, ძალიან ბევრი ხალხი იყრიდა თავს. უწმიდესი პატრიარქი ბრძანებდა: „მეუფე, თქვენ გლინის უდაბნოს ფილიალი გაქვთ". ასეთი სულიერი სიყვარულის ატმოსფეროში, წმიდა ბერის უშუალო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა მამა ვიტალი. თუმცა, საბუთების უქონლობის გამო, ის 5 წლის განმავლობაში ქართულ ოჯახებში საიდუმლოდ ცხოვრობდა. მამა სერაფიმემ იცოდა მამა ვიტალის მდგომარეობა, ამიტომ თავის დროზე უთხრა: აირჩიე – ციხე, ან პასპორტი. მამა ვიტალის ციხეში ჩაჯდომის არ ეშინოდა, მაგრამ ადამიანთა მიმართ სიყვარულმა, რომლებიც მისი სულიერი ხელმძღვანელობით, ცხონების გზას ეძებდნენ, არჩევანი გააკეთებინა და საბუთები აიღო. ამის მერე, დედა მარიამთან ერთად, დიდუბეში დასახლდა. იქ ყველა ბერად აღკვეცა მეუფე ზინობის კურთხევით სრულდებოდა. ის ურჩევდა სახ-

## რატომ დადიოდა სქემარქიმანდრიტი ვიტალი პატარა ზომის ჩექმებით, სხეულზე შემოხვეული რკინის ჯაჭვით და რა უწინასწარმეტყველა მიტროპოლიტმა ზინობმა მის უწმიდესობას, ილია მეორეს

ელებს აღკვეცილთ. თვითონ მეუფემ მამა ვიტალის ხელით საიდუმლოდ მიიღო სქემა სახელით – სერაფიმე, სერაფიმე საროველის პატივსაცემად. ეს მოხდა მეუფის გარდაცვალებიდან 2 წლით ადრე. მამა ვიტალის მის მიმართ უდიდესი მოკრძალება ჰქონდა. შეხვედრის დროს მეუფეს ფეხებში უვარდებოდა და კურთხევას სთხოვდა. როდესაც მამა ვიტალის სულიერი შვილები რჩევისთვის მასთან თბილისში ჩამოდიოდნენ, ის ჯერ მეუფეს უგზავნიდა: „როგორც მეუფე გაკურთხებს". არ ყოფილა შემთხვევა, რომ ორი ბერის მოსაზრება განსხვავებული ყოფილიყო. მიტროპოლიტ ზინობს ფეხზე ტროფიკული წყლული ჰქონდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოუყალიბდა. 1930 წელს კი, უფრო გაუმწვავდა მოყინვის გამო, როდესაც ბელმორო-ბალტის არხის მშენებლობაზე გადაასახლეს. ეს მას მტანჯველ ტკივილებს აყენებდა და ცოტა რომ შეემსუბუქებინა ქავილი, ზოგჯერ ფეხებზე მდუღარე წყალს ისხამდა. მეუფე სთხოვდა, რომ მამა ვიტალის ყოველდღე მოენახულებინა. მამა ვიტალი მის საწოლთან ხალიჩაზე ჯდებოდა და ისინი საუბრობდნენ. „ფსკვნილზე რამდენიმე წრეზე წავიკითხავდი ხოლმე იესოს ლოცვას და ის ცოტა უკეთ ხდებოდა", – იხსენებს მამა ვიტალი. ერთხელ, როდესაც მეუფე ზინობი განსაკუთრებულად ავად იყო, მამა ვიტალი ცრემლებით ლოცულობდა, რომ ღმერთს ეს ავადმყოფობა მისთვის გადმოეგზავნა. მაშინ მამა ვიტალის ფეხზე წყლული გაეხსნა, მეუფემ კი თავი უკეთ იგრძნო და მშვიდად დაიძინა.

სქემიღუმენი სერაფიმა: „როდესაც მეუფე ზინობი სიკვდილის პირად იყო და მხოლოდ ჟანგბადის ბალიშის საშუალებით შეეძლო სუნთქვა, მან მოითხოვა, ღამით მასთან მამა ვიტალი მიეყვანათ. მამა ვიტალიმ მაცხოვრის აღდგომის ხატი აიღო და მეუფეს წაუღო. მეუფეს განუზომლად სწამდა, რომ მამა ვიტალიმ თვით უფალი მიიყვანა მის ასადგენად. ის სწრაფად გამომჯობინდა და მეორე დღეს ლიტურგიაზე უკვე კვეთას ასრულებდა. მეუფე უფრთხილდებოდა მამა ვიტალის. თავისი ლოცვით იფარავდა. გვეუბნებოდა: „ზეციურ დედოფალს ვევედრები, რომ მამა ვიტალის სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს, ის დამმარხავს მე". ასეც მოხდა. მეუფეს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთიდან მასთან ღვთისმსახურები ჩამოვიდნენ. მეუფემ ხელით მამა ვიტალიზე მიუთითა: „მამა ვიტალი შეგვცვლის ჩვენ – მამა სერაფიმეს, მამა ანდრონიკესა და მე". ყველამ მიწამდე თაყვანი სცა. მომაკვდავმა მეუფემ მამა ვიტალის გაუმეორა: „ჩემს სულიერ შვილებს შენ გიტოვებ, შეეწიე მწუხარების დროს და ანუგეშე. ჩვენ კი, თუ ღვთის წინაშე კადნიერება გვექნება, დაგეხმარებით". თვითონ მამა ვიტალი და დედა სერაფიმა მეუფე ზინობმა უწმიდესს და უნეტარესს, ილია მეორეს ჩააბარა: „თქვენი ბერი უწმიდესი ილიაა, ის ჩემი შვილია, ის კარგია" და ისინი ივერიიდან სადმე წასასვლელად არ აკურთხა. საქართველო უკვე მამა ვიტალის დიდ და სიყვარულიან გულში იყო დამკვიდრებული.

**ნათია უტიაშვილი**

# სილამაზე – ნახევარ საათში

უკვე რამდენიმე ხანია, ამჩნევთ, რომ თქვენმა სახის კანმა დაკარგა ტონუსი, გაიცრიცა, მოდუნ-და და დაკარგა ელასტიკურობა, მაგრამ, ვერაფრით ვერ მოიცალეთ კოსმეტოლოგთან მისასვლელად და ვერც ძვირად ღირებული კოსმეტიკა შეიძინეთ, არადა, რამდენიმე დღეში ძალიან მნიშვნელოვან საზეიმო საღამოზე გიწევთ წასვლა, სადაც აუცილებლად თვალისმომჭრელად უნდა გამოიყურებოდეთ... მაგრამ, როგორ მოასწრებთ კანის გამოცოცხლებას ასე მოკლე დროში? ნუ ნერვიულობთ, თურმე არსებობს გამოსავალი – ძალიან იოლი, იაფი და, თანაც, სახლის პირობებში შესასრულებელი.



გთავაზობთ რამდენიმე „სასწაულმოქმედ“ ნიღაბს, რომელთა გაკეთების შემდეგ საკუთარ თავს (უფრო სწორად – კანს) ველარ იცნობთ, თუკი ყველაფერს ზუსტად შეასრულებთ:

1) ეს ნიღაბი უნდა წაისვათ გაწმენდილ სახეზე ფუნჯით, ფენა-ფენად. ფენების წასმას შორის გააკეთეთ ხუთწუთიანი შუალედი.

პირველი ფენა: 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი და დაფქული „ჰერკულესი“ შეურიეთ ერთმანეთს და თანაბრად წაისვით მთელ სახეზე.

მეორე ფენა საშუალო ზომის სახეხზე გახეხეთ 1 ცალი მწვანე ვაშლი, შეურიეთ 1 სადილის კოვზი ნატურალური თაფლი და გადაისვით უკვე ოდნავ შემშრალ პირველ ფენაზე.

მესამე ფენა: ბოლოს წაისვით 2 სადილის კოვზი ცხიმიანი კეფირისა და 1 ცალი ლიმონის წვენის ნარევი.

ეს ყველაფერი გაიჩერეთ კიდევ 5-10 წუთი, ჩამოიბანეთ დოლბანდის ტამპონითა და თბილი წყლით და წაისვით მკვებავი კრემი.

2) 1 ჩაის ჭიქა გაზგასულ მინერალურ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი ზღვის მარილი და 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი. მიღებულ ხსნარში კარგად დაასველეთ მიტკლის ნაჭერი, ოდნავ გაწურეთ (რომ არ ჩამოგეწუწოთ) და დაიფინეთ მთელ სახეზე (ასევე, კისერზე და დეკოლტეზე). 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით მკვებავი

3) ერთმანეთში კარგად აურიეთ 2 სადილის კოვზი გახეხილი უმი კარტოფილი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი და 1 ჩაის კოვზი საშუალო ცხიმიანობის მქონე არაჟანი. მიღებული მასა წაისვით გაწმენდილ სახეზე და გაიჩერეთ 20 წუთი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და გადაისვით დამატენიანებული კრემი.

4) ერთმანეთში კარგად ასრისეთ ნახევარი ავოკადოს (საშუალო ზომის) რბილობი და ნედლი პიტნის წვრილად დაჭრილი რამდენიმე ცალი ფოთოლი. დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი. წაისვით სახეზე, ყელსა და დაკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით, ბოლოს კი მსუბუქად დაიმასაჟეთ ნედლი პიტნის ნახარშში დასველებული დოლბანდის ტამპონით.

თითოეული ნიღბის გაკეთებას მაქსიმუმ ნახევარი საათი სჭირდება (სასურველია, საღამოს, დაძინებამდე 2 საათით ადრე გაიკეთოთ). ყოველი ნიღბის შემდეგ კი, ანუ, დაახლოებით ნახევარ საათში, საკუთარი თვალით ნახავთ სასწაულ შედეგს.

გაფრთხილება: საერთოდაც და, კონკრეტულად ამ ნიღბების გაკეთების პერიოდში არ მიირთვათ ალკოჰოლის შემცველი სასმელები, ცხარე, მწარე და მლაშე კერძები; ასევე, შეზღუდეთ ყავა და მთლიანად გამორიცხეთ სიგარეტი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორი ფერის სახის კანია აქტუალური 2015 წელს?**

**პასუხი:** მოდის ტენდენციების მიუხედავად, ყოველთვის დადებითად ფასდება ჯანმრთელი, ნათელი სახის კანი. 2015 წელს კი მოდის მიმდევარ ქალბატონებს მოუწევთ, განსაკუთრებით მოუარონ კანს, რადგან, წინა სეზონებისგან განსხვავებით, წლევანდელი ტრენდი ფერმკრთალობაა. თუმცა სტილისტები მაინც გვირჩევენ ლაწვებზე ნაზი ვარდისფერი რუჟის გადასმას – თითქოს ახლა შემოხვედით ყინვიდან თბილ ოთახში.

თუ თქვენს კანს რამე ხარვეზი აქვს, მისი დაფარვა კარგი ხარისხის ტონალური კრემით შეგიძლიათ, რომლის ფერიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს თქვენის ახის კანის ბუნებრივ ფერს. იმისთვის, რომ ტონალური არ „ჩაეჭიდოს“ მიმიკურ ნაოჭებში, ის უნდა წაისვათ მსუბუქი დაჭერით, სახის ხაზების მიმართულებით.

**კითხვა: რა ფერის „ჩრდილებია“ წელს მოდაში?**

**პასუხი:** წელს მოდაშია თვალების „ჩრდილები“ შემდეგი შეხამებით:

ა) ყავისფერი, ჩალისფერი; ბ) ბორდო, ვარდისფერი; გ) ნარინჯისფერი, ყვითელი, ოქროსფერი; დ) ნაცრისფერი, ლურჯი; ე) ცისფერი, ვერცხლისფერი.

# მწვანე ჩაის დიეტა

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი დიეტის დაწყების წინ კონსულტაცია მიიღეთ თქვენი მკურნალი ექიმისგან.

ყველასათვის ცნობილია, რომ მწვანე ჩაის უნიკალური სამკურნალო თვისებები გააჩნია და, ასევე, ერთ-ერთი საუკეთესო დიეტური პროდუქტიცაა. უამრავი ვიტამინისა და მიკროელემენტის წყალობით, მწვანე ჩაი წვავს ცხიმებს, აქვეითებს მადას, წმენდს ორგანიზმს წიდებისა და მავნე ნივთიერებებისგან და, ამასთან, უნარჩუნებს ენერგიას და არ აძლევს მას გამოფიტვის საშუალებას.

ამ დიეტის მიხედვით, დღეში უნდა დალიოთ 5-6 ჭიქა მწვანე ჩაი, ანუ, ყოველი კვებიდან 15 წუთის შემდეგ. დანარჩენი სითხე ჩვეულებრივი სასმელი წყალი, უმი ხილისა და ბოსტნეულის ახალგამოწურული წვენები და გაზგასული მინერალური წყალი კი – ყოველი კვების წინ, ნახევარი საათით ადრე (მონაცვლეობით).

დიეტა 3-დღიანია, დღის განმავლობაში კვება უნდა იყოს 5-6-ჯერადი, ამასთან, ბოლო ჯერი, ტრადიციულად, არ უნდა გადააცილოთ 19 საათს და, თანაც, ის უნდა იყოს ყველაზე მსუბუქი.

წინასწარ მოიმარაგეთ პროდუქტები: ყავისფერი ბრინჯი, წიწიბურა, „ჰერკულესი“, უცხიმო ხაჭო, უცხიმო მაწონი ან იოგურტი, ქათმის ფილე, უცხიმო თევზი; ხილიდან: ვაშლი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი; ბოსტნეულიდან: სტაფილო, ჭარხალი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბულგარული წიწაკა, ხახვი, მწვანილი – ყველანაირი. გამორიცხეთ ცხიმი და შაქარი; მარილი – ძალიან ცოტა.



ყოველ დილას, უზმოზე მიირთვით 1 სადილის კოვზი მოხარშული ბრინჯი, წიწიბურა ან „ჰერკულესი“ (მონაცვლეობით); დანარჩენი პროდუქტები კი ისე გადაანაწილეთ 3 დღეზე, რომ ყოველდღე თანაბარი რაოდენობით და ერთსა და იმავე დროს მიირთვათ.

ფილე და თევზი მოხარშეთ, ბოსტნეულისგან კი მოამზადეთ უცხიმო სუპი და ამ ყველაფერს ძალიან ცოტა მარილი მოაყარეთ. შეგიძლიათ, წვნიანის ნაცვლად მოამზადოთ ბოსტნეულის სალათა ცოცხალი მწვანილითა და 2 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთით.

ხორცისა და თევზის ერთი ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 200 გრამს; სალათისა – 300 გრამს, წვნიანი კი, შეგიძლიათ, 2-3 ჩამჩა მიირთვათ.

თუ ფილესა და თევზს ბოსტნეულის გარნირით მიირთმევთ, შეამცირეთ ორივეს რაოდენობა: ხორცი და თევზი – 100-100 გრამი, სალათა – 200 გრამი.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი სითხე დალიეთ პატარა ყლუპებით, ნელ-ნელა; საჭმლის ყოველი ლუკმა კი ღეჭეთ მაქსიმალურად დიდხანს, რათა დანაყრება იგრძნოთ და მალე აღარ მოგშივდეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ დიეტის წინ აიწონოთ, მაგრამ, სასწორს დიეტის დასრულებამდე აღარ გაეკაროთ. ამ დიეტის დაცვა ნებადართულია თვეში ერთხელ.

წარმატებას გისურვებთ!

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

### არ ვიცი, როგორ მოვიქცე

ძალიან უბედური ქალი ვარ: ახალგაზრდა დავქვრივდი და მარტომ გავზარდე ერთადერთი შვილი. მაგრამ ბედმა ესეც არ მაკმარა, ჩემმა ბიჭმა ცოლი შეირთო და, საქორწინო მოგზაურობიდან რომ ბრუნდებოდნენ, ავარია მოუვიდათ. ყველა გადარჩა, ვინც მანქანაში იჯდა (ღმერთმა კარგად ამყოფოთ), ჩემი შვილი კი ისე დაიმტვრა, სამუდამოდ ხეიბარი დარჩა და ეტლშიც ვერ ჯდება – ლოგინს მიეჯაჭვა. საწყალი ჩემი რძალი ორი წელი თითქმის არ გადიოდა სახლიდან და ქმარს უვლიდა, მაგრამ, მერე იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო, რადგან, მარტო ჩემი ხელფასი არ გვყოფნიდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ვიგრძენი, რომ ეკას ვიღაც თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რადგან, ძალიან შეიცვალა (ხომ იცით, ქალის თვალს ეს არ გამოეპარება). მეც ქალი ვარ, თან, ადრე დაქვრივებული, ვიცი, რა ძნელია გათხოვილი ახალგაზრდა ქალისთვის უმამაკაცოდ ცხოვრება და, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, ვერც ვამტყუნებ, მაგრამ, ეს რომ ჩემმა საცოდავმა შვილმა გაიგოს, ვიცი, რომ თავს აღარ იცოცხლებს, ისედაც სულ იმას გაიძახის, ნეტავ მალე მოვკვდებოდე, რომ ეკამ თავისი ცხოვრების გზა ნახოსო. ამას კი ამბობს, მაგრამ, ისე უყვარს ცოლი, ხატივით შესცქერის და მის მზეს იფიცებს.

არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე – რა ვთხოვო ჩემს რძალს: როგორმე მოითმინოს და გაუძლოს თავის ხვედრს თუ, სულაც, წავიდეს სახლიდან და ბედს ეწიოს

**დუდანა, 52 წლის.**



### აღარავისი არ მჯერა

მთელი ცხოვრება ველოდი ნამდვილ სიყვარულს, ისეთს, ყველაფერს რომ დაგავიწყებდა და, როგორც იქნა, შევხვდი მამაკაცს, რომლისთვისაც სიცოცხლის დათმობა შემეძლო. ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით: აეროპორტის სალაროსთან მივედი ბილეთის ასაღებად. რამდენიმე კაცი იდგა და რიგში ჩავდექი ვიღაც კაცის შემდეგ. ცოტა ხანში ის კაცი ჩემკენ მოტრიალდა და მითხრა, თუ შეიძლება, დამიმახსოვრეთ, გავალ და ორ წუთში დავბრუნდებიო. ამას რომ მეუბნებოდა, პირდაპირ თვალებში მიყურებდა, მაგრამ, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ თვალებით გამბურღა და ამ მზერამ მთლიანად მომაჯადოვა. მე ბილეთი უკვე აღებული მქონდა და, ის იყო, იქიდან წამოსვლას ვაპირებდი, რომ აქოშინებულმა მოირბინა. რომ დამინახა, გაუხარდა – კიდევ კარგი, მოგისწარით, თორემ, რიგს დავკარგავდიო. მე წამოვედი, ის კი ბილეთის საყიდლად მივიდა მოლარესთან.

ერთი კვირის შემდეგ უნდა გავფრენილიყავი ამერიკაში და მთელი ის კვირა იმ კაცზე ვფიქრობდი – რატომღაც გულში ჩამრჩა მისი მზერა. თვითმფრინავში რომ ავედი, გაოცებისა და სიხარულისგან კინაღამ შევყვირე – სწორედ ჩემ გვერდით იჯდა და ღიმილით შემომცქეროდა. მერე მითხრა, ვიცოდი, რომ კიდევ შევხვდებოდით ერთმანეთსო. მთელი მგზავრობის განმავლობაში თან მყვებოდა. მაშინ პირველად ვიგრძენი, რა ბედნიერება ყოფილა, როცა მამაკაცი თავს ნამდვილ ქალად გაგრძნობინებს. მოკლედ, ამერიკაში რომ ჩავფრინდით, უკვე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული. სხვათა შორის, ანდრო თვითონაც გამომიტყდა სიყვარულში და მითხრა, რომ მთელი ცხოვრება ჩემნაირ ქალს ეძებდა და რომ ჩვენ ძალიან ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა, ანუ, პრაქტიკულად, ხელი მთხოვა.

მე ორ თვეში უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში, სანდრო – ნახევარ წელიწადში, მაგრამ, იმ ორი თვის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს, რადგან ერთ ქალაქში ვცხოვრობდით. იქ ყოფნისას ყველაფერი დავგეგმეთ და, გადავწყვიტეთ, თბილისში შეხვედრისთანავე გავეცნო ერთმანეთის მშობლები და ქორწილზეც მოგველაპარაკა.

ექვსი თვე, შეიძლება ითქვას, თვალის დახამხამებაში გავიდა. ანდრო თბილისში დაბრუნდა და მე აეროპორტში დავხვდი. რადგან მანქანა არ მყავდა, ჩემს დაქალს, ლიკას ვთხოვე და მან წამიყვანა. რადგან ანდრო ძალიან დაღლილი იყო მგზავრობით, გადავწყვიტეთ, ორი დღის შემდეგ შევხვედროდით. ერთ ძალიან საყვარელ კაფეში შევხვდით ერთმანეთს, პატარა, მიყრუებულ ქუჩაზე, – გვინდოდა, მარტონი ვყოფილიყავით და ხალხმრავალ ადგილებს გავერიდეთ. ის იყო, ყავა და ნამცხვარი შევუკვეთეთ, რომ კაფეში ლიკა შემოვიდა და თავზე დაგვადგა. ძალიან გამიკვირდა მისი იქ დანახვა და რაღაცნაირად არ მესიამოვნა, მაგრამ, არ შევიმჩნიე. მანაც გაიოცა, რომ დაგვინახა და გვითხრა, ჩემს საყვარელ კაფეში რა ქარმა გადმოგაგდოთო. არადა, არასდროს უხსენებია, რომ საერთოდ იცოდა ამ კაფეს არსებობა. უცერემონიოდ დაჯდა ჩვენს მაგიდასთან და ანდროს უთხრა, ჩემთვისაც შეუკვეთე ყავა და ნამცხვარიო. ანდრომ, რა თქმა უნდა, არაფერი აგრძნობინა, მაგრამ, აშკარად შევატყვე, რომ გუნება გაუფუჭდა. ლიკა ბოლომდე ჩვენთან დარჩა და იმდენი მოახერხა, რომ ჩვენ გაგვაცილებინა თავი (იმ საღამოს „შემთხვევით" იყო უმანქანოდ). რამდენიმე დღის შემდეგ კი ანდრომ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა – სერიოზული სალაპარაკო მაქვსო. ძალიან შეწუხებული ხმა ჰქონდა და შემეშინდა, რამე უბედურება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. მაშინვე გავიქეცი. სკვერში სკამზე იჯდა და დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით. მაშინვე ცუდი მიგრძნო გულმა, მაგრამ მთლად ასეთ საშინელებას არ ველოდი. რომ ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, ანდრომ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა, ყველაფერი ვიცი შენი წარსულის შესახებ, რომ არ დაგემალა და თვითონვე გეთქვა, კიდევ შეიძლებოდა მეპატიებინა, მაგრამ, რადგან დამიმალე, ველარ გენდობი და, ამიტომ, უნდა დავშორდეთო. კინაღამ გავგიჟდი – რა წარსულზე მელაპარაკები-მეთქი. რა და, შენი მეგობრის ქმრისგან ბავშვი რომ გააჩინე, მერე კი სამშობიაროში დატოვე, ამის შემდეგ კი მეორე დაქალის ქმარს დაუწყე „ჩალიჩიო". კინაღამ გავგიჟდი, რადგან მსგავსი არასდროს არაფერი ჩამიდენია; ის კი არა, შეყვარებულიც კი არ მყოლია ცხოვრებაში, მაგრამ ანდრომ არ დამიჯერა. რომ ვკითხე, ვინ გითხრა ჩემზე ასეთი სიბინძურე-მეთქი, მიპასუხა, არიან წესიერი ადამიანები, რომლებიც ჩემზე ზრუნავენო.

კინაღამ შევეწირე ანდროსთან ასეთ მოულოდნელ დაშორებას. რამდენიმე დღე ისეთ დეპრესიაში ვიყავი, არავის დანახვა არ მინდოდა. მერე, ცოტა რომ გამოვედი მდგომარეობიდან, ლიკას დავურეკე – ძალიან ცუდად ვარ და შენი ნახვა მინდა-მეთქი. საკმაოდ ცივად დამელაპარაკა და მითხრა, არ გეწყინოს, მაგრამ, შენთვის არ მცალიაო. გამიკვირდა და მეწყინა, მაგრამ, რა უნდა მეთქვა. მერე მეორე დაქალს ვთხოვე მოსვლა. ის მაშინვე მოვიდა და მთელი დღე ჩემთან იყო, საღამოს კი სასეირნოდ გამყვა. ჩემს სახლთან ახლოს სკვერია და იქ დავსხედით. ცოტა ხანში კი ქალის კისკისი გავიგონეთ. ხმა მეცნო და რომ გავიხედე, სახტად დავრჩი: ლიკა და ანდრო ჩახუტებულები მოდიოდნენ და რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდნენ. რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფერი გასაგები გახდა ჩემთვის.

მას მერე აღარც კაცების გონიერების მჯერა და აღარც ქალების მეგობრობის. ვიცი, რომ გამიჭირდება ასე ცხოვრება, მაგრამ, ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

**თამთა, 28 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მიიღეთ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა სპექტაკლი დაუდგა სტალინის დავალებით „ჩეკამ“ ლენინს



თანამედროვე ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ სტალინის „გაგენმდივნება“ და საბჭოთა პოლიტბიუროს ებრაული ფრაქციის (რომელსაც მოგვიანებით „ტროცკიზმი“ ეწოდა) დამარცხება იოსებ ჯუღაშვილის უზარმაზარმა ნებისყოფამ განაპირობა. თუმცა, მეორე მხრივ, როდესაც თავად ტროცკი მსოფლიო რევოლუციის იდეებით იყო შეპყრობილი, სტალინი ამ დროს (ლენინის სიცოცხლეშივე) მძლავრ სახელმწიფოებრივ აპარატს ქმნიდა და ნელ-ნელა, ფარულად იღებდა ხელში აბსოლუტურ ძალაუფლებას. პროფესორი ვიქტორ ჩიგრინსკი წერს: „ტროცკი კარგი ორატორი, კარგი ორგანიზატორი და ძალიან მედიდური პიროვნება იყო. სტალინი მას საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანად მიაჩნდა და მისი მთავარი შეცდომაც ეს იყო. 1917-1923 წლების განმავლობაში სტალინმა იმხელა ფარული საქმიანობა გააჩაღა აბსოლუტური ძალაუფლების მოსაპოვებლად, რომ ლენინის გარდაუვალ სიკვდილს მომზადებული შეხვდა და მას უკვე ვერავინ შეუშალა ხელი ამ ძალაუფლებისკენ წინსვლაში“.

1922 წლის თებერვალში გორკებში იზოლირებულ, დამბლადაცემულ ლენინს სრულად აკონტროლებდა სტალინი და მისი ნებართვის გარეშე რევოლუციის ბელადის ნახვის უფლება პოლიტბიუროს წევრებსაც კი არ ჰქონდათ. ლენინს მხოლოდ მისი მეუღლე, ნადეჟდა კრუპსკაია და მარია ულიანოვა ადგნენ თავზე და უვლიდნენ. მათი გადაადგილება მკაცრად კონტროლდებოდა და ქალებს იქიდან ინფორმაციის გამოტანის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ. 1922 წლის თებერვლის მიწურულს ლენინის შერყეული ჯანმრთელობა საგრძნობლად გამოსწორდა და მან მოსკოვში ჩამოსვლისა და კრემლში მუშაობის სურვილი გამოთქვა. ეს ინფორმაცია უმალვე აცნობეს სტალინს, რამაც ის საგრძნობლად შეაშფოთა. იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ პოლიტბიუროს ებრაულ ფრთას საგანგებო სხდომა მოეწვია და, ლენინის მხარდაჭერით, სტალინი დაკავებული თანამდებობიდან გადაეყენებინა. ლენინის სურვილი მოსკოვში ჩამოსვლის შესახებ სტალინს ჰენრიხ იაგოდამ აცნობა. იაგოდა იმ პერიოდში ლენინის დაცვის უფროსი და სტალინის პირადი აგენტი იყო. სწორედ ის აწვდიდა სტალინს ინფორმაციებს ლენინის შესახებ და უზრუნველყოფდა ლენინის სრულ იზოლაციას გარე სამყაროსგან. 26 თებერვალს იაგოდა სტალინს კრემლში ეწვია და უთხრა:

– ამხანაგო სტალინ, ილიჩმა წუხელ კატეგორიულად მომთხოვა მოსკოვში ჩამოსვლა და კრემლში მიყვანა. მიბრძანა, მისი კაბინეტი მოვაწესრიგოთ და იქვე მოვაწყოთ მისთვის საძინებელი.

სტალინმა კოპები შეიკრა, მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უთხრა:

– ესე იგი, ილიჩი მოსკოვში გადმობარგებას გეგმავს?

– დიახ, – თავი დააქნია იაგოდამ, – დღესვე უნდა მივუტანო პასუხი.

– რა გაეწყობა, გადმობარგდეს. გორკებში დაბრუნდი და უთხარი, რომ 4 მარტამდე მოიცადოს, რადგან მანამდე კაბინეტისა და საძინებლის სათანადოდ მოწყობა არ მოხერხდება. ერთი სიტყვით, დრო უნდა მოვიგოთ. შენ კი დაცვა გააძლიერე და 4 მარტამდე ლენინს არავინ გააკარო. ის ძუკნა კრუპსკაია და მარია ილინიშნა კი გორკების ტერიტორიას არ გამოაცადინო, რომ ლენინის ეს სურვილი ტროცკისა და მის მომხრეებს არ შეატყობინონ.

## ორჯონიკიძემ სტალინს ლენინის მოწამვლა შესთავაზა, მაგრამ, კატეგორიული უარი მიიღო

იაგოდა წავიდა. სტალინმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ჯერ სერგო ორჯონიკიძეს დაურეკა, შემდეგ კი ფელიქს ძერჟინსკის და ორივე სასწრაფოდ დაიბარა კაბინეტში.

დაბარებულები ერთდროულად მივიდნენ. სტალინმა ისინი სავარძლებში ჩასხა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– ყურადღებით მომისმინეთ, – უთხრა მათ სტალინმა, – ილიჩი მოსკოვში ჩამოსვლასა და კრემლში დასახლებას გეგმავს. ეს თუ განხორციელდა, ჩვენ მასზე კონტროლს დავკარგავთ და ტროცკი და მისიანები გაიმარჯვებენ. ხომ ხვდებით, რას ვგულისხმობ?

სტალინის სიტყვებს პირველი ორჯონიკიძე გამოეხმაურა და უთხრა:

– მაგას რა მიხვედრა უნდა! ტროცკი პოლიტბიუროს სხდომის მოწვევას მოითხოვს და, რადგან ისინი ჩვენზე მეტნი არიან, უბრალო კენჭისყრით მოგხსნიან.

– სწორედ, – თავი დააქნია სტალინმა. ძერჟინსკიმ კი მხრები აიჩეჩა და სტალინს უთხრა:

– მერე, რას აპირებ ამის საწინააღმდეგოდ? ხომ არ შეიძლება, ასე უბრალოდ დავკარგოთ ძალაუფლება და იმ კრეტინებს დავუთმოთ?

– ამიტომ, შენ უნდა იმოქმედო, – უპასუხა სტალინმა.

– მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვიღონებ და ჩემს ბიჭებს ვეტყვი, ტროცკი და მისი ბანდა ერთ ღამეში აყარონ. თუმცა, შედეგებზე უკვე ველარ ვაგებ პასუხს.

– არა, ფელიქს ედმუნდოვიჩ, – თავი გააქნია სტალინმა, – ასე არ ივარგებს. ტროცკისა და მისიანების ძალით განადგურება ნაადრევია. მე სხვა გეგმა მაქვს მოფიქრებული და „ჩეკას“ პროფესიონალიზმი ახლა მჭირდება. პატარა სანახაობა უნდა მოვუწყოთ ილიჩსაც და მათაც, მაგრამ, ეს საქმე დიდი სიზუსტით, საქმის ცოდნითა და საიდუმლოების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.

– გისმენ, კობა, თქვი, – თქვა ძერჟინსკიმ.

– ჩემი გეგმა ასეთია: იაგოდა ილიჩს 4 მარტამდე გააჩერებს გორკებში. მანამდე ხუთი დღე დაგვრჩება, შენ კი ამ პერიოდში მოსკოვის რომელიმე შენობაში ლენინის კრემლის კაბინეტის იმიტაცია უნდა მოაწყო, გამონახო ადამიანები, რომლებიც შესაბამისი გრიმის გაკეთების შემდეგ ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინსა და იმ ძუკნა კრუპსკაიას დაემსგავსებიან, მათ როლებს შეასრულებენ და, რა თქმა უნდა, ჩვენი დახმარებით, ილიჩს იმაში დაარწმუნებენ, რომ მისთვის გორკებში ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ვიდრე კრემლში. შეძლებ ამის გაკეთებას?

– შევძლებ, – თავი დაუქნია ძერჟინსკიმ, – ახლა კი წავედი, რომ ეს პროცესი პირადად გავაკონტროლო.

ძერჟინსკი რომ წავიდა, ორჯონიკიძემ სტალინს ლენინის მოწამვლა და პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა შესთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო და ისიც წავიდა.

1922 წლის 4 მარტს მოსკოვის ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე განლაგებულ შენობაში, რომელიც ავდეევის ჩიხში მდებარეობდა, ყველაფერი მზად იყო და იაგოდამ ლენინი „კრემლში“ მოიყვანა. ილიჩი კაბინეტში შევიდა, ფანჯრიდან გაიხედა და „ჩეკისტების“ მიერ ოსტატურად იმიტირებულ პანორამას გახედა, რომელიც უზარმაზარი პაპიე-მაშესგან იყო დამზადებული. იქვე იმყოფებოდნენ ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის, ბუხარინისა და კრუპსკაიას როლის შესასრულებელი „ჩეკისტები;“ ასევე, ნამდვილი სტალინი, ძერჟინსკი და ორჯონიკიძე. ილიჩი მათთან სამი დღის განმავლობაში ინტენსიურად თანამშრომლობდა. 9 მარტს მოწყობილ ბიუროს სხდომაზე ერთხმად დაარწმუნეს ლენინი, რომ გორკებში დაბრუნებულიყო. ამიტომ, ლენინი დაემორჩილა „პოლიტბიუროს“ გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ ინტენსიურმა მუშაობამ მისი ჯანმრთელობა კვლავ შეარყია და ის გორკებში დაბრუნდა.

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა გიორგი ლაშაურმა**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**გვენეტაძე**

გვარში ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **გვენე**. დაფიქსირებულია სვანეთში.

ქართული გვარების „საშენ მასალად“ ხშირადაა გამოყენებული ასო **ტ**. გვენეს დაემატა ასო **ტ** და მიღებული იქნა **გვენეტაძე**, ამავე ძირისაა გვარი **გვეტაძე**.

ქართულ სამართლის ძეგლებში მიგნებულია სამი დოკუმენტი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ, თუ რომელი წლიდან მოიხსენიებიან **გვენეტაძეები**, სად ცხოვრობდნენ და როგორი სოციალური მდგომარეობის იყვნენ.

„ხუცია **გვენეტაძე** მოწმეა კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ კანდელაკ ქავთარისათვის მიცემული ბიჭის წყალობის წიგნისა“ (1673-1696 წლებში).

1840-იან წლებში იმერეთში **გვენეტაძეები** ცხოვრობენ სოფლებში: დაბაძველი, ეწერი, მუხაყრუა, სუფოთი, სიმონეთი.

ვარაუდით, **გვენეტაძე** და **გვეტაძე** ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს. მათ სოფლებში: ციხიასა და ჭოგნარში უნდა ეცხოვრათ. როცა იქიდან გასულან, ინფიქსი ნ ჩაუმატებიათ.

**გვენეტაძეები** სასულიერო პირები და საეკლესიო გლეხები იყვნენ.

25 000 გვარს შორის **გვენეტაძეებს** 253-ე ადგილი უჭირავთ.

საქართველოში 2 750 **გვენეტაძე** ცხოვრობს: ქუთაისში – 817, ტყიბულში – 671, თერჯოლაში – 557. არიან სხვაგანაც.

**ჩაკაშვილი-ჩოკოშვილი**

აზნაური **ჩაკაშვილების** წინაპრები კახეთიდან გადმოსულები არიან თეიმურაზ მეფის დროს, 1629 წელს: „საციციანოს გერდის წინ მოსახლენი, ძველად **ჩოკაშვილთაგანნი**, მდაბალნი აზნაურნი და ცნობილნი დროსა ვახტანგ მეფისასა, რომელთაცა **ჩოკას** მაგიერ გაუგვარდათ **ჩოკაშვილობა** და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა“.

ისტორიულ წყაროებში, ასევე, თავადი ციციშვილის აზნაურად გვხვდება **ჩაკაშვილი**.

„თავად ჯანდიერისშვილს, მეფემან მისცა ჯილდოდ თავადობა გვარად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან აწ




მცხოვრებნი კალაურსა შინა; ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან **ჩოკაშვილებად** ამავე ჯანდიერთა გვარისა და არიან აზნაურნი“.

საქართველოში 452 **ჩოკოშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 240, თბილისში – 106, გურჯაანში – 71. არიან სხვაგანაც.

**ქობულაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ქობული.

ქობულაშვილი უძველესი გვარია, მისი ძველი ფორმა იყო **ქობულისძე**.

„მთავართა გვარებში“ ვახუშტი წერს: „ხოლო გვარიანი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: **ქობულისძე**, დონაური, ასელმანეილი, ბალუაში, რომელიც იყო ლიპარტის ძე”.

„თავად **ქობულაშვილის** წინაპარნი იყვნენ **ქობულად** წოდებულნი უკვე 882 წლიდან. როცა სამბათ მეფე აფხაზეთიდან წავიდა, თან გაჰყვნენ **ქობულისძენიც**. **ქობულთა** შვილთაგან დაშთნენ გურიას ადგილსა **ქობულეთსა** შინა და იყვნენ მუნ. შემდგომად, მეფემან დავით კახთმან შერთო ცოლად გურიელის ასული თინათინი, მას მოჰყვა მზითევში **ქობულოვი** და დედოფლის შუამდგომლობით მიიღო მეფემან თავადობის ხარისხში და დაასახლა რუისის პირსა ადგილსა”.

„ხოლო, წელსა 1752, შეიკრიბნენ მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელსა. მაშინ ციხესა ყვარლისასა შეაშველა მეფემან და უთავა მათ თავადი ბებურიშვილი პაპა, მდივანი სოლომონ **ქობულოვი**, თაყაიშვილი ფირუზა, რატიშვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი და სხვანი, მრავალნი კეთილშობილნი და გლეხნი. განამაგრეს ციხე იგი და ლეკთა, ვინაითგან ვერა რამე ჰყვეს, უკუიქცნენ სირცხვილეულნი”.

ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ თამაზ **ქობულიშვილი** იყო კანცელარიის მოხელე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მას გადაუწერია „დასტურლამალი” დავით რექტორის ხელნაწერიდან. ის ერთგვარად ედავება ამ უკანასკნელს, რომ სოფლები კახეთს ეკუთვნის და არა ქართლს.

საქართველოში 657 **ქობულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 269, მცხეთაში – 258, გარდაბანში – 36. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# აფრიკის რომელ ტომებში ხდება ქალების წინდაცვეთა და სად მიირთმევენ გამხმარ თაგვებსა და მაიმუნებს

(მე-15 გვერდიდან)

არ შეიძლება ისაუბრო აფრიკაზე და გამოტოვო ვიქტორიას ჩანჩქერი. ის ორ ქვეყანაშია ზიმბაბვესა და ზამბიაში. მე ვარ ნამყოფი ზიმბაბვეს მხრიდან. 1 200 მეტრია სიგანეში და აქედან, ათასი მეტრი მდებარეობს ზიმბაბვეში, 200 – ზამბიაში. სიმაღლე 500 მეტრიდან 100 მეტრამდეა. გარშემო თითქმის ყველგან წვიმს. სადაც გაიხედავ, ირგვლივ ყველგან ცისარტყელებია. ძალიან საინტერესო ადგილია, მიუხედავად იმისა, რომ გალუმპული გამოდიხარ ბოლოს. ძირითადი პრობლემაა, როგორ გადაარჩინო ფოტოაპარატი, საკუთარ თავზე აღარ ფიქრობ.

აფრიკელებს აქვთ ეგრეთ წოდებული დიდი ხუთეული, ეს რა თქმა უნდა, ტურისტებისთვისაა განკუთვნილი, რომელიც ყველა აფრიკული ქვეყნისთვის ერთი და იგივეა. ეს გახლავთ: ლომი, ლეოპარდი, სპილო, კამეჩი და მარტორქა. ეს 5 ცხოველი უნდა ნახო აუცილებლად. მათგან ყველაზე რთული სანახავია ლეოპარდი.

**– აფრიკულ სამზარეულოზე რას მეტყვით?**

– აფრიკელებს საკმაოდ პრიმიტიული სამზარეულო აქვთ. ადგილობრივი სასმელებიდან გასინჯული მაქვს ჩაგას ტომის ლუდი, რომელსაც ჰქვია მბეგე. ეს ბანანის ლუდია, მომჟავო გემო აქვს, საინტერესო და სპეციფიკური. სამხრეთ აფრიკაში აქვთ ბილტონგი. ეს არის მზეზე გამოყვანილი სხვადასხვა ცხოველის გამხმარი უმი ხორცი. მათი ძირითადი საკვები მოხარშული ბოსტნეულია. მიირთმევენ სიმინდის ფაფას, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენს ღომს, თუმცა აფრიკელებს სულგუნი არ აქვთ.

**– რძის პროდუქტები აქვთ საერთოდ?**

– რძეს სვამენ პირდაპირ. მე არ გამისინჯავს მასაების ცნობილი კოქტეილი – ეს არის ძროხის სისხლი და რძე ერთმანეთში არეული. არ მქონია შემთხვევა მისი გასინჯვისა, ისიც არ ვიცი, გავსინჯავდი თუ არა. ეს სასმელი დააქვთ სპეციალური გოგრისგან დამზადებული ჭურჭლით და ძალიან სჯერათ, რომ ლომი თუ ჭრილობას მიაყენებთ, ამ სასმლით აუცილებლად განიკურნებიან. სანელებლებს აფრიკელები არ მოიხმარენ. რაც კი შესაძლებელია, ყველაფერს ჭამენ. აფრიკელთა საკვები ძირითადად თხის ხორცია. დასავლეთ აფრიკაში მიირთმევენ გამხმარ მაიმუნებს.

**– ებოლაც მაიმუნებისგან არ გავრცელდა?**

– როგორც ამბობენ, ებოლა გავრცელდა მაიმუნისა და ღამურასგან, რომლებსაც აფრიკელები საკვებად იყენებდნენ, ახმობენ და ისე. როგორ მიირთმევენ, არ მინახავს. თუმცა, ზიმბაბვეში მინახავს როგორ მიირთმევენ შემწვარ თაგვს. აფრიკა ხილით მდიდარია. ალბათ, ყველაზე გემრიელი ანანასი სადაც კი გამისინჯავს, ეს იყო ტანზანიაში. ასევე, არის ასეთი, მანიარას ტბა, რომლის გვერდზეც მდებარეობს დასახლება ნტოლამბუ. იქ არის წითელი ბანანები, რომელიც ძალიან გემრიელია.

კიდევ ფასებზე მინდა გიამბოთ, ტურისტისთვის და ადგილობრივისთვის ფასებში განსხვავება არის საოცარი. შევაჭრება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და სიხარულითაც გევაჭრებიან. იყო შემთხვევა, როცა ჩვენმა გიდმა ერთ დოლარად იმდენი წითელი ბანანები შეგვიძინა, რომ მანქანაში ძლივს ვტევდით, მაშინ, როცა მე ამ რაოდენობის ბანანის ყიდვა, ალბათ, 100 დოლარი დამიჯდებოდა.

**ეკა სალაღაია**

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**ქალები, მიუხედავად იმისა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელბი არიან, სპორტის ისეთ სახეობაშიც კი არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს, როგორებიცაა ძიუდო და სამბო. ამის ნათელი მაგალითი ნინო ოქელაშვილია, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სამბოში, ხოლო დიდებში კი მეორე ადგილი დაიკავა. ამ წარმატებისთვის მას იოლად, ნამდვილად, არ მიუღწევია. ბავშვობაში, ყოველდღე, დილის 5 საათიდან შუადღემდე, ოთხ დედმამიშვლთან ერთად ვარჯიშობდა. მისი პირველი მასწავლებელი და მწვრთნელი კი მამა იყო.**

# ვინ ავარჯიშებდა ბავშვობიდან სამბოში მსოფლიოს ჩემპიონ ნინო ოქელაშვილს და როგორ გაუმხილა მან მამას შეყვარებულის შესახებ

**ნინო ოქელაშვილი**: თბილისში დავიბადე, ხუთი დედმამიშვილი ვართ. ბავშვობიდან ყველანი სპორტით ვიყავით დაკავებული. მამა სპორტსმენი იყო და პატარაობიდანვე მავარჯიშებდა. რასაც დღეს მივაღწიე, მისი დამსახურებაა, ძალიან ბევრ რამეში დამეხმარა. სულ თავიდან, ფეხბურთზე დავდიოდი – მამა ოფიციალური მწვრთნელია და ის მასწავლიდა თამაშს. სიმართლე გითხრათ, ჩემი და უფრო კარგად თამაშობდა, ვიდრე მე, თუმცა, ამას არ ვაღიარებ ხოლმე ***(იცინის).*** ათი წლის განმავლობაში ძიუდოში ვვარჯიშობდი, მაგრამ, ბოლოს სამბო ავირჩიე და, სამი წელია, რაც ამ სპორტით ვარ დაკავებული.

**– ძიუდოზე საკუთარი სურვილით მიხვედი თუ მშობლების გადაწყვეტილება იყო?**

– ეს მამაჩემის გადაწყვეტილება იყო. 13-14 წლის რომ ვიყავი, არ მინდოდა მევარჯიშა. საქართველოს მასშტაბით პირველი ძიუდოისტი გოგო ვიყავი, შესაბამისად, გარემოც არ იყო ჩემი. მაგრამ, მამა არ მაძლევდა მოდუნების საშუალებას და, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვარჯიშს მაგრძელებინებდა. თმას გადაგვხოტრავდა ხოლმე მე და ჩემს დას და ბიჭებთან ერთად გავყავდით შეჯიბრებებზე ***(იცინის).*** საერთოდ, ძლიერი ბავშვი ვიყავი. სკოლაში სულ ვეჩხუბებოდი ბიჭებს – ოძელაშვილი რომ ვარ გვარად, „არსენას" მეძახდნენ.



**სკოლაში სულ ვეჩხუბებოდი ბიჭებს – ოძელაშვილი რომ ვარ გვარად, „არსენას" მეძახდნენ**

**– თუ არ მოგწონდა, რატომ არ უთხარი მამას უარი ვარჯიშზე და ბოლომდე რატომ გაჰყევი სპორტის ამ სახეობას?**

– მამაჩემი იმდენ ენერგიას დებდა ჩემში, რომ, არ შემეძლო, ასე ხელი მეკრა ყველაფრისთვის. საშუალება არ გვქონდა, რომ ყველანაირი პირობა შეექმნა ჩვენთვის, მაგრამ, ვარჯიშისთვის არაფერს გვაკლებდა. წყნეთში ვცხოვრობთ და იქიდან ფეხით დავდიოდით თბილისში. რომ ჩამომიყვანდა, ორი საათი კარატეში მავარჯიშებდა, ორი საათი – ფეხბურთში, ჭიდაობაში და, ბოლოს, დაღლილები, ისევ ფეხით მივდიოდით სახლში. სულ ჩემ გვერდით იყო და ვარჯიშზე უარი როგორ მეთქვა?

**– სამი ძმა გყავს და, რატომ გადაწყვიტა მამამ, გოგონებსაც ასეთი დატვირთვით გევარჯიშათ?**

– მამას ძალიან განსხვავებული, ცოტა რთული ხასიათი აქვს, თან, როგორც ყველა ქართველ კაცს, ბევრ საკითხთან დაკავშირებით ტრადიციული შეხედულებები აქვს. არ უნდოდა, რომ ბიჭები გამპრანჭვოდნენ – ეგოისტი იყო ჩემ მიმართ ***(იცინის).*** ბავშვობაში ძალიან მაჩხუბარა ვიყავი. ბიჭები ამბობდნენ ხოლმე სკოლაში – ვაიმე, ნინო მოდის, გაიწიეთო ***(იცინის).***

**– ასეთ დატვირთულ გრაფიკს სკოლასთან როგორ ათავსებდი?**

– მეოთხე კლასიდან მამამ მე და ჩემი და სკოლიდან გამოგვიყვანა – საშუალება არ გვქონდა, წიგნები რომ გვეყიდა და, ამიტომ, მთელი აქცენტი სპორტზე გადავიტანეთ. ორი წლის შემდეგ ისევ გავაგრძელეთ სკოლაში სიარული, მაგრამ, მე მაინც ვერ დავდიოდი – სულ ჰაერში ვიყავი და ერთი შეჯიბრებიდან მეორეზე მივფრინავდი. წელიწადში ერთხელ თუ მივდიოდი სკოლაში. რადგან სპორტსმენი ვიყავი, მასწავლებლებიც მიწერდნენ ნიშნებს.

**– სავარჯიშო დარბაზში მარტო შენ რომ იყავი გოგო, არ კომპლექსდებოდი?**

– სწორედ კომპლექსის გამო არ მინდოდა, ამ სპორტს რომ გავყოლოდი. ბევრი ბიჭი იყო, უმცირესობაში ვიყავი; თან, ცოტა ცუდი სიტუაციაც იყო. პირადად ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ, რაც ხდებოდა, არ იყო სასიამოვნო. ვერ აღიქვამდნენ – როგორ შეიძლებოდა, გოგოს ძიუდოში ევარჯიშა.

**– ძიუდო სამბოთი რატომ ჩაანაცვლე?**

- ბევრი პრობლემა იყო. თოთხმეტჯერ ვარ საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, მსოფლიოზე მეხუთე ადგილი დავიკავე. თავდაპირველად ხელფასი დამინიშნეს – 200 ლარს ვიღებდი ყოველ თვიურად. შემდეგ, დაფინანსებაზე სერიოზული შედეგი მომთხოვეს, მე კი მაშინ ფორმაში არ ვიყავი. ბოლოს, დიდებზე საერთოდ მოხსნეს დაფინანსება და ამიტომ გადავედი სამბოში. ამ სახეობაში პირველად 2008 წელს ვიჭიდავე და ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. 2010 წელს ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ბევრი წაგებაც იყო, სულ კი არ ვიგებდი.

**– რა შეიცვალა მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ შენს ცხოვრებაში?**

– სიხარული შემოიტანა ჩემს ოჯახში. მამას გავუმართლე იმედები, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არ არის ჩემით კმაყოფილი. ვერც გავამტყუნებ – იმდენი შრომა აქვს ჩემში ჩადებული, ყოველთვის მაქსიმუმს მთხოვს. 2010-ში მოვიგე ახალგაზრდებში მსოფლიო, დიდებში კი მეორე ადგილი დავიკავე.

**– გაგიჭირდა მოწინააღმდგის დამარცხება?**

– ჩემი მოწინააღმდეგე უკრაინელი იყო. შეჯიბრამდეც ვიცნობდი – სულ პირველ მსოფლიოზე მომიგო. მაშინ ეს არც გამკვირვებია – ჩემზე დიდია ასაკით და გამოცდილებაც მეტი ჰქონია; თან, მრავალგზის ჩემპიონია – როგორც ევროპის, ასევე, მსოფლიოს. ამჯერად მე დავამარცხე, ანგარიშით 1:0, ოთხიანზეც დავაგდე, მაგრამ, არ ჩამითვალეს. მაშინ მითხრა, რომ მომავალში აუცილებლად მომიგებდა ***(იცინის).*** ძალიან ძლიერი დარტყმა მივიღე, წარბი გამისკდა. ფინალში რუსს შევხვდი. ჩემპიონობის შანსი მქონდა, მაგრამ, პატარა შეცდომების გამო, 1:0 დავმარცხდი და მეორე ადგილი დავიკავე.

**– სამბოს ფედერაციაში ერთადერთი ხარ, ვისზეც ასეთ იმედებს ამყარებენ...**

– მსოფლიოზე ოთხი გოგო ვიყავით წარდგენილი. ოთხივეს თავისუფლად შეგვეძლო მედალზე ბრძოლა, მაგრამ, ბევრი გაუთვალისწინებელი ფაქტორის გამო, ეს ვერ მოვახერხეთ (ჩემს შემთხვევაში, პირველ ადგილს ვგულისხმობ). საერთოდ, ასეთ ჩემპიონატზე რომ გადიხარ, ყველაფერი უნდა გქონდეს: ხასიათი, წონა, ფორმაშიც უნდა იყო. ორმა ავიღეთ ვერცხლის მედალი. მადლობა ფედერაციას, რომ დაგვაფინანსა. უფრო მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ, ვერ გამოვიყენე ეს შანსი.

**– ბევრს ვარჯიშობ?**

– მაისში ევროპის ჩემპიონატია და მალე დავიწყებ მოსამზადებელ პერიოდს. ბავშვობაში ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი. დილის 5 ან 6 საათზე რომ ამაყენებდა მამა, შუადღის 2 საათამდე სხვადასხვა სახეობაში მავარჯიშებდა. აქვე უნდა ვაღიარო, რომ ბოლო წლები აღარ ვუჯერებდი, ძალიან მომთხოვნი იყო ***(იცინის).***

**– დედა როგორ შეეგუა იმ აზრს, რომ ხუთივე შვილი სპორტსმენი უნდა ჰყოლოდა?**

– დედა ეუბნებოდა მამას, რომ ყველა სპორტსმენი ვერ იქნებოდა და ჩვენს გზაზე გავეშვით, მაგრამ, ამის გამო მამას წინ ვერ გადაუდგებოდა. სწავლა და სპორტი ერთად არ გამოვიდოდა – დრო არ მქონდა, ამიტომ, ავირჩიე სპორტი. სიმართლე გითხრა, ნამდვილად არ ვნანობ, რომ ამ გზით წავედი.

**– ერთი წელია, რაც ოჯახი შექმენი. გაგვაცანი შენი მეუღლე.**

– ჩემი მეუღლეა გიორგი გურგენიძე. ვიდრე მას გავიცნობდი, მანამდე ახალგაზრდებში ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონი. ინტერნეტით გავიცანი ***(იცინის).*** ზოგადად, არ მიყვარდა ინტერნეტით ნაცნობების შეძენა, მაგრამ, სულ სპორტზე მელაპარაკებოდა ხოლმე, ეს კიდევ, ჩემი თემა იყო. თავადაც ყოფილი სპორტსმენია, რაგბის თამაშობდა. ავღანეთში იყო ორჯერ შეიარაღებულ ძალებში. პირველად რესტორანში შევხვდით და შემდეგ დავახლოვდით. ერთი წელია, რაც ოჯახი შევქმენით. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და მშვენივრად ვგრძნობთ ერთად თავს. ყველაფერში მეხმარება და გვერდში მიდგას. სპორტსმენი ქალისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამის გამო მართლა მადლობელი ვარ მისი.

**– შენი მონაყოლიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მკაცრი მამა უნდა გყავდეს... შეყვარებული რომ გყავდა, როგორ გაუმხილე?**

– დედასთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და თავიდან მას ვუთხარი. ზოგადად, არ მახასიათებს მიკიბულ-მოკიბული საუბარი, პირდაპირ ვუთხარი ***(იცინის).*** თან, უკვე პატარა გოგო აღარ ვიყავი და მისი აზრიც მაინტერესებდა. ადრე ჰქონდა ნათქვამი, რომ აუცილებლად უნდა გაეცნო ჩემი რჩეული, რათა ყველაფერში გამოეცადა ***(იცინის).*** ისე, რთულად კი შეეგუა ჩემს გათხოვებას...

**ეთო ხურციძე**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

8 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

4 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

5 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კუბიკი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ავთანდილ დიასამიძე. მონაწილეობენ: მიხეილ ზაქაიძე, ანანო ტყეშელაშვილი, ტატო გელიაშვილი, მარიამ გონენიშვილი, ბექა დადვანი, დავით ზუროშვილი, ლანა ყავრელიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„კედელი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (მცირე სცენა), თითების თეატრი - რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

7 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ბრმა მხედველი (მოლი სუინი)"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

3-4 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

5 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„პროცესი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ანუკა გრიგოლია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

7 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

8 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

3 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

4 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

5 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

6 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

7 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

6, 8 თებერვალი, **პარასკევი, კვირა** 20.00 - **„ფრეკენ ჟული"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

2 თებერვალი, **ორშაბათი** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

4 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„დედა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი სავანელი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი გზის გასაყარზე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 თებერვალი, **შაბათი** 14.00 - **„პეპი გრძელიწინდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორები - ირაკლი გოგია, ლაშა გოგნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

7 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ტრუსები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: კალევ კუდუ. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

8 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„იმერული რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ირაკლი გოგია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

3-4-5 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

3 თებერვალი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

4 თებერვალი, **ოთხშაბათი** 15.00 - **„სამი მუშკეტერი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

5 თებერვალი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„იავნანამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

5 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 12.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 15.00 - **„რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„სამი მუშკეტერი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 თებერვალი, **შაბათი** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

7 თებერვალი, **შაბათი** 13.00 - **„სევილიელი დალაქი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), თოჯინების საოპერო თეატრი „პწკალა" - რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

7 თებერვალი, **შაბათი** 17.00 - **„სიცოცხლის ხე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

7 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 თებერვალი, **კვირა** 13.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 თებერვალი, **კვირა** 15.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

8 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.***

## გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
**კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568145199.**

8 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ელენე მაცხონაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ორშაბათი 2 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ "**იცეკვე მასთან**" **01.30** "პოპ-კულტურა".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **22.00** მარაო **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30** "ბიზნესკონტაქტი" **10.00** **სერიალი "ჩემი შვილები"** **13.35** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **16.00** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.45, 22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **0.00**, მხ/ფ "**უდანაშაულო**" **2.30** "ბიზნესკონტაქტი" **3.30** მხ/ფ "**მდინარის შემობრუნება**".

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**უდანაშაულო**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **1** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**მენეკშე და ჰალილი**" **17.35** სერ. "ბოშა ქალი" **18.45, 19.03** სერ. "**დაკარგული**" სერ. **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**დომ ჰემინგუეი**" (ლ.ფრანცონი) **02.00** მხ/ფ "**მომაკვდინებელი სიცხე**".

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** საკვირაო სახარების განმარტება **10.45** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**დღეს ღამე უთენებია**" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ტელეზღაპარი **15.20** სპექტაკლი -"**ჩემი პატარა ქალაქი**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **20.40** ძილი ნებისა **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დ/ფ "არტერია" ძამას ხეობა IV ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართული სულის თავშესაფარი ლონდონში" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 3 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.40** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40** მხ/ფ "**შიშის კონცხი**" **00.30** მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**" **02.20** "პოპ-კულტურა".

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**"" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** სოციალური ცელი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30** "ბიზნესკონტაქტი" **10.00** **სერიალი "ჩემი შვილები"** **13.35** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.00** **სერიალი "სიყვარულის იმპერია 17.35** გადაცემა "ფული და სურვილები" **18.45, 22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **0.00**, მხ/ფ "**ტერეზა-დ**" **2.30** "ბიზნეს კონტაქტი" **3.30** მხ/ფ "**დომინოს პრინციპი**".

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 03.45** ქრონიკა **10.05** სერ. "**უდანაშაულო**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **2** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**მენეკშე და ჰალილი**" **17.35** სერ. "ბოშა ქალი" **18.45, 19.03** სერ. "**დაკარგული**" **2** სერ. **20.55** სერ. "**შურისძიება**" **1** სერ. **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** მხ/ფ "**რეალური სიყვარული**" (კ.ნაიტლი) **02.10** მხ/ფ "**დომ ჰემინგუეი**" (ლ.ფრანცონი).

**06.10** სპექტაკლი -"**ჩემი პატარა ქალაქი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დ/ფ "არტერია" ძამას ხეობა IV ნაწ. **11.05** დ/ფ "ქართული სულის თავშესაფარი ლონდონში" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ტელეზღაპარი **15.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.50** კონცერტი - ანს. "**სახიობა**" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მოკ/ფ "**სამი ამბავი ტელეფონით**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი საგანძური **23.35** დ/ფ "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 39-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**2 – 8 თებერვალი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15, 17.45 - „**პადინგტონის თავგადასავალი**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

20.00 - „**ბრიყვი და უფრო ბრიყვი 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - „**ჰაკერი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 17.45, 20.10, 22.00 - „**ცელქი ბავშვები 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - „**ყინულის დედოფალი**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

14.30, 20.00 - „**ღამე მუზეუმში 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

16.45, 22.25 - „**მძევალი 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00 - „**მადაგასკარის პინგვინები**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

14.00, 17.00, 19.45 - „**ჰაკერი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

22.30 - „**მძევალი 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.15, 17.00, 22.30 - „**ბრიყვი და უფრო ბრიყვი 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.45 - „**მძევალი 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 17.00, 20.00 - „**პადინგტონის თავგადასავალი**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.30 - „**ბერდმენი**", *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00 - „**ცელქი ბავშვები 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30, 20.15, 22.30 - „**ბრიყვი და უფრო ბრიყვი 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

18.00 - „**ღამე მუზეუმში 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - „**ყინულის დედოფალი**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

14.30 - „**ღამე მუზეუმში 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

16.45 - „**ბერდმენი**" (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19.30 - „**ბერდმენი**" (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.30 - „**მძევალი 3**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

გურმანთა მეგზური

# ღორის ხორცი ფრანგულად





**საჭირო ინგრედიენტები:** 900 გრამი ღორის ხორცი, 3 ცალი პომიდორი, 1 თავი ხახვი, 300 გრამი ქამა სოკო, 1 ლიტრი რძე, 100 გრამი კარაქი, 1 სავსე სადილის კოვზი ფქვილი, მარილი, შავი პილპილი, მუსკატის კაკალი – გემოვნებით; ცოტა მაგარი ყველი, ცოტა კამა – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ სოუსი „ბეშამელი“. სქელძირიან ტაფაზე მოათავსეთ კარაქი, ფქვილი, ცოტა მუსკატის კაკალი და ძალიან დაბალ ცეცხლზე ურიეთ სრულ გადნობამდე. ძალიან ნელა ჩაასხით რძე, თან სულ ურიეთ (მასა სქელი არაჟნის სისქის უნდა იყოს). მზა სოუსს უყავით მარილი და ცოტა პილპილი. გამოსაცხობ ფორმაში, რომელსაც წინასწარ დანამავთ ცოტა წყლით, მოათავსეთ დაჭრილი კანგაცლილი პომიდორი და მოასხით ცოტა სოუსი. მეორე ფენად მოაყარეთ დაჭრილი სოკო, შემდეგ – დაჭრილი ხახვი და მოასხით ცოტა სოუსი. დააწყვეთ ღორის ხორცის ნაჭრები, მოასხით დანარჩენი სოუსი. ფოლგა მჭიდროდ გადააკარით და მოათავსეთ აირღუმელში (სასურველია – ცხელში), 220 გრადუსზე, საათ-ნახევრის განმავლობაში. მზა კერძი გადაიტანეთ დიდ ლანგარზე, მოაყარეთ გახეხილი ყველი, ცოტა დაჭრილი მწვანილი და – მზად არის.





# ყველის სუფლე

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ფქვილი, 300 მილილიტრი მდუღარე წყალი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 200 გრამი გახეხილი ყველი, 4 ცალი კვერცხი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 3 სადილის კოვზი არაჟანი, ცოტა ლორი, ბეკონი ან ძეხვი; მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** 300 მილილიტრი წყალი წამოადუღეთ სამ სადილის კოვზ ზეთთან ერთად. გადმოდგით ცეცხლიდან და ცხელსვე შეაზილეთ ფქვილი. მოზილეთ ცომი (ჯერ კოვზით აურიეთ, შემდეგ – ხელით) და გააცივეთ.

სანამ ცომი გაცივდება, მოამზადეთ სუფლეს შიგთავსი: ერთმანეთში შეურიეთ გათქვეფილი კვერცხი, მდოგვი და არაჟანი, უყავით ცოტა მარილი და პილპილი, დაუმატეთ გახეხილი ყველი და კარგად ამოურიეთ.

ცომი გაყავით 10-12 ნაწილად. გააბრტყელეთ მრგვლად, 28 სანტიმეტრ დიამეტრზე და ლავაშები გამოაცხვეთ ორივე მხრიდან, ძალიან ცოტა ზეთში. გამოსაცხობ ტაფაზე დადეთ ერთი ლავაში და წაუსვით შიგთავსი; მეორე ლავაში, ისევ წაუსვით შიგთავსი და ასე განაგრძეთ ბოლომდე. ფენებს შორის მოაყარეთ ლორი, მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი... – ეს უკვე თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული. ბოლო ფენას ზემოდან წაუსვით სოუსი და გამოაცხვეთ 160 გრადუსზე, 20-25 წუთის განმავლობაში.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მაკარონი „პასტიციო“








**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი მილის ფორმის მაკარონი, 4 ცალი კვერცხი (3 ცალი სოუს „ბეშამელისთვის“), 200 გრამი რბილი ან ჰოლანდიური ყველი (120 გრამი – მაკარონში, 80 გრამი სოუს „ბეშამელისთვის“), 600 გრამი ხორცის ფარში (შერეული ან ქათმის), 3 სადილის კოვზი ზეითუნის ან სიმინდის ზეთი, 1 თავი წითელი ხახვი, 150 გრამი ბულგარული წიწაკა (სასურველია წითელიც), 150 გრამი პომიდორი (მხოლოდ რბილობი), 70 მილილიტრი ნაღები, 0,5 ლიტრი რძე, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 40 გრამი კარაქი, ცოტა მარილი, შავი პილპილი, მუსკატის კაკალი.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, მოთუთქეთ ცოტა წყალში (სუნი და მკვეთრი გემო რომ აღარ ჰქონდეს) და შეურიეთ ფარშს. დაუმატეთ ცოტა ზეთი, ძალიან წვრილად დაკეპილი ბულგარული წიწაკა, დაკეპილი პომიდორი და ეს ყველაფერი შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, თან სრისეთ ჩანგლით, რომ კარგად დაიშალოს. 5-7 წუთის შემდეგ დაუმატეთ ნაღები და განაგრძეთ შუშვა მანამ, სანამ მთელი სითხე არ ამოშრება. მაკარონი მოხარშეთ ჩვეულებრივად, მდუღარე მარილწყალში, დაწურეთ და გადაავლეთ ცივი წყალი. 1 ცალი კვერცხი ათქვიფეთ ცოტა მარილთან და პილპილთან ერთად, მოასხით ქვაბში მოთავსებულ მაკარონს და ამოურიეთ. ფორმას ძირზე წაუსვით ცოტა ცხიმი. დაყარეთ მაკარონის ნახევარი მასა და მოასწორეთ. მოაყარეთ დაახლოებით 60 გრამი დაფხვნილი ყველი. ზემოდან მოათავსეთ შეზავებული და მოშუშული ფარში, მოაყარეთ კიდევ ერთი ფენა მაკარონი, ბოლოს კი მოაყარეთ 60 გრამი დაფხვნილი ყველი.

ცალკე მოამზადეთ სოუსი „ბეშამელი“: ალუმინის ღრმა ქვაბში კარგად გაადნეთ კარაქი და მოშუშეთ მასში ფქვილი (გამუდმებით უნდა ურიოთ). ძალიან ფრთხილად და ნელა ჩაასხით ცხელი რძე, თან სულ ურიეთ. როცა ბუშტებს გაიკეთებს, სოუსი მზად არის. გადმოდგით ცეცხლიდან და ცოტა გააგრილეთ, სათითაოდ ჩაათქვიფეთ 3 კვერცხი, უყავით მარილი და პილპილი, ჩაუმატეთ მუსკატის კაკალი და 80 გრამი ყველი. კარგად ამოურიეთ და მოასხით მაკარონს. გამოაცხვეთ 180-190 გრადუს ტემპერატურაზე 25-30 წუთის განმავლობაში. კლასიკური და ძალიან გემრიელი კერძია.









# სალათა თევზით

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქაშაყის ნაკლებად მარილიანი ფილე, 2-3 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, 1 ცალი ხახვი, 1 კონა მწვანე სალათა, 3 სადილის კოვზი ნებისმიერი ზეთი, 1 სადილის კოვზი ძმარი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სალათა ხელით დაანაწევრეთ. კვერცხი დაჭერით 4 ნაწილად ან კუბიკებად – როგორც უფრო მოგიხერხდებათ. თევზის ფილე დააქუცმაცეთ. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. ცალკე მოამზადეთ სოუსი – ერთმანეთში შეურიეთ ზეთი, ძმარი და მდოგვი. დიდ თასში მოათავსეთ ყველა ინგრედიენტი: თევზი, ხახვი, კვერცხი და სალათის ფოთლები. უყავით მარილი. მოასხით სოუსი და ერთხელ ამოურიეთ.



# ქათმის სუპ-გულიაში – ბორის ბედიასგან



*რომ გითხრათ, კარგი კულინარი ვარ და სამზარეულოში კერძებს ვამზადებ-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა, კარგი გურმანი ნამდვილად გახლავართ და ძალიან მიყვარს მეგრული სამზარეულო. ქათმის სუპ-გულიაში ნებისმიერი ადამიანისთვის მისაღები კერძია, განსაკუთრებით კი იმ მამაკაცებისთვის, რომლებსაც ნაბახუსევზე უყვართ გემრიელი კერძის დაგემოვნება*

**საჭირო ინგედიენტები:** 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 6 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 თავი ხახვი, 4-5 კბილი ნიორი, 3 ნაჭერი ქათმის მკერდის ფილე, პაპრიკა, 3 ცალი ქათმის ბულიონის კუბიკი, 0,5 ჩაის კოვზი კამის თესლი, 1 ცალი პომიდორი, 2 ცალი დაფნის ფოთოლი; არაჟანი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გაცხელებულ ზეთში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და 5-6 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაუმატეთ დანაყილი ნიორი და კიდევ 1-2 წუთი შუშეთ. ჩაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, 7-8 წუთის შემდეგ კი – წვრილად დაჭრილი პომიდორი, კუბიკებად დაჭრილი ქათმის ხორცი. 2-3 წუთის შემდეგ ინგრედიენტებს დაუმატეთ პაპრიკა, დაფქული კამის თესლი, ბულიონის კუბიკები, დაფნის ფოთოლი და დაფქული შავი პილპილი. დაასხით დაახლოებით 4 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ საშუალო ცეცხლზე. თუ სითხე ნაკლები იქნება, დაუმატეთ წყალი. მზა წვნიანი შეანელეთ მარილით და არაჟანთან ერთად მიირთვით.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ღორის ნეკნები ბოსტნეულით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 კილოგრამი ღორის ნეკნები, 100 გრამი ხახვი, 200 გრამი სტაფილო, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 150-200 გრამი ყველი ბრინზა, 3 სადილის კოვზი მაიონეზი, ზეთი მოსაშუშად, მარილი და პილპილი კი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ღორის ნეკნები დაჭერით თხელ ნაჭრებად და მოათავსეთ გამოსაცხობ ფორმაზე. ზეთში მოშუშეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და მსხვილ სახეხზე გახეხილი სტაფილო, დაუმატეთ ტომატ-პასტა, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ხახვისა და სტაფილოს მასა გადაანაწილეთ ნეკნებზე, ზემოდან დააწყვეთ თხლად დაჭრილი ყველის ნაჭრები, წაუსვით მაიონეზი, დააფარეთ ფოლგა და 30 წუთის განმავლობაში შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში.





# გამომცხვარი კალმახი

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 თავი ხახვი, 2 ცალი ფორთოხალი, 2 ცალი ლიმონი, 4 ცალი კალმახი, 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 8 ტოტი ხმელი ბეგქონდარა, მარილი და პილპილი გემოვნებით, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ღუმელი 200 გრადუსზე გაახურეთ. ხახვი ალყა-ალყა დაჭერით. ფორთოხალი გაფცქვენით, მოაშორეთ თეთრი რბილობი და ნაყოფი დაჭერით. ლიმონი თხლად დაჭერით. კალმახს მოაყარეთ მარილი და პილპილი. მუცელში მოათავსეთ ბეგქონდარას ტოტები და მოასხით ლიმონის წვენი. თევზის მუცელსა და ლაყუჩების ადგილას მოათავსეთ ხახვისა და ფორთოხლის ნაჭრები. ტაფას წაუსვით ზეთი, ზედ დააწყვეთ თევზები ლიმონის ნაჭრებთან ერთად და 25-30 წუთის განმავლობაში ღუმელში გამოაცხვეთ.



## დეკორი – საყვავილეები

ამ საყვავილეებს ორმაგი დანიშნულება აქვს: თუ მიწას ჩაყრით, მათში ცოცხალ ყვავილებს ჩარგავთ ან ხელოვნური ყვავილების ჩასაწყობად გამოიყენებთ.

ყურადღებით დახედეთ სურათებს. საყვავილეები მზადდება ჩვეულებრივი პოლიეთილენის ბოთლებისა და ლამაზი ქსოვილისგან, მაგალითად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ფერადი გიპიური.

ბოთლები დაჭერით თქვენთვის სასურველ ზომაზე. გარედან წაუსვით წებო-ემულსია და შემოკარით ქსოვილი. გვერდებზე, ზუსტად ერთმანეთის მოპირდაპირედ, გაუკეთეთ ორი ნახვრეტი და ლამაზი თოკით ან ლენტით ჩამოსაკიდიც დაუმაგრეთ. თუ მიწას ჩაყრით და მასში ყვავილების ჩარგვას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ საყვავილეს ძირზე კიდევ ერთი, ოდნავ ფართო ნახვრეტი უნდა გაუკეთოთ.



## მხიარული თაროები

ძალიან ადვილად შეიძლება კომფორტული, საჭირო და მხიარული თაროების გაკეთება ბავშვების ან თქვენი ოთახისთვის. გამოიყენეთ ციტრუსის გადასატანი ხის ყუთები. შეღებეთ ისინი სხვადასხვა ფერის საღებავით. ერთმანეთზე კი ჩვეულებრივი „პეტლებით" გადააბით. ძალიან ლამაზია, ინტერიერსაც უხდება და, თან, მოსახერხებელია.

* მაიონეზიანი სალათა განსაკუთრებულ გემოს შეიძენს, თუ სუფრასთან მიტანამდე, რამდენიმე ხნით ადრე, მასში ლიმონის ქერქს ჩაუმატებთ.

34-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 4 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00, 02.40 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"კრიმინალური სეზონი"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 21.00 ტ/სერ. **"ბედისწერის ანრდილი"** 22.00 მხ/ფ **"უშენოდ მგონი მოვკვდები"** 23.40 მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** 01.30 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"**" 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "ნანუკას შოუ" 23.30 მხ/ფ. 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.00 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია** 17.35 გადაცემა "მონიტორი" 18.45, 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 0.00 მხ/ფ **"უკანასკნელი მეტრო"** 2.30 "ბიზნეს კონტაქტი" 3.30 მხ/ფ **"სასტუმრო ნიუ ჰემპშირში"**.

06.45 სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35, 04.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"უდანაშაულო"** 11.20 სერ.**"ივნისის ღამე"** 3 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40 სერ.**"მენეკშე და ჰალილი"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 18.45, 19.03 სერ. **"დაკარგული"** 3 სერ. 20.55 სერ. **"შურისძიება"** 2 სერ. 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 EMERGENCY – სასწრაფო დახმარება 01.00 მხ/ფ **"ფარული მუქარა"** (ჯ.ტრავოლტა) 02.45 მხ/ფ **"რეალური სიყვარული"** (კ.ნაიტლი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ეთნოგრაფიული ჩანახატი 07.00 დ/ფ "წმინდა მაქსიმე აღმსა-რებელი" 07.20 მწვანე არქიტექტურა 07.45 ტელეზღაპარი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ჩვენი საგანძური 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 მოკ/ფ **"სამი ამბავი ტელეფონით"** 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ტელეზღაპარი 15.20 კონცერტი - თამარ და ნათია ბერაიები 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"სინემა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.35 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საქართველოს ქალაქები 23.35 დ/ფ "წმინდა ნეოფიტე ურბნელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 5 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" 11.00, 03.30 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"კრიმინალური სეზონი"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00 ტ/სერ. **"ბედისწერის ანრდილი"** 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 21.00 ტ/სერ. **"ბედისწერის ანრდილი"** 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"აგნოზია"** 03.00 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 23.30 მხ/ფ. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.00 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია** 17.35 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 18.45, 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 0.00, მხ/ფ **"მუქარა"** 2.30 "ბიზნეს კონტაქტი" 3.30 მხ/ფ **"ლეიკ-სიტი"**.

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"**. 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 03.45 ქრონიკა 10.05 სერ. **"უდანაშაულო"** 11.20 სერ.**"ივნისის ღამე"** 4 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40 სერ.**"მენეკშე და ჰალილი"** 17.35 სერ. **"ბოშა ქალი"** 18.45, 19.03 სერ.**"დაკარგული"** 4 სერ. 20.55 სერ. **"შურისძიება"** 3 სერ. 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ **"იღბლიანი სლევინი"** (ბ.უილისი) 02.10 მხ/ფ **"ცუდი დედიკო"**.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "წმინდა ნეოფიტე ურბნელი" 07.00 ჩვენი საგანძური 07.15 საქართველოს ქალაქები 07.45 ტელეზღაპარი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "ივერიის ეკლესია" 11.00 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"სინემა"** 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ტელეზღაპარი 15.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.50 კონცერტი - ვაჟა დურგლიშვილი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ/ფ **"საერთო კედელი"** 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მწვანე არქიტექტურა 22.25 დ/ფ "გურული ფირალები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკა" კარბელაშვილები 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 6 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00, 02.40 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"კრიმინალური სეზონი"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ბედისწერის ანრდილი"** 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ: I სტუდია 23.30 მხ/ფ **"ნილაბი"** 01.30 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"**" 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.00 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "ID" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია** 17.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 18.45, 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 0.00, მხ/ფ **"წყალქვეშა ნავი"** 2.30 "ბიზნესკონტაქტი" 3.30 მხ/ფ **"მიდი დაამგდე"**.

06.45 სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.50 ქრონიკა 10.05 სერ. "**უდანაშაულო**" . 11.20 სერ."**ივნისის ღამე**" 5 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."**მენეჯერი და ჰალილი**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 18.45, 19.03 სერ."**დაკარგული**" 5 სერ. 20.55 სერ. "**შურისძიება**" 4 სერ. 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "**გატაცებული**" (ჯ.ლუკასი) 02.00 მხ/ფ "**თავშესაფარი**" (ჯ.რ.მეიერსი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ეთნოგრაფიული ჩანახატი 06.55 ტელეზღაპარი 07.10 დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკა" კარბელაშვილები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მწვანე არქიტექტურა 11.00 ღვთის სახლი 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ/ფ "**საერთო კედელი**" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ტელეზღაპარი 15.20 კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი 16.05 დ/ფ "გამჭოლი მოქმედება" 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**მოცურავე**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "მოკითხვა უთხარით საქართველოს" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 7 თებერვალი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "**რთული ბავშვი**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**დედამამისშვილები**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – "**მარიამ სტიუარტი**" 11 გად. 14.00 **კალათბურთი**. საქართველოს სუპერლიგა 16.30 ქართ. მხ/ფ 19.00, 02.20 "ეტალონი" 21.00 ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**კიდევ ერთი წელი**" 03.20 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ. მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქერის უბანი 14.00 სიცილის ზონა 15.30 მარაო 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 00.30 მხ/ფ. 02.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00 **სერიალი "რვაფეხა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "კარმა"** 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 მხ/ფ "**ფანტოცი გადის პენსიაზე**" 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00, 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 23.00 "მუსიკალური საღამოები" 0.00 მხ/ფ "**კოლუმბი**" 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 3.00, მხ/ფ "**გველის კოცნა**".

07.30 სერ. "**სონის შანსი**" 08.00 მხ/ფ "**ფანტომასი**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. "**მენეჯერი და ჰალილი**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 18.45, 19.03 სერ."**დაკარგული**" 6 სერ. 20.55 სერ. "**შურისძიება**" 5 სერ. 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" 1 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "**ფართო ნაბიჯით**" (ე.სკოტი) 01.10 მხ/ფ "**გატაცებული**" 02.45 ფარული კამერა.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 07.45 ტელეზღაპარი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ "**მოცურავე**" 13.30 მწვანე არქიტექტურა 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - "**აბესალომ და ეთერი**" 17.15 დ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ევრომასტერი 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 დ/ფ "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე" 22.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" I ნაწ.

## კვირა 8 თებერვალი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "**ბეთჰოვენი**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**დედმამისშვილები**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 მხ/ფ "**ცხოველთა ფერმა**" 15.00 "ქართული ჯარი" 15.30 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 მხ/ფ "**მშობლები**" 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 მხ/ფ "**შევეგუღება**" 01.20 მხ/ფ "**შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში**" (ჯ.დეპი) 03.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ. მხ/ფ. 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 00.30 სოციალური ცელი 01.00 მხ/ფ. 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00 **სერიალი "რვაფეხა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "კარმა"** 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 ქართ ფილმი "**ხევსურული ბალადა**" 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია** 17.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები" 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00, 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 0.00, მხ/ფ "**პიანინო**" 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 3.00 მხ/ფ "**შენით დავიღალე**".

07.30 სერ. "**სონის შანსი**" . 08.00 მხ/ფ "**ფანტომასი სკოტლენდ იარდის წინააღმდეგ**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" 1 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 14.45 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.25 ერთხელ საქართველოში 17.30 ორი ვარსკვლავი 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "**ხაზი**" (რ.ლიოტა) 01.20 მხ/ფ "**ფართო ნაბიჯით**" (ე.სკოტი) 02.45 ფარული კამერა.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "**დანაშაული მოხდა**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ევრომასტერი 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახელები 17.25 დ/ფ "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე" 18.25 დროის ჩანაწერები 19.15 მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "დავით აღმაშენებელი" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" II ნაწ.

# რატომ ითვლება ჭიპი სიკვდილისა და სიცოცხლის ცენტრად და არის თუ არა საშიში ყურისა და ცხვირის გახვრეტა

მოდას აყოლილი ახალგაზრდები ხშირად არ ითვალისწინებენ ასტროლოგიურ კანონებს, იხვრეტენ სხეულის ამა თუ იმ ორგანოს და ათასგვარ სამკაულს იკეთებენ. არადა, ეს ძალიან საშიში ტენდენციაა, რადგან, თუ ამაში სწორად ვერ ერკვევი, შესაძლოა, ორგანიზმს დიდი ზიანი მიაყენო და დაავადებაც გამოიწვიო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ადამიანი კოსმოსური კანონების მონაა და ამ კანონებიდან არ უნდა გადაუხვიოთ. ადამიანს მართავს 12 ძირითადი მერიდიანი. არის კიდევ დამხმარე მერიდიანებიც, ანუ, ენერგოვიბრაციული ველების მქონე არხებიც, რომლებსაც გადააქვთ ნათელი კოსმიური ენერგია ძირითად ენერგოცენტრებთან და ორგანოებთან. ამიტომ, ადამიანის ვიბრაციების ველები უნდა იყოს აუცილებლად სუფთა. მაგრამ, ხიფათი ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს, ანუ, შესაძლოა, ეს ბიოველები, მერიდიანები დაბინძურდეს. მერიდიანების დაბინძურება კი ძირითადად ორი გზით ხდება: შიდა ფაქტორებით – ნეგატიური სიტყვით, ქმედებით, აზრით, უკონტროლო მოქმედებით; ან, გარე ფაქტორებით – თვალით, ჯადოთი და ასე შემდეგ. არსებობს კიდევ ერთი დამაბინძურებელი ფაქტორი, როცა არასწორი მოქმედების შედეგად, ადამიანი თავის სხეულთან მიმართებაში ჭედავს ენერგიის მსვლელობას, ანუ, ენერგია არ გადის გარკვეულ მერიდიანში და შემდეგ ის სადღაც იჭედება. ამ პროცესს ექსტრასენსები გრძნობენ. ის ადგილი გამაგრებულია, რადგან ენერგია აღარ ცირკულირებს. როგორც კი ენერგიის მოძრაობა შეყოვნდება ან შეჩერდება, ადამიანს პრობლემები ეწყება: ძირითადად, ამ დროს იტკივებს რომელიმე იმ ორგანოს, რომელთანაც მიდის ის ენერგომერიდიანი. მაგალითად, როცა ყურს იხვრეტენ, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამ დროს ენერგომერიდიანების სპეციალისტს უნდა მიმართოთ, რადგან, ყური, კონკრეტულად კი – ბიბილო, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერტილი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენერგოცენტრი. თუ გსურთ, ჯანმრთელობა არ დაიზიანოთ, ეს უნდა გაითვალისწინოთ. თუ ყურის გახვრეტის დროს არ იცით, რა ენერგოცენტრზე ხდება ამ დროს ზეგავლენა, შესაძლოა, სერიოზული დაზიანება მიიღოთ.

თუ ჯანმრთელი ადამიანის ენერგიის ცირკულაცია საკმაოდ სალია და ნორმალური, მან, ჯანმრთელობის ხარჯზე, შეიძლება, ეს დარღვევა თავდაპირველად ვერ აღიქვას და ერთიორი წლის განმავლობაშიც კი ვერ შენიშნოს ცვლილება, მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, ენერგიის მოძრაობა სუსტდება და ეს მეტად იგრძნობა. სწორედ აქ ხდება ენერგიის დაგროვება, მისი არასწორი გადანაწილება. ესე იგი, რომელიღაცა ორგანო ზიანდება და შემდეგ მისი მკურნალობა ველარ ხერხდება. იგივე ითქმის ცხვირის გახვრეტასთან დაკავშირებითაც. ასევე, მოდაშია ყურის ბიბილოზე რამდენიმე ნახვრეტის გაკეთება. ამ დროს ყურადღება ნახვრეტების რაოდენობასაც უნდა მიაქციოთ – უნდა იცოდეთ, როგორია თქვენი ენერგია, ვიბრაციული რიცხვი. მაგალითად, თუ თქვენი ვიბრაციული რიცხვი დაბადების მომენტისთვის არის სამი, კარგია, თუ ყურზე სამი ნახვრეტი გექნებათ; მაგრამ, თუ ასეთ შემთხვევაში, ოთხ ნახვრეტს იკეთებთ, თქვენ დისონანსი შეგაქვთ საკუთარ ორგანიზმში და იზიანებთ ჯანმრთელობას.

ჩვენ გვაქვს აორტა, ვენური სისტემა, და კაპილარების სისტემა, რომლებიც გადის სხეულის თითოეულ უჯრედში. ელექტრომერიდიანებსაც დატოტვილი სისტემა აქვს, ანუ, მათ აქვთ უნარი, გადაიტანონ ენერგია და გადაანაწილონ ის მთელ სხეულზე. კაპილარებს შორის არის მცირეოდენი ადგილები, ამიტომ, საჭიროა, ნებისმიერი ორგანოს გახვრეტის დროს დააკვირდეთ, რომ ნახვრეტის ადგილას კაპილარი არ გადიოდეს, რათა ნემსი არ მოხვდეს მერიდიანის კაპილარს. ნემსი კაპილარების შუაში უნდა გაატაროთ. თუ ის მოხვდა ენერგომერიდიანის გამტარ კაპილარზე, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ აუცილებლად დაგუბდება ენერგია, რომელიც არ მისცემს საშუალებას, ასაზრდოოს ის ორგანო, საითაც მიდის ეს ენერგია და, ადრე თუ გვიან, ამ ადამიანს დაეწყება ამ ორგანოსთან დაკავშირებული პრობლემები.

ჭიპი არის ადამიანის ძირითადი ენერგოცენტრი და ის სიკვდილისა და სიცოცხლის ცენტრად იწოდება. როცა ადამიანი იმქვეყნად მიდის, სიკვდილის ენერგიის გასვლა ხდება კუდუსუნიდან, რომელიც გადმოდის კინკრიხოზე და მიედინება სიკვდილის ენერგოცენტრში, ანუ, ჭიპის მიდამოში. ეს პროცესი დაახლოებით წუთნახევარი მიმდინარეობს და ყველაზე აუტანელი, მძიმე და საშინელია, თანაც, ადამიანი ამ დროს გაუსაძლის ტკივილს გრძნობს. როგორც კი ეს ენერგია ენერგოცენტრში გადავა, ადამიანი შვებას განიცდის. ასტროლოგიურად, აუცილებელია, თავისი ენერგიის სწორად მართვა ვიცოდეთ და საკუთარ სხეულს უფრო გონივრულად მივუდგეთ, რომ ღრმა სიბერემდე ჯანმრთელად და ბედნიერად ვიცხოვროთ.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2004 წლის 12 მაისს, ღამის საათებში. რომელ სფეროში გაუმართლებს მას სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ელის სასურველი საქორწინო თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა: მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. არ არის სასურველი ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, პედაგოგიური სფერო, სპორტი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსიქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები, გამოირჩეოდეს ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს; იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. დაეყრდნოს ინტუიციას, შეეძლოს საიდუმლოს დაცვა.

**კითხვა: დავიბადე 1985 წლის 3 დეკემბერს, დილით. მინდა უცხოეთში გამგზავრება. იქნებ, მირჩიოთ, რომელი ქვეყანა ჯობია და, ასევე, მაინტერესებს, ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის მშვიდი და ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა თხის რქის, მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულის ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. უცხოეთიდან კი კარგია: მექსიკა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, საბერძნეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, მაკედონია, ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1986 წლის 18 იანვარს. რომელ დარგში მიაღწევს წარმატებას?**

**პასუხი:** მისთვის კარგი და მისაღებია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა; ავიაციის ბიზნესი, მთარგმნელობითი საქმე, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პოლიტიკა, სამართლებრივი ორგანოები, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა და პედაგოგიკა.

# კვირის ჰოროსკოპი

### ვერძი
მოიმატებს კონტაქტები. გამოავლინეთ ორგანიზატორული ნიჭი და გაატარეთ რეფორმატორული იდეები. ხელმძღვანელი პირები შრომას დაგიფასებენ. ნაკლებად გაითვალისწინეთ სხვების რჩევები და იმოქმედეთ დამოუკიდებლად. თავი აარიდეთ ოჯახში უთანხმოებას და საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან.

### კურო
კარგია დამატებითი ცოდნის მიღება, რათა წარმატებებს მიაღწიოთ საქმეში. იყავით პრაქტიკული. გაძლიერდება თავდაჯერებულობა. არ არის გამორიცხული, ახალი სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყოთ, თუმცა მოერიდეთ ეჭვიანობას და ნუ წამოაყენებთ მკაცრ მოთხოვნებს. გააკონტროლეთ ემოციები.

### ტყუპები
მოიმატებს ენერგიულობა და აქტიურობა, თუმცა პირად ურთიერთობებში მოსალოდნელია დაბნეულობა. გაიზრდება შემოსავალი. ნუ იკამათებთ მშობლებთან წვრილმანების გამო. არ გირჩევთ მოგზაურობას და ორგანიზმის ზედმეტად გადატვირთვას. ხშირად დაისვენეთ.

### კირჩხიბი
სამსახურში მოსალოდნელია კრიზისული სიტუაციები, ამიტომ მიიღეთ გადაწყვეტილებები სწრაფად. პირადი პრობლემების გამო, გაგიჭირდებათ მუშაობა და პროფესიული საქმიანობა. დაქვეითებული ენერგეტიკა პრობლემებს შეგიქმნით ჯანმრთელობის კუთხითაც. ამიტომ, ეს კვირა განვლეთ ფრთხილად.

### ლომი
იყავით მეტად მონდომებული და ყველაფერი გამოგივათ. ადრე დასახული გეგმები მშვიდად განახორციელეთ. შესაძლოა, პირადი ცხოვრების პრობლემებზე მოგიწიოთ ფიქრი და მიხვიდეთ დასკვნამდე, რომ რაღაც უნდა შეცვალოთ. კარგია მოგზაურობა.

### ქალწული
არ გირჩევთ უცხოელებთან კონტაქტს. ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური, რათა დეპრესია თავიდან აიცილოთ. მოერიდეთ სხვების კრიტიკას. პირად ცხოვრებაში ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა. არ გირჩევთ მოგზაურობას. კარგია ფიზიკური ვარჯიშები.

### სასწორი
შეიგრძნობთ სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას, გაძლიერდება ინტუიციაც და შემოქმედებითი ხედვის უნარი. სამსახურში მოსალოდნელია წარმატებების ადვილად მიღწევა. კონტაქტები კი გაზრდის შემოსავალს. ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს და მეტი დრო გამონახეთ მათთან საკონტაქტოდ.

### მორიელი
გამძაფრდება შეგრძნებები და ფანტაზიის უნარი. მოერიდეთ დიდი შენაძენების გაკეთებას და ფულის უმიზნოდ ხარჯვას. მომხიბვლელობით გარშემო მყოფების ყურადღებას დაიმსახურებთ. საყვარელ ადამიანთან კი დროულად მოაგვარეთ საკითხები, რათა შემდგომში ეჭვიანობამ ურთიერთობა არ გაართულოს.

### მშვილდოსანი
რადიკალურად შეიცვლება ცხოვრებისეულ მოვლენებზე თქვენი დამოკიდებულება და შეხედულებები. დამატებითი საქმე დამღლელი იქნება, თუმცა შემოსავლების მხრივ, დადებითი. ხშირად გამონახეთ დრო დასვენებისთვის. სიყვარულში კი ყველაფერი კარგად განვითარდება.

### თხის რქა
ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად, აუცილებელია შემოსავლის ახალი წყაროს მოძიება დაიწყოთ. დიდი დრო დაუთმეთ ოჯახს და ბავშვებს. აუცილებლად გადაამოწმეთ თქვენამდე მოსული ინფორმაცია, სანამ მას გამოიყენებთ. საყვარელ ადამიანთან კი წინასწარ გაიაზრეთ ნებისმიერი ქცევა.

### მერწყული
გაგიადვილდებათ რთული სიტუაციებიდან თავის დაძვრენა. კარგია ცოდნის გაღრმავება და იმიჯის შეცვლა. ეცადეთ, არ გადაიღალოთ ყოველდღიური საქმიანობით და ხშირად დაისვენოთ, რათა ძალები აღიდგინოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

### თევზები
არ გირჩევთ ახალი საქმის წამოწყებას. მეტი ყურადღებით ხარჯეთ ფული. ნუ იქნებით მეოცნებე და რეალურად გადააფასეთ ცხოვრება. შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება სასიყვარულო პარტნიორის მიმართ. მოგინდებათ ძველის დანგრევა და ახლის დაწყება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 18 თებერვალი, 23:50 სთ.**

### ორშაბათი
მოერიდეთ სესხის აღებას, მოგზაურობას, ფულის ვალად გაცემას. ნუ აჰყვებით ილუზიებს და გონივრულად გადაწყვიტეთ საკითხები. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარგალიტი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია რაიმეს შეძენა, მეგობრული ურთიერთობები. სუსტდება კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, კუროებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისვის.*

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე
მოაგვარეთ გადაუდებელი საქმეები და იზრუნეთ ფინანსური საკითხების მოგვარებაზეც. კარგია იურიდიული საქმიანობა, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, მშენებლობის დაწყება, თმის შეჭრა, თავის მოვლა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მთის ბროლი, ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისითვის, თევზებისთვის.*

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე
ამ დღეს სავსემთვარეობაა, მოჭარბებულია კოსმიური უარყოფითი ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, აგრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ შინდისფერი, ლურჯი, ყვითელი, კრემისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, გიშერი, სარდიონი, ქარვა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, გართობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.*

### ხუთშაბათი
შეამცირეთ აქტიურობა. გადაწყვიტეთ პირადი პრობლემები. აკონტროლეთ ემოციები, იმოქმედეთ პრაქტიკულად. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, სწავლა, ვაჭრობა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე
არ არის სასურველი სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ყავისფერი, ნარინჯისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, საქმიანი შეხვედრები, დიეტის დაწყება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.*

### შაბათი
დაიცავით სამართლიანობა. არ არის სასურველი გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, ყოველდღიური საკითხების მოგვარება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ჰელიოტროპი, ლაბრადორი ან ობსიდიანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ ჩაერევით სხვის საქმეში, მათი თხოვნის გარეშე. კარგია ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ყელი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### კვირა
### გეომაგნიტური დღე
ნუ იქნებით ზედმეტად ამაყი და უმადური. უფრო მეტად დაისვენეთ. მოერიდეთ არაორდინარულ მოქმედებებს. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. არ გირჩევთ მოგზაურობას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, ფირუზი ან ტოპაზი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კონტაქტები, გართობა, ხელოვნებასთან ურთიერთობა, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი, ფარისებრი ჯირკვალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# შეგიძლია, იყო საქმიანი?

*ამბობენ, საქმოსნის ალღო თუ არ გაქვს, ვერასდროს იშოვი დიდ ფულს და, ჯობია, არც ბიზნესს მოჰკიდო ხელიო. ნახეთ, თქვენ რა შეგიძლიათ...*

**1. სერიოზული საქმე გაქვთ დასასრულებელი. ამ დროს გირეკავთ ადამიანი, რომლის მიმართაც გულგრილი არ ხართ და შეხვედრას გთხოვთ:**

ა) ეუბნებით: „მოგვიანებით, სიხარულო,“ – და კბილების ღრჭიალით ამთავრებთ საქმეს – 5 ქულა;

ბ) დაუფიქრებლად გაიქცევით შეხვედრაზე – 3 ქულა;

გ) არავითარი შეხვედრები, საქმე უმთავრესია! – 10 ქულა.

**2. თქვენ წინაშე არჩევანია: ან უნდა ნახვიდეთ და კარგად გაერთოთ, ან, ბოლოს და ბოლოს, მოაწესრიგოთ თქვენი დოკუმენტაცია:**

ა) მე ასეთი არჩევნის წინაშე არ ვმდგავარ. საქმე – საქმეა – 10 ქულა;

ბ) მივაფუჩეჩებ საქმეს და გასართობად გავიქცევი – 5 ქულა;

გ) გართობის შანსს ხელიდან ვერაფრით გავუშვებ – 3 ქულა.



**3. გთხოვენ, იმ საქმეს მოჰკიდოთ ხელი, რომელიც რამდენიმე ადამიანს არ გამოუვიდა:**

ა) რა პრობლემაა, ვცდი და გამომივა – 10 ქულა;

ბ) ბევრ საქმეს მოვიმიზეზებ და უარს ვიტყვი – 3 ქულა;

გ) მიჭირს პასუხის გაცემა. არ ვიცი, როგორ მოვიქცევი – 5 ქულა.

**4. საქმიანი ადამიანები ტანსაცმელში დიდ ფულს არ ხარჯავენ და სერიოზულად არ უყურებენ ჩაცმას. თქვენ რას ფიქრობთ?**

ა) პირიქით, ჩემთვის ჩაცმა და ჩასაცმელი ძალიან მნიშვნელოვანია – 3 ქულა;

ბ) მიყვარს გემოვნებით და კარგად ჩაცმა. ეს სასიამოვნოა – 5 ქულა;

გ) თუ ცუდად მეცმევა, ჩემთან საქმეს ვინ დაიჭერს? მგონი, პირიქითაა ყველაფერი – 10 ქულა.

**5. მეგობრობა – შესანიშნავია! თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ მათ მიმართ?**

ა) არაჩვეულებრივი. მათი დახმარებით ვაგვარებ ჩემს საქმეებს – 10 ქულა;

ბ) მძიმე წუთებში მეგობრების იმედი მაქვს – 5 ქულა;

გ) მე მხოლოდ მეგობრების იმედად ვარ: რასაც მირჩევენ, იმას ვაკეთებ – 3 ქულა.

**6. ხართ თუ არა ყურადღებიანი საყვარელი ადამიანის მიმართ, მაგალითად, როცა გაგვიანდებათ, ურეკავთ და საქმის კურსში აყენებთ?**

ა) რა სისულელეა. სად მაქვს დრო, ყოველ წუთს ვურეკო? – 10 ქულა;

ბ) როცა დრო მაქვს, მთლიანად მას ვუთმობ – 5 ქულა;

გ) აუცილებლად. ეს უმთავრესია, საქმე მოიცდის – 3 ქულა.

**7. პირადი ცხოვრება აქვს ყველას, ყველაზე საქმიან ადამიანებსაც კი. თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს პირად ცხოვრებას?**

ა) სახლი და ოჯახი – ეს ჩემი ცხოვრებაა – 3 ქულა;

ბ) ოჯახს, სახლსა და პირად ცხოვრებას თავისი ადგილი აქვს – 5 ქულა;

გ) მთელი ცხოვრება დავუთმო პირადს? – არავითარ შემთხვევაში! მე სიმაღლეების მიღწევა მინდა, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს – 10 ქულა.

**8. იცით, როგორ დაისვენოთ სწორად და როგორი აუცილებელია ეს ნორმალური საქმიანობისთვის?**

ა) ვიცი, როგორ დავისვენო სწორად, მაგრამ, ყოველთვის ვერ ვახერხებ ამას – 5 ქულა;

ბ) დასვენებაში არ არის ბედნიერება, მთავარია საქმე, საქმე და საქმე! – 10 ქულა;

გ) ხშირად ვინებივრებ თავს კარგი დასვენებით – 3 ქულა.

### დათვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:

*60 ქულაზე მეტი: თქვენ ჩვეულებრივი საქმოსანი ხართ, ამის სერიოზული ნიჭი გაქვთ და სულ წინ და წინ მიიწევთ. ისახავთ მიზანს და აღწევთ კიდეც მას. იქნებ, დროა, შეჩერდეთ და ცოტა ამოისუნთქოთ?! ბოლოს და ბოლოს, რისთვის შრომობთ ამდენს, თუკი ერთხელ მაინც არ დატკბებით თქვენი შრომის ნაყოფით?! ფრთხილად, რობოტად არ იქცეთ, ან, მარტოსულ, მარტოხელა და უგულო ადამიანად.*

*35-60 ქულა: თქვენ იცით საკუთარი შესაძლებლობები და, შეგიძლიათ, ძალიან საქმიანი ადამიანი, უფრო სწორად, საქმოსანი გახდეთ, მაგრამ ამას მთელ ცხოვრებას ვერ შესწირავთ, რადგან, იცით, როგორ უნდა სიცოცხლით ტკბობა და ეს ძალიან კარგია.*

*35 ქულამდე: ძალიან ქარაფშუტა და უპასუხისმგებლო ბრძანდებით. არანაირი საქმე არ გამოგივათ. შეეცადეთ, კეთილსინდისიერად შეასრულოთ ის სამუშაო, რასაც დაგავალებენ.*


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.


## რა მოხდა ამ დღეს

### 2 თებერვალი

962 – გერმანიის მეფე ოტო პირველმა რომის პაპ იოანე მეთორმეტისის ლოცვა-კურთხევით დააარსა „საღვთო რომის იმპერია“.

1536 – ესპანელმა პედრო მენდოსამ დააარსა ქალაქი ბუენოს-აირესი.

1852 – ლონდონში ფლიტ-სტრიტზე გაიხსნა მსოფლიოში პირველი საზოგადოებრივი საპირფარეშო.

1947 – ბაზარზე გამოვიდა „პოლაროიდის“ ფირმის პირველი ფოტოაპარატები, სურათის მომენტალური გამჟღავნებითა და დაბეჭდვით.

### 3 თებერვალი

1815 – შვეიცარიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ყველის ქარხანა.

1863 – თავისი პირველი იუმორისტული ნაწარმოები გამოაქვეყნა სემუელ კლემენსმა, ფსევდონიმით – მარკ ტვენი.

### 4 თებერვალი

1906 – ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში გადაწყვიტეს, დამნაშავეთა იდენტიფიკაციისას თითის ანაბეჭდების გამოყენებინათ.

1971 – ბანკროტად გამოცხადდა ფირმა „როლს-როისი.“

### 5 თებერვალი

1816 – რომში შედგა ჯოაკინო როსინის ოპერა „სევილიელი დალაქის“ პრემიერა.

1904 – გამოცხადდა კუბის დამოუკიდებლობა.

1983 – დანიაში, ქალაქ ოდენსში, მაკულატურის გროვაში შემთხვევით იპოვეს მოცარტის უცნობი სიმფონია.

1991 – ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეს ეწოდა ბიშკეკი.

### 6 თებერვალი

1191 – პაპმა კლიმენტი მესამემ დაამტკიცა ტევტონთა რაინდული ორდენი.

1901 – პარიზში სარკინიგზო სადგურებზე გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი ტელეფონები.

1934 – ფაშისტური პუტჩის წარუმატებელი მცდელობა საფრანგეთში.

2004 – ტერაქტი მოსკოვის მეტროში, დაიღუპა 42 ადამიანი.

### 7 თებერვალი

1914 – ჩარლი ჩაპლინი პირველად გამოჩნდა ეკრანებზე თავისი ჩვეული სახით – ტროსტით, პატარა ულვაშებითა და შლაპით.

1922 – მარია კიური იყო პირველი ქალი, რომელიც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა.

1933 – დაფიქსირდა მეოცე საუკუნის უძლიერესი ღელვა – სან-დიეგოსთან ტალღების სიმაღლე 34 მეტრი იყო.

### 8 თებერვალი

1807 – მოხდა ბრძოლა პრეისიშ-ეილაუსთან. ეს იყო პირველი ბრძოლა, რომელიც ნაპოლეონის არმიამ ვერ მოიგო (თუმცა არ დამარცხებულა).

1837 – დუელზე დანტესმა მოკლა პუშკინი.

1919 – გაიხსნა სამგზავრო ავიახაზი – პარიზი-ლონდონი.

1924 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად მოიყვანეს სისრულეში სასიკვდილო განაჩენი გაზის კამერის მეშვეობით.

# სიყვარული ნისიად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №4-5(736)

„ეს უფრო კარგი გოგო ჩანს, ვიდრე მაკა", – გაიფიქრა ვერიკომ, სიგარეტი ამოიღო და, სანამ ბიჭები დაფაცურდებოდნენ, თვითონ მოუკიდა.



– ერთმა ქალმა უთხრა, ცოლი ღალატობსო და დაიჯერა.

– როგორ, ასე, ვიღაცის თქმით დაიჯერა? – რატომღაც გაბრაზდა ვერიკო.

– ხომ იცი, ორნაქმარევი, მდიდარი მშობლების გათამამებული შვილი... მოკლედ, თეორიულად, ძნელი დასაჯერებელი არ არის.

– მერე, ვერ აუხსენი? ვერ დაარწმუნე?

– რა უნდა მეთქვა, დედას გაფიცებ, მამას გეფიცები, არ მიღალატია-მეთქი?!

– მაინც უნდა გეცადა. მთავარია...

– მთავარი ის არის, რომ მან დაიჯერა! თანაც – მაშინვე! ეჭვიც კი არ შეჰპარვია, ისიც კი არ უთქვამს, რითი დამიმტკიცებო... ყველაზე მეტად იმაზე მტკივა გული, რომ დასაშვებად ჩათვალა ჩემი ორგულობა, არადა, იცოდა, რომ პათოლოგიურად მიყვარდა...

– ახლაც გიყვარს, ხომ ასეა? – ვერიკოს ხათუნასთვის თავზე ხელის გადასმა და მოფერება მოუნდა...

– ჰო, მიყვარს, მაგრამ, უნდა მოვერიო ამ სიყვარულს.

– შეიძლება, აწყობდა, რომ დაეჯერებინა, ანუ, იმ ქალის სიტყვები საბაბი იყო?

– რისი საბაბი?

– იმის, რომ სხვა ქალთან უნდოდა წასვლა და მიზეზს ეძებდა.

– სწორედ იმ „სხვა" ქალმა უთხრა, ღალატობსო.

– ვინ არის ის ქალი? – დაინტერესდა ვერიკო.

– გუჯიზე ოცი წლით უფროსი, საკმაოდ საეჭვო წარსულის მქონე ბებია, მაგრამ, იმ ქალში არ არის საქმე, მთავარი ისაა, რომ მას ჩემს სიყვარულში შეეპარა ეჭვი. ასეთი ტკივილი და შეურაცხყოფა არც პირველ ქმარს მოუყენებია, რომელიც თვითონაც კაიფობდა და მეც მაძალებდა ნარკოტიკს, რის გამოც თავქუდმოგლეჯილი გამოვექეცი და, არც მეორეს, რომელიც სიფხიზლეში ანგელოზი იყო, მაგრამ, პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა და, როცა დალევდა, ცემასაც არ მაკლებდა... მაგრამ, მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ორივე მალე მოვინელე და გადავიტანე, შეიძლება, იმიტომაც, რომ, მეგონა, მიყვარს-მეთქი, მაგრამ, სინამდვილეში არ მიყვარდა არცერთი; აი, გუჯიზე კი, შეიძლება ითქვას, ვაფანატებდი... მისთვის თვალის დაუხამხამებლად გადავხტებოდი კლდიდან, ჩავუვარდებოდი მატარებელს... იცოდა ეს ყველაფერი და მაინც დაიჯერა – ამას ვერასდროს ვაპატიებ. ეს რომ გავაცნობიერე, მივხვდი, რომ მასთან ვეღარ ვიცხოვრებდი და...

– შენ თვითონ გაეყარე? – მიხვდა ვერიკო.

– ჰო, მე ვუთხარი, გეყრები-მეთქი და მაშინვე წამოვედი.

მეგობრებმა იცოდნენ ხათუნას ამბავი, მაგრამ მაინც უსმენდნენ, თუმცა, ვერაფერში ეხმარებოდნენ – ცოლ-ქმრის ურთიერთობა ის თემაა, რომელშიც ყოველთვის ზედმეტია მესამე, თუნდაც ყველაზე ერთგული და ჭკვიანი ახლობლის ჩარევა.

რაღაცნაირად, ისე მოხდა, რომ ვერიკოსა და ხათუნას შორის ძალიან უშუალო დიალოგი გაიმართა – მათ თითქოს დაავიწყდათ, რომ მარტონი არ იყვნენ და ისე გულითადად საუბრობდნენ, როგორც უახლოესი, მაგრამ, დიდი ხნის უნახავი მეგობრები.

მაკა არ იყო მიჩვეული „თამაშგარე" მდგომარეობაში ყოფნას, ხათუნასა და ვერიკოს ასეთი უცაბედი დამეგობრება კი სწორედ ამას მოასწავებდა და, შესაძლოა, სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბულად განვითარებულიყო, ამიტომ, ბიჭებს თვალი ჩაუკრა და ვერიკოს მიმართა:

– ხათუნას რომ ასე დაწვრილებით აყოლებ ყველაფერს, თვითონ რატომ არაფერი მოგვიყევი?

– რა გაინტერესებს? – შეცბა ვერიკო.

– ყველაფერი: რამდენი წლის გათხოვდი, ვის გაჰყევი, როგორ დაქვრივდი, იმის მერე როგორ ცხოვრობდი...

– მგონი, სულ დაგავიწყდა იუბილარი, – პასუხზე თავის არიდება სცადა ვერიკომ, – წესით, ყველა თემა მის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

– აცილებებს არა ვართ, – მიუხვდა მაკა, – თუ საიდუმლო არ არის, გამეცი პასუხი.

– ბევრი არც არაფერი მაქვს მოსაყოლი, – ისევ სევდა ჩაუდგა თვალებში ვერიკოს, – პირველი კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი. სკოლა რომ დავამთავრეთ, ბანკეტიდან გავიპარეთ სერგის ძმაკაცის მანქანით, მაგრამ, ჩვენი მძღოლი ნასვამი იყო და მდინარეში გადავცვივდით. ის ძმაკაცი მაშინვე დაიღუპა, მე და სერგი ძლივს ამოგვიყვანეს მანქანიდან და საავადმყოფოში გაგვაქანეს. სერგი სამ დღეში გარდაიცვალა, მე კი ოთხი თვე ვიყავი აპარატზე შეერთებული და ჩემი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, მაგრამ, მოხდა სასწაული და დავუბრუნდი სააქაოს, თუმცა, ისეთი შოკი და სტრესი მქონდა, რამდენიმე წელი დავყავდი მშობლებს ხან სად და ხან სად...

– შენი შეყვარებული ისე მოკვდა, ვერც ხელის მოწერა მოასწარით, ვერც ჯვრის დაწერა. და ვერც სხვა რამე? – ნიუანსების დაზუსტება მოინდომა მაკამ.

ამ კითხვამ ყველა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, განსაკუთრებით – ვერიკო, მაგრამ, მაინც თავი შეიკავა უხეშობისგან და საერთოდ არ გასცა პასუხი, მაკამ კი იფიქრა, რომ თვითონ გახდა სიტუაციის ბატონ-პატრონი და ძალიან ხეპრულად წამოაყრანტალა:

– ესე იგი, ცელკა ხარ? კი მაგრამ, ხელი თუ არ მოგიწერიათ, ჯვარი არ დაგიწერიათ და ერთად არ წოლილხართ, რანაირი ქვრივი ხარ, რა, მოგწონს ეგ სტატუსი და იმიტომ იბრალებ?

– შენ ამას მაინც ვერ გაიგებ, – წამოდგა ვერიკო და გასასვლელისკენ გაემართა. პალტო რომ ჩაიცვა, ოთახში შემობრუნდა და უხერხულად გაჩუმებულ სტუმრებსა და მასპინძელს მტკიცედ უთხრა:

– ბოდიშს გიხდით, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ, მე აქ აღარასოდეს აღარ მოვალ.

– რატომ, ჩვენი დონე არ მოგეწონა? – მაკა „იაზვობას" არ იშლიდა.

– უზრდელებს ვერ ვიტან ბავშვობიდან, – შემწყნარებლურად გაუღიმა ვერიკომ, თეა გადაკოცნა, ბოდიში მოუხადა და კარი გაიკეტა.

ოთახში შებრუნებულმა თეამ საყვედურით შეხედა მაკას:

– არ შეგეძლო, ცოტა უფრო ტაქტიანად მოქცეულიყავი? შენ, შეიძლება, ცხოვრებაში აღარასდროს ნახო ეს გოგო, ჩვენ კი ერთ სამსახურში ვმუშაობთ და დილიდან საღამომდე ერთად გვიწევს ყოფნა. რა დაგიშავა, რატომ კბენდი გაუთავებლად?

– ნუ დაიწყებდა პერეხვატების გაკეთებას და არ დავკბენდი, – გაბრაზებით უპასუხა მაკამ, – მოსვლისთანავე ჯერ ერთს დაადგა თვალი და გამოიჩინა, მერე – მეორეს

– ვინ ერთს და მეორეს?

– ვითომ ვერ ხვდები! ჯერ ამ დებილს მოსდო ჩანგალი, – მაკამ ლაშასკენ გადააქნია თავი და თან შეუბღვირა, – მერე კი, პარალელურ რეჟიმში, მამუკას დაუწყო თვალების ჟუჟუნი, ალბათ, იფიქრა, ერთ-ერთს მაინც დავითრევო, მაგრამ, არ გამოუვიდა, ხომ მივაბუნძურე აქედან! თან, უზრდელიც რომ მიძახა მაგ თავხედმა! შენ გაგიწიე ხათრი, თორემ, მაგ სიტყვებს ვანანებდი! – ტყვიამფრქვევივით მიაყარა მაკამ და ბოლოს თავისი გამოსვლა ისეთი ქუჩური „ლოცვა-კურთხევით" დაავირგვინა, ბიჭებიც კი გაშტერდნენ.

თეა აიმრიზა. ჯერ იფიქრა, მდგომარეობას არ გავამწვავებო, მაგრამ, მიხვდა, რომ, თუ მაკას დროზე არ „მოსვამდა", მერე, შეიძლება, უფრო „გაჯეჯილებულიყო" და, არ იყო გამორიცხული, ეს საღამო კონფლიქტით დასრულებულიყო. მაგრამ, სანამ რამეს იტყოდა, მაკა ისევ გამოვიდა სიტყვაში:

– მე, იცი, რაზე მწყდება გული? იმ ვიღაც

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ახალგაცნობილი სტარაია დევას გამო, სხვებისთვის თავის შესაცოდებლად რომ დაირქვა ქვრივი, მე რომ მაძლევ შენიშვნებს, ამდენი ხნის დაქალს. თან, უმწიკვლოსაც რომ თამაშობს!.. ვიცნობ, მე ეგეთ პატიოსნებს! ვითომ კაცი არ უნახავთ, ვითომ ქალწულები არიან, სინამდვილეში კი გაცილებით უარესს კადრულობენ, ვიდრე ქუჩის მეძავები... სხვათა შორის, მშვენივრად შეგატყვე, რომ ერთ მომენტში შენც დაიძაბე და, მინდა აღვნიშნო, რომ იმავე მიზეზით, რამაც მე გამაღიზიანა, მაგრამ, რატომღაც თავი შეიკავე, რაც შენ ნამდვილად არ გგავს. იმ წუთას მე რომ ვყოფილიყავი, ანუ, მე რომ მექნა ის, რაც იმან ქნა, ასე გაჩუმდებოდი?

– მაკა შენ დღეს ძალიან ბევრი აიღე შენს თავზე; არც იმას გაუწიე ანგარიში, რომ ვერიკო ჩემს მეგობრად წარგიდგინეთ; არც იმას, რომ, იცი, ზედმეტი ტ...ის თამაში არ მიყვარს და, თან, პრაქტიკულად, ჩამიშალე დაბადების დღე, რომელიც სულ სხვანაირად მქონდა ჩაფიქრებული და დაგეგმილი; ამ ყველაფერთან ერთად კი, ახლაც პრავებს გვიკაჩავებ ყველას და ვერ ხვდები, რომ ძალიან შეტოპე... ამიტომ, შენს ყველა ეგრეთ წოდებულ პრეტენზიას ერთად გავცემ პასუხს და, იმედი მაქვს, მიხვდები, ამის შემდეგ როგორ უნდა მოიქცე, – თეა მაკას წინ, სავარძელზე ჩამოჯდა, მკაცრად შეხედა და განაგრძო: – დავიწყოთ იმით, რომ შენ ჩვენს სამეგობროში ლაშამ შემოგიყვანა, თან, არცთუ დიდი ხნის წინ და, შესაბამისად, ნამდვილად არ ხარ ჩემი დაქალი, მით უმეტეს – დიდი ხნის...

მაკამ უკმაყოფილება რაღაც უცნაური ჟესტით გამოხატა და საკმაოდ ნაწყენმა დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ თეამ წარბის აწევით შეაჩერა:

– ჯერ მე ვლაპარაკობ, ამიტომ, ნება იბოძე და ბოლომდე მომისმინე. რაც შეეხება ვერიკოს პირად ცხოვრებას, ეს არავის გასარჩევი და განსახილველი არ არის, ყველა ისე ცხოვრობს, მათ შორის – თითოეული ჩვენგანი, როგორც შეუძლია, როგორც ესმის, როგორც სინდისი ჰკარნახობს და როგორც გარემოებები უწყობს ხელს; ამიტომ, ნურავის განვიკითხავთ, მით უფრო, რომ ყოველ ჩვენგანს საკმაოდ მძიმე ტვირთი გვკიდია ზურგზე ჩვენი წარსული შეცდომების გამო და, ამიტომ, ჯობია, ჩუმად ვიყოთ...

– ახლა ისიც არ მითხრა, რომ შენც არ დაიძაბე და დაიზმენდი, მამუკამ რომ დაუწყო იმ შენს „წმინდანს" უხაჟივანიები, – ვერ მოითმინა მაკამ და სიტყვა შეაწყვეტინა.

თეას გულზე მოხვდა მაკას რეპლიკა, რადგან, მართლაც იყო ასეთი მომენტი, მაგრამ, არ უნდოდა ამის აღიარება და ამიტომ დამცინავი ღიმილით უპასუხა:

– შენ გინდა თქვა, რომ ვიეჭვიანე? ძალიან ცდები, ჩემო კარგო და ეს იმიტომ მოგდის, რომ ჯერ კიდევ არ მიცნობ კარგად. ჯერ ერთი, საერთოდ არ ვარ ეჭვიანი; მეორეც, მე არავინ მყავს დასაკარგი, ანუ, თუ საქმე საქმეზე მიდგა, კაცებს უნდა ეშინოდეთ, რომ მე არ დამკარგონ... თანაც, მამუკასთან არაფერი მაკავშირებს გულწრფელი მეგობრობის გარდა... – თეამ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, რადგან ამ სიტყვების გაგონებისას მაკამ ირონიულად გაიცინა, თან, საკმაოდ ხმამაღლა და, გადაწყვიტა, ამ ყველაფრისთვის ბოლო მოეღო: გოგოს გამანადგურებელი ღიმილით შეხედა და პირდაპირ უთხრა: – აღარ დაგღლი ლაპარაკით, ჩემო კარგო, მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ჩვენს სამეგობროში აშკარად ვერ ჩაეწერე. სიმართლე გითხრა, ძალიან მაღიზიანებს შენი ძველბიჭური გამოხტომები და ბირჟავიკული ჟარგონები, თუმცა, რაღაც მომენტში მეც კი ამიყოლიე, რასაც ძალიან ვნანობ. სიმართლე გითხრა, ისიც მიკვირს საკუთარი თავისგან, რატომ ვიღლი ენას შენთვის ახსნა-განმარტების მოცემით, მაგრამ, ალბათ, ლაშას პატივისცემის გამო. ჩვენ, ვისაც აქ გვხედავ, პატარა გოგო-ბიჭები აღარ ვართ და შენთვის გაუგებარი ინტერესები გვაერთიანებს, ამიტომ...

– ამიტომ, რა, ბოდიში მოგიხადოთ ყველას? – გაწიწმატდა მაკა და ლაშას გახედა, – შენ რატომ არ იღებ ხმას, რატომ არ მიცავ, ასე რომ მტისკავს შენი დაქალი?

– შენ არა, მე უნდა მოვუხადო ყველას ბოდიში, – თქვა ლაშამ, წამოდგა და მაკას მიუახლოვდა, – ადექი და წამოდი!

– რა, მივდივართ? – იკითხა მაკამ და მექანიკურად წამოდგა.

– მე არა, მარტო შენ მიდიხარ, მე კი გაგაცილებ – ტაქსიში ჩაგსვამ და უკან დავბრუნდები. სიმართლე გითხრა, უკვე დიდი ხანია, ვგრძნობ, რომ ძალიან დამღალე, დღეს კი შენ თვითონ დაუსვი ყველაფერს წერტილი.

– ესე იგი, შენ აქ რჩები?! – გაცოფდა გოგო.

– ჰო, მე აქ ვრჩები. მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო ჩემს მეგობარს დაბადების დღე და ეს საღამო ჩემი ახლობელი ადამიანების გარემოცვაში გავატარო. წამოდი... – ლაშამ მაჯაში ჩაჰკიდა ხელი მაკას და კარისკენ წაიყვანა. მაგრამ გოგომ უცებ ჰკრა ხელი, კარისკენ გაბრაზებული ნაბიჯით გაემართა და იქ შეკრებილებს მოაძახა:

– ნახავთ, თუ არ განანოთ, პირველ რიგში კი შენ, ლაწირაკო ნაბიჭვარო! – და მთელი ძალით გაიჯახუნა კარი.

ოთახში დარჩენილებმა ერთმანეთს გადახედეს და უხერხულად შეიშმუშნენ. ბიჭებმა ვეღარააწყვეს საუბარი, თეა კი გაბრაზებული სახით იჯდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს ისევ ხათუნამ იმარჯვა:

– ჰო, კარგი, ისეთიც არაფერი მომხდარა. ერთი უტვინო გოგოს უტვინო საქციელმა ასე როგორ უნდა მოგიშალოთ ნერვები?

– მართალი ხარ, დავივიწყოთ! ლაშა, შეგვივსე სასმისები, კიდევ ერთხელ უნდა ვადღეგრძელო ჩვენი იუბილარი დიასახლისი! – მამუკამ აშკარად ძალით გაიმხიარულა თავი, შამპანურით სავსე ფუჟერი თეას ფუჟერს მიუჭახუნა და, ცოტა არ იყოს, მლიქვნელურად უთხრა: – „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა!“ – შენ გაგიმარჯოს, ჩვენი სამეგობროს სულო და გულო, ჩვენო გაჭირვების ტალკვესო, ჩვენო მკაცრო ფერია!.. შენ ხარ მამაკაცების ოცნებაც და მამაკაცების რისხვაც! ხან ნაზი ფისო ხარ და ხანაც – მრისხანე ავაზა... – მამუკა უცებ მიხვდა, რომ სიტყვები შემოელია, ერთხელ კიდევ მიუჭახუნა გაოცებულ თეას ჭიქა და



გამოაცხადა: – ვსვამთ ბოლომდე! – მერე ერთი ფუჟერი შამპანური ერთბაშად გადაუშვა ყელში, ტუჩები ხელსახოცით შეიმშრალა და დანარჩენებს გადაუბრიალა თვალები: – რა გითხარით, ბოლომდე ვსვამთ-მეთქი?

– აბა, აბა, ძალიან გთხოვ, „გრუზინულ“ პონტებს შეეშვი! – დაუტატანა თეამ მამუკას და გაოცებულმა განაგრძო: – შენ თუ ამდენი მლიქვნელობა და აფერისტობა შეგეძლო, ვერასდროს წარმოვიდგენდი, – მერე კი ღიმილით დაამატა: – ისე, მეც კარგად დავაფრქვიე ჟარგონები, მაგრამ, ხანდახან მართლა ასწორებს, ხომ იცი!

– რა ვიაფერისტე? რასაც მართლა ვფიქრობ შენზე, დედას გეფიცები, ყველაფერი ის გითხარი!

– ეგ კიდევ საკითხავია, – გაეცინა თეას.

– რატომ? – დაიძაბა მამუკა.

– იმიტომ, რომ, რაღაცნაირად, თავის მართლებას ჰგავდა შენი სადღეგრძელო.

– შენ ახლა ცუდ ხასიათზე დადექი და ამიტომ აღარ შეგეკამათები. მაგრამ, თუ იმ შენს ახალ დაქალს გულისხმობ, მე არაფერი ჩამიდენია შენი საწყენი, პირიქით, ვიფიქრე, გესიამოვნებოდა, რომ შენს მეგობარს პატარა კომფორტს შევუქმნიდი და მასპინძლობა გამოვიჩინე, მეტი არაფერი.

მამუკამ ისე გულწრფელად წარმოთქვა ბოლო წინადადება, რომ თეამ მაშინვე დაუჯერა და გაუღიმა:

– კარგი, კარგი, არ გიბრაზდები, უბრალოდ, ვერიკოსთან გამომივიდა ცუდად –ჯერ დიდი ამბით დავპატიჟე, მერე კი აქედან გავაქციე.

– შენ არ გაგიქცევია, – შეეკამათა ლაშა.

– მე თუ სხვამ, რა მნიშვნელობა აქვს, მასპინძელი მე ვარ და...

– ისე, კარგი გოგო ჩანს ეგ შენი ვერიკო, – თქვა ხათუნამ, – რატომღაც, მაშინვე მიმივიდა გული. შენი დაქალი თუ იყო, რატომ აქამდე არ გაგვაცანი?

– მთლად დაქალი არ არის, მაგრამ, მინდა, რომ ვიმეგობროთ. მთელ ფირმაში, მგონი, ერთადერთი გოგოა, ვისთანაც ნორმალური ურთიერთობა შეიძლება.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მ ი ი ღ ე თ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **რა ტემპერატურაა საჭირო დენდრობიუმისთვის?**

**პასუხი:** ეს ორქიდეა დაბალ ტემპერატურასაც იტანს და, სხვა ორქიდეებისგან განსხვავებით, ტროპიკული სიცხე არ სჭირდება, თუმცა, ტენი არ უნდა მოაკლდეს. ზაფხულობით 20-24 გრადუს ტემპერატურაზე ამყოფეთ, ზამთრობით კი – 10 გრადუსზე.

კითხვა: **როგორი რეჟიმით მოვრწყა ეპიპრემნუმი?**

**პასუხი:** გაზაფხულზე და ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, მაგრამ, სანამ მორწყავთ, ნიადაგს შეშრობა უნდა აცადოთ. მცენარის ზრდის პერიოდში მინა სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ. ამ დროს არც დამატებითი საკვები სჭირდება.

კითხვა: **ბეგონიას გახარება მინდა. ხომ ვერ მირჩევთ, როგორ მოვიქცე, რომ იოლად გავზარდო?**

**პასუხი:** 2,5-სანტიმეტრიანი ღეროს ფოთოლი მიწაში ისე ჩარგეთ, რომ ფოთოლი მიწის ზემოთ დარჩეს და ორ თვეში თქვენ ახალი მცენარე გექნებათ. საერთოდ, გამჭირვალე ხუფი ხელს უწყობს ტენიანობის შენარჩუნებას, რაც ხელსაყრელია მცენარისთვის.

კითხვა: **როგორი განათება მოსწონს რეოს?**

**პასუხი:** რეოს უყვარს კაშკაშა სინათლე, მაგრამ, თუ თქვენ მცენარეს მზის გულზე დადგამთ, ფოთლები გაუხუნდება და ძველებურ ეფექტს დაკარგავს. ნათელი სასტუმრო ოთახი ამისათვის საუკეთესო ადგილია.

კითხვა: **რამდენად იოლია იზოლეპსის გაზრდა?**

**პასუხი:** მართალია, ეს მცენარე ბუნებაში წყლის პირას იზრდება, მაგრამ, ოთახის პირობებშიც მშვენივრად გაახარებთ. ის ნესტის მოყვარული მცენარეა, ამიტომ, მიწა მუდამ სველი უნდა ჰქონდეს. მაღალი ტენიანობის შესანარჩუნებლად ქოთანი წყლიან ჭურჭელში ჩადგით. ეცადეთ, რბილი წყლით მორწყათ ხოლმე.

კითხვა: **მინდა, ჩინური ვარდი დავაბუჩქო. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** დიდ ქოთანში ის, შეიძლება, ორ მეტრამდე ან უფრო მაღალიც კი გაიზარდოს, მაგრამ, თუ თქვენ გსურთ, რომ მცენარემ ბუჩქის ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად უნდა გასხლათ და მცენარე სიმაღლეში ზრდას აუცილებლად შეწყვეტს. გასხვლა ყვავილობას არ ვნებს.

კითხვა: **ბინაში მადაგასკარული ჟასმინი მაქვს, რომელმაც ამ ბოლო დროს მოიწყინა, რის ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებას და დაბალ ტენიანობას. შეეცადეთ, რომ მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ და შეამოწმეთ მისი ნიადაგი – შეიძლება, უკვე გამომშრალია და მორწყვა სჭირდება.

კითხვა: **როგორ მოვუარო ფალენოპსისს?**

**პასუხი:** ფალენოპსისს სჭირდება სინათლე, ამიტომ, ზამთარში ყვავილობის ხელშესაწყობად ხელოვნური განათებაც მიაშველეთ. მისთვის იდეალურია დაახლოებით 20 გრადუსი და მაღალი ტენიანობა. მოსწონს სიგრილეც – ღამით ტემპერატურა 3-4 გრადუსით დაბალი უნდა იყოს. ზამთარში იშვიათად მორწყეთ და სიმშრალეში ამყოფეთ, ზრდის პერიოდში კი უხვად დაუსხით წყალი. ზაფხულში ორ კვირაში ერთხელ 5 წუთით გააჩერეთ ორქიდეებისთვის განკუთვნილ თხევად სასუქში, შემდეგ კი დაწრიტეთ. დაყვავილების შემდეგ ღერო ქვემოდან მეორე კვირტის სიმაღლეზე გადაჭერით. შეგიძლიათ, ძველი ღერო მთლიანად მოაშოროთ.

**მოამზადა თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **მოვალემ კრედიტორისგან მოითხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც გაიღო მან კრედიტორის მიერ მიღებული საგნების შესანახად. კრედიტორმა უარი განაცხადა მოვალის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ წყალდიდობის გამო შეუძლებელი იყო დანიშნულების ადგილზე მისვლა და მოვალისგან ნივთების წამოღება. კანონიერია თუ არა კრედიტორის ქმედება.**

**პასუხი:** არ არის კანონიერი. ვინაიდან კრედიტორი შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას, მისივე ბრალის მიუხედავად, ვალდებულია, მოვალეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები.

კითხვა: **რომელი დღეებია საქართველოს კანონმდებლობით გამოცხადებული უქმე დღეებად?**

**პასუხი:** უქმე დღეებია: 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები; 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე; 3 მარტი – დედის დღე; 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე; 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე; 23 ნოემბერი – გიორგობის დღე. აღსანიშნავია, რომ დასაქმებული უფლებამოსილია, ამ კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

კითხვა: **ვარ პენსიონერი. ძალიან მიჭირს. მინდა სადმე მუშაობის დაწყება. თუ შევძელი ამის გაკეთება, მომეცემა თუ არა პენსია სრულად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. შესაბამისად, თუ თქვენ მუშაობას დაიწყებთ საჯარო სამსახურში, შეგიწყდებათ პენსიის მიღება.

კითხვა: **გთხოვთ მაცნობოთ, ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ არასამთავრობო ორგანიზაციებს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ზოგადად იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო, კომერციულ ან არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს ან მის უფლებამონაცვლეს. არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით, შესაბამისად ისინი წარმოადგენენ და შესაძლებელია იყვნენ დანაშაულის სუბიექტები.

# რის ხარჯზე შეგვიძლია ავტომობილისთვის სისწრაფის მომატება

*ხშირად, საკუთარი მანქანის შესახებ საუბარი კამათში გადადის, ყველაფერი კი იწყება ასე: „ჩემს მანქანას სამი და ნული აქვს სიმძლავრე და შენსას დაძვრისთანავე გაასწრებს“. ამის შემდეგ მიდის დაუსრულებელი დავა იმის შესახებ, თუ ვისი ავტომობილი გაასწრებს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ძრავის სიმძლავრეში არ ყოფილა საქმე.*

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**მევლუდ მელაძე**: უამრავი კრიტერიუმით განისაზღვრება ავტომობილის სიმძლავრე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგარდები მეტნაკლებად უკვე კარგად გაერკვნენ იმაში, რომ მანქანის სისწრაფე მხოლოდ მისი ძრავის მოცულობაზე არ არის დამოკიდებული, მაინც, მძღოლების უმრავლესობამ ეს არ იცის. ახალგაზრდები კი ხშირად კამათობენ ცხენის ძალების შესახებ.

**– რას ნიშნავს ძრავის კუბატურა, რას აღნიშნავს ციფრები – 3.0, 2.4 და სხვა?**

– კუბატურა, ეს ძრავის მოცულობაა. ანუ, რამდენი კუბური სანტიმეტრია „პორშანების“ – ძრავის დგუშების თავზე, ეს იქნება სამი ათასი, ათას ექვსასი თუ სხვა. დგუში ეს არის ის, რაც ცილინდრში წნევას ქმნის. ცილინდრი კი მილის ფორმის დეტალია, რომელშიც დგუში შედის და ჰაერს წნეხავს. სწორედ ბენზინთან ერთად „დაპრესილი“ ჰაერის შედეგად ხდება აფეთქება, რომელიც იწვევს სიმძლავრეს. ძრავის მოცულობას ლიტრებითაც აღნიშნავენ. ეს ნიშნავს, რომ თუ ბოლომდე ჩაწეულ დგუშზე ცილინდრში წყალს ჩავასხამთ, იმდენი ლიტრი ჩაეტევა, რამდენი მოცულობაც აქვს. ლიტრაჟი ნიშნავს იმ ფართობს, რაც ცილინდრშია. მაგრამ, ვგულისხმობ მუშა ფართობს, რომელიც სიმძლავრეს გამოიმუშავებს, თორემ ისე, შეიძლება, ცილინდრი ძალიან გრძელი იყოს. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მოცულობა, მით მეტია სიმძლავრე. ეს კი ნიშნავს, რომ ავტომობილმა მეტი ცხენის ძალა უნდა გამოიმუშაოს. ეს ადრე მხოლოდ და მხოლოდ მოცულობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ თანამედროვე და სპორტული ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა, რომ დაბალი კუბატურის ძრავიდან ძალიან ბევრი ცხენის ძალა ამოვიღოთ. ეს ხდება ბრუნის სისწრაფის გაზრდის ხარჯზე. საწვავის მიმწოდებელი განსხვავებული სისტემისა და მსგავსი ტიპის ტექნოლოგიების ხარჯზე შესაძლებელია, მეტი სიმძლავრის „ამოღება“ დაბალი კუბატურის ძრავიდან. ვთქვათ, ათას ექვსასი კუბატურის მქონე ძრავიდან ასი ცხენის ძალა ამოვიღეთ. აქვე ვიტყვი, რომ ცხენის ძალა ეს არის ათ წამში ათ მეტრზე 75 კილოგრამის ასაწევად დახარჯული საჭირო სიმძლავრე. ვთქვათ, ჩვენს ავტომობილს აქვს 100-ცხენისძალიანი ძრავა, ვიღაცას კი ჰყავს ავტომობილი, რომლის ძრავის მოცულობა სამი და ნულია, ხოლო ცხენის ძალა 170 აქვს. ეს არ ნიშნავს, რომ ის ავტომობილი, რომელიც ძრავის მოცულობითაც და ცხენის ძალებითაც მეტია ჩვენსაზე, მის გასწრებას მოახერხებს. უამრავ ნიუანსს ექცევა ამ შემთხვევაში ყურადღება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წონას. ვთქვათ, „ბეემვე“, რომელიც 1 300 კილოგრამია და 170 ცხენის ძალა აქვს, რომ გამოვთვალოთ, მივიღებთ – ერთი ცხენი დაახლოებით შვიდ კილოგრამსა და 600 გრამს ათრევს. ახლა კი, ავიღოთ ამ ცხენისძალიანი პატარა „სუზუკი სვიფტი“, რომელიც 750-ს იწონის. ამ შემთხვევაში მის ერთ ცხენის ძალას თითქმის იმდენივეს თრევა უწევს, რამდენიც ბევრად მძლავრ „ბეემვეს“. ანუ, „სვიფტის“ ერთი ცხენი შვიდნახევარ კილოგრამს ათრევს. რა ხდება ამ დროს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თითქმის იდენტური გასწრების პოტენციალი მივიღეთ, „სუზუკი სვიფტი“ მაინც უფრო სწრაფად ივლის. წონას, ამის გარდა, კიდევ ძალიან ბევრი პრიორიტეტი აქვს. რაც არ უნდა თანაბარი გამოვიდეს წონის გადანაწილების ჯამი, დიდი მასის მქონე ავტომობილის აჩქარება გაცილებით რთულია. ეს მსუბუქი მანქანების კიდევ ერთი პლუსია – ისინი დაძვრისას ყოველთვის მოიგებენ. „სუზუკი“ ამ შემთხვევაში, ბევრად სწრაფად აჩქარდება და გაცილებით მოკლე დროში გაჩერდება. მისი მასა უფრო ადვილად დასამორჩილებელია.

**– გრძელ მანძილზე რა ხდება?**

– ხშირად გამიგია, მძიმე ავტომობილებზე რას ამბობენ, ერთი თუ აკრიფა სიჩქარე, მერე გემივით მიდისო. მაგრამ, ესეც მცდარია. მძიმე ავტომობილს ის პლუსი აქვს, რომ თვითდაჯერებულობას გვმატებს და შეგრძნებები მძღოლისთვის ბევრად უკეთესია. ის ნაკლებად ირხევა, ნაკლებად ხმაურობს, ნაკლებად რეაგირებს უსწორმასწორო ზედაპირზე და შეგრძნება გვაქვს იმის, რომ სწრაფად მივდივართ. არადა, თანამედროვე სპორტული ტიპის ავტომობილებში მწარმოებლებმა უკვე დაიწყეს წონის უკიდურესი შემსუბუქება. საბარგულები, ფრთები და წინ „კაპოტი“ უკვე კარბონისგან კეთდება. ეს არის ძალიან მსუბუქი და მყარი ლითონი. მაგრამ, საკმაოდ ძვირი. წონის შემსუბუქების მიზნით, სპორტსმენები, მაგალითად, ყველა მინის დეტალის ადგილას პლასტმასებს ვსვამთ. ეს იმისთვის, რომ ავტომობილი, რაც შეიძლება სწრაფი იყოს, კარგად ჩერდებოდეს და მანევრირებდეს.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: შეიძლება თუ არა ძაღლის დაბანა ადამიანისთვის განკუთვნილი შამპუნით?**

**პასუხი**: დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სიხშირით და რა საშუალებებით ხდება ცხოველის დაბანა, გაწმენდა და დავარცხნა. დღევანდელ პირობებში ბეწვის მოვლისა და დამუშავების ძალიან ბევრი საშუალება არსებობს. უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც ხარისხიანია და არ გამოიწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის გამოშრობას და ბეწვის დაზიანებას. გახსოვდეთ და არასდროს დაივიწყოთ, რომ არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება ადამიანის შამპუნის გამოყენება.

**კითხვა: მთელი ოჯახი ქალაქიდან ვაპირებთ გასვლას და ძაღლიც უნდა წავიყვანოთ. გზა დაახლოებით 5 საათის მანძილზეა. რას მირჩევთ, როგორ ვამგზავროთ ცხოველი, დისკომფორტი რომ არ შეექმნას?**

**პასუხი:** მგზავრობა დისკომფორტს ქმნის ცხოველებში, რადგან ძაღლებიც განიცდიან ტრანსპორტის დაავადებას. მგზავრობის დროს, სასურველია, ძაღლი მშიერი იყოს და გზაში წყალი აუცილებლად უნდა დაალევინოთ. ასევე, რამდენიმე ადგილას შეჩერდით და დაასვენეთ ცხოველი. სასურველია, მგზავრობის დროს ის ისე მოათავსოთ, რომ თავისუფლად გრძნობდეს თავს და ხედავდეს გზას, საითაც მიემგზავრებით. ასევე, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მანქანის ფანჯრიდან შემოსული ქარის ნაკადი პირდაპირ ძაღლს არ სცემდეს. ამან შეიძლება, გამოიწვიოს სხვადასხვა გართულება. მაგალითად, გაციება, ყურის ანთება, კონიუნქტივიტი და ასე შემდეგ.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

ნიკა ლაშაური

# მაფიის შვილობილი

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-4(755)**

არაფორმალ ლიდერებს შინაგან საქმეთა მინისტრი ორიოდ საათს ელაპარაკა. მათ რუზგენ ჩოჩიანის მკვლელის პოვნას შეჰპირდა.



კაბინეტიდან გაისტუმრა და ამგვარად დაშალა გამძვინვარებული მასა, რომელიც სამინისტროს შენობაში შესაჭრელად მზად იყო. ხუთიოდე წუთში მინისტრს კვლავ ცეკას პირველმა მდივანმა დაურეკა და უთხრა:

– ყოჩაღ, გილოცავ, რომ ყველაფერმა უსისხლოდ ჩაიარა. კარგი იყო.

– გმადლობთ, ამხანაგო პირველო მდივანო. თქვენი რჩევა გამომადგა.

– ახლა რას აპირებ, როგორ შეასრულებ მიცემულ პირობას.

– შევასრულებ. გეგმა უკვე მზად მაქვს და საგანგებო ოპერჯგუფს ახლავე მივცემ ინსტრუქციებს.

– ჯერ ნუ იჩქარებ. რაღაც მინდა გითხრა.

– გისმენთ.

– ჯობია, ჩემთან მოხვიდე. ოც წუთში გელოდები, – უთხრა ცეკას პირველმა მდივანმა შინაგან საქმეთა მინისტრს და ტელეფონი გათიშა.

შინაგან საქმეთა მინისტრი დანიშნულ დროს მივიდა „პირველთან“. მასთან სულ ნახევარი საათი დაჰყო და კვლავ სამინისტროში დაბრუნდა. შემდეგ ორი საგანგებო ოპერჯგუფი ცალ-ცალკე დაიბარა და მითითებები მისცა. კაბინეტში მარტო რომ დარჩა, გააბოლა და ჩაილაპარაკა: „ორ კურდღელს ერთად დავიჭერთ. მაგარია პირველი“.

სამი დღის შემდეგ, საღამოს, საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხზე“ მხატვრულ ფილმს უჩვენებდნენ. უცებ ფილმის ჩვენება შეწყვიტეს. საგანგებო საინფორმაციო გამოშვება გაუშვეს და დიქტორმა თქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და მილიციის ოფიცერი დააკავა. დიქტორის თქმით, რუზგენ ჩოჩიანის მკვლელობა ყოფილმა მინისტრმა შეუკვეთა მილიციის ოფიცერს, რომელმაც ეს მკვლელობა შეასრულა. იქვე ნათქვამი იყო, რომ მკვლელი ოფიცერი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს, გაქცევის მცდელობისას ლიკვიდირებული იქნა.

მერაბ გამრეკელი პირდაღებული უყურებდა ტელევიზორს. საინფორმაციო გამოშვება რომ დასრულდა, ჩაფიქრდა. შემდეგ ვაჟა ზვიადაურს დაურეკა და უთხრა:

– უყურე ტელევიზორს?

– დიახ, ბატონო მერაბ, – მიუგო ზვიადაურმა.

– ვაჟა, თუ შეძლებ, იქნებ გაარკვიო, რაშია საქმე?

– ვეცდები, ბატონო მერაბ.

– კარგი. ხვალ საღამოს გამომიარე, – უთხრა გამრეკელმა ზვიადაურს. დაემშვიდობა და ტელეფონის ყურმილი აპარატზე დადო.

მეორე საღამოს მერაბ გამრეკელს ვაჟა ზვიადაური და კოტე სოხაძე სახლში ეწვივნენ. კოლეგები გენერლის კაბინეტში განმარტოვდნენ და მასპინძელმა ვაჟა ზვიადაურს ჰკითხა:

– რა ქენი, გაარკვიე რამე?

– მხოლოდ ის, ბატონო მერაბ, რომ ის ოფიცერი მართლაც საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მოკლეს ნაძალადევში. თურმე სასროლ პოზიციას უჩვენებდა ოპერებს. შემდეგ ფეხი დაუკრავს, გაქცეულა და ჩაცხრილეს. სანამ საავადმყოფოში მიუყვანიათ, მანამდე მომკვდარა. ისიც ზუსტად ვიცი, რომ მას მიუცია აფხაზეთის ყოფილ მინისტრზე ჩვენება, სადაც წერია, რომ ჩოჩიანის მოკვლა სწორედ მინისტრმა შეუკვეთა მას.

– დაუჯერებელია, – თავი გააქნია გამრეკელმა, – ამ ვერსიის დიდად არ მჯერა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ კალმარი ყოფილი მინისტრი გამოდის.

– ასე გამოდის, – ერთხმად დაეთანხმნენ გამრეკელს სოხაძე და ზვიადაური.

– მერე თქვენ გჯერათ ეს? – იკითხა გამრეკელმა.

– დაუჯერებელი არაფერია, – მიუგო სოხაძემ, – მით უმეტეს, თუ მთელ ამ ისტორიას გავიხსენებთ. ყველაფერი ხომ აფხაზეთიდან დაიწყო და რატომ გიკვირს. თანაც, შენ არასოდეს ეხატებოდი მას გულზე. დიდი ალბათობაა იმისა, რომ სოხუმი-გაგრის ტრასაზე სწორედ მისმა ხალხმა დაგიდგეს ღამით სარკე და უბრალოდ, გაგიმართლა და ცოცხალი გადარჩი. ჩოჩიანი კი იმიტომ მოიშორა თავიდან, რომ მან ბევრი იცოდა. თანაც, რუზგენი პოლიტიკაში იყო გარეული. ყოველ წუთს შეიძლებოდა, ემხილა გენერალი, რომელიც ბარიკადების მეორე მხარეზე იდგა. ან, სულაც, გენერალმა დაასწრო რუზგენს და მოკლა. გამორიცხული არაა, რომ ჩოჩიანიც იგივეს გეგმავდა.

– არა მგონია, – თავი გააქნია გამრეკელმა.

– რატომ? – ჰკითხა სოხაძემ.

– თუნდაც იმიტომ, რომ ყოფილი მინისტრი ისე გამართულად ვერ ფლობს ქართულ ენას, როგორც კალმარი. მართალია, კალმარი მე შეცვლილი, საზიზღარი წრიპინა ხმით მელაპარაკა და ხმაზე ვერ ვიცანი, მაგრამ სულ სხვა სტილით საუბრობრობდა, ვიდრე ყოფილი მინისტრი. არა. აქ სხვა რაღაცაშია საქმე.

– იქნებ, მისი დავალებით სხვამ დაგირეკა? – თქვა სოხაძემ.

– არა, არა. დარწმუნებული ვარ, რომ არა. კალმარი მარტო მოქმედებდა და სწორედ მან მოკლა ჩოჩიანი. ის არავის შეუკვეთავდა მკვლელობას.

– რატომ არ შეუკვეთავდა?

– რომ არ გაშიფრულიყო. არა. ის მარტო იყო და ნაღდზე მოქმედებდა.

– აბა, რას უნდა ნიშნავდეს მთელი ეს კომედია?.. თუ შენ არ ცდები, მაშინ მთელი ეს დაჭერები და ლიკვიდაცია კომედიაა და მეტი არაფერი, – თქვა სოხაძემ.

– მე ვიტყოდი ტრაგიკომედია, – მიუგო გამრეკელმა.

– ვერ ვხვდები. ამიხსენი.

– ვფიქრობ, რომ ახალმა მინისტრმა ჭამა და ბევრად უფრო ჩახლართული კომბინაციაა, ვიდრე მას ჰგონია.

– ახლა უფრო დავიბენი. რა ჭამა, რას გულისხმობ? – ჰკითხა სოხაძემ.

– მეორე დღეა, ამაზე ვფიქრობ. ათასი ვერსია დავატრიალე თავში და მგონია, რომ ჩოჩიანის ვითომდა მკვლელი არაფორმალი ლიდერების დასაშოშმინებლად დაიჭირეს. შემდეგ კი მოკლეს, რომ სიმართლე არ გამჟღავნებულიყო. ხომ გახსოვს, ამ ერთი კვირის წინ რომ სამინისტროს შენობას ალყა შემოარტყეს, მინისტრის გადადგომას ითხოვდნენ. მათ მინისტრი შეხვდა და მშვიდობიანად გაისტუმრა... ჰოდა, იმ მილიციელის დაპატიმრებაც სწორედ ამას მოჰყვა. როგორც ეტყობა, ახალი მინისტრი არაფორმალ ლიდერებს მკვლელის პოვნას შეჰპირდა და შეასრულა კიდეც. თუმცა, მისი ლიკვიდაცია დასჭირდა, – მიუგო გამრეკელმა სოხაძეს.

– კი. სრული სიმართლეა. ზუსტად ვიცი, რომ მინისტრი მათ მკვლელის პოვნას შეჰპირდა და სამინისტროსაც ამიტომ მოხსნეს ალყა მომიტინგეებმა, – საუბარში ჩაერთო ზვიადაური.

– დავუშვათ, ეს მასეა, მაგრამ აფხაზეთის ყოფილი მინისტრი რატომღა დააპატიმრეს და ამ საქმეს რატომ მიაბეს? – იკითხა სოხაძემ.

– აი, სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული. ესაა ჩახლართული კომბინაცია და სწორ-

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ედ აქ შეცდა ყველაზე მეტად ახალი მინისტრი, – გაეღიმა გამრეკელს.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა სოხაძემ.

– ახალ მინისტრს ყველა კარგად ვიცნობთ და დამეთანხმებით, რომ დიდი ინტელექტითა და წინდახედულობით არ ბრწყინავს. კი, ბატონო, ვირეშმაკაა და სულ ეს არის. იმ ოფიცრის დაჭერა და ლიკვიდაცია მისი მოფიქრებული იქნება, მაგრამ ყოფილი აფხაზეთის მინისტრის დაჭერა კი მას, ალბათ, სხვამ ურჩია.

– რატომ ურჩია?

– ის სხვა, ახალ მინისტრზე ბევრად უფრო ეშმაკი და ვერაგია. ვფიქრობ, მოსკოვის დავალებით მოქმედებს და იმიტომ. აი, ნახეთ. ყოფილი აფხაზი მინისტრი ამჟამად, უფრო სწორად კი, დაპატიმრებამდე, აფხაზეთის სახალხო ლაშქრის მეთაური იყო. აფხაზეთის სახალხო ლაშქარი კი ქართველ არაფორმალებთან პირდაპირ, რადიკალურ დაპირისპირებაშია. ახალმა მინისტრმა კი არაფორმალ ლიდერებთან ორმაგი ქულები დაიწერა, – დაიჭირა მათი „ბრატის" უშუალო მკვლელი. აგრეთვე, მკვლელობის შემკვეთი, რომელიც ამავდროულად, მათი სამხედრო-პოლიტიკური მტერია და ეს მეორე მომენტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ანუ, რა გამოდის? ყველამ თავისი ამბიცია დაიკმაყოფილა. მინისტრი კარგი კაცია. არაფორმალებს კი მთავარი მტერი მოაშორეს და ამით უფრო თავდაჯერებულები და ძლიერები გახდნენ. მაგრამ, ყველას მთავარი გამოეპარა და სწორედ ის მთავარი იჩენს მომავალში თავს – ესაა ის ძაღლის თავი, რომელსაც მოსკოვი გამოიყენებს მომავალი დიდი პროვოკაციისთვის. ხვდებით, რას ვგულისხმობ?

– შენ გინდა თქვა, რომ აფხაზი გენერლის დაპატიმრება კიდევ უფრო გაამწვავებს ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას და შემდეგ ამ მომენტს მოსკოვი ჩვენ შემოგვიბრუნებს? – უთხრა სოხაძემ გამრეკელს.

– სწორედ ასეა, – გაეცინა გამრეკელს, – ვერ ხედავთ, რა ხდება? ქვეყანა ძალიან აირია და საბჭოთა კავშირი იშლება. რუსეთს თუ მოვწყდით, მაშინ რუსეთი ჩვენგან ტერიტორიების მოწყვეტას შეეცდება და უპირველესად, საამისოდ სწორედ აფხაზებს გამოიყენებს. მოსკოვი ახლავე დებს ნაღმებს და ამას ის ქართველების ხელით აკეთებს.

– კი მაგრამ, ვინაა ისეთი მოღალატე, ვინც წინასწარ იცის ეს და ჩვენს ახალ მინისტრს ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა? – იკითხა ზვიადაურმა.

– ვინ სხვა, თუ არა ცეკას პირველი მდივანი, – მიუგო გამრეკელმა, – მოსკოვის კადრია. ძველი „ჩეკისტი" და ასეთი რამ არ შეეშლებოდა.

– კი. მასე იქნება, – დაეთანხმა მერაბს კოტე სოხაძე, – თუმცა, ეს სულაც არ გამორიცხავს მის კალმარობას.

– გამოვრიცხავ, და, იცი, რატომ? ყველაფერი ეს რომ დაიწყო, გენერალი აფხაზეთის მინისტრი იყო და ამხელა კაცი შეუმჩნევლად ვერ იმოქმედებდა. კალმარი კი, ვიმეორებ – მარტო მოქმედებდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და გენერლის კალმარობა თავისთავად გამორიცხულია. ამ როლს უფრო ნესტორ პესკასელი ერგებოდა და მასზეც ამიტომ მქონდა ეჭვი.

– ახლა უკვე ნესტორიც გამორიცხულია, – გაეცინა სოხაძეს, – ნესტორი მკვდარია და სულ სხვა ყოფილა ის წყეული ფანტომ-კალმარი.

– ასე გამოდის, – მიუგო გამრეკელმა მეგობარს.

***

გენერალი მარტინ პოული თავის კაბინეტში იჯდა და დოსიეებს ათვალიერებდა. საქაღალდეების დასტიდან მან ერთი ამოარჩია და გვერდზე გადადო. შემდეგ ჩიბუხი დატენა, გააბოლა და თანაშემწეს ტელეფონით უთხრა:

– ჯიმ, პოლკოვნიკი პრაისი გამოიძახე. ორმოც წუთში ჩემთან ველოდები.

– არის, სერ! – მიუგო გენერალს თანაშემწემ და ყურმილი დაკიდა.

მარტინ პოული ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე იყო და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ მიმართულებას კურირებდა. ის სავარძლიდან წამოდგა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა. ჩიბუხი რომ ბოლომდე მოწია, ფერფლი საფერფლეში გადმობერტყა. შემდეგ თავიდან დატენა და მაგიდაზე დადო. კვლავ სავარძელში მოკალათდა და ისევ გადადებული დოსიეს კითხვას შეუდგა. ოციოდე წუთის შემდეგ გენერლის თანაშემწემ დაურეკა და უთხრა:

– ბატონო გენერალო, პოლკოვნიკი ოლივერ პრაისი გელოდებათ.

– შემოვიდეს, – მიუგო პოულმა და კარისკენ გაიხედა.

პოლკოვნიკი ოლივერ პრაისი, გამოძიების ფედერალური ბიუროს აკადემიის კურსანტთა მომზადების კურატორი იყო და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რატომ დაიბარა გენერალმა. მრავალი წლის წინ პოული და პრაისი ერთად მუშაობდნენ. მეწყვილეებიც კი იყვნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ამიტომ, პრაისი რომ პოულის კაბინეტში შევიდა, გენერალი ფეხზე წამოდგა და ახალმოსულს შეეგება, მეგობრულად გადაეხვია ძველ მეგობარს, სავარძლისკენ მიუთითა და უთხრა:

– ოლი, ალბათ, ვერც კი ხვდები, აქ რისთვის დაგიბარე?

– ტყუილად რომ არ მიხმობდი, ვიცი. მკითხაობას, ჯობია, თავადვე მითხრა. აბა, გისმენ, გენერალო.

პოულმა პრაისს გადადებული დოსიე მიაწოდა და უთხრა.

– ამ კურსანტს შენ უმაღლეს შეფასებას აძლევ და იმიტომ დაგიძახე, რომ უფრო დაწვრილებით გამაცნო.

პოლკოვნიკმა დოსიეს დახედა. გაეღიმა და გენერალს უთხრა:

– ჯაბა ზვიადაური. აკადემიის საუკეთესო კურსანტია. ნამდვილი ასია. თავს დავდებ, რომ ძალიან წინ წავა.

– გეტყობა, მისი პიროვნებით აღფრთოვანებული ხარ. რაც მაგ საქაღალდეში წავიკითხე, მეც მომეწონა და სწორედ იმიტომ დაგიძახე, რომ ჩემი აზრი განამტკიცო.



– მანდ რაც წერია, საკმარისი არაა? – მიუთითა გენერალს საქაღალდეზე პრაისმა, – ეგეც ჩემი შედგენილია.

– ჰოდა, სწორედ ამიტომ დაგიძახე. აბა, შენებურად, გააცოცხლე წარჩინებული კურსანტის დოსიე.

– როგორც კი აკადემიას დაამთავრებს, ალბათ, შენთან გინდა, წამოიყვანო, ხომ?

– არა, – თავი გააქნია გენერალმა, – მისი გამოყენება ახლავე მინდა.

– ახლავე? მას ხომ ჯერ კიდევ ერთი წელი დარჩა?

– ასეა საჭირო. აუცილებლობა მოითხოვს. თანაც, შენ ხომ ფიქრობ, რომ ის გენიოსია და სწორედ ასეთი გვჭირდება ჩვენს ოპერაციაში.

– რა გაეწყობა? – მხრები აიჩეჩა პრაისმა, – ზვიადაური, მართლაც რომ, გენიოსია და არა იმიტომ, რომ ყველა დისციპლინაში წარჩინებულია. არა, მთავარი ღირსება მისი ქარიზმაა. ის ნამდვილი ლიდერია, წინამძღოლი და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სულ რაღაც ოცი წლისაა, ბევრ გამოცდილ და მასზე უფროს კოლეგას ჯობია. მოკლედ რომ გითხრა, ის ნამდვილ საიდუმლო აგენტადაა დაბადებული.

– მოკლედ აქაც წერია. უფრო მეტი ინფორმაცია მინდა მასზე.

– მაინც, კიდევ რა გაინტერესებს? – ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაა, ხომ?

– კი. ქართველია. ცხოვრობდა მოსკოვში, თბილისში, ძალიან დიდხანს – ბულგარეთში. სკოლა იქ დაამთავრა. შემდეგ შტატებში ჩამოვიდა და წარჩინებით ჩააბარა გამოცდები ჩვენთან.

– თბილისში, თბილისში... იქ, თუ არ ვცდები, ამას წინათ რევოლუცია მოხდა.

– ვარდების რევოლუცია, – დაუდასტურა პრაისმა გენერალს.

– მისი მშობლები?

პრაისმა პაუზა გააკეთა. გააბოლა და პოულს უთხრა:

– მარტინ, ამ ყმაწვილის ბიოგრაფიას ერთი საიდუმლო აქვს, რომელიც მან არ იცის.

– რა საიდუმლო?

– ეს ბიჭი სხვებმა აღზარდეს და გვარიც

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჟანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



გამოუცვალეს. მისი ნამდვილი გვარი ჯაფარიძეა. მშობლები კი ძალიან ადრე დაეხოცა. მამამისი საიდუმლო აგენტი იყო და ერთ-ერთი ოპერაციის დროს მოკლეს. მოგვიანებით მოუკლეს დედაც. თავად ჯაბა კი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. ზუსტად მეც არ ვიცი ბოლომდე, რა მოხდა. ეს ამბავი ბორის ტოდოროვმა მომიყვა. ჯაბა სწორედ ბორისთან იზრდებოდა დიდი ხნის განმავლობაში. მასთან კი ჯაბა და მისი დედობილი ბორისის ქვისლმა წაიყვანა საქართველოდან. ის კაციც პოლიციელი იყო. უფრო სწორად, მაშინ მათ მილიციელები ერქვათ.

– ბორისი ვინლაა?

– ბულგარელი მილიციელი, პარალელურად კი – ჩვენი აგენტი. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გადავიბირეთ და დავიახლოვეთ. კარგი კაცია. სწორედ მან ურჩია ჯაბას ახლობლებს მისი ჩვენთან გამწესება და ჯაბას ამბავიც მე გამანდო. რომ იტყვიან, სული ჩადო მის აღზრდაში და შვილივით ჩამაბარა.

– ჯაბას ახლობლების წრეზე კიდევ რა ინფორმაცია გაქვს.

– აქ თუ იქ?

– რა თქმა უნდა, იქ – საქართველოში და კიდევ სხვაგანაც, თუ ჰყავს. ბორის ტოდოროვზე უკვე მითხარი.

– როგორც ვიცი, ჯაბას საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავს. ძირითადად, მილიციის ყოფილი მაღალჩინოსნები. ერთი მინისტრიც კი იყო. მოსკოვშიც უნდა ჰყავდეს ერთი გადამდგარი გენერალი. ეს ხალხი მისი ნამდვილი მამის მეგობრები და კოლეგები არიან.

– ხომ არ იცი, რომელიმე მათგანი არალეგალურ საქმიანობაში ხომ არ არის შემჩნეული?

– არ ვიცი.

– ისეთ ოპერაციას ვიწყებთ, რომ ჩვენი საიდუმლო აგენტი აბსოლუტურად სუფთა უნდა იყოს, რათა მასზე ზეგავლენა ვერავინ და ვერაფერმა მოახდინოს, რომ საქმე არ ჩაგვეშალოს. აი, ამიტომ მაინტერესებს ასე დაწვრილებით.

– მესმის, – მიუგო პრაისმა, – მაშინ შენ თბილისში, ჩვენი ბიუროს ფილიალში უნდა სთხოვო ჩვენს წარმომადგენელს, რომ ამ ხალხზე დასკვნა მოგიმზადოს.

– კი, მაგრამ ასე აშკარად არ მინდა ამის გაკეთება. ჩვენი ოპერაცია იმდენად საიდუმლო და მნიშვნელოვანია, რომ აგენტის ვინაობა შემთხვევით სადმე რომ ამოტივტივდეს, მთელი საქმე წახდება. არაა საჭირო. რაც შენ მომიყევი საკმარისია. ახლა კი თავად ჯაბა უნდა გამაცნო.

– როდის მოგიყვანო?

– მოყვანა არაა საჭირო. შენ ის მითხარი, თავისუფალ დროს სად ატარებს და მე თვითონ ვნახავ.

– მაგალითად, ხვალ, საღამოს რვა საათზე კაფე „ზეროში“ უნდა შეხვდეს თავის გოგონას და შეგიძლია, იქ ეწვიო.

– გოგონას რა ჰქვია?

– ჯინა ქროსი. უნივერსიტეტის სოციოლოგიური ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობს.

– კარგი. გასაგებია.

– თავისუფალი ვარ?

– თავისუფალი ხარ, ოლი. დიდი მადლობა. შეხვედრამდე, – გენერალმა პოლკოვნიკი კაბინეტიდან გაისტუმრა. ჩიბუხი გააბოლა და ჩაფიქრდა.

მეორე დღეს გენერალმა პოულმა მუქი სათვალე გაიკეთა. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო და კაფე „ზეროსკენ“ გაემართა. შესასვლელთან შეჩერდა და დარბაზი შეათვალიერა. ჯაბა, კუთხის მაგიდასთან იჯდა და ფორთოხლის წვენს წრუპავდა. პოული პირდაპირ მისკენ გაემართა და ყმაწვილს უთხრა:

– შეიძლება, დავჯდე?

– დაკავებულია, მისტერ, უკაცრავად. მეგობარს ველოდები, – გაუღიმა ჯაბამ ახალმოსულს.

– სულს მოვითქვამ. წვენს დავლევ და წავალ. სულ ათიოდე წუთი მჭირდება, – მიუგო პოულმა ყმაწვილს.

– დაბრძანდით, სერ.

პოული მაგიდას მიუჯდა. მიმტანს ფორთოხლის წვენი შეუკვეთა და გააბოლა. ჯაბას კი უთხრა:

– კვამლი ხომ არ შეგაწუხებთ?

– მოწიეთ, – გაეღიმა ყმაწვილს.

მიმტანმა ფორთოხლის წვენი მაგიდაზე დადგა და წავიდა. პოულმა მოწრუპა და ჯაბას ჰკითხა:

– ალბათ, გოგონას ელოდებით?

– დიახ.

– კარგია ახალგაზრდობა. თქვენხელა რომ ვიყავი, მეც მიყვარდა კაფეში გოგოების დაპატიჟება. ეჰ, როდის ეს იყო. სულ სხვა დრო იყო მაშინ. კაფეში დროის გატარება მაშინ ბევრად იაფი ჯდებოდა, არამც თუ ახლა. მუშაობთ თუ სწავლობთ?

– ვმუშაობ, სერ.

– კმაყოფილი ხართ?

– გოგონების დასაპატიჟებლად მყოფნის, – გაუღიმა ჯაბამ.

– კარგია. ძალიან კარგი. თქვენს ასაკში მეც ვმუშაობდი. მთელი დღე „კოკა-კოლას“ დავატარებდი ქალაქში და კარგადაც მრჩებოდა. პირველი მანქანა რომ ვიყიდე, თავი მეფე მეგონა და სიხარულისგან ცაში დავფრინავდი. თქვენ გყავთ მანქანა?

– არა, სერ.

– არ გინდათ, რომ გყავდეთ?

– ჯერ არა, სერ.

– ალბათ, თქვენს გოგონას ჰყავს.

– დიახ.

– თქვენი მეგობარი ხომ არ იგვიანებს?

– კი. ცოტა იგვიანებს.

– მობილურზე დაურეკეთ.

– გამორთული აქვს.

– დაუჯდა, ალბათ.

– ალბათ.

– ჯინა ქროსს წყალი აუდუღდა მანქანაში და ტელეფონი დაუჯდა. ახლა ისეთ ადგილზეა, რომ ვერ გიკავშირდებათ.

– მივხვდი, სერ, – მშვიდად მიუგო ჯაბამ.

– გენერალი ოდნავ დაიბნა და ყმაწვილს ჰკითხა:

– რას მიხვდით?

– იმას, რომ აქ ჩემს სანახავად მოხვედით.

– დიახ. სწორედ თქვენს სანახავად.

– კანტორიდან ბრძანდებით? – ჰკითხა ჯაბამ პოულს და კანტორაში გამოძიების ფედერალური ბიურო იგულისხმა.

– როგორ მიხვდით?

– ეს ძნელი არაა, სერ.

– მაინც?

– აქ თქვენნაირები არ დადიან. გაიხედეთ, სულ ახალგაზრდები სხედან. თქვენ კი, მიუხედავად უბრალო ჩაცმულობისა, გეტყობათ, რომ რესპექტაბელური ჯენტლმენი ბრძანდებით. როგორც კი გამოჩნდით, მივხვდი, რომ მე მეძებდით და არც შევმცდარვარ. თანაც, სიგარეტს თითქმის არ ეწევით და ჩიბუხს ქაჩავთ. ჩიბუხი კი კანტორაშია მოდაში.

– ჩიბუხს?

– დიახ, სერ, ჯიბუხს. ისე ეწეოდით სიგარეტს, როგორც ჩიბუხს ქაჩავენ. ამას თქვენი ხელისა და ტუჩების მოძრაობით მივხვდი.

– ჯაბა, თქვენ ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხართ. პრაისს უნდა ვუსაყვედურო.

– რატომ, სერ?

– იმიტომ, რომ სათანადოდ არ მომამზადა თქვენთან შეხვედრისთვის და ღლაპივით გავიშიფრე.

– ხდება ხოლმე, სერ, – გაეღიმა ჯაბას, – მაგრამ, ნუ დარდობთ, გარწმუნებთ, აქ ჩემ გარდა ვერავინ მიხვდა, თუ ვინ ხართ.

– იმედია, – ღიმილითვე მიუგო პოულმა, – მე გენერალი მარტინ პოული ვარ, ბიუროს დირექტორის მოადგილე.

– სასიამოვნოა, სერ. ეტყობა, ძალიან სერიოზული საქმე უნდა იყოს, რადგან ასეთი მაღალი ჩინი მოდის პირად კონტაქტზე რიგით სტუდენტთან.

– უსერიოზულესი, – გაიღიმა პოულმა, – თქვენ რიგითი კი არა, გამორჩეული ხართ.

– გმადლობთ, სერ.

– ხვალ, დილის ათ საათზე ჩემს კაბინეტ-

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ში გელოდებით და იქ ვილაპარაკოთ. ახლა კი უნდა წავიდე, – გენერალმა საათს დახედა, – ჯინა წუთი-წუთზე დაგირეკავთ და მალე მოვა. ტრასაზე ახლა შემხვედრი მანქანა გაივლის. მძღოლი მას მიეხმარება და დაარეკინებს. ნახვამდის. ხვალამდე.

– ხვალამდე, სერ.

პოული კაფედან გასულიც არ იყო, როდესაც ჯინა ქროსმა დარეკა და ჯაბას უთხრა:

– ბოდიში, ჯაბ, რომ გალოდინებ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა. უკაცრიელ გზატკეცილზე წყალი ამიდუღდა და გავიჭედე. ტელეფონიც დამიჯდა და ამიტომ ვერ დაგირეკე. თხუთმეტ წუთში მანდ ვარ. არ მოიწყინო.

– კარგი, ძვირფასო. არ იჩქარო. გელოდები, – მიუგო ჯაბამ ჯინას და ფორთოხლის წვენის წრუპვა გააგრძელა.

მეორე დღეს ფედერალური გამოძიების ბიუროს აკადემიის კურსანტი ჯაბა ზვიადაური ცენტრალურ შტაბ-ბინაში მივიდა და ზუსტად დილის ათ საათზე შეაბიჯა გენერალ მარტინ პოულის კაბინეტში.

– შერლოკ ჰოლმსს ვახლავარ, – გენერალი გულთბილად შეხვდა ახალმოსულს და სავარძელზე მიუთითა, – როგორი დრო გაატარე, ჯაბა, ჯინას ხომ არ გაუბრაზდი?

– არა, სერ.

– ჯაბ, თუ არ ვცდები, ასე მოგმართავს ჯინა, ხომ?

– დიახ, სერ.

– ჯაბ, ძალიან სერიოზულ ოპერაციას ვიწყებთ და ამ საქმეში შენნაირი ახალგაზრდა აგენტი გვჭირდება. აქ კი იმიტომ მოგიწვიე, რომ უფრო ახლო გაგიცნო.

– გამიცანით, სერ, – გაიღიმა ჯაბამ.

– შენი ოჯახური მდგომარეობა მაინტერესებს. რას მეტყვი მათზე?

– მამაჩემი ბიზნესმენია და ღვინის წარმოებითაა დაკავებული. დედა – დიასახლისი. უმცროსი და თხუთმეტი წლისაა და სკოლაში სწავლობს. უმცროსი ძმა კი – ცხრა წლის და ისიც სკოლაშია.

– სად ცხოვრობენ?

– ძირითადად, თბილისში. თუმცა, მამაჩემს წარმოება რეგიონში აქვს, ახმეტაში.

– ხშირად ეკონტაქტები მათ?

– ყოველკვირა ვურეკავ.

– იციან, სად სწავლობ?

– დედ-მამამ – კი. მაგრამ ამის შესახებ არ ვლაპარაკობთ.

– კიდევ ვინ იცის ეს?

– ბორის ტოდოროვმა, სადაც მე გავიზარდე, ბულგარეთში და მამაჩემის რამდენიმე მეგობარმა. ისინი საიმედო ხალხია – ყოფილი მილიციელები და ბევრი ლაპარაკი არ უყვართ.

– ძალიან კარგი. რამდენი ხანია, რაც ისინი არ გინახავს?

– რაც აქ ვსწავლობ, სერ.

– ესე იგი, ოთხი წელია.

– დიახ, სერ.

– ძალიან კარგი. ჯინა ქროსზე რას მეტყვი?

– მშვენიერი გოგოა, სერ. ჭკვიანი, ლამაზი.

– გიყვარს?

– მასაც ვუყვარვარ, – გაეღიმა ჯაბას.

– ჯაბ. უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ჯინასთან დროებითი განშორება მოგიწევს. რამდენი ხნით კი, ცნობილი არაა.

– გასაგებია, სერ.

– მერე სიყვარული?

– სიყვარულს გამოცდა უნდა. დრო კი საუკეთესო გამომცდელია.

– ჭკვიანური აზრია. მაგრამ, ჯინასთან განშორება მუშაობაში ხომ არ შეგიშლის ხელს?

– არა, სერ. ასეთია ჩვენი პროფესია და ყველაფერს უნდა გავუძლოთ საქმის გამო.

– კეთილი. ახლა საქმეზე გადავიდეთ.

– გადავიდეთ, სერ.



– ხვალიდან შენ პოლკოვნიკ მორისის განკარგულებაში გადადიხარ და ის ორთვიან მომზადებას გაგატარებს. საქმის ყველა დეტალსაც ის გაგაცნობს. მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ მუშაობა სხვისი სახელით და ურთულეს პირობებში მოგიწევს. ყველაფერთან ერთად, უნდა დაიცვა სრული კონსპირაცია, რომ არ გაიშიფრო. ამიტომ, საყვარელი გოგონა, ოჯახი და ახლობლები დროებით უნდა დაივიწყო. გეკრძალება მათთან ყოველგვარი კონტაქტი. შემთხვევით თუ რომელიმე მათგანი სადმე შეგხვდა, თავი უნდა დაიძვრინო და არ გაიშიფრო.

– გასაგებია, სერ.

***

– ვაჟა, მერაბ გამრეკელი გირეკავს, უთხრა ნინომ მეუღლეს და მობილური ტელეფონი მიაწოდა.

– გამარჯობა, ბატონო მერაბ, – მიესალმა ზვიადაური გენერალს.

– გაგიმარჯოს, ვაჟა. როგორ ხარ?

– არა მიშავს. თქვენ?

– მეც არა მიშავს. ვაჟა, ოფისში ვარ და მალე მოხვალ?

– ნახევარ საათში.

– კარგი. გელოდები, – მიუგო გამრეკელმა ზვიადაურს და ტელეფონი გათიშა.

ძველ კოლეგებსა და მეგობრებს კერძო სამძებრო და დაცვის ფირმა ჰქონდათ გახსნილი, რომელსაც „მეგა“ ეწოდებოდა. „მეგა“ მერაბ გამრეკელის სახელისა და გვარისგან შედგენილი აბრევიატურა იყო. გენერალთან ერთად ამ სამსახურის დამფუძნებლები და სრულუფლებიანი წევრები იყვნენ – ვაჟა ზვიადაური, ნოე ბუცხრიკიძე და კოტე სოხაძე. „მეგაში“ მათ ასი თანამშრომელი ჰყავდათ – ძირითადად, ყოფილი მილიციელები და ავღანეთის ომის ვეტერანები. აგრეთვე, რამდენიმე ახალგაზრდაც, რომლებიც ამ ფირმაში სპეციალური შერჩევის შედეგად მოხვდნენ. „მეგა“ ძირითადად კერძო გამოძიებით, კერძო პირების დაცვითა და ძვირფასი ტვირთების გაცილებით იყო დაკავებული. ამ სამსახურს რამდენიმე ფილიალი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სათაო ოფისი კი თბილისში, საბურთალოზე მდებარეობდა. სამსართულიანი შენობა საკმაოდ კოხტად და კომპაქტურად იყო მოწყობილი. უზარმაზარ სარდაფში ტირი და სავარჯიშო სპორტდარბაზი იყო განთავსებული. შენობის პერიმეტრი საიმედო ღობით იყო შემოფარგლული. ტერიტორიას ვიდეოკამერები აკონტროლებდა და უსაფრთხოების ზომები უმაღლეს დონეზე იყო დაცული. ფირმის მომსახურება იაფი არ ღირდა, სამაგიეროდ, უმაღლესი ხარისხი გარანტირებული იყო და ათწლიანი არსებობის განმავლობაში „მეგას“ უკმაყოფილო კლიენტი არ ჰყოლია. ყოფილა შემთხვევები, კლიენტებს ნახევარ ფასში, ან სულაც უფასოდაც მომსახურებიან. ასეთ დროს, მომსახურების ღირებულებას თავად დამფუძნებლები იხდიდნენ საკუთარი ჯიბიდან. მსგავსი ქველმოქმედება, ძირითადად, სამძებრო-საგამოძიებო მომსახურებაზე ვრცელდებოდა. თუმცა, რამდენჯერმე საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანებიც კი დაუცავთ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ერთი სიტყვით, ამ სამსახურში მაღალი დონის პროფესიონალები და საკმაოდ კეთილშობილი ადამიანები მუშაობდნენ. ამიტომ, „მეგას“ კლიენტები არ აკლდა და დამფუძნებლებმა ახალი თანამშრომლების მიღებაზე დაიწყეს ფიქრი.

ვაჟა ზვიადაური დათქმულ დროზე მივიდა სამსახურში. მანქანა ეზოში გააჩერა და გამრეკელს კაბინეტში ეახლა მესამე სართულზე.

– დაჯექი და მომისმინე, – უთხრა გამრეკელმა ზვიადაურს და სკამზე მიუთითა.

ზვიადაური დაჯდა და მიუგო:

– გისმენთ, ბატონო მერაბ.

– ლარისა გოზალაძე გახსოვს?

ვაჟას გაეცინა და თქვა:

– რეციდივისტ ჩანტლაძის საყვარელი. „ხურდა“ რომ გლდანში ავაგდე, ეს ქალბატონი მას ლოგინში ეწვა. როგორ არ მახსოვს. ახლა ის რესპექტაბელური მანდილოსანია. მისი ქმარი კი ახალ პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარეა.

– კი. სწორედ ეგ.

– კიდევ რამეში გაეხვია?

– ბიზნესმენი ბოტკოველიც ხომ იცი?

– ჯემალ ბოტკოველი – მილიონერი, სუპერმარკეტების ქსელის მეპატრონე და იმპორტიორი.

– ეგეც სწორია.

– მერე, ბატონო მერაბ.

– ამ დილით ჩემთან ბოტკოველის მეუღლე იყო,. ეთერი. როგორც ეტყობა, ძალიან ეჭვიანი ქალია. ვფიქრობ, ცოტა ფსიქიკაშერყეულიც. მან მითხრა, რომ ნებისმიერ თანხას გადაიხდის, სამაგიეროდ, ჩვენ უნდა დავუდგინოთ, არის თუ არა ლარისა გოზალაძე მისი ქმრის საყვარელი. ერთი სიტყვით, შეკვეთა მოგვცა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ექიმ-რეანიმატოლოგ ნინო ქადეიშვილს სტამბულში დაუდგინდა ავთვისებიანი სიმსივნე. საჭიროებს სასწრაფო მკურნალობას, რისთვისაც საჭირო სახსრები ოჯახს არ გააჩნია. გთხოვთ დახმარებას ახალგაზრდა ქალის სიცოცხლის გადასარჩენად.

**GE52BGOOOOOOO906179500**
**(საქართველოს ბანკი).**
**პირადი №01024041545.**

# როგორ შექმნა მოუხელთებელი ბანდა „კაგებეს“ ყოფილმა ქართველმა მაიორმა



*პუბლიკაციაში აღწერილი ამბები ახლო წარსულში მოხდა. მოქმედების დრო, ადგილი და მთავარი გმირების ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ ვიხდით ბოდიშს.*

### უჩინარი ბანდა

მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველოში უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენური მდგომარეობა იყო. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უამრავი დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებდა, რომლებიც რეკეტით, ძარცვა-ყაჩაღობითა და მკვლელობებით იყო დაკავებული. მათ წინააღმდეგ მთავრობას რესურსი არ ჰყოფნიდა და ამ ბრძოლაში პრეზიდენტი შევარდნაძეც კი უძლური აღმოჩნდა.

საქვეყნოდ ცნობილი, ეგრეთ წოდებული „საძმოების“ პარალელურად, ქვეყანაში ერთი ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდა, რომელსაც ძალოვნებმა „უჩინარი ბანდა“ უწოდეს.

ეგრეთ წოდებული „უჩინრები“ სხვა კრიმინალური დაჯგუფებებისგან განსხვავებული ხელწერით მოქმედებდნენ. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის აფიშირებას ერიდებოდნენ და მოქმედებდნენ თითქმის უსისხლოდ, ძალიან სწრაფად და ორგანიზებულად. მათი ძირითადი საქმიანობა იყო მდიდარი ბიზნესმენებისგან ფულის გამოძალვა. ისინი საკმაოდ მარტივი და კარგად დამუშავებული სქემით მოქმედებდნენ. მავან ბიზნესმენს მისდიოდა წერილი, რომელსაც ვინმე „ბიძა“ აწერდა ხელს. ბიძა ბიზნესმენს გარკვეული თანხის გადახდას სთხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ ქონების დაზიანებით, ბოლოს კი ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდა. თუ ბიზნესმენი მოთხოვნილ თანხას არ მოიტანდა, მას მანქანას აუფეთქებდნენ, ოფისს დაუწვავდნენ და მაინც აიძულებდნენ ფულის მოტანას. თანხა ასი ათასი დოლარიდან იწყებოდა, ფულის გადაცემის ადგილი კი წერილში იყო აღნიშნული. სახელი „ბიძა“ ისე გავრცელდა ბიზნესმენებში, რომ ფულს უყოყმანოდ იხდიდნენ. უჩინრებს ერთი პრინციპი ჰქონდათ – ისინი არასდროს აკითხავდნენ ერთსა და იმავე ბიზნესმენს ორჯერ, ანუ, ფულს მხოლოდ ერთხელ ართმევდნენ. უჩინრების ვინაობით არა მარტო ძალოვანი სტრუქტურები იყვნენ დაინტერესებულები, არამედ, სხვა კრიმინალური დაჯგუფებების წევრებიც და მათ გაშიფვრას ცდილობდნენ, რომ პირადად შეხვედროდნენ და გაეცნოთ ისინი. პარალელურად კი უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრის ინტერესის გამო, ერთობლივ სპეცოპერაციებს ახორციელებდა „ბიძის“ მოსახელთებლად. საქმე კი ის იყო, რომ უჩინრებმა ამ მინისტრის „პირად“ ბიზნესმენს ერთი მილიონი დოლარი გამოსძალეს: მას ჯერ წერილი გაუგზავნეს, შემდეგ მანქანა და ოფისი მსხვერპლის გარეშე აუფეთქეს. ყოველივე ამან რომ არ გაჭრა, დილით, მზისით, თავად ბიზნესმენი გაიტაცეს და ორი კვირის შემდეგ ხელშეუხებელი და საღ-სალამათი გამოუშვეს.

### ჩაშლილი ოპერაცია

ქართველმა ძალოვნებმა ბიძასა და მის ბანდას რამდენიმე ხაფანგი დაუგეს, მაგრამ მათი გაბმა ვერ მოახერხეს. ერთ-ერთი ხაფანგისთვის კი თბილისში ცნობილი დაჯგუფების ლიდერი, ვინმე უშანგი ცომაია, მეტსახელად უშო გამოიყენეს. უშოს საძმო ძალოვნებთან იყო შეკრული. მათი მფარველობით ბანდიტები ადამიანებს იტაცებდნენ, ურჩებს ზოგს კლავდნენ, ზოგსაც ასახიჩრებდნენ, ძალოვნების დავალებით, უშომ ხმა გაავრცელა, რომ ბიძას დაიჭერდა და სასქესო ორგანოთი დაკიდებდა თბილისის ცენტრში. ასეთი სვლის მიზანი ის იყო, რომ, ძალოვნების გამოთვლით, პატივმოყვარე ბიძა ან მისი ბანდის რომელიმე წევრი უშოს მიაკითხავდა პასუხის მოსათხოვად და მას სწორედ მაშინ შეიპყრობდნენ. უშოსა და მის საძმოს ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილზე ფეშენებელური კლუბი ჰქონდათ გახსნილი.

> **შიშველი უშო გმირთა მოედანზე, გვირაბის თავზე ფეხებით დაკიდებული იპოვეს**

კლუბთან ოცდაოთხი საათის განმავლობაში კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელები იყვნენ ჩასაფრებულები და უჩინრების გამოჩენას ელოდნენ.

მაისის ერთ საღამოს, იმ ქუჩაზე, სადაც უშოს კლუბი მდებარეობდა, შუქი ჩაქრა. ჩაბნელდა კლუბიც და „დვიჟოკი“ ჩართეს. ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც კლუბი კვლავ გაჩახჩახდა, უშოს მეგობრებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ბოსი სადღაც გამქრალიყო. დაიწყეს მისი ძებნა და მხოლოდ გამთენიისას მიაგნეს შიშველ უშოს გმირთა მოედანზე, რომელიც გვირაბის თავზე დავდაყირა იყო დაკიდებული. ზურგზე კი ბარათი ჰქონდა მიკრული, რომელშიც ეწერა: „ამ ყვერს მეორედ ყვერებით დავკიდებ და ენას უკანალში შევტენი, თუ არ გააჩერებს. ბიძა“.

უშო შიშისგან გაჭაღარავდა და ენა ჩაუვარდა. ექიმებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ შოკიდან მის გამოსაყვანად. შემდეგ კი საბოლოოდ ჩამოშორდა კრიმინალურ საქმიანობას, ეკლესიური ცხოვრება დაიწყო და ოჯახს მოეკიდა. ძალოვნებს ოპერაცია ჩაეშალათ, მაგრამ უჩინრებზე ნადირობას ისევე განაგრძობდნენ.

### ბიძა

უშოს გატაცებიდან ოთხი თვის შემდეგ უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკს, ზვიად ნოდიას, მეგობარმა დაურეკა და სასწრაფოდ შეხვედრა სთხოვა. ნოდიას მეგობარმა, გურამ კაჭარავამ, თავისი ძმა, რამაზი მიიყვანა და პოლკოვნიკს უთხრა:

– მოუსმინე.

– გისმენ, რამაზ, რა ხდება? – თქვა პოლკოვნიკმა და მეგობრის ძმას მიაჩერდა.

– დიდი ხანია, ვეჭვობდი, რომ ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავდა. ამის გამო ხშირად ვჩხუბობდით. გუშინწინაც ვიჩხუბეთ. მე ვერ მოვითმინე და მაგრად მივბეგვე. ნარია სახლიდან გაიქცა, წასვლის წინ კი დამემუქრა, – ნახე, თუ ბიძას შენი თავი ფეხებით არ დავაკიდებინოო. იქნებ დამეხმაროთ. ნარია ტყუილად არ დამემუქრებოდა. ერთხელ მითხრა – ძილში მოგკლავო და მდუღარე გადამასხა. ძლივს გადავრჩი.

პროფესიით ინჟინერ-მშენებელი რამაზ კაჭარავა უშეილო იყო და ცოლს ამის გამო მასხრად ჰყავდა აგდებული – ღალატობდა და „პეტუხს“ ეძახდა.

პოლკოვნიკმა ნოდიამ პირველივე სიტყვებიდან „ჩაავლო“ – ბიძას ფეხებით დავაკიდებინებ შენს თავსო. ძმებს დახმარებას შეჰპირდა, გააფრთხილა, რომ ამ საუბრის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვათ და გაისტუმრა. შემდეგ ნოდიამ ეს ამბავი პირადად მინისტრს მოუყვა, უშიშროების მინისტრმა კი ბიძასა და უჩინრებზე მონადირე სპეცჯგუფს ამ ინფორმაციის შემოწმება დაავალა.

ნარია ზუმბაძეზე ფარული თვალთვალი დაწესდა. ოპერმუშაკები მის ახალგაზრდა საყვარელზე, 25 წლის რომან მახარაძეზე გავიდნენ და დაადგინეს, რომ ის „უჩინართა“ ბანდის წევრი იყო. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო და უშიშროებამ მთელი ბანდა გაშიფრა, რომელიც სულ რვა წევრისგან შედგებოდა. გაიშიფრა ბიძაც, რომელიც 36 წლის ნიკოლოზ მხეიძე აღმოჩნდა – უშიშროების მაიორი, ავღანეთის ომის მონაწილე და „კაგებეს“ სადაზვერვო-დივერსიული სკოლის კურსდამთავრებული. მისი ბანდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო მახარაძე, რომელმაც სიმთვრალეში თავის საყვარელთან ბიძასა და ბანდაზე წამოაყრანტალა და ყველა გაშიფრა.

20 ოქტომბერს უშიშროების სპეცჯგუფებმა უჩინართა ბანდის შვიდი წევრი ოპერატიულად აიყვანა თბილისის სხვადასხვა უბანში. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მიაკითხეს ბიძასაც, მაგრამ მან მიმალვა მოახერხა და ბინაში შესულ ოპერმუშაკებს მისი მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი დახვდათ. ბინის ჩხრეკისას ძალოვნებმა 3 მილიონ 250 ათასი დოლარი აღმოაჩინეს – ეს ის ფული იყო, რომელიც ბანდამ ბიზნესმენებს გამოსძალა. როგორც შემდეგ ძიებამ დაადგინა, ბანდიტები ფულს იმისთვის აგროვებდნენ, რომ კრიმინალური საქმიანობისთვის თავი დაენებებინათ და ბიზნესი დაეწყოთ. ნიკოლოზ მხეიძეს ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ, ამასობაში კი მისი მეგობრები გაასამართლეს და ციხეში გამოამწყვდიეს. ძებნილი მხეიძე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაბრუნდა თბილისში. მას ყველა ბრალდება მოუხსნეს და დღესაც საქართველოში ცხოვრობს.

**ნიკა ლაშაური**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ორჯერ ნასამართლევმა მამაკაცმა ნათესავი გოგონა გაუპატიურების შემდეგ, ჩანგლით ყელში დაჭრა



წარსულში ორჯერ ნასამართლევ მამაკაცს, 22 წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობის მცდელობისთვის, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სამედიცინო ექსპერტიზის მიხედვით, რომლის მიზანიც განსასჯელის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა იყო, 43 წლის მერაბ დ-ძე ფსიქიკურად გაწონასწორებული აღმოჩნდა: მას შეეძლო საკუთარი ქმედების კონტროლი. ამასთან, დანაშაული, რომელიც მან მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდინა, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მამაკაცი ჯერ ახალგაზრდა გოგონას გაგუდვას შეეცადა, შემდეგ კი, ყელის არეში ჩანგლით მძიმე დაზიანება მიაყენა.

საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მერაბ დ-ძე და ირინა ბ-შვილი შორეული ნათესავები იყვნენ. მერაბ დ-ძე სოფელში, სადაც ახალგაზრდა გოგონა ცხოვრობდა, ცოლ-ქმარ – ეთერ და სოსო ბ-შვილების ხშირი სტუმარი იყო. გოგონა სწორედ ამ ცოლ-ქმრის მეზობლად მდებარე ბინაში ცხოვრობდა. მერაბ დ-ძე მას კარგად იცნობდა. გოგონა ძალიან მოსწონდა და სოფელში ყოველი ვიზიტის დროს მასთან დაახლოებას ცდილობდა. მერაბ დ-ძე წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი, ორჯერვე მძიმე დანაშაულსითვის, გოგონას მშობლები მუდმივად აფრთხილებდნენ, რომ მამაკაცისგან თავი შორს დაეჭირა. უფრო მეტიც, ამის გამო ირინა ბ-შვილის ოჯახს და მარტოხელა ცოლ-ქმარს შორის, თბილისელი ნათესავის იმედად რომ ცხოვრობდნენ, რამდენჯერმე სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, იმ დღეს, როცა მერაბ დ-ძემ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სოფელში ის ნათესავის გასვენებაში იყო ჩასული. იმავე გასვენებაში იყვნენ გოგონას ოჯახის წევრები და მისი ნათესავი ცოლ-ქმარიც, რომლებიც ცერემონიალს ბოლომდე დაესწრნენ. გამოძიების მასალების მიხედვით, ნასვამმა მერაბ დ-ძემ სუფრა მალე მიატოვა იმ იმედით, რომ სახლში დარჩენილ ირინას დაიმარტოხელებდა. მოგვიანებით, მან სამართალდამცველებთან აღიარა, რომ ამ შემთხვევას დიდხანს ელოდა. ირინა ბ-შვილის ჩვენების მიხედვით, როცა დაუპატიჟებელი სტუმარი სახლში მიადგა, ის ბინაში მარტო იყო. ამონაწერი გოგონას ჩვენებიდან: „მისი სტუმრობა არ მომეწონა, ნასვამი იყო. ვუთხარი, სახლიდან მივდივარ-მეთქი, რაზედაც მიპასუხა: ბიცოლაჩემის სახლში ყავა ვერ ვიპოვე, ყავა დამალევინე და წავალო. ყავის მოსადუღებლად სამზარეულოში გავედი, როცა ის თავს დამესხა, წინააღმდეგობის გაწევა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი." დაზარალებული გოგონას ჩვენების მიხედვით, მერაბ დ-ძემ მასთან სქესობრივი კავშირი ძალის გამოყენებით დაამყარა. გოგონა მოძალადე მამაკაცისგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. მერაბ ბ-ძემ ის ჯერ გააუპატიურა, თან მისი ყვირილის ხმა რომ ჩაეხშო, სახეზე ბალიშიც კი დააფარა. გონებადაკარგული გოგონა გონზე მოსვლის შემდეგ კვლავ შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას. მერაბ დ-ძემ მას ჯერ ყელში წაუჭირა ხელი და მისი დახრჩობა სცადა, მაგრამ ხელიდან რომ დაუსხლტა, მაგიდიდან ჩანგალი აიღო და ყელში დაარტყა.

სახლის დატოვებისას მერაბ დ-ძე შემთხვევით მეზობელ მამაკაცს გადაეყარა, რომელსაც მისი დანახვა საეჭვოდ ეჩვენა. მოწმის ჩვენების მიხედვით, როდესაც მან ჰკითხა, აქ რას აკეთებო, მერაბმა აგდებულად უპასუხა, ირინას მამასთან ვიყავი საქმეზეო. მამაკაცს ნასვამი მერაბ დ-ძის

**მამაკაცმა გოგონას ბალიში დააფარა და ისე გააუპატიურა, რომ მისი ყვირილი ჩაეხშო**

ქცევა არ მოეწონა და როგორც კი თვალს მიეფარა, მეზობლების ბინაში შევიდა. მან აღმოაჩინა დაჭრილი და გონდაკარგული გოგონა, რომელიც მთვრალ მოძალადეს გარდაცვლილი ეგონა. მოწმის ჩვენების მიხედვით, მან ჯერ მეზობლებს დაუძახა, შემდეგ კი მათი დახმარებით, სასწრაფო გამოიძახა, რომელთაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი გოგონას გადარჩენა შეძლეს.

სამართალდამცველებმა მერაბ დ-ძე ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, იმავე ღამეს დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული დეტალურად აღწერა, თუმცა მოგვიანებით, როცა სასამართლოზე წარსდგა, ჩვენება ნაწილობრივ შეცვალა. დაზარალებული გოგონას ოჯახის წევრების და ნათესავების რისხვას დაკავებული მერაბ დ-ძე ძლივს გადაურჩა. სოფელი მისი ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა. თუმცა, დაკავებული მამაკაცი სამართლადამცველებმა განრისხებულ მოსახლეობას რაიონიდან მალე გაარიდეს. ამონაწერი განასასჯელის ჩვენებებიდან: „ირინა ძალიან მიყვრდა, მინდოდა, ცოლად შემერთო, მაგრამ ჩემი წარსულის და ასაკის გამო, მასზე ბევრად უფროსი ვარ, მისი ოჯახი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო. თვითონ ირინაც ჩემს გრძნობებს ცინიკურად პასუხობდა, ამიტომაც ვიყავი მასზე გამწარებული. ერთი-ორჯერ ბიცოლაჩემს ისიც კი ვუთხარი, აქ აღარ ჩამოვალ, ირინას ყურება აღარ შემიძლია-მეთქი, მაგრამ ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი ჩემს კმაყოფაზე იყვნენ და უპატრონოდ ვერ ვტოვებდი. იმ დღეს გასვენებიდან ადრე წამოვედი, ჩუმად გამოვიპარე. ირინას მშობლები რომ არ მიმხვდარიყვნენ, ვთქვი, რომ თბილისში მეჩქარებოდა. მინდოდა, მარტო მენახა და მესაუბრა ირინასთან. ძალიან მთვრალი ვიყავი, როცა მის ბინაში მივედი. ირინამ მასხრად ამიგდო, შეურაცხყოფა მომაყენა. გამწარებულმა ასე ვიძიე მასზე შური... თუმცა, როცა მივედი, არც მისი გაუპატიურება მიფიქრია და არც დაჭრა, ეს სულიერი აღელვების გამო ჩავიდინე". დაზარალებული გოგონას დედის ჩვენების მიხედვით, მერაბ დ-ძე გოგონას ხშირად ემუქრებოდა და ეს მუქარა სისრულეში სწორედ იმ დღეს მოიყვანა. ჩემი შვილის ცოლად მოყვანა არ უნდოდა. ამას იმიტომ იგონებს, რომ თავი გადაირჩინოსო, აცხადებდა ირინა ბ-შვილის დედა. დაზარალებული ოჯახი განსასჯელის უმკაცრესად დასჯას ითხოვდა. მას საბოლოოდ, გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობის მცდელობის ბრალი დასდეს. განსასჯელს პირველ ჩვენებაში ჰქონდა გაცხადებული, რომ „გოგონა მკვდარი ეგონა" და „შემთხვევის ადგილს გაერიდა". რომ არა ამ ამბავს შემთხვევით შემსწრე მეზობელი, რომელმაც გოგონას დახმარება დროულად აღმოუჩინა, შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულისთვის ფატალური შედეგი დამდგარიყო. სასამართლომ არ გაიზიარა მერაბ დ-ძის დაცვის მიერ მოთხოვნილი სასჯელის შემსუბუქება და მას 14 წლით პატიმრობა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ მგლის ხატვა
2. მიახატეთ ყურები
3. შემდეგ – თვალები
4. მიახატეთ ცხვირი
5. დაასრულეთ თავის ხატვა
6. მიახატე ტანიც
7. შემდეგ თათები და კუდი
8. დაასრულეთ ნახატი



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება



# გააყავი:

## 2 ჯგუფად



## 4 ჯგუფად



## 3 ჯგუფად



## რიცხვრებუსი

10,, ,6,,, ,,0, 1,,, ,,3

# მგზავრები და დათვი

## (იგავ-არაკი)

გზაზე ორი მეგობარი მიდიოდა. უცებ დათვი შემოეფეთათ. ერთი თვალის დახამხამებაში ხეზე აძვრა და თავს უშველა, მეორე კი მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. დათვი მივიდა და დაყნოსა. კაცმა სუნთქვა შეიკრა. იცოდა, დათვი მკვდარს არ ერჩოდა.

როცა დათვი თვალს მიეფერა, ამხანაგი ხიდან ჩამოვიდა და ძირს დარჩენილ ამხანაგს ჰკითხა: დათვმა ყურში რა გიჩურჩულაო.

– რა მიჩურჩულა და ისეთ კაცთან ნუ იმეგობრებ, ვინც გასაჭირში მიგატოვებსო, – უთხრა ამხანაგმა.

მეგობარს განსაცდელში გამოსცდიო.

# ხელნაკეთი ყულაბა




ყულაბის დასამზადებლად დაგჭირდებათ: ერთი პლასტმასის ბოთლი, საღებავი, საჭრელი, 4 ცალი პლასტმასის ბოთლის სავსახური, თეთრი და შავი მუყაო და წებო. პლასტმასის ბოთლს ამოჭერით შუა ნაწილი როგორც ნახატზეა ნაჩვენები, ჩამოაცვით ერთმანეთს ბოთლის ორი ნაწილი. შეღებეთ თქვენთვის სასურველ ფერად. მუყაოსგან გამოჭერით ყურები, თვალები და დააწებეთ ბოთლს. ცალკე შეღებეთ თავსახურები და მიაწებეთ ბოთლს, როგორც ფეხები. როცა საღებავი გაშრება ზემოდან ჩაჭერით ბოთლი ისე, რომ ფული კარგად ჩაეტიოს.



ციმბირის მთიანი მხარე
ქვიშა

ნიაღი-სეულის ადგილი
თბილ-ისის უბანი
ფოტოზე გამო-სახული მსახიობის დედა
გრძივი და....
ღოღო-ბერიძე
ეგვი-პტის ნახევარ კუნძული
ეკლესიის მიერ შერისხვა
შტრაუსის ცეკვა
ტელე-ვიზორის ნაწილი
მესამე პირმა
მაჭან-კალი
საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესასრულებელი მოვლენა
ბიბლ-იური ავაზაკი
პირუ-ტყვის სადგომი
ომარ ფხაკაძის მეტოქე დანიელ...
ბაჰრ-ეინის დედა-ქალაქი
სიახლის სტილი
ნახატი
თავის-უფალი ქვის მთლელი
ვიქტორია
პოპულ. ინგლის. გვარი
ვაჭარი „ლონ-დრეში"
ბრტყელი კუთხის საზომი ერთეული
ევროპის მდინარე
პირუტყვის სადგომი
(.....) და-მაცადე!
ბიჩერ-სტოუს ბიძია...
გერმან. მდინარე
ვერდის ოპერა
მორ-ჩილაძე
მომღ-ერალი ჟილბერ...
.....გვერდ-წითელი
დადე-ბითი
(.......) ჩელენ-ტანო
სარეცხი ფხვნილი
ძველი ხორვატი ფეხბუ-რთელი
სამხრ. ამერიკ. პირუტყვი
უზარ-მაზარი
ვაჟკა-ცობა, თავ-დადება
თბი-ლისის კინო-თეატრი
ბურთით თამაში
წვერის სალე-ბავი
არის ასეთი სახელი ქალისა
მწერების ყუთი
ყვა-ვილები ერთად
შესანიღბი ან მოსაფარებელი საშუალება
20 ცალი გვაქვს
თოვლის ბებო
ხაშურის სოფელი
ჭადრაკის ქალ-ღმერთი
ბალხაშის ტბის შე-ნაკადი მდინარე
სახლი
აფრიკის ქვეყანა
კაცის იტალ-იური სახელი
ცხენის სტიმული.
მოსავლის აღება
ფრანგ მეფეთა' სახელი
აზიის ქვეყანა
ცხვირის ანთება, სურდო
პუერტო-(.......)
მდიდარი კაცი
თბი-ლისის უბანი
მტა-ცებელი ფრინველი
აღმოსავ-ლური ვი-ოლინო
ლიპარიტ ბაღვაშის ძე
დროს აღრი-ცხავს
„ჩვენი" არაბი ჭაბუკი
ტატოს ლექსი
ტაიგა
ბიჭვინ-თასთანაა
ქალაქი ესპა-ნეთში
ასეთია აპრილი ზოგ სი-მღერაში
სახელი უილიამი მოკლედ
ტექსტის ხაზი
ძვირფასი ქვა
არსა-კიძე
სხეულის ნაწილი
პიუგოს ბიჭი
იანვრის ძვ.სახელი
კროს-ვორდის დასას-რული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 3 | | |
| | 1 | 6 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 2 | 2 | 1 | 3 | |
| 9 | 6 | 10 | 13 | 14 | 11 | 9 | 7 | 6 | 5 | | | | | | | | 2 | | 2 | | | | | | | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 3 |
| 10 | 9 | 4 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 7 | 10 | 5 | 4 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 20 | 2 | 20 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 11 | 2 | 2 | 3 |
| 1 | 4 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 3 | 2 | 14 | 15 | 16 | 18 | 18 | 19 | 20 | 2 | 20 | 3 | 19 | 18 | 18 | 16 | 15 | 15 | 10 | 8 | 3 | 5 | 9 | 4 | 12 | 12 | 4 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 5 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 8 | 9 | 7 | 6 | 2 | 1 | 2 | 16 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 2 | 25 | 4 |
| | | 1 | 25 | 5 |
| | | 2 | 12 | 13 |
| | | | | 13 |
| | | 11 | 6 | 4 |
| | 9 | 10 | 5 | 2 |
| | | 8 | 18 | 3 |
| | | 7 | 18 | 4 |
| | 1 | 5 | 16 | 4 |
| | | 3 | 22 | 1 |
| | 1 | 4 | 21 | 2 |
| | | 5 | 21 | 4 |
| | 5 | 20 | 3 | 1 |
| | | 5 | 20 | 2 |
| | 4 | 20 | 3 | 1 |
| | | 3 | 20 | 5 |
| | | 3 | 20 | 5 |
| | | 3 | 20 | 6 |
| | 3 | 2 | 18 | 6 |
| | 3 | 3 | 16 | 6 |
| | | 2 | 18 | 6 |
| 2 | 3 | 12 | 2 | 4 |
| 2 | 4 | 10 | 2 | 3 |
| | 6 | 4 | 3 | 4 |
| | | | 5 | 12 |
| | | | 1 | 17 |
| | | | 20 | 2 |
| | | 18 | 12 | 1 |
| | | 14 | 12 | 2 |
| | | 1 | 16 | 16 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 1 | | | 6 | | 2 | 7 |
| | 3 | 7 | 2 | 1 | | | | 9 |
| | 6 | | 7 | | | 1 | | 8 |
| 2 | | 6 | | 8 | | | 4 | |
| | 5 | | 6 | | | 8 | 1 | 2 |
| | | 9 | 5 | 4 | 2 | 7 | | |
| | | 5 | 1 | | | 2 | 8 | 4 |
| 3 | | | | 7 | 5 | | 9 | |
| | 1 | | 8 | 2 | | 5 | 7 | 3 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 9 | | | | | 1 | |
| 5 | | 1 | | | 4 | | 7 | |
| | | | | 6 | | 2 | | 9 |
| 3 | | | 7 | | 2 | | 9 | |
| | 9 | | | | 6 | | 2 | 1 |
| 2 | | | | 9 | | | | 5 |
| | | 7 | | | 8 | | | |
| | 8 | | | | 7 | | 5 | 6 |
| 6 | 4 | | 5 | | | | 8 | |

# მოკლულის „შურისძიება“

**ჯონ ფილსონი**



ჯონ ჯეიკობსი ბედნიერი ღიმილით იჯდა ფართო ვერანდაზე რბილ სავარძელში და ყველაზე ძვირად ღირებულ ვისკის წრუპავდა. ვერ იტყოდა, რომ ცხოვრებაში არ გაუმართლა. საკმაოდ რეალისტი იყო და იცოდა, რომ ბედი ყველაფერს ერთად არავის აძლევს. ფუფუნებაში ჩაძირული, ფიქრობდა იმაზე, როგორ იყო მისი ცოლი ერთდროულად სერიოზული მონაპოვარიც და კატასტროფაც. კორამ ის ჭაობიდან ამოათრია: კაზინოში იპოვა, მოუარა, ჩააცვა, დაახურა და ცოლადაც გაჰყვა. დიახ, ყველაფერი – სახლი, აგარაკი, ძვირფასი მანქანებით გამოტენილი ავტოფარეხი თუ უძვირფასესი სასმელებით სავსე ბარი – კორას საკუთრება იყო. სიმდიდრე მამამისისგან მიიღო მემკვიდრეობით. მისგანვე ერგო მემკვიდრეობით საშინელი გარეგნობა: მოკლე კისერი, კოტიტა ხელები და თითები, უშნო სახე; ყველაფერ ამას დაუმატეთ საზიზღარი ხასიათიც... ჯონმა ამოიოხრა. კორა მასზე თექვსმეტი წლით იყო უფროსი, მაგრამ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, სასიკვდილო არაფერი ეტყობოდა და, თუკი რამე მოუღებდა ბოლოს, მისი მადა იყო. ძალიან უყვარდა ჭამა. ექიმები ეუბნებოდნენ, რომ გული ქონში ჰქონდა ჩაძირული. კორამაც, იმის მაგივრად, ექიმებისთვის დაეგდო ყური და დიეტა დაეწყო, მოძებნა ვიღაც შარლატანი ექიმბაში და მისი რჩევები უფრო მისაღები აღმოჩნდა, რადგან, ასმევდა ბალახების ნაყენს და არაფერში ზღუდავდა. კორა თვალსა და ხელს შუა იმატებდა წონაში. ჯონი გუნებაში მადლიერი იყო ექიმბაშის და, გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი კორა მოკვდებოდა, მიღებული მემკვიდრეობიდან სერიოზული საჩუქარი გაეკეთებინა მისთვის.

ჯონს ფიქრები კორას გამყინავმა ხმამ გააწყვეტინა.

– ჯონ! ჯონ... სად ხარ? – ხმა ვერანდის მეორე მხრიდან მოდიოდა. ჯონი წამოხტა და მაშინვე ცოლისკენ გაეშურა. კარგად იცოდა, რასაც მოასწავებდა ეს მბრძანებლური ტონი. ქალი მოლბერტთან იჯდა და თავის მორიგ შედევრს ქმნიდა. ბოლო დროს ახალი გასართობი გაიჩინა – ფერწერა და, მასწავლებელიც კი დაიქირავა.

– გინდოდა რამე, ძვირფასო?

– ცივი ჩაი მომიტანე, ყინულით! – უბრძანა ცოლმა.

ჯონი შეიჭმუხნა:

– საყვარელო, სახლში ათზე მეტი მოსამსახურეა. ხომ არ გეჩვენება, რომ ეს ერთ-ერთი მათგანის საქმეა?!

ქალმა უკმაყოფილოდ ასწია წარბი:

– ჯონ, მეტისმეტი ხომ არ მოგდის? ჩემი ქმარი შენ ხარ და, შესაბამისად, მოვალე ბრძანდები, იზრუნო საყვარელ მეუღლეზე. მსახური – მსახურია, ქმარი კი – ქმარი. ხომ არ შეგახსენო შენი მოვალეობები და უფლებები? – ამ სიტყვებით კორა ისევ მოლბერტისკენ შებრუნდა და ამით ანიშნა, საუბარი დამთავრებულია, წაბრძანდი და ჩაი მომიტანეო.

უკვე ხუთი წელი იყო, რაც ერთად ცხოვრობდნენ. მანამდე კორამ ორი ქმარი გამოიცვალა... ჯონმა თვალები დახუჭა და ათამდე დაითვალა. ეს ქალი უკვე ნერვებს უშლიდა...

კორამ ჩაი მოსვა.

– მგონი, ძალიან არ შეწუხებულხარ. თუ ჩემ მიმართ ყურადღება შენთვის ტვირთია და მძიმედ გაწვება, პრობლემა არ არის, შემიძლია, გაგეყარო.

ჯონს შეაჟრჟოლა. კორას ადრეც მიუნიშნებია მისთვის, რომ ის მისი პირველი ქმარი არ იყო და, შესაძლებელია, არც უკანასკნელი. მაგრამ, ახლა ეს მუქარა გაცილებით მეტი საფრთხის შემცველი იყო: ჯერ ერთი, კორა მას ისე უყურებდა, როგორც ნივთს, რომლის უკეთესით შეცვლა ყოველთვის შეიძლება; მეორე – დიდი ხანი არ იყო, რაც ქალის სიახლოვეს ვინმე ოსკარ ვუტენი გამოჩნდა, სწორედ ის ფერწერის მასწავლებელი, რომელიც კვირაში სამჯერ უტარებდა ხატვის გაკვეთილებს და მერე ვახშმადაც რჩებოდა. ბოლო ორი კვირა კორა ძალიან მხიარული იყო მასთან. აუზშიც იბანავეს ერთად და ჩოგბურთიც ითამაშეს. ოსკარი ჯონზე ახალგაზრდაც იყო და მასზე გაცილებიც სიმპათიურიც. სერიოზულად ხომ არ ფიქრობდა კორა ამ შარლატანზე?

მეორე დღეს, საღამოს, ჯონი უკეთ დააკვირდა ვუტენს. ის ნაზი ღიმილით დაჰფოფინებდა კორას თავზე... ვისკიც კი გაუზავა და მიართვა. მერე ორივე დიდხანს სეირნობდა ბაღში. ვუტენი ქალს ფერების კეთილისმყოფელ გავლენაზე ელაპარაკებოდა და თან ყვავილებს უკრეფდა... კიდევ მეორე საღამოს, როცა ჯონი თავად სვამდა ვისკის, ვუტენმა ირონიულად ჰკითხა:

– გიყვართ, ძვირფასი ვისკი?

– არა, შევეჩვიე, – უპასუხა ღრენით ჯონმა. იმ თავხედმა კი მიუგო:

– ვშიშობ, ცოტა ხანში უნარ-ჩვევების შეცვლა მოგიწევთ.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. იმიტომ არ იტანჯა ხუთი წელი, რომ კორას ქონება ამ ამაზრზენი თხუპნიასათვის დაეთმო. სასწრაფოდ რაღაც იყო მოსაფიქრებელი... ზუსტად ორი დღის შემდეგ ჯონთან მსახურთუფროსი მივიდა და სთხოვა, მიეცა უფლება, სახლში არსებული სამი თოფი საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა და მსახურებისთვის მიეცა. კორას მდიდრული ვილა საკმაოდ ახლოს მდებარეობდა იმ საპატიმროსგან, საიდანაც ოთხი ძალიან საშიში ბოროტმოქმედი გაიქცა და პოლიცია მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. ჯონმა ეს ზეციურ მინიშნებად ჩათვალა და გადაწყვიტა, ჩანაფიქრი მალევე მოეყვანა სისრულეში. მეორე დღეს, გვიან საღამოს, როცა კორამ თავისი საყვარელი მასწავლებელი გააცილა და ვერანდაზე დაბრუნდა, ჯონმა ალერსით მოიხმო ცოლი და მასთან ერთად ბრენდის დალევა შესთავაზა. კორა უკმაყოფილოდ დაიჭყანა, მაგრამ მიპატიჟებაზე მაინც დათანხმდა. რამდენიმე ჭიქა ბრენდი დალიეს. ჯონი პატარა ყლუპებით სვამდა და ცოლს ყურადღებით შესცქეროდა – კორა, რატომღაც, ჩუმად იჯდა და ფიქრებში წასული იღიმებოდა.

„ეს, ალბათ, უკვე ოცნებობს, როგორ და სად გაატარებს თაფლობის თვეს ახალ ქმართან ერთად“, – გაიფიქრა ჯონმა და გამწარდა. კორა საძინებლისკენ გაეშურა. მისი მდიდრული აპარტამენტები სახლის მეორე მხარეს იყო. აუზთან გამოდიოდა მისი დიდი, შემინული კარი. ჯონმა შეიცადა, სანამ სახლში მსახურების ფეხის ხმა შეწყდებოდა, მერე აუზთან მივიდა და ცოლს დაუძახა:

– კორა, კორა, შეგიძლია, ერთი წუთით აქ მოვხიდე?

– რა გინდა, ჯონ? უკვე დავწექი.

– აუცილებლად უნდა მოხვიდე, აქ რაღაც ხდება! – დაიყვირა ჯონმა და ჯიბეში წინასწარ მომზადებული, წვრილი ტყავის თასმა მოსინჯა.

– სად ხარ, ჯონ, რა გინდა? – ქალი ნელა მიუახლოვდა აუზს.

– აი, იქ შეხედე! – ჯონმა თითით აუზის სიღრმეში მიანიშნა. ქალი წინ გადაიხარა. ჯონმა დრო იხელთა, ელვის უსწრაფესად შემოახვია ზონარი ყელზე და მაგრად მოქაჩა. ქალმა რამდენჯერმე გაიფართხალა და სული განუტევა... ჯონმა თასმა ისევ ჯიბეში ჩაიტენა, მერე გადაიფიქრა და აუზში გადააგდო. კორა მწვანე კორდში პირქვეჩამხობილი იწვა... ჯონმა ღიმილით დახედა და სახლში შევარდა ყვირილით, მიშველეთ, გამოქცეულმა პატიმრებმა ცოლი მომიკლესო. მერე ტელეფონს დასწვდა და პოლიციის განყოფილებაში დარეკა...

შერიფმა გვამი დაათვალიერა და ჯონს მიმართა.

– ესე იგი, როცა მოხვედით, ცოლი ასეთ მდგომარეობაში დაგხვდათ?

– დიახ, ველარ მოვუსწარი, სახლის მეორე მხარეს ბრენდის ვსვამდი... ყვირილი გვიან გავიგონე... უძილობა მჭირს და გვიან ვწვები. თან, სამ-ოთხ ჭიქას ვსვამ ხოლმე...

– ვერაფერი დაინახეთ?

– სამწუხაროდ, ვერაფერი, – თავი გადააქნია ჯონმა.

– საღამო როგორ გაატარეთ? – დაინტერესდა შერიფი.

– ჩვეულებრივად. სტუმარი გვყავდა – კორას ხატვის მასწავლებელი, ოსკარ ვუტენი და ის გავაცილეთ. მერე ცოტა დავლიეთ და ჩემი ცოლი დასაძინებლად გაემართა. როგორც ხედავთ, მისი საძინებელი სახლის საპირისპირო ფრთაშია მოთავსებული და ვერანდიდან საკმაოდ შორს არის... ამას ვერაფრით წარმოვიდგენდი...

– ეჭვი არ მეპარება, – გაეღიმა შერიფს, – თქვენ იმასაც ვერ წარმოიდგენდით, რაც ახლა უნდა გითხრათ: ოსკარ ვუტენი საათ-ნახევრის წინ საკუთარ მანქანაში მოკლეს ციხიდან გამოქცეულმა პატიმრებმა, სავარაუდოდ, მისთვის მანქანის წართმევის მცდელობისას. ჩვენ ისინი დავაკავეთ.

– როგორ? – ენა დაება ჯონს, – ვუტენი მკვდარია?

– დიახ. სავარაუდოდ, ვერც პატიმრები შესძლებდნენ ერთდროულად ორ ადგილას ყოფნას. ვნახოთ, რას გვეტყვის ექსპერტი. რომელ საათზეა თქვენი მეუღლე გარდაცვლილი?

ჯონს ძარღვებში სისხლი გაეყინა და უნებლიეთ ისევ კორას გვამისკენ გაექცა მზერა – კორას სახეზე შეყინული ღიმილი ძალიან ჰგავდა დაცინვას...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# ახლა უკვე ხელმისაწვდომია საქართველოში

## ქალბატონი გლორია, ყველაზე მეტი ნიჭით დაჯილდოვებული ნათელმხილველი მსოფლიოში: „მე თქვენ გთავაზობთ ჭეშმარიტ თილისმას, რომელსაც შეუძლია სრულიად შეცვალოს თქვენი ცხოვრება“.

### ნამდვილად გასაოცარი შეთავაზება

„მე დავიღალე იმის ყურებით, რომ ზოგიერთი ადამიანი ყოველთვის იღებს იმას ცხოვრებისგან, რაც სურს... ხოლო სხვებს უიღბლობა სდევთ თან ყოველდღე“, ამბობს ცნობილი ნათელმხილველი ქალბატონი გლორია. სწორედ ამ მიზეზით სურს მას თქვენთვის მისი ცნობილი თილისმის მოცემა. თილისმას შეუძლია მოგიტანოთ იღბალი, სიმდიდრე და გასაოცარი ზეგავლენის უნარი, როგორც ამას ქვემოთ იხილავთ.

„ამ თილისმას უკვე დაამტკიცა საკუთარი ძალა“, აცხადებს ქალბატონი გლორია. „მას ბევრად უფრო მეტი ძალა გააჩნია, ვიდრე ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ იღბლიან თილისმებს, რომლებიც შესაძლოა მანამდე გქონიათ. როგორც კი ამ თილისმას შეეხებით, ხელებით შეგიძლიათ იგრძნოთ მისი ბრწყინვალება, მისი მაგნიტური ძალა“.

**ქვემოთ მოცემულია იმის მტკიცებულება, რომ ქალბატონ გლორიას შეუძლია დაგეხმაროთ ნებისმიერ დროს, როგორც კი გამარჯვება და იღბალი დაგჭირდებათ: ლატარიის, გადასაფხეკი ბარათებისა თუ ტოტალიზატორში მოსაგებად... იხილეთ ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე წერილი.**

*„მე 122,000 ევრო მოვიგე“.*

„თქვენ მიწინასწარმეტყველეთ, რომ ლატარიას მოვიგებდი და მე 122,000 ევრო მოვიგე, რიცხვი 86004-ის მეშვეობით... გიგზავნით ჩემს ფოტოსურათს გამოსაქვეყნებლად, იმისათვის, რომ ხალხმა გაიგოს, თუ რამდენად კარგი ნათელმხილველი ბრძანდებით“...

**ბატონი ბ.ა.მ. ესპანეთი.**

*„სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში, მე მოვიპოვე 100,000.00“.*

„მე შევუკვეთე ქალბატონი გლორიას თილისმა და მისი მიღებიდან სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში, მოვიპოვე 100,000.00 აშშ დოლარი. შესაბამისად, აღარ ვნერვიულობ ჩემი უვარგისი ავტომობილის გაფუჭებაზე და აღარც იმაზე მაქვს სადარდებელი, თუ როგორ გავუშვა ჩემი ქალიშვილი კოლეჯში სასწავლებლად“.

**კეტლინ ა.ბ., კატო, ამერიკის შეერთებული შტატები.**

*მე ძალიან ბევრი მოვიგე:*

„არ დაიჯერებთ, მაგრამ ეს სიმართლეა. მე ლატარიაში 1155,000 მოვიგე თქვენი დამსახურებით. ჩემს მიზანს იმაზე ადრე მივაღწიე, ვიდრე ვვარაუდობდი. დიდი მადლობა“.

**ბატონი ე.კ., ბელგია.**

*„ჩემმა ქმარმა მოპოვა ნაღდი ფული 75,000 აშშ დოლარის ოდენობით + 3,500 აშშ დოლარის ღირებულების მოგზაურობა“.*

„როდესაც თქვენ პირველად დამიკავშირდით, მითხარით, რომ უზარმაზარ თანხას მივიღებდი. თანდართული დოკუმენტები და სურათი მოგიყვებათ ისტორიის დანარჩენ ნაწილს. ჩემმა მეუღლემ მიიღო 75,000 აშშ დოლარის ოდენობით + 3,500 აშშ დოლარის ღირებულების მოგზაურობა კალიფორნიის შტატის ქალაქ სან ხოსეში. ჩვენაუცილებლადუნდაგადაგვეხადაგადასახადები 13,000 აშშ დოლარისოდენობით, თუმცა, არც ფული გვქონდა საამისოდ და არც ამ თანხის მოძიების რაიმე საშუალება. სწორედ მაშინ მივიღეთ თქვენი წერილი. ეს ზეციდან პასუხის გაცემას ჰგავდა.

**ქალბატონი ბ.ე., ინ, ამერიკის შეერთებული შტატები.**

## ვინ არის ქალბატონი გლორია?

**ქალბატონი გლორია არის ნათელმხილველი, რომელიც განსხვავდება ყველა იმ ნათელმხილველისაგან, რომლებსაც შესაძლოა წარსულში დახმარება სთხოვეთ. ქალბატონი გლორია არის ის, რაც ცნობილია „რჩეული ნათელმხილველის“ სახელწოდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მან მშობლებისაგან მიიღო მემკვიდრეობით საკუთარი ნიჭი და ძალა. სწორედ ასე იზრდება „რჩეული ნათელმხილველების“ ძალა, თაობიდან თაობამდე...**

**ამჟამად, მას შემდეგ, რაც ის წარმატებით დაეხმარა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში მცხოვრებ ადამიანებს, გლორიამ გადაწყვიტა საკუთარი ნიჭი და უნარები გამოიყენოს საქართველოში მცხოვრები იმ ადამიანებისათვის, რომელთაც დახმარება ყველაზე მეტად ესაჭიროებათ. ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სტატია და აღმოაჩენთ იმ მიზეზს, თუ რატომ უნდა ენდოთ გლორიას და რაც მთავარია, გაიგებთ, თუ როგორ შეგიძლიათ აღმოფხვრათ ყველა თქვენი პრობლემა, ფინანსური პრობლემების ჩათვლით, სწორედ გლორიას დახმარებით!**



ზემოთ მოცემული რამდენიმე მაგალითი მოყვანილია იმ მიზნით, რომ შეგექმნათ სურათი, თუ რა შეიძლება თქვენს ცხოვრებაში მოხდეს ძალიან მალე... გლორიას გასაოცარი, ოქროს მაგნიტური თილისმის მეშვეობით, ბოლოსდაბოლოს შეძლებთ ყველა იმ დაბრკოლების დაძლევას, რომელიც უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრების გზაზე გელობებათ. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება, როდესაც იმაზე მეტი ფული და იღბალი გექნებათ, ვიდრე ოდესმე! თქვენ სიხარულით იქნებით აღსავსე და თქვენს გარშემო მყოფებსაც სიხარულს მოუტანთ. თქვენ განთავისუფლდებით ყველა იმ პრობლემისა და საზრუნავისაგან, რომლებიც დღეს გაწუხებთ. თქვენი მხიარულება და მაგნიტური პიროვნება კიდევ უფრო მიმზიდველს გაგხდით და ხალხს თქვენსკენ მოიზიდავს.

### გიჭირთ ამ ყველაფრის დაჯერება?

შესაძლოა ოდნავ სკეპტიკურად იყოთ განწყობილი ამ თილისმის შედეგებთან მიმართებაში, ისევე, როგორც სხვები. მაგრამ როდესაც თილისმას მიიღებთ და თან ატარებთ მას რამდენიმე დღის განმავლობაში, თქვენი სკეპტიციზმი, გაოგნებად გადაიქცევა.

### რატომ იქნებით ასე გაოგნებული?

იმიტომ, რომ გაგაკვირვებთ იმის ნახვა, თუ როგორ დღითიდღე შეიცვლება მთელი თქვენი ცხოვრება საფუძვლიანად. გაგაოგნებთ იმის ხილვა, თუ როგორ სწრაფად და „სასწაულებრივად“ გაქრება თქვენი პრობლემები, ერთმანეთის მიყოლებით.

### ჩაიდეთ თილისმა ჩანთაში ან ჯიბეში, ეს ხომ ძალიან მარტივია!

როდესაც თქვენს ოქროს მაგნიტურ თილისმას მიიღებთ, ძალიან ფრთხილად გახსენით შეფუთვა (შეფუთვის გახსნისას, აუცილებლად მარტო უნდა იმყოფებოდეთ). შემდეგ აიღეთ თილისმა ხელში. შეისწავლეთ და შეიგრძენით ის, რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამის შემდგომ, ჩაიდეთ თილისმა ჩანთაში ან ისეთი ტანსაცმლის ჯიბეში, რომელსაც ხშირად ატარებთ.

### პირველ ცვლილებებს შეამჩნევთ დაახლოებით 48 საათის განმავლობაში.

დიდხანს არ მოგიწევთ მოცდა იმისათვის, რომ თქვენს ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებები შეამჩნიოთ. სულ რაღაც 48 საათის შემდგომ, თქვენი ოქროს მაგნიტური თილისმა უკვე გაგრძნობინებთ სხვაობას. როგორ შეძლებთ აღნიშნული განსხვავების შემჩნევას? ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს: მაგალითისთვის, წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული:

- შესაძლოა უეცრად დიდი ოდენობის ფულადი თანხა მოიგოთ ლატარიაში...
- შესაძლოა დაკარგული სიყვარული დაიბრუნოთ...
- შესაძლოა თქვენი ერთერთი ნატვრა განხორციელდეს...
- მნიშვნელოვანმა პირმა შესაძლოა უეცრად დიდი ყურადღება მოგაქციოთ...

ფაქტიურად, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა სახის იღბალი გეწვევათ, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული შემთხვევა განსხვავებულია! **თილისმის შინაგანი ძალები მოერგება თქვენს საკუთარ პირად საჭიროებებს და ყველაზე გულითად სურვილებს.**

მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური პრობლემები გაწუხებთ, თილისმას შეუძლია სწრაფი ზეგავლენა მოახდინოს თქვენს იღბალზე ლატარიაში. იმ შემთხვევაში, თუ სიყვარულს ეძებთ, თილისმას შეუძლია დაგეხმაროთ მეორე ნახევრის, იმ ადამიანის პოვნაში, რომელსაც ყოველთვის ეძებდით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მეუღლე თქვენს მიმართ ისეთი აღარ არის, როგორც ადრე იყო, თილისმა დაგეხმარებათ მისი გულის ხელახლა დაპყრობაში!

### უფასო დამატებითი ბონუსი (საჩუქარი).

გსურთ თვალი შეავლოთ იმას, თუ რა ცვლილებები განხორციელდება თქვენს ცხოვრებაში მომავალში? თქვენს ოქროს მაგნიტურ თილისმასთან ერთად, ქალბატონი გლორია აგრეთვე გამოგიგზავნით უფასოწინასწარმეტყველებას, თქვენს პირად მომავალთან დაკავშირებით. **ხსენებული წინასწარმეტყველება გაგცემთ პასუხებს, რომლებსაც საკუთარ თავს უსვამთ თქვენი უახლოესი მომავლის თაობაზე.**

### მნიშვნელოვანი შენიშვნა: იმისათვის, რომ ეს გასაოცარი თილისმა მიიღოთ...

მხოლოდ პირველი 500 ადამიანი, რომლებიც დაურეკავენ გლორიას ასისტენტს შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: **2244024** ან **2244025**, გარანტირებულად მიიღებენ ქალბატონი გლორიას ოქროს მაგნიტურ თილისმას.

### სპეციალური შეთავაზება ამ ჟურნალის მკითხველებს:

- 1 ცალი ოქროს მაგნიტური თილისმა მხოლოდ 49 ლარად;
- 2 ცალი ოქროს მაგნიტური თილისმა სულ რაღაც 79 ლარად;

**საუკეთესო შეთავაზება:**

- 3 ცალი ოქროს მაგნიტური თილისმა მხოლოდ 99 ლარად.

### იჩქარეთ!

მხოლოდ პირველი 500 შეკვეთა იქნება მიწოდებული უფასოდ (ტრანსპორტირების ხარჯების გარეშე), 24 საათიანი ექსპრეს მიწოდების მომსახურების მეშვეობით. აგრეთვე შეგიძლიათ თქვენი ოქროს მაგნიტური თილისმა თავად აიღოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

შპს „ჰელს ენდ ბიუთი“
პეკინის ქუჩა №34,
მესამე სართული, თბილისი
სამუშაო განრიგი:
ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით,
დილის 9:00 საათიდან,
საღამოს 9:00 საათამდე.

# რატომ ილაშქრა ყვარყვარე ათაბაგმა არეშში და როგორ დასაჯა თავხედი არეშელი ვაჭარი

ძალიან პატივმოყვარე იყო ათაბაგი ყვარყვარე მეორე ჯაყელი და ერჩივნა სამცხეში ყოფილიყო ხელმწიფე, ვიდრე ერთიან საქართველოში ერთ-ერთი, თუნდაც უდიდესი რეგიონის ხელმძღვანელი.

რა არ გააკეთა ამისთვის. ჯერ აღბუღა მეორეს წაართვა ათაბაგობა. მაგრამ მეფე გიორგი მერვემ ათაბაგობა ისევ აღბუღას დაუბრუნა. აღბუღას სიკვდილის შემდეგ, ათაბაგობა მაინც ყვარყვარემ ჩაიგდო ხელში და დაიწყო ბრძოლა საქართველოს მეფის წინააღმდეგ.



სხვა ერისთავებიც აუჯანყდნენ საქართველოს მეფეს, მათ შორის, ბაგრატ ბაგრატიონი, მეფის ბიძაშვილი. ყვარყვარეს დასასჯელად მიმავალი გიორგი მერვე მოულოდნელად თავფარავანზე დაატყვევა ათაბაგმა მეფის ძმისშვილ კონსტანტინესთან ერთად.

შემდეგ ყვარყვარემ სცადა სამცხის ეპარქიები გამოეყო საქართველოს საპატრიარქო ტახტის იურისდიქციიდან, რათა ყველაფრით დამოუკიდებელი „ქვეყანა“ შეექმნა. მაგრამ ქართული ეკლესიის მესვეურები წინ აღუდგნენ ამ დიდ ცოდვას, განხეთქილება-გაყოფას (სქიზმას) და არ გამოუვიდა ეს ამპარტავან ჯაყელს.

1460–1470-იანი წლებიდან საქართველო დაიშალა. გიორგი მერვე კახეთში გადავიდა და იქ გამეფდა გიორგი პირველის სახელით. იმერეთში ბაგრატი გამეფდა, ყოფილი ერისთავი. ქართლში კი 1478 წელს კონსტანტინე მეორე. ყვარყვარესთვის აღარავის ეცალა. სეპარატისტმა ათაბაგმა მიაღწია თავისას.

ყვარყვარე ძალიან მდიდარიც იყო, მთელი სამცხის შემოსავალი – გადასახადებიდან და ვაჭრობიდან ტფილისის ხაზინაში აღარ მიდიოდა, ათაბაგს რჩებოდა. შემოსავალი საგარეო ვაჭრობიდანაც მოსდიოდა. მისი ყმა ვაჭრები მთელ იმდროინდელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი და უმრავლებდნენ ქონებას ამბიციურ მთავარს.

1483 წელს ყვარყვარე ჯაყელის ვასალი ვაჭარი შაქში იყო წასული სავაჭროდ. იქ ქალაქ არეშში სარფიანად აპირებდა აბრეშუმის შეძენას. იქაური აბრეშუმი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული.

არეში ადრე კახეთ-ჰერეთის სამეფოში შედიოდა. მერე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო, იმ დროს კი მაჰმადიანი მფლობელების ხელში გადასულიყო, რადგან ქართველი ერისთავები მეფესთან ომით იყვნენ გართულნი.

ერთი არეშელი ვაჭარი ძალიან უპატიოსნო აღმოჩნდა და დაჩაგრა მესხი სტუმარი, სცემა და აბრეშუმიც წაართვა. ათაბაგის ყმა თავისი მბრძანებლის სახელით დაემუქრა მოძალადეს, ჩემს ბატონს ვეტყვი და დიდი ყვარყვარე მოგაგებს პასუხსო.

იმ დროს შინაომებში ჩართული ქართველების, მით უმეტეს, შორს მცხოვრები მესხების აღარ ეშინოდათ. გაეცინა არეშელ ვაჭარს და უპასუხა:

– წადი და მიჩივლე შენს ბატონთან! მანაც დუქანი არ დამიქციოს და ყურით არ მიმაჭედოსო?!

მესხი ვაჭარი სასწრაფოდ დაბრუნდა სამცხეში, აუწყა თავის ქედმაღალ ბატონს მომხდარი და სიტყვასიტყვით გადასცა არეშელი მედუქნის დაცინვაც.

განრისხდა გოროზი ყვარყვარე. ვერ მოითმენდა მისი სახელის აბუჩად აგდებას ამპარტავანი მთავარი.

შეკრიბა 500 რჩეული მეომარი ყვარყვარე ათაბაგმა და არეშელი ვაჭრისთვის ჭკუის სასწავლებლად გაემართა, თან იახლა ყმა ვაჭარი, არეშელთა მიერ დაჩაგრული. გადაიარა ფარავანი, ჩავიდა დმანისში. იქ ორბელიანებმა უმასპინძლეს. ჩავლო ხუნანი, გადავიდა მტკვარზე და მიადგა ქალაქ არეშს.

არეშელები შეშინებულნი უცქეროდნენ

**ეგონათ, ძველი დრო დაბრუნდა, ქართველები გაერთიანდნენ და ქალაქის დასამორჩილებლად მოგვადგნენო**

მესხ ვაჟკაცებს. ეგონათ, ძველი დრო დაბრუნდა, ქართველები გაერთიანდნენ და ქალაქის დასამორჩილებლად მოგვადგნენო.

დაჩაგრულმა ვაჭარმა პირდაპირ მოძალადე არეშელი ვაჭრის დუქანს მიაყენა მძვინვარე ათაბაგი. შეუნგრიეს დუქნის კარი დამფრთხალ ვაჭარს მესხებმა. გამოათრიეს ტრაბახა არეშელი და ყვარყვარეს მიჰგვარეს.

შეშინებული არეშელი ვაჭარი სიკვდილს მოელოდა. ყურებით მიაჭედეს საკუთარ დუქანზე უპატიოსნო და ტრაბახის მოყვარული არეშელი ვაჭარი ათაბაგის მსახურებმა.

ყვარყვარეს ვაჭარი ზეიმობდა და მადლობდა ღმერთს, რომ მისი ცემა არ შერჩა არეშელს. გამოიტანა რაც წაართვეს დუქნიდან. მეტი არაფრისთვის უხლიათ ხელი ქართველებს.

ზიზღით შეხედა დუქნის კარზე ყურებით მიჭედებულ ვაჭარს სამცხის გულზვიადმა ათაბაგმა და გამოაბრუნა ცხენი.

გაოგნებული მაჰმადიანი არეშელები შიშით აცილებდნენ მესხთა ხუთასკაციან მხედრიონს. თან, უხაროდათ, რომ საქართველოს ძლიერების ხანა დასრულებული იყო.

მთელ ახლო აღმოსავლეთს მოედო ეს ამბავი...

კახეთის გავლით შემობრუნდა ყვარყვარე ათაბაგი, გამოიარა ყარაია, მცხეთის გავლით შიდა ქართლში შევიდა.

შიდა ქართლელებმა არ ისურვეს მისთვის გზის მიცემა და დახვდნენ არადეთთან. მეფე კონსტანტინემ, ყვარყვარეს დაუძინებელმა მტერმა, არ იცოდა ეს ამბავი. შიდა ქართლელებს უნდოდათ, საჩუქარი გაეკეთებინათ მეფისთვის და მიეგვარათ განმდგარი ათაბაგი მისთვის. აქ იყვნენ მეფეთა ერთგული ციციშვილები, ჯავახიშვილები, მაჩაბლები და სხვები. მათ შორის ზაზა ციციშვილი-ფანასკერტელი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ, იძულებით გადმოსახლებულიყო ტაოდან და მტრობა ჰქონდა განკერძოების მოყვარულ ათაბაგთან.

ყვარყვარემ მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა: მე თქვენს მამულში არაფერი წამიხდენია და თქვენი არაფერი მიმაქვს. ძმობისა და მეზობლობის მეტი არაფერი მაქვს თქვენთან. ჩემს მტერს პასუხი გავეცი და ჩემს გზაზე მივდივარ. უსამართლოდ იქცევით, გზას რომ არ მაძლევთო.

ქართლელებმა მეფის მორჩილება მოსთხოვეს სეპარატისტ მთავარს...

გაიმართა ძლიერი ბრძოლა 1484 წლის 12 აგვისტოს. შეასკდნენ ერთმანეთს ზემო და შიდა ქართლელები. მესხი შალიკაშვილი იჯდა ურა კვიცზე. მიეტანა მას ქართლელი მაჩაბელი. შუბი უგმირა შალიკაშვილმა მაჩაბელს, გაუხვრიტა ფარი, გადმოაგდო ცხენიდან და მიაყვირა: აწყურის ღვთისმშობლის მადლმა, ურა კვიცზე რომ არ ვმჯდარიყავი, მკერდში გაგიყრიდიო“. ურა კვიცი ფიცხია და ძნელია მისი მართვა. მაშინ წამოიჩოქა მაჩაბელმა, მოუქნია ხმალი, შემოჰკრა შალიკაშვილის ცხენს, თავი გააგდებინა, ხმალი უნაგირის ტახტს დაასო და უპასუხა: გადმოგდებული არ ვყოფილიყავი შუაში გაგკვეთდიო.

ბევრი მეომარი დაიხოცა ორივე მხრიდან... გაიმარჯვეს მესხებმა.

გამარჯვებული ათაბაგი ჩამოჯდა ბრძოლის ველზე. მესხი ამილახორი იქვე მოწყენით იჯდა. ჰკითხა ყვარყვარემ: რას მოგიწყენია, ნუთუ კაცი ვერ ნახე რომ შებრძოლებოდიო?. უპასუხა ამილახორმა: მე ერთ კაცს ხმალი შემოვკარი და სამკლავიანი ხელი გავაგდებინე. თუ გინდა წამო და გიჩვენებო. წავიდნენ და მართლაც ნახეს სამკლავიანი ხელი ეგდო ძეძვის ბუჩქებში. გაშორდა ათაბაგი ქართველი ვაჟკაცისთვის მარჯვენის მოჭრით დამწუხრებულ ქართველს.

ასე „გამარჯვებული“ დაბრუნდა ყვარყვარე ათაბაგი თავის სამფლობელოში.

**გიორგი მახობეშვილი**

# რამდენი სული გააჩნდა ადამიანს ძველად ჩინეთში

ჩინეთის სახელმწიფოებრიობას საფუძველი ჩაუყარა მითიურმა ხელმწიფემ ხუან-დიმ, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ყვითელმა მბრძანებელმა. მისგან დაიწყო „ხუთი იმპერატორის" ეპოქა. ამასთან, მათგან ოთხი, შესაძლოა, არანაკლებ მითიური იყო (თუმცა, ბოლო ორი მათგანი ჩინეთის უძველეს წერილობით ძეგლებში ფიგურირებს). მათი მონაცვლე სიას დინასტიის რეალურობაც ეჭვს ბადებს მეცნიერებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩინური ქრონიკა მათი მმართველების სახელებს მოიხსენიებს, ხოლო მკვლევრებმა მათი მეფობის ზუსტი თარიღები დაადგინეს. სიას დინასტია ქვეყანას ჩვენს ერამდე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისამდე მართავდა. ეს დინასტია შეცვალა შანის დინასტიამ, რომლის რეალურობაში უკვე ალარავის ეპარება ეჭვი.

როგორ ცხოვრობდნენ შანელები, ჩვენ ვიცით არა მხოლოდ ქრონიკებიდან, არამედ არქეოლოგიური გათხრების მასალებიდანაც. გარდა ამისა, შემონახულია იმ პერიოდის უამრავი უნიკალური წერილობითი ძეგლი – „სამკითხაო ძვლები". ძვლებზე მკითხაობის ტრადიცია ფესვებით ჯერ კიდევ ნეოლითის ხანასთანაა დაკავშირებული, მაგრამ, სამკითხაო ძვლები, რომლებიც შან-ინის ეპოქას განეკუთვნება, მრავალ ათასწლეულს ითვლის. მხოლოდ ერთ ქალაქში, ანიანში დაახლოებით 20 000 ასეთი ძვალი იქნა ნაპოვნი.

შანელები სამკითხაოდ ცხოველთა ბეჭებს ან კუს პლასტრონებს (ბაკნის ქვედა ნაწილებს) იყენებდნენ. მკითხავი ძვლის მონაკვეთს გავარვარებული ჩხირის მეშვეობით ახურებდა და ნაბზარების ფორმის მიხედვით ცდილობდა, პასუხი გაეცა დასმულ შეკითხვებზე. კითხვას, მიღებულ პასუხს, მკითხაობის თარიღსა და მკითხავის სახელს, ზოგჯერ კი ინფორმაციას იმაზე, ახდა თუ არა წინასწარმეტყველება, ამ ძვლებზე წერდნენ. ამიტომ, ძვლებმა შეუფასებელი მასალა შემოინახეს იმის შესახებ, თუ რა საკითხები აღელვებდათ შანელებს, როგორ ცდილობდნენ ისინი თავიანთი პრობლემების გადაწყვეტას.

ხშირად ძვლებზე გაკეთებული ჩანაწერები შეიცავდა თხოვნას ღმერთებისადმი ან გარდაცვლილი წინაპრებისადმი და, ამასთან, დაპირებას, ერთად გაელოთ მათთვის მსხვერპლი, თუ მკითხაობა წარმატებით ჩაივლიდა და სულები თანხმობას განაცხადებდნენ. ტექსტების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე გავრცელებულ მსხვერპლი, რომელსაც შანელები გაიღებდნენ, იყო ადამიანი. მაგალითად: „წინაპარ გენის მსხვერპლად ვწირავთ სამას ადამიანს ციანის ტომიდან (ერთ-ერთი ხალხი, რომელიც მტრულ დამოკიდებულებაში იყო შანელებთან)". ერთდროულად მსხვერპლად გაღებულ ადამიანთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევდა. მათი საერთო რაოდენობა, რომელიც გამოთვლას ექვემდებარებოდა, შეადგენდა 13 052-ს; კიდევ 1 145 ძვალზე მსხვერპლად შეწირულთა რიცხვი არ სახელდება. მაგრამ, თუ თითოეულ შემთხვევაში (ძვალზე) პირობითად ვიგულისხმებთ მინიმალურ ოდენობას, ანუ ერთ ადამიანს, გამოდის, რომ შანელების სამკითხაო ძვლებზე ნახსენები იყო 14 197 მსხვერპლად შეწირული ადამიანი. ქვეყნიერების ძველ მცხოვრებთა რწმენით, თითოეულ ადამიანს გააჩნდა ორი სული: მატერიალური – „პო" და სულიერი (იდეალისტური) – „ხუნი". მოგვიანებით გაჩნდა აზრი, რომ პოს ტიპის სული შეიძლება იყოს შვიდი, ხოლო ხუნის ტიპისა – სამი. მაგრამ, ასე თუ ისე, სული პო (იქნებოდა ერთი თუ რამდენიმე), ადამიანის სიკვდილთან ერთად გარდაიქმნებოდა სულად, სახელწოდებით – „გუი", რომელიც სხეულთან ერთად ჩადიოდა მიწაში. ის ბინადრობდა მიწაში და სხეულის გახრწნის შემდეგ მიემართებოდა რაღაც ყვითელ წყაროსკენ. სული გუი ყვითელი წყაროსთან მოჩვენებით არსებობას განაგრძობდა რაღაც დროის შემდეგ მთლიანად იხსნებოდა (განზავდებოდა) სამყაროში. სწორედ ამ სულისთვის იყო განკუთვნილი სამსხვერპლო საზრდო და მოკრძალებული ქონება, რომელსაც მიცვალებულს სამარეში უწყობდნენ ნათესავები. მაგრამ სული გუი არ ითხოვდა განსაკუთრებულ მზრუნველობას, რადგან, გარდაცვლილის პიროვნება არა მასში, არამედ ხუნში დავანებული იყო, რომელიც ცად მაღლდებოდა და სულ „შენად" იქცეოდა. „შენი" ინახავდა ხსოვნას დედამიწაზე დარჩენილ ახლობლებზე, სწორედ ის იყო შუამავალი ადამიანებსა და ზეციურ ძალთა შორის და სწორედ მისთვის ჰმართებდათ მსხვერპლის შეწირვა, რათა მას უარი არ ეთქვა ცისქვეშეთში მცხოვრებთა დახმარებაზე.



## უბრალო ხალხს სული „შენი" არ ეკუთვნოდა, ამიტომ განსაკუთრებულ მსხვერპლშეწირვას მათი მიცვალებულები არ ითხოვდნენ

მოგვიანებით წარმოიშვა აზრი, რომ მიცვალებულ ჩინელებს გააჩნდათ კიდევ ერთი სული, რომელიც სულის მოსახსენიებელ ცხრილში ბინადრობდა საოჯახო სამსხვერპლოზე. მაგრამ შან-ინის ეპოქაში ითვლებოდა, რომ მხოლოდ ორი სული არსებობდა და, ამასთან, ისინი ყველას არ გააჩნდა. უბრალო ხალხს სული „შენი" არ ეკუთვნოდა, ამიტომ განსაკუთრებულ მსხვერპლშეწირვას მათი მიცვალებულები არ ითხოვდნენ, ხოლო სულ გუის ინტერესები ყველაზე მარტივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ სცილდებოდა; გარდა ამისა, ამ სულს არ შეეძლო, რეალური გავლენა მოეხდინა თავისი მემკვიდრეების ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. უფრო წარჩინებულ ხალხს არა მარტო გუი გააჩნდა, არამედ, თავისი მემკვიდრეების მცოდნე „შენიც". თუმცა, არც ის იყო უკვდავი და საკმაოდ მალე უერთდებოდა არყოფნას. ამგვარად, ზეცაში ცოცხალი ადამიანების ინტერესების წარდგენა შეეძლო მხოლოდ მეფე-ვანების სულს – „შენს", რომლებიც არა მარტო უკვდავებით იყვნენ მოსილნი, არამედ მნიშვნელოვანი გავლენაც გააჩნდათ ზეციურ იერარქიაში და, იმისთვის, რომ მათ ეს გავლენა გამოეყენებინათ ცოცხალთა კეთილდღეობისთვის, ადამიანებს ევალებოდათ, ღირსეული მსხვერპლი შეეწირათ, მათ შორის – ადამიანებიც. გარდაცვლილ მბრძანებლებზე ზრუნვა მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობისკენ იყო მიმართული და ამიტომ მას ჭეშმარიტად მბრძანებლური (სახელმწიფო) გაქანება ეძლეოდა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 | 8 | 1 |
| 7 | 5 | 8 | 6 | 1 | 9 | 2 | 3 | 4 |
| 1 | 3 | 4 | 2 | 5 | 8 | 6 | 9 | 7 |
| 8 | 1 | 3 | 9 | 2 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 4 | 6 | 9 | 5 | 8 | 1 | 7 | 2 | 3 |
| 5 | 2 | 7 | 4 | 3 | 6 | 9 | 1 | 8 |
| 3 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 | 8 | 6 | 9 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 |
| 9 | 4 | 2 | 8 | 6 | 3 | 1 | 7 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 4 | 5 | 8 | 6 | 3 | 9 | 2 |
| 2 | 3 | 8 | 1 | 4 | 9 | 7 | 5 | 6 |
| 5 | 6 | 9 | 3 | 2 | 7 | 8 | 1 | 4 |
| 9 | 4 | 1 | 8 | 6 | 2 | 5 | 7 | 3 |
| 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 5 | 6 | 8 | 1 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 1 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 1 | 8 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 8 | 1 | 3 | 7 |
| 6 | 7 | 5 | 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ყვავილების სურნელი ახშობს მომწამვლელი გაზების სუნს. 2. კამიკაძეების. 3. კარტი: 4 მასტი – დრო, 53 – კვირა, 364 მათი მნიშვნელობების ჯამი – დღე. 4. ინგლისურ მონეტებზე მომდევნო მონარქი წინამორბედის საწინააღმდეგოდ იყურება. 5. დაცემინება. 6. სამოთხე. 7. სიგარეტზე. 8. სპირტმზომი. 9. ლოცვის სათვლელი კრიალოსნის ქვების. 10. ბიჭი ნატურიდან ხატავდა.**

**მომღერალი ედვარდ მეისონი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც „ევროვიზიის" შესარჩევი ტურის ფინალისტთა ხუთეულში მოხვდა. ედვარდს ჰყავს საკუთარი ბენდი, მღერის რესტორნებში და ახლა „X ფაქტორშიც" აპირებს ბედის ცდას. ახლო წარსულში ყაზახეთში ცხოვრობდა და ლევან ლაზარიშვილთან ერთად კლუბში მღეროდა. სამომავლოდ კი, ნიუ-იორკში გამგზავრებაზე ფიქრობს, სადაც მისი დეიდაშვილი, ვლად არამოვი ცხოვრობს.**

# რა აკავშირებს ედვარდ მეისონს ვლად არამოვთან და რის გამო ეგონათ ის პატარაობიდანვე გეი

**ედვარდ მეისონი**: „პირველ არხზე" ძალიან ნაწყენი ვარ. ჩემი აზრით, არ შეიძლება შესარჩევი ტურის მოწყობა, როცა წინასწარ იცი, ვინ იქნება გამარჯვებული. თუ იცი, ვის უშვებ, ადექი და პირდაპირ გაუშვი. ნინას მიმართ არანაირი პრეტენზია რა მაქვს, ძალიან მაგარი გოგოა, უბრალოდ, „პირველი არხის" მხრიდან ასეთი რამ არ არის სწორი. 2012 წელსაც ასე იყო და წელსაც იგივეა.

**– ახლა როგორ აპირებ შენი შემოქმედების წარმართვას?**

– მაიკლ გოლდმანი ალბათ იცით, დუეტი გვაქვს და ვმუშაობთ სიმღერებსა და კლიპებზე. ჯგუფ „მეტეხის" სოლისტებთან გვინდა, დუეტის გაკეთება. ეს აბსოლუტურად განსხვავებული იქნება, თუმცა დეტალებს ჯერ არ ვიტყვი. ახლა ამ ჯგუფთან ერთად რესტორან „კერიაში" ვმუშაობ და ძალიან საინტერესო პროგრამა გვაქვს. „ბარაკონშიც" ვმღერი. კომპლექსი – „რესტორანში არ ვიმღერებ", არ მაქვს. ბევრს თავი მაგარი მომღერალი ჰგონია, რესტორანს არ კადრულობს და სახლში მშიერი ზის. მე ჩემი საქმიანობით ვშოულობ ფულს და ამით კმაყოფილი ვარ. თუმცა, ამბიციები, რა თქმა უნდა, მაქვს. პროფესიით რეჟისორი ვარ, რაღაც კლიპები გადავიღე, მაგალითად, შორენა ბეგაშვილი „ევროპაბეთის" რეკლამაში ***(იცინის).*** მაგრამ, ჩემი ცხოვრება მუსიკაა და ამ გზით ვაპირებ სიარულს. ახლა სიმღერებს ვყიდი მოლდოვაში. „რუსეთის ხმიდან" მომივიდა მიწვევა, მაგრამ ვიზა ვერ გავაკეთე და ვერ წავედი. ათი დღე მქონდა და ვერ მოვასწარი. ახლა მინდა „X ფაქტორში" მონაწილეობა და ვნახოთ, თუ გამიმართლებს.



**საქართველოში მეტროსექსუალი ან ლამბერსექსუალი ხარ, ესე იგი, ან ბი ხარ, ან გეი**

**– როგორც ვიცი, ნიუ-იორკში ცხოვრობდი, რას საქმიანობდი იქ?**

– უფრო სწორად, რაღაც პერიოდი ვიყავი. ნიუ-იორკში ჩემი დეიდაშვილი, ვლად არამოვი ცხოვრობს და ახლაც ვაპირებ იქ ჩასვლას რამდენიმე თვით. თუ კარგად მოვეწყობი, შეიძლება, დავრჩე. რასაც აქ ვაკეთებ, იმას გავაკეთებ იქაც, მხოლოდ იქ უფრო მეტი საშუალებაა. ვლადი ხან ლას-ვეგასშია, ხან ფილადელფიაში და ხან სად ***(იცინის).*** ძალიან ნიჭიერი მომღერალია. მღერის და ამაში პაროდიის ნიჭიც ეხმარება. სხვათა შორის, ძალიან მაგრად ხატავდა და სულ რაღაცის დახატვას ვეხვეწებოდი ბავშვობაში. ბევრი ჩემი ნათესავი „ჰოლივუდში" ცხოვრობს და შეიძლება, იქაც ვცადო ბედი. მხოლოდ კარგ ფილმში, ოღონდ გეის როლი ნუ იქნება ***(იცინის).*** გინდა მენაგვეს როლში ვიქნები, გინდა სხვა ვინმესი, ოღონდ გეი ვერ ვიქნები. ისედაც ბევრი გეი მწერს „ფეისბუქზე." ცუდად ვარ უკვე. ერთმა ტიპმა ინდოეთიდან მომწერა: ვიცი, რომ თქვენს ქვეყანაში ბევრი გეია ***(იცინის).*** „მინდა მოგეფერო" და ათას სისულელეს მწერენ, გაცნობას მთხოვენ. ვეუბნები, თუ მეგობრულად გინდათ, რა პრობლემაა, მაგრამ მე გეი არ ვარ-მეთქი. საქართველოში მეტროსექსუალი ან ლამბერსექსუალი ხარ, ესე იგი, ან ბი ხარ ან გეი. საყურე თუ გიკეთია, ესე იგი, გეი ხარ. მაიკლ ტაისონიც გეია *(იცინის).*

**– რადგან საყურე გიკეთია, მიაჩნიათ, რომ გეი ხარ?**

– ჰო, არ ვიცი. თავიდან ძალიან ვღიზიანდებოდი და პატარაობიდანვე ვიგინებოდი.

**– პატარაობიდანვე გეის გამსგავსებდნენ?**

– პატარაობაშიც ცოტა ისეთი ბიჭი ვიყავი, წყნარი და სულ ვიპრანჭებოდი. როცა ვინმეს გეი ვეგონებოდი, ეგრევე ვაგინებდი. მაგრამ, ახლა ისე გახშირდა ასეთი შემთხვევები, აღარ ვიგინები. უბრალოდ, ვუხსნი, თუ გინდა, ვიმეგობროთ და მეტი არაფერი... ბავშვობის მეგობარზე გავიგე ახლახან, რომ გეია. ჩემი ძმაკაცია და იმანაც იცის, რომ ძმაკაცია და ზედმეტი არაფერი... ლაპარაკიც კი.

**– რამდენიმე ხნის წინ ყაზახეთშიც ცხოვრობდი და მოღვაწეობდი, არა?**

– მე და ლევან ლაზარიშვილი ვმუშობდით კლუბში სამი თვე. იქ ჩვენი სურათი იყო გამოკრული წარწერით: „ვარსკვლავები საქართველოდან". ისეთი კარგი სურათი იყო, რომ სულ გოგოები შემოდიოდნენ *(იცინს).*

**– ბევრ კონკურსში გაქვს მონაწილეობა მიღებული და კიდევ გეგმავ, როგორც ჩანს, საკმაოდ რისკიანი ხარ?**

– რისკიანიც და ძალიან თავისუფალი, უკომპლექსო ვარ. იმას ვაკეთებ, რაც ვიცი. სამართლიანი ვარ და სხვისი არასდროს მშურს. ძალიან მიხარია ბერას წარმატებები, ძალიან ამერიკული ტიპაჟი დადგა.

## კომპლექსი – რესტორანში არ ვიმღერებ, არ მაქვს

**– ბერა რატომ აღნიშნე, მისი შემოქმედების გულშემატკივარი ხარ?**

– ადრე მქონდა კონტაქტი. მე და გოლდმანს გვითხრა, რომ კარგ რაღაცეებს აკეთებთო და გაკვირდებითო. რა თქმა უნდა, გაგვიხარდა. თვითონ ძალიან კარგი სტილი აქვს, თუმცა, ბევრი ვერ გაიგებს, რომ ეს ამერიკული სტილია და არა ქართული.

**– პირად ცხოვრებაზეც გკითხავ. რამდენადაც ვიცი, დაქორწინებული არ ხარ.**

– არა, მაგრამ სამი წლის ბიჭი მყავს – დენიელი. დაქორწინებული არ ვყოფილვარ, უბრალოდ, ერთად ვცხოვრობდით.

**– რატომ დაშორდით?**

– ვერ ვუგებდით ერთმანეთს. არ მოსწონდა, სახლში რომ ვმღეროდი, სამსახურში იმღერეო. მე კი 24 საათი ვმუშობ, ვმღერი და ამას ვერ იგებდა. თვითონ მოცეკვავე იყო. როცა ერთად ვიყავით, შემოქმედებითი პაუზა მქონდა. შემოქმედებაში რომ ყველაფერი კარგად გქონდეს, უნდა გყავდეს ისეთი გოგო, რომელსაც ეტყვი: დღეს მე და შენ მივფრინავთ იქ, უნდა თქვას – მოვდივარ. უნდა იცოდეს, რომ კაცი მე ვარ.

**– ანუ, შენს ჭკუაზე უნდა იაროს?**

– არა, მე არავის დავჩაგრავ, ხელს არ შევუშლი. ისეთი ტიპი არ ვარ, რომ ვუთხრა, ეს არ ჩაიცვა – შემოგხედავენ. პირიქით, თუ ჩემს გოგოს შეხედავენ, გამიხარდება.

**– გულისხმობ, თავის საქმე არ უნდა ჰქონდეს? თუ შენი ცხოვრებით იცხოვრებს, საკუთარ კარიერას როგორღა მიხედავს?**

– ყველაფერს მე გავუკეთებ. თავის ფული ჰქონდეს, იმუშაოს ისეთ ადგილას, რომ ჩემთვის ეცალოს. თუ უნდა, საერთოდ არ იმუშაოს და ისე გავიდეს ხალხში *(იცინს).* ქალი საწოლში და „კუხნაში" არ მინდა. მე მინდა განათლებული გოგო, რომ მთელი დღე სადმე იაროს და განვითარდეს. აბა, სულ სახლში ხომ დადებილდება ქალი, საინტერესო აღარ იქნება. მერე უკვე კაცი ღალატობს ქალს და ხდება დაშორება.

**– არის ასეთი გოგო შენს ცხოვრებაში?**

– არა. ყაზახეთში მყავდა გოგო, მაგრამ, რომ ჩამოვედი, ყველაფერი გაქრა. ისიც ჩემნაირი გიჟი უნდა იყოს. შეიძლება, ღამის სამ საათზე სადღაც წასვლა მომინდეს და არ უნდა გამიტეხოს. ჩემი ცხოვრების რიტმს უნდა აჰყვეს მთლიანად.

**– შენი შვილის დედასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

– ერთმანეთს ვკითხულობთ და ჩვენი ურთიერთობა, ძირითადად, ბავშვით შემოიფარგლება. მისი პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდები. თუმცა, არ მესიამოვნება, თუ გავიგებ, რომ ვილაც ჰყავს. სხვა ქვეყანაში ამას შეიძლება, არ მიაქციონ ყურადღება, მაგრამ აქ იტყვიან: „მაგის დედა იქ მუშაობს და იმასთან არის". არ მინდა, ჩემი ბავშვი სკოლაში მივიდეს და უთხრან, დედაშენი ისეთია და ამის გამო პრობლემები ჰქონდეს. ალბათ, სკოლაში მივალ და დავანგრევ იქაურობას *(იცინს).*

**– მაგრამ, მას ხომ აქვს უფლება, ცხოვრება იმას დაუკავშიროს, ვისაც უნდა?!**

– კი, მაგრამ არ შეცდეს. ჩემში შეცდა და მეორედ აღარ შეცდეს *(იცინის).* თუმცა, ჭკვიანი გოგოა და ვიცი, რომ არ შეცდება.

**ქეთი კაპანაძე**

# „ბრენდ ერი" – სანათების ახალი მაღაზია თბილისში, რომელიც ნათელი პროდუქციით გთავაზობთ

*25 იანვარს თბილისში, წერეთლის გამზირი №101-ში გაიხსნა მაღაზია-სალონი „ბრენდ ერი". „ბრენდ ერი" წარმოადგენს სანათი მოწყობილობების ფართო ასორტიმენტს ინტერიერისა და ექსტერიერის გასაფორმებლად. მომხმარებელს შეუძლია აქ შეიძინოს ევროპის წამყვანი დიზაინერების – Michele de luchi, Jamie beriestain, pier giacomo-სა და სხვათა ნამუშევრები, რომლებიც მუდმივად განახლებადია. მაღაზია-სალონი მომხმარებელს ასპროცენტიან ხარისხსა და საუკეთესო ფასებს სთავაზობს; გარდა ამისა, თითოეულ კლიენტს შეუძლია როგორც დიზაინერის კონსულტაციის მიღება, ისე პროდუქციის ადგილზე მიტანა და მონტაჟი. პროდუქცია გათვალისწინებულია არა მხოლოდ სახლის, არამედ, რესტორნის, სასტუმროს, კაფესა და სხვა ფართებისთვისაც.*



*საღამოზე მოწვეულები იყვნენ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, არქიტექტორები და დიზაინერები. გაიმართა წამახალისებელი გათამაშება და სტუმრებმა საჩუქრად „ბრენდ ერის" არაჩვეულებრივი პროდუქცია მიიღეს.*

**კესო გელაშვილი** ***(მენეჯერი):*** ჩვენს დიზაინზე იზრუნეს ქართველმა დიზაინერებმა – ნანუკა კარანაძემ და მარიამ ხოშტარიამ. თუმცა, იტალიიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოგვაქვს ცნობილი დიზაინერების ნამუშევრები. ძირითადად, ნატურალური მასალაა გამოყენებული.



გვაქვს წერტილოვანი განათებები, პროჟექტორები, ტორშერები, მაგიდის სანათები, გარე განათებები, ლედ-განათებები, ბაღის განათებები, სარკის განათებები და ასე შემდეგ. შეკვეთებსაც ვიღებთ. შეგიძლიათ, მობრძანდეთ, კატალოგიდან აირჩიოთ ნებისმიერი პროდუქცია და ჩვენ გამოგიწერთ. ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომია – გათვლილია ყველანაირ სეგმენტზე: 70 ლარიდან 6 000 ლარამდე მერყეობს. ყველაფერი მცირე რაოდენობით ჩამოგვაქვს, რათა არ განმეორდეს – ბევრ მომხმარებელს არ უნდა, მისნაირი ჭაღი სხვასაც ჰქონდეს.

**ნანუკა კარანაძე** ***(დიზაინერი):*** მგონი; ეს პირველი პრეცედენტია დიზაინერებისა და მეწარმეების ასეთი თანამშრომლობის. ინტერიერები, რასაკვირველია, სხვაგანაც არის მოწყობილი, მაგრამ, ჩვენთან თანამშრომლობა გრძელდება. ჭაღები დიზაინერების შერჩევითაა ჩამოტანილი ევროპიდან და კლიენტებსაც დიზაინერი უწევს კონსულტაციას. ვფიქრობ, ეს ყველაფერი წარმატებული იქნება. ვიტრინების ძირითადი დიზაინი ეკუთვნის დიზაინერებს – მარიამ ხოშტარიასა და მე. დღევანდელ საღამოზე ძირითადად დიზაინერები და არქიტექტორები მოვიწვიეთ; ასევე, მეგობრები, ახლობლები და ისინი, ვისაც აინტერესებდა განათების სისტემები. მგონი, საინტერესო საღამო გამოვიდა.

**მარინა სალუქვაძე**: მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთი ლამაზი ადგილი გაიხსნა. დიდი სიმპათიით განვეწყვე და, მინდა, ორგანიზატორებსა და მფლობელებს მივულოცო. არის გამორჩეული ნივთები, რომლებიც ძალიან მომეწონა და ალბათ, მომავალში შევიძენ კიდევაც. ჩემი სახით ერთი კლიენტი შეიძინა „ბრენდ ერმა".



**ლაშა ჯოხაძე** ***(დიზაინერი):*** ძალიან მომეწონა. არ ველოდი, თუ ამდენი და ასეთი კარგი რაღაცეები დამხვდებოდა. ძალიან ბევრი რამის არჩევა შეიძლება... აქაურობას დიდი პლუსი აქვს და ეს პლუსი – ბევრი ექსკლუზივია. დიდი არჩევანია – ყველანაირი გემოვნების მომხმარებელს შეუძლია არჩევნის გაკეთება ყველანაირი გარემოსთვის.

**თეა დემურიშვილი** ***(მეცო-სოპრანო):*** ძალიან ლამაზი მაღაზიაა და ძალიან ლამაზი ჭაღები. იმედი მაქვს, რამეს შევიძენ. არაჩვეულებრივი ვიტრინებია და, ძალიან მიხარია, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქშიც ისეთი ვიტრინები შემხვდება, როგორიც ევროპაშია. ამ ინოვაციას მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ.

**ზაზა მარჯანიშვილი** ***(კომპოზიტორი):*** ჩემთვის ძალიან სიმბოლურია თბილისში განათების სახლის გახსნა, თან – ასეთის, რადგან, განათება და განათლება ყოველთვის საჭიროა ქვეყანაში. საინტერესო და ძალიან ეფექტური კოლექციაა. ბევრი სადა ნამუშევარი დავინახე და, გამოდინარე იქიდან, რომ სისადავეს ყველაზე მეტად ვაფასებ, მე ამ მაღაზიის ხშირი სტუმარი ვიქნები.

# პაატა ბურჭულაძის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტს ალენ დელონი წაიყვანს

2015 წლის 12 თებერვალს, სპორტის სასახლეში, „არტპალასი" დიდი ქართველი საოპერო მომღერლისა და ქველმოქმედის, პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ კონცერტს მართავს, რომელსაც ალენ დელონი გაუძღვება. კონცერტის კონცეფციის მიხედვით, ბატონი პაატას პატივსაცემად იუბილეზე მხოლოდ პრიმადონები იმღერებენ. „არტპალასის" მოწვევით, საქართველოს ესტუმრება 15-მდე ქართველი და უცხოელი ვარსკვლავი. მათ შორის: ნინო მაჩაიძე, მაყვალა ქასრაშვილი, იანო თამარი, ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, მარიკა გულორდავა, თეონა დვალი, ნანა მირიანი, მიშელ კრაიდერი, ოლგა ბოროდინა, ირინა მაკაროვა.




**დავით საყვარელიძე** ***(პროექტის რეჟისორი):*** უნდა აღვნიშნო, რომ მოწვეულ მომღერლებს ძალიან რთული გრაფიკი აქვთ. ზოგი საღამოს 5 საათზე მოფრინავს და კონცერტის შემდეგ უკან ბრუნდება, ზოგი – იმ დილით და ასე შემდეგ. ასეთი გრაფიკის მიუხედავად, არცერთ მათგანს არც კი უყოყმანია, ისე დათანხმდენ მონაწილეობის მიღებაზე, რადგან, ბატონ პაატას ყველა უდიდეს პატივს სცემს. ფილარმონია ძალიან პატარა იქნებოდა ამ ღონისძიებისთვის და ამიტომ არჩევანი სპორტის სასახლეზე შევაჩერეთ. საგანგებოდ იუბილისთვის, სპორტის სასახლეში შენდება უპრეცედენტო, 600-კვადრატულმეტრიანი სცენა და ორიგინალური დეკორაცია ეკრანებით, სპეციფიკური განათებითა და გახმოვანებით. სცენის მხატვარია იკა ავალიანი, რომელიც ამერიკიდან სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა, სადაც ძალიან ბევრი სცენა აქვს გაფორმებული. ჩვენი სცენა ცოტა ვიოლინოს გასაღებს ჰგავს, ცოტა – ბანის – გვინდოდა, რომ ესეც მუსიკასთან დაგვეკავშირებინა. კონცერტს ალენ დელონი წაიყვანს ფრანგულ ენაზე. მეორე წამყვანი იქნება დათუნა ალადაშვილი და ის გადათარგმნის. ალენ დელონის დათანხმება არ გაგვჭირვებია – როცა საქმე პაატა ბურჭულაძეს ეხება, ამის გაკეთება იოლია. ვიცოდით, რომ დიდი სიმპათიები ჰქონდა პაატას შემოქმედების მიმართ. ერთადერთი, რასაც სიხარულით ვერ ვიტყვი, არის ის, რომ ეს იქნება გამოსამშვიდობებელი საღამო მაესტრო ჯანლუკა მარჩიანოსთან – ის ტოვებს საქართველოს და ლონდონში გადადის.

სპეციალურად ამ დღისთვის ერთიანდება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრები. გაერთიანებულ ორკესტრს ორი დიდი მაესტრო უდირიჟორებს – ჯანლუკა მარჩიანო და ნიკოლოზ რაჭველი. გარდა ამისა, კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბალეტის – „სუხიშვილების" მოცეკვავე ქალები და ნინო ანანიაშვილი, ოპერის საბალეტო დასის გოგონებთან ერთად.

ბილეთების ფასი 10 ლარიდან 120 ლარამდე მერყეობს. პროექტის მხარდამჭრები არიან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის საკრებულო და თბილისის მერია. პროექტის გენერალური სპონსორია სამშენებლო კომპანია „ჯი-დი-ჟი".

**მოამზადა ქეთი კაპანაძემ**

**შოპინგი რომ ყველა ქალისთვის ერთ-ერთი სასიამოვნო საქმიანობაა, ეს საყოველთაოდ აღიარებული ცნებაა. როგორ შეიძლება სიტყვა „ფასდაკლება“ დაინახო მაღაზიის ვიტრინებზე, არ შეხვიდე და სასურველი ბრენდის ახალ კოლექციას ყურადღება არ მიაქციო? რა აბედნიერებს ქალს იმაზე მეტად, ვიდრე ახალი მაისური, ჩანთა, სამკაული თუ სხვა ნივთი? თუმცა, ეს ყოველივე, შეიძლება, ფსიქოლოგიურ დარღვევასთან ასოცირდებოდეს, უფრო კონკრეტულად კი, ახალი ნივთების შეძენის დაუოკებელ სურვილს შოპოჰოლიზმი ეწოდება. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად ფსიქოლოგი ირინა ტაბუციძე გვესაუბრა.**

# ითვლება თუ რა შოპოჰოლიკობა მავნე ჩვევად და როგორ არის შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება

**– რა არის შოპოჰოლიზმი და ითვლება თუ არა ის ფსიქოლოგიურ დარღვევად?**

– შოპოჰოლიზმი – ეს არის წმინდა ფსიქოლოგიური პრობლემა, თუმცა, დარღვევას ვერ დავარქმევთ. ძალიან ბევრი ქალისთვის შოპინგი თერაპიის კურსია. მეც ბევრისთვის მითქვამს: როდესაც ცუდად ხარ, დეპრესია გაქვს და არაფერი გაინტერესებს, გადი მაღაზიებში. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს ყიდულობ თუ არა რამეს – როდესაც ისინჯავ: მაისურს, ფეხსაცმელს, აქსესუარს და ასე შემდეგ, უკვე გეხმარება მდგომარეობიდან გამოსვლაში. შოპოჰოლიკ ადამიანს უჩნდება ყიდვის დაუოკებელი სურვილი. მისთვის სულერთია, რას ყიდულობს, მთავარია, შეიძინოს და სახლში მიიტანოს. ხშირად ამ ახალ ნივთებს არც იყენებს. შოპოჰოლიკების კარადა რომ ნახოთ, ძალიან ბევრ მარკიან ტანსაცმელს იპოვით. ისინი არ იძენენ ტანსაცმელს იმისთვის, რომ ჩაიცვან; მათთვის საინტერესოა ყიდვის პროცესი. ფსიქიატრიაში არსებობს ასეთი ტერმინი – ონიომანია, რაც ყიდვის თავშეუკავებელ სურვილს ნიშნავს. ეს უკვე ძალიან სერიოზული და მძიმე ფორმაა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება შოპოჰოლიზმისგან.



შოპოჰოლიზმი ქალების დაავადებაა და, რაც დრო გადის, უფრო იმატებს მათი რიცხვი

**– თუმცა, ხშირად გამიგია, რომ პიროვნებას არ აქვს დეპრესია, მაგრამ, მაინც შოპოჰოლიკად მიიჩნევს თავს.**

– დიახ, მარტო დეპრესია არაა აუცილებელი შოპინგისთვის და სტრესული სიტუაციაც მხოლოდ დეპრესიით არ შემოიფარგლება. სტრესი შეიძლება გამოწვეული იყოს პირადი ცხოვრების არარსებობით და ასე შემდეგ. შოპინგის დროს რაღაც ქალურობას ვეძებთ – ისეთ ტანსაცმელსა და აქსესუარს ვყიდულობთ, რაც ჩვენს იმიჯს გაუსვამს ხაზს. ამით თითქოს ვუმტკიცებთ ვინმეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები, ლამაზები და მომხიბვლელები ვართ. ჩვეულებრივმა ყოველდღიურმა სტრესულმა სიტუაციებმა, შეიძლება, შოპოჰოლიკად ჩამოგაყალიბოს. ასეთი ადამიანი მაღაზიაში ბევრად უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სახლში.

**– შესაძლებელია, შოპოჰოლიკობა მავნე ჩვევად უფრო ჩაითვალოს?**

– არა, მავნე ჩვევა არ არის, უფრო სტრესთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია. როდესაც ადამიანი სტრესულ სიტუაციაშია, ან შესწევს მასთან ბრძოლის ძალა, ან – არა. მის მოსაგვარებლად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ, მაგალითად, ქალები – ჭარბ კვებას, მამაკაცები – ალკოჰოლს. შოპინგიც სტრესისგან გაქცევის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

**– შოპოჰოლიკები მხოლოდ ქალები არიან?**

– ეს უფრო ქალების „დაავადებაა” და, რაც დრო გადის, უფრო იმატებს მათი რიცხვი. მამაკაცებში ნაკლებად იჩენს თავს, თუმცა, არ გამოირიცხება მათი კანდიდატურაც.

**– თავად შოპოჰოლიკი თუ გრძნობს, რომ ამ სენითაა შეპყრობილი?**

– გრძნობენ, რადგან, ვერ აკონტროლებენ საკუთარ ბიუჯეტს და ხშირად მშივრებიც კი რჩებიან. როდესაც შოპოჰოლიკები სასურველ ნივთს ხედავენ, ტრანსში ვარდებიან და იმის იქით ვერაფერს ვეღარ უყურებენ. ნამდვილ შოპოჰოლიკს შეუძლია, ბოლო თეთრებიც კი გაიღოს სასურველი ნივთის საყიდლად. სახლში როდესაც მივა და დაცარიელებულ საფულეს ნახავს, მერე იწყებს ნერვიულობას.

**– ვერ აცნობიერებენ რას აკეთებენ?**

– გაუცნობიერებლად არაფერს აკეთებენ, კონტროლის დაკარგვა – ეს წამიერი განცდაა. მხოლოდ მაღაზიიდან გამოსული აღმოაჩენს, რომ ცარიელი აქვს საფულე.

**– შესაძლებელია შოპოჰოლიკის განკურნება?**

– მარტივი არ არის, მაგრამ, ფსიქოთერაპიით შესაძლებელია. ნებისმიერ დამოკიდებულებას მკურნალობის ერთნაირი ფორმა აქვს, იქნება ეს შოპინგი, ნარკოტიკი, ალკოჰოლი თუ სიგარეტი – პრობლემის საფუძველი ერთია.

**– რა შედეგამდე შეიძლება მივიდეს ამ სენით შეპყრობილი ადამიანი, თუ ფსიქოლოგს არ მიმართავს?**

– თუ მას ფინანსური საშუალება აქვს, არანაირ შედეგამდე არ მივა, ხოლო, თუ ეს მის ბიუჯეტს ან კარიერულ წინსვლას უქმნის პრობლემას, მაშინ, ცუდი შედეგის მომტანი იქნება მისთვის. როდესაც გონება ბოლომდე შოპინგისკენ აქვს მიმართული და ვერ ახერხებს საქმეზე კონცენტრაციას, მაქსიმალურად უნდა სცადოს საკუთარი თავის გაკონტროლება. პრობლემა ექმნებათ, ასევე, ოჯახის წევრებს, რომლებსაც აწუხებთ აურაცხელი ტანსაცმელი და უსარგებლო ნივთები; არ მოსწონთ ბავშვებს, რადგან, დედა აღარ ჰყავთ ნორმალური და გამუდმებით მაღაზიებშია. როცა ქალს განსაზღვრული აქვს დრო და ბიუჯეტი საკუთარი ჩაცმულობისთვის, ეს მისასალმებელია, მაგრამ, თუ გამუდმებით მაღაზიებში სიარული არ აღვიქვით პრობლემად, შედეგი ცუდი იქნება, რაც აუცილებლად გამოიწვევს დეპრესიას, უხასიათობასა და გაღიზიანებას.

**– საქართველოში ბევრი შოპოჰოლიკია?**

– ამ სენს ქვეყანა არ სჭირდება – სადაც არის ქალი, აუცილებლადაა შოპინგის სურვილიც. შეიძლება, არ იყიდო ძვირიანი ბრენდის სამოსი, მაგრამ სიამოვნება ერთნაირია – შეძენა ანიჭებს მას სიამოვნებას და არა რომელიმე ბრენდის ტანსაცმელი. სახლში მიტანის დროს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რა იყიდა; მთავარია, მაშინ მოეწონა და შეიძინა. დიდი ალბათობაა, რომ ახალი შეძენილი ნივთი არ ჩაიცვას.

**– როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა?**

– უპირველესად, რასაც ყველა ფსიქოლოგი გირჩევთ, ის არის, რომ არასოდეს შეიძინოთ ბარათით, ჯობია, გადაიხადოთ ნაღდი ფულით, რადგან, ბარათით გადახდილი თანხის შედეგად ჯიბის დაცარიელების მომენტი არ იგრძნობა, ხოლო ნაღდი ფულის ხარჯვა უფრო რთულია; გარდა ამისა, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რის საყიდლად მივდივართ, მაგალითად, თუ ვაპირებთ კაბის ყიდვას, ფეხსაცმლისკენ არ უნდა გავიხედოთ. ყველაზე კარგი ვარიანტია, საკუთარ თავს კონკრეტული თანხა გამოვუყოთ შოპინგისთვის. აქვე უნდა აღვნიშო, რომ ქალი ვერ იღებს სიამოვნებას პროდუქტების შეძენით. როდესაც შოპოჰოლიკობას ვახსენებთ, საუბარია ისეთ ნივთებზე, რომლებიც ჩვენს იმიჯს გაუსვამს ხაზს და კომფორტულად გვაგრძნობინებს თავს – ეს არის მთავარი, თორემ, რამდენიც არ უნდა დახარჯოს ქალმა სასურსათო მაღაზიაში, ამით ვერ ისიამოვნებს, ერთმა პერანგმა კი, შესაძლებელია, უსაზღვროდ ბედნიერი გახადოს ის.

**ეთო ხურციძე**


## განცხადება

ჟურნალ „თბილისელებს“ ესაჭიროება კვალიფიციური ჟურნალისტები.

დაუკავშირდით პასუხისმგებელ რედაქტორს, ზაალ ცინაძეს.

**ტელ.: 599-58-73-33.**

*ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.*

# რა ხერხით ჩაიკლა გუჯა ბურდულმა სიმთვრალეში მოძალებული ფრენის სურვილი და რომელი ნაიარევი დარჩა მას მკლავზე ამ სურვილის სამახსოვროდ

*ჩვენს რუბრიკაში ერთი და იგივე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.*

**– ვინ ხართ? გაგვეცანით.**

– გუჯა ბურდული. ქართველი, მთიული, ჩემი სამშობლოს შვილი.

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან...**

– ბავშვები გავრბოდით ფუნიკულიორზე. აქვე, მოსკოვის ქუჩაზე, თურმე „ავჩარკას" ლეკვები დაუყრია. ჩვენ ყიჟინით ავირბინეთ ეს ქუჩა. გამოვარდა და მოულოდნელად, უკან მომახტა... რაღაც საშინელი გრძნობა იყო. ზურგზე მისი ნაკბილარი დამემჩნა, ვმალავდი, რომ დედას არ შეემჩნია. მაგრამ, მაინც მინახა, როდესაც მბანდა. ეს რა არისო?! ააწიოკა იქაურობა. დედა ხომ იცით... მიუხედავად ამისა, მაინც არ შემშინებია. ძაღლების შიში არასდროს არ მქონია, მაგრამ გარკვეული ემოციური სტრესი დამრჩა ამ ფაქტის შემდეგ. ამას დავარქმევდი სწორედ მძაფრ შეგრძნებას.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– როგორ მიმდინარეობდა იცით, ჩემი ცხოვრება, მაგალითად, ვიღაცეები რაღაცისთვის ემზადებიან, მე მსახიობობისთვის სულ არ ვემზადებოდი. არასდროს არც მიფიქრია და არც მინდოდა. მაგრამ ბოლოს თავისთავად ისე გამოვიდა, რომ ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც ინსტიტუტში სწავლობენ – ჩხუბი, ცურვა, კრივი... რაღაცეები, რაც სჭირდება მსახიობს თავის უნარ-ჩვევებში. სულ დავრბოდი, ვვარჯიშობდი, ცუდი მკლავი მქონდა სხვისთვის. მსახიობობაზე არ ვოცნებობდი, არც მინდოდა არც მაინტერესებდა. გეოგრაფია მიყვარდა, ისტორიაც. მათემატიკა მოგვიანებით შემიყვარდა – უკვე „გეპეიში" ვსწავლობდი. უმაღლესი მათემატიკა მქონდა ჩასაბარებელი, გვაზავა იყო ლექტორი. შენ მე ცალკე გამოგცდიო. მომიწია მასწავლებელთან სიარული. ალგებრა, ტრიგონომეტრია და გეომეტრია რომ ვისწავლე, ალღო ავუღე მათემატიკის სიყვარულს. მაშინ ვიგრძენი, სწავლით რამდენი რაღაცის მიღწევა შეიძლებოდა. ბევრჯერ მიფიქრია, რა არის ადამიანი უსწავლელობით – მაუგლი. გამკვირვებია ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებისა, რომელთაც წინამორბედი, უჭკვიანესი ადამიანი არ ჰყავთ გვერდში დაყენებული. რატომ, იცით? ცხოვრება ისეთია, დავით აღმაშენებელს ჰყავდა მასწავლებელი, მაკედონელს – ფილოსოფოსიც, მწვრთნელიც ჰყავდათ. ჩვენებს არავინ ჰყავთ. კომუნისტური პერიოდიდან მოდიან და მოდიან.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– ჩემი ცხოვრების გზას რომ ვუყურებ, ძალიან სწორად ამირჩევია. არაფერს ვნანობ.

**– როგორი ჰგონიხართ და სინამდვილეში როგორი ხართ?**

– ისეთი სახე მაქვს, რომ ცოტა ჯმუხი კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებ. რა ვქნა, ცხოვრებამ მასწავლა, რომ ვუცინო და ვუცინო, ვიღაცას შტერი და გიჟი ვეგონები. არ გამოდის ეგრე.

ხანდახან ყელში რომ ამომიყვანენ, მაპატიეთ და მართლაც ისეთი ვარ, რაც მეტყობა. არ მიყვარს ჯუჯღუნი. მიმაჩნია, რომ ნათესავებს მეგობრებს, ადამიანებს, სიყვარულის მეტი არაფერი ახსოვთ ჩემგან.

**– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს?**

– საინჟინროზე ვსწავლობდი. 3 კურსი რომ დავამთავრე, დედა გარდამეცვალა, მერე – მამა... მუშაობა იყო საჭირო და ამიტომ ვერ დავამთავრე ინტიტუტი. თუმცა, ვფიქრობ, ჩემგან კარგი მშენებელი გამოვიდოდა. მაგრამ, არ ვნანობ, რომ მსახიობი ვარ. რა მაქვს დასანანი.



**ვერძებს და მისნაირ ცხელ ნიშნის ხალხს წინ აყენებდნენ, იმიტომ რომ ერთი რომ შეუფხუკუნო, უკვე ანთია. ეს იყო ძველი გათვლა ჯარისკაცების დაყენების**

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?**

– სიზარმაცე არ მომწონს ჩემს თავში. ხანდახან ისე ვარ, რომ არაფერი მინდა. მომწონს, როცა ამ ჩემს სიზარმაცეს ვძლევ ხოლმე. როცა ვძლევ, ჯანზე, ფორმაში ვარ. როცა შენი თავის კმაყოფილი ხარ კაცი, იმდენად კმაყოფილი კი არა რომ ნარცისობა დაიბრალო, უბრალოდ, მკლავი, ხელები, რომ გერჩის და ფეხით მყარად დგახარ მიწაზე, შინაგანად მოდის განწყობა. სხვათა შორის, ეს უფრო მოაქვს ჟანგბადს. ტყეში, მთაში რომ ადიხარ, ჩაისუნთავ, ფილტვები ივსება, ორგანიზმი იწმინდება და შენ ხდები კაცი. კაცი, რომელიც ამ მთას რომ დაკრავ ფეხს, მეორე მთაზე გადახტები.

**– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ?**

– ნახეთ ეს ნაიარევი მკლავზე. ბიჭებმა მითხრეს 1 წუთს ვერ გაუძლებო – პაპიროსი დამაწვეს ზედ. გავუძლებ, ოღონდ პურმარილი იკისრეთ-მეთქი... გავუძელი და ვიქეიფეთ. ეს ასე. ახლა მეორე მკლავი ნახეთ...

**– ეს მეორე ქეიფია?**

– არა. რუსეთში რომ ვიყავი, იქ ხომ იცით, არყის სმაა მიღებული. არყით რომ ძალიან დავთვრებოდი, მერე ფრენა მინდებოდა. ჩემი რწმენით და გაგებით, ვიცოდი, რომ დაბლა დავეცემოდი და გავსკდებოდი *(იცინის)*. ამიტომ, შედეგი მკლავზეა – ეს ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... დანას ვაცხელებდი გაზზე და დავიდებდი, მერე აღარ მინდებოდა ფრენა. ამაზე მეტი სისულელე რა უნდა მექნა... ერთი პურმარილისთვის, მეორე კი – ფრენა მინდებოდა ძალიან. ვიცოდი ცუდად რომ დამთავრდებოდა და გამოსათიშად მივმართავდი ამ ილეთებს. მთვრალიც კი ვგრძნობდი, რომ სისულელე იყო.

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– მე ვარ ვერძი. დავითი და მთელი მეფეები ჰოროსკოპზე მუშაობდნენ, ვერძებს და მისნაირ ცხელი ნიშნის ხალხს წინ აყენებდნენ. მათ ერთი რომ შეუფხუკუნო, უკვე ანთია. ეს იყო ძველი გათვლა ჯარისკაცების განლაგებისას. თუ ვერძად დავიბადებოდი, მაშინ ისევ წინა რიგებში ვიბრძოლებდი. ალბათ, აღმაშენებელის მეფობის დროს, მისი ჯარის წინა, 200 კაცში ვიბრძოლებდი.

**– დღეს იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?**

– ასეა. გარდა მსახიობობისა, მე სტიქაროსანი ვარ პატრიარქის სამებაში 27 წელიწადია. ჩემი ადგილია იქაა, ტაძარში.

**– როდის გრძნობთ თავს უხერხულად და როგორი ხართ ამ დროს?**

– როდესაც ვინმე მაქებს, მაშინ ვკვდები, არ მიყვარს. დედაჩემს სულ ვეუბნებოდი: ნუ მაქებ, დედა. დედას კი რა ექნა – მომღერალი ვიყავი, მოცეკვავე, კარგი ბიჭი, პირველი ბიჭი ვიყავი საქართველოდან, რომელიც „არტეკში" გაემგზავრა. მე ამირჩიეს პიონერების იმ დელეგაციაში. ერთადერთი ქართველი ვიყავი საბჭოთა კავშირის დელეგაციიდან. შვილებსაც არ ვაქებ. არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო.

**– საერთოდ, ფიცხი ხართ?**

– ვიყავი, ძალიან ფიცხი. ცხოვრებამ დამადინჯა... უფალმა დამადინჯა.

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– არავის ვურჩევ, მნახოს გაბრაზებული. გაბრაზებული არ ვყვირივარ, ვმოქმედებ – ან ვურტყამ, ან მირტყამენ *(იცინის)*.

**– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?**

– თავს ვერ დავკარგავ. არ არსებობს, თავი რომ დავკარგო. ეს მასწავლა უფალმა. ყველაფერი უბედურება თავის დაკარგვიდან მოდის.

**– მინდა...**

– მინდა, საქართველო აყვავდეს. მომწონს ბუნებასთან ურთიერთობა. მაღელვებს კარგი ქალი.

**– ლამაზი?**

– ლამაზში რაღაცეები არის. კარგი კი იმ გაგებითაა, რაც ჩემს კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ჩემმა მეუღლემ დააკმაყოფილა ჩემეული კარგი ქალის კრიტერიუმი.

**– აღმაშფოთებს...**

– ცუდი ადამიანები.

**– კომფოტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...**

– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა სუფრის თავში ვზივარ და ვთამადობ.

**– როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი ჩვეულებრივ, ანუ მაშინ, როცა არავის ელით?**

– დათვის ბუნაგი ხომ გინახავთ, ისე ვარ მე ჩემს ოთახში – ა-ბურდულ-და-ბურდულ-ი *(იცინის)*... სხვათა შორის, ჩვენ, მთიულებს დათვებს გვეძახიან. მოხევეები არიან მგლები. ეს მოდგმითაა. ამ ორ კუთხეს ასე ხედავენ ერთმანეთისაც და სხვების თვალითაც.

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?**

– პატრიარქს. მისი რჩევა იყო, რომ მე მივსულიყავი ტაძრად.

**– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ...**

– უფალი ერთია ამ ქვეყანაზე. ცხოვრება ღირდა უფლის სიყვარულისთვის.

**– რას დაწერენ თქვენზე ოცდამეორე საუკუნეში?**

– იყო, ასეთი კაციო.... აი, შვილები და შვილიშვილები კიდევ იამაყებენ.

**ეკა სალაღაია**

**რეპერმა ბედინამ, გამორჩეული ჩაცმისა და სიმღერის სტილით, მსმენელს თავი სცენაზე პირველივე გამოჩენისთანავე დაამახსოვრა. თუმცა, ბოლო დროს, არსად ჩანდა და უამრავი კითხვაც გაჩნდა. როგორც აღმოჩნდა, მან ჩინეთში გააფორმა კონტრაქტი და ახლა იქ აგრძელებს გარეპვას. მართალია, უჭირს სამშობლოდან, უბნიდან, ოჯახისა და მეგობრებისგან შორს ყოფნა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, უღირს. იქ აფასებენ, ყველანაირ პირობას უქმნიან, აკეთოს საყვარელი საქმე. „ბოსი" კი, ძვირად ღირებული საჩუქრებითაც ანებივრებს. ახლა ბედინა შვებულებით იმყოფება სამშობლოში და სულ მალე, ისევ შორეულ ჩინეთში მიემგზავრება, სადაც ბევრი ადამიანი ელის მის სცენაზე გამოსვლას.**

# რა ხიბლავთ ყველაზე მეტად ჩინურ კლუბში მისულებს ბედინაში და ვინ აცხოვრებს მას სამშობლოდან შორს ნამდვილი რეპერივით

**ბედინა:** ჩინეთში ნახევარ წელზე მეტი ვიყავი, ახლა კი შვებულებაში ვარ და საქართველოში ჩამოვედი. თან, სიდი-ალბომი გამოვუშვი, პრეზენტაციაც მქონდა. აბა, ჩინეთიდან, ხინკლის საჭმელად კი არ ჩამოვედი.

**– ამბობ, საქართველოში ხინკლის საჭმელად არ ჩამოვედიო. დავიჯერო, იქ არ გენატრებოდა ქართული კერძები, შენი მეგობრები, ოჯახი და თუნდაც უბანი, სადაც ხშირად იდექი?**

– რასაკვირველია, ეგ ყველაფერი მენატრებოდა, ხინკლის გარდა *(იცინის)*. მაგრამ, ჩინეთში ისეთი პირობები მაქვს, მონატრებასაც ვერ ვასწრებ. ღამის კლუბებში ვრეპავ, მაგრამ ამისთვის, ნამდვილად არ ჩავსულვარ ამხელა გზაზე. კლუბებში დიჯეი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ რომ ნახეს, როგორ ვრეპავ, გამოსვლები შემომთავაზეს. ახლა ჩემი „ბოსი" მყავს, ანუ ჩვენ ენაზე – პროდიუსერი. ყველაფერზე ის ზრუნავს – ჩაცმაზე, გადაადგილებაზე, კლუბში საღამოს დაგეგმვაზე. ვცხოვრობ პატარა ქართველი ნამდვილი რეპერივით ამხელა ჩინეთში. რომ მითხრეს, რეპი ინგლისურ ენაზე უნდა იმღეროო, გავაპროტესტე: რას ამბობთ, სად ვიცი მაგდენი ინგლისური, ქართველებს ძლივს ვაგებინებდი ქართულად გარეპილს და ჩინელებს ჩემი ინგლისურად ნამღერი როგორ მოეწონებათ-მეთქი. მაგრამ, მასწავლებელი ამიყვანეს, წავიმეცადინე. მაგარი სტუდია მომცეს, სასტუმროში დამაბინავეს და ისეთი პირობები შემიქმნეს, რომ არ მესწავლა, სირცხვილიც იყო. მოვინდომე და ახლა პოპულარული ამერიკელი ცნობილი რეპერების ჰიპ-ჰოპებს „ვუბერავ" ღამის კლუბებში და კი ცეკვავენ ჩინელები.



**ყური რა პრობლემაა, გავიხვრიტავ, მაგრამ თმას არ შევიღებავ**

**– დავიჯერო, შენი მოთხოვნები არ წაუყენე?**

– როგორ არა! ვუთხარი, ქართველები, სცენაზე ცოტა თუ არ „ჩავურტყით", ისე არ გავდივართ-მეთქი. მითხრეს, რა პრობლემაა, ჭიქა კონიაკი დაგხვდება კულისებშიო. რეპს ისე ვერ იმღერებ, თუ არ გახურდი და ცოტა არ „ჩაარტყი". ამ სტილს თავისი ხასიათი, ენერგია და მოძრაობა უნდა სცენაზე. ფხიზელზე კი, ამას ვერ იზამ. თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ სტილში, შავებში რომ დამინახეს, ჩაჩაჩული ჯინსის შარვლითა და გრძელი თმით, მითხრეს, ამ ფერის ტანსაცმელი უნდა გაიხადო, კლასიკურად ჩაიცვა და ამაზე ჩვენ ვიზრუნებთო. გავიხედე. მეორე დღეს, ორი მანქანა ტანსაცმელი მომიტანეს სასტუმროში. ახლა კლასიკურად გამოწყობილი ვმღერი. ასე მოითხოვს იქაური კლუბების ეტიკეტი. თუმცა, თმის ფერი არ შემიცვლია და არც ყური გამიხვრიტავს. სხვათა შორის, თავიდან სტაფილოსფერი და ვარდისფერი პიჯაკი მომიტანეს და გადავირიე *(იცინის)*. ვუთხარი, მე ამ ფერებს და ბრჭყვიალა-ბრდღვიალა სამოსს ვერ ჩავიცვამ-მეთქი. მოკლედ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს: უფ, დაგვავიწყდა, ეს ხომ კავკასიელია და არ ეკადრებაო *(იცინის)*. ახლა, ძირითადად, ნაცრისფერში მიკერავენ.

**– ანუ, თმის შეღებვა და ყურის გახვრეტაც მოგთხოვეს?**

– აბა! ყური რა პრობლემაა, გავიხვრეტ, მაგრამ თმას არ შევიღებავ! ასე ვუთხარი და, აღარ შემეკამათნენ. ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი ქერა, ან მოწითალო-მოყვითალო-მოლურჯო თმაში და რა ვქნა?! ასეთი ნატურალურიც მიმიღეს, ბევრი მსმენელიც მყავს და ახლაც მელოდებიან როდის ჩავალ. თუ ბეჭდები მიკეთია და ჯაჭვები მაქვს ჩამოკიდებული, ეს მსიამოვნებს და „ჩემია". მაგრამ, რაღაც-რაღაცეებს ვერ მივიღებ. საყურე არ არის ჩემი „ნაწილი" და რა ვქნა?!

**– როგორ ფიქრობ, რით მოხიბლე ჩინეთის კლუბების სტუმრები?**

– ჩინელები ქართული ენერგეტიკით, ხასიათითა და ვიზუალით მოვხიბლე. ჩინელები დაბლები არიან და მაღალი კაცი, თან დამახასიათებელი ცხვირით რომ დამინახეს, თვალში მოვხვდი. თავიდან, მიკვირდა ყველა ცხვირზე რომ მკიდებდა ხელს. მერე მითხრეს, თვითონ რომ არ აქვთ ცხვირი, იმიტომ გკიდებენ, პატივისცემის ნიშანიაო *(იცინის)*. ასე რომ, ჩემი ცხვირი ჩინეთში საფირმო ნიშანია. ქუჩაში რომ მივდივარ, აშკარად განსხვავებული ვარ და ყურადღება რომ არ მომაქციონ, შანსი არ არის. სხვათა შორის, ჩინელები ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. ცდილობენ, პატივი გცენ. ჰოდა, დამკიდეს „ჩინ-მედლები" და მეც ვიფერებ *(იცინის)*.

**– მართალია, რომ შენმა პროდიუსერმა ძვირადღირებული მანქანა გაჩუქა?**

– დიახ, მაჩუქა და ამ მანქანით დავქრივარ ჩინეთის ქალაქებში. ყველაფერი, რაც მაქვს, მისი ნაჩუქარია, მარტო მანქანა კი არა. ჩინეთში საკუთარი სტუდიაც მაქვს, თავისი მაღალი დონის აპარატურით. მიხარია იქ მისვლა და სიმღერების ჩაწერა. „ბოსი" ახლაც სულ მირეკავს, რამე ხომ არ გინდა, ხომ არ გჭირდებაო. ყურადღებას მაქცევს. ასე რომ, „ბოსთან" სიტუაცია მოგვარებულია *(იცინის)*. რომ მირეკავს, მეუბნება, დროზე ჩამოდი, კონტრაქტს ხელი მოაწერეო. აქ საქმეები მოვაგვარე და ალბათ, მალე წავალ.

**– შენს ახალ ალბომს „ცირკი" ჰქვია. ეს ბავშვობაში დაბრუნებაა თუ პროტესტის გამოხატვის ახალი ფორმა?**

– ბავშვობაში დაბრუნება არ არის, პროტესტია, იმის მიმართ, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ზოგადად, რეპში გინებაც მოსულა და პროტესტის გამოხატვაც სხვადასხვა ჟესტითა და სიტყვებით. მე სულ ასე გამოვხატავდი პროტესტს არსებულ სიტუაციაზე. ახლა ცოტა შევარბილე. გული მტკივა, ყველა რომ იჩემებს საქართველო ჩემია, არა ჩემიაო. საქართველო ყველასია – ჩემიც, შენიც და მისიც!

**– ბედინა, რამდენი წლის ხარ?**

– 38-ის გავხდი ჩინეთში.

**– მერე, არ ფიქრობ, რომ დროა, დაოჯახდე?**

– ჩემი პირადი ცხოვრება შემოქმედებაა. გვერდით საყვარელი ადამიანი კი არის აუცილებელი, მაგრამ ვერ მოვძებნე. როცა ცოლი უნდა მომეყვანა, ქუჩაში ვიდექი და არ ვიყავი მზად. მერე „კურორტზე" ყოფნა მომიწია 5 წლით.

**– ერთხელ თქვი, „ვითომ" ქალიშვილ გოგონებს ვერ ვუგებ ამ ქალაქში და სოფელში უნდა ვეძიო ბედიო. ამაში რას გულისხმობდი?**

– რას და..... „ვითომ პატიოსანი" გოგო რომაა და იტყუება – განათხოვარი ისე მიგიყვანს საკურთხეველთან, რომ დარწმუნებული ხარ მის ქალიშვილობაში. არასდროს გავმხდარვარ ქალის „მსხვერპლი". არც რომანტიკული სიგიჟეები ჩამიდენია და არც ზღვა გადამიცურავს. ის, რომ სოფელში უნდა ვეძებო ბედი-მეთქი, არ უარვყოფ, ვთქვი. სოფელში ხომ იცით, არაფერი იმალება, ქალაქი კი დიდია. იქ უფროა შენარჩუნებულია ქართული ადათი. სოფელში გაზრდილი გოგო უფრო „სუფთაა". როცა ცოლის მოყვანის დრო მოვა, მოვიყვან. სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის? მეწვევა და მივიღებ. არასდროს მინატრია და მიოცნებია. რაც მაქვს ალალად, შრომით მაქვს მოპოვებული. ასეთივე ალალი, საყვარელი ადამიანი მჭირდება გვერდით.

**ნონა დათეშიძე**




## ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# როგორ მოიპოვა სანდოობის მაღალი გარანტია და საზოგადოების სრული ნდობა 80 წლის განმავლობაში კანის და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითმა ეროვნულმა ცენტრმა

*კანის და ვენსნეულებათა სამეცნიერო–კვლევითი ეროვნული ცენტრი თავისი არსებობის ოთხმოცწლიან ისტორიას ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მან სამართლიანად მოიპოვა საზოგადოების სრული ნდობა და მისი პაციენტების მადლიერება. ეროვნული ცენტრი მთლიანად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და მასში თავმოყრილი მიმართულებები უამრავი პრობლემის მოგვარებაში ეხმარება ადამიანებს.*

*ყველა სახის დერმატოკოსმეტოლოგიური პროცედურები, მეჭეჭების, პაპილომების, ქსანთელაზმების მოცილება, გაფართოებული სისხლძარღვების გაუფერულება. კანის, თმის, ფრჩხილების ნებისმიერი პათოლოგიის, დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი აპარატურითა და მეთოდებით... მხოლოდ ამ ინსტიტუტში ხდება ასაკობრივი ფერისმჭამელების ეფექტური მკურნალობა აპრობირებული მეთოდით... . ცენტრშივე შემოგთავაზებენ კანის გამაახალგაზრდავებელი პროცედურების სრულ კომპლექტს – სხეულის კორექციას ლიპოსაქციის გარეშე, მკერდის აწევა–გამკვრივებას უახლესი აპარატურული მეთოდით, ფიზიოთერაპიის მეთოდით ცელულიტის დაშლას განსაკუთრებით ეფექტურად...*

*მნიშვნელოვანია არასასურველი თმის მოცილება უსაფრთხოდ და უახლესი აპარატით. ცენტრში ეპილაცია სრულიად უმტკივნეულოდ ხდება.*

*კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული ცენტრი ლიდერია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ასევე ლიდერია მამაკაცთა უშვილობის, ერექციული დისფუნქციის, პროსტატების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ცენტრში კლინიკური და ბიოქიმიური გამოკვლევები უახლესი აპარატურით ხორციელდება.*

*ცენტრის ოთხმოცწლიან მუშაობასა და იქ დანერგილ სიახლეებზე, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო–კვლევითი ეროვნული ცენტრის დირექტორი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი გიორგი გალდავა გვესაუბრა.*

**გიორგი გალდავა**: თავისი არსებობის ოთხმოცი წლის განმავლობაში ჩვენმა კვლევითმა ეროვნულმა ცენტრმა სრულად შეინარჩუნა პროფილი და მიმართულება, რაც ადვილი არ ყოფილა. ისევე, როგორც ადვილი არ იყო ჩვენს დარგში ლიდერის სტატუსისა და საზოგადოების ნდობის მოპოვება. თვალს და ხელს შუა გაქრა პედიატრიის ინსტიტუტი, ნევროლოგიის ინსტიტუტი... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი ამ პროფილით ოთხმოცი წლის წინ შეიქმნა და დღემდე აგრძელებს თავის ტრადიციებს. ეს სწორედ ის ცენტრია, რომელიც ადრე კონსტიტუციისა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარეობდა. დღეს ცენტრი ფუნქციონირებს ახალ, ტექნოლოგიურად სრულად აჭურვილ და კომფორტულ შენობაში, ლუბლიანას 5 ნომერში, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორიაზე (295 46 43; 295 77 44)

**– ოთხმოცწლიანი პასუხისმგებლობა გაწევთ მხრებზე, ბატონო გიორგი...**

– *(იღიმის)* ძალიან ძნელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემამდე ცენტრს სათავეში ისეთი კორიფეები ედგნენ, როგორებიც იყვნენ: სიმონ მაჭავარიანი და ლუბა შენგელია, ბადრი ჩლაიძე. მათ შექმნეს ეს დარგი და სახელი გაუთქვეს. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ისინი და არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. ქალბატონი ლუბა შენგელია პირველი ექიმი გახლდათ საბჭოთა კავშირიდან, რომელიც ამერიკის დერმატო–ვენეროლოგიურმა ასოციაციამ აღიარა. ამ ასოციაციის წამდვილი წევრი იყო. ცენტრი დღესაც მუდმივად ვითარდება. ინერგება ახალი მეთოდები დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით, იწერება სამეცნიერო შრომები და რაც მთავარია, ყოველწლიურად შემოგვაქვს თანამედროვე, საუკეთესო, მაღალი სტანდარტების აპარატურა, რათა უფრო სრულფასოვანი და შედეგიანი გავხადოთ პაციენტთა მკურნალობა.



**– დღემდე, როცა საუბარია კანისა და ვენსნეულებათა ცენტრზე, ჩვენი საზოგადოების ნაწილი, რატომღაც მხოლოდ ვენერიული დაავადებების დიაგნოსტიკას და მკურნალობას გულისხმობს. მაშინ, როცა ცენტრი მოიცავს როგორც კანის დაავადებების მკურნალობისა თუ მისი მოვლის, გამაახალგაზრდავებელი მეთოდების უდიდეს სპექტრს და ასევე, რესურსს.**

– თავად დარგი დერმატოვენეროლოგია შეიქმნა და სახელწოდებაც შეირჩა ამერიკასა და ევროპაში. ამის საფუძველი იყო ის, რომ ზოგიერთ, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებას კლინიკური ნიშნები აქვს კანზე, პირის ღრუში. ამიტომაც გახდა აუცილებელი, ამ ორი დარგის შერწყმა და გაამართლა კიდეც. რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას, ჯერ კიდევ არსებობს კომუნისტურ ეპოქაში ჩამოყალიბებული მენტალიტეტი, როცა მიაჩნდათ, რომ წესიერ ადამიანს არ სჭირდება პრეზერვატივი – მას არ გადაეცემა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები. საბჭოთა პაციენტი რომ ყველაზე ჯანმრთელი პაციენტი იყო, იმ ეპოქაზე მოგახსენებთ *(იღიმის).* დღეს სურათი მთლიანად შეცვლილია. აუცილებელი გახდა სქესობრივი განათლება და თანაც, ადრეულ ასაკში. ახლა ბევრმა იცის, რომ გარდატეხის ასაკში კანი საჭიროებს განსაკუთრებულ მკურნალობას და მოვლას. აუცილებელია ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა. კანის ესთეტიკური იერსახის შესანარჩუნებლად მასზე პროფესიონალმა უნდა იზრუნოს. გარდა ამისა, არსებობს უამრავი ინფექციური დაავადება, რომელსაც არ სჭირდება სქესობრივი კონტაქტი ვინმესთან, რომ დაგემართოს. ერთ–ერთი პირველი ჩვენი ცენტრი იყო, სადაც ანდროლოგიური დეპარტამენტი შეიქმნა. მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ძალიან კარგი შედეგები გვაქვს.

**– ანუ, ცენტრში არის მაქსიმალური კომფორტი და სრული სერვისი...**

– დღეს ეს აუცილებელია. ცენტრის მთელი კოლექტივი მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, მუდმივად ვზრუნავთ დიაგნოსტიკური–სამკურნალო აპარატურის განახლებაზე. დღეს ჩვენ ვიყენებთ სრულიად ახალ მეთოდს ფსორიაზის სამკურნალოდ. ეს არის, ეგრეთ წოდებული სხივური თერაპიის მეთოდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი აპარატურა ჩვენს ცენტრს რომ აქვს, საქართველოში არ არსებობს. შევგვიძლია, ფსორიაზით დაავადებული პაციენტი გადავიყვანოთ ხანგრძლივი რემისიის სტადიაში. ჩვენი მომსახურება საკმაოდ ხელმისაწვდომია. კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო–კვლევით ცენტრში კომპლექსური გამოკვლევებიც და მკურნალობაც ძვირი არ არის.

**– თქვენი ცენტრის ლოგოზე ორი ვარსკვლავი შევნიშნე...**

– გასული წელი წარმატებული იყო ცენტრისთვის. ერთდროულად მოვიპოვეთ ორი საპატიო ტიტული: ორი ვარსკვლავი – დარგის ლიდერად გვაღიარეს და მაღალი რეპუტაციისა და ნდობისთვის საპატიო ჯილდოც მოვიპოვეთ. ეს ძალიან საამაყოა ჩვენთვის და კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობასაც გვანიჭებს. თითოეული ექიმი, ცენტრის თითეული თანამშრომელი ზრუნავს იმაზე, რომ დაცული იყოს ჩვენი მთავარი პრინციპები – შევქმნათ მომავალი, ტრადიციების გათვალისწინებით. ანუ, აღვზარდოთ ახალი თაობა – ჩვენი მომავალი კვალიფიციური კადრი.

**ელენე წულუკიძე**

# ბრძნული აზრები

**გოეთე**: რისი მოსმენაც აღაშფოთებს უბიწო ყურებს, ის ტკბილ ოცნებად ესახება უბიწო გულებს.

**ტვენი**: ადამი ადამიანი იყო – ეს კი ყველაფერს ხსნის. მან ვაშლი იმიტომ კი არ მოიპარა, რომ მისი ჭამა უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ აკრძალული იყო. ცუდი ისაა, რომ გველი არ იყო აკრძალული, თორემ, ადამი მასაც შეჭამდა.

**ბალზაკი**: ვნებები უნივერსალური ჰუმანურობაა, რომელიც რელიგიის, ხელოვნების, რომანტიკისა და ისტორიის გარეშე უსარგებლო იქნებოდა.

**ფულერი**: გრძელი ცხვირის პატრონს ჰგონია, რომ ყველა მის ცხვირზე ლაპარაკობს.

**ჩესტერფილდი**: სიმართლის დაფარვა, სადაც ეს საჭიროა, კეთილგონიერებაა, მაშინ, როცა ტყუილი ნებისმიერ შემთხვევაში – სიმდაბლე და სიბრიყვეა.

**უაილდი**: სიბერის ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ დასაყრდენი იყოს ახალგაზრდობისთვის და არა წინაღობა; მასწავლებელი და არა მეტოქე; მათი თანამგრძნობი და არა გულგრილი მათ მიმართ.

**ტოლსტოი**: ჯობია, საქმეში ცოტა და კარგი, ვიდრე ბევრი და ცუდი.

**ავრელიუსი**: გავაკეთე რამე საზოგადო კეთილდღეობისთვის? მაშასადამე, მე მოვუტანე სარგებლობა ჩემს თავს. ნურასოდეს მოიშორებ ამ აზრს და ნურავითარ მდგომარეობაში ნუ აიღებ მასზე ხელს.

**ოთარ ჭილაძე**: ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს.

**კანეტი**: ყველაფერი ის, რაც იჭმევა, ხელისუფლების საგანია.

**სენეკა**: კუჭი, რომელიც ცოტათი კმაყოფილდება, ბევრი რამისგან თავისუფლდება.

**ავრელიუსი**: თუ ადამიანი შიმშილსა და წყურვილს არ გამოსცდის, ჭამა-სმით ვერ ისიამოვნებს.

**ლაროშფუკო**: საზოგადოებაში არცთუ იშვიათად დიდ პატივს სცემენ იმ კაცს, რომლის ერთადერთი ღირსებაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სასიამოვნოდ მიჩნეული ბიწიერება გახლავთ.

**მოპასანი**: სიყვარული რომ ჭეშმარიტი იყოს, მან, ჩემი აზრით, გული უნდა შეძრას, მტანჯველად დაგიძაბოს ნერვები, დაგიცარიელოს ტვინი; უნდა იყოს სავსე ფათერაკებით, საზარელიც კი, თითქმის დანაშაულებრივი, თითქმის სიწმინდის მგმობელი; უნდა იყოს რაღაც ღალატის მსგავსი; მინდა ვთქვა, რომ უნდა არღვევდეს წმინდა წინაღობას, კანონებს, ძმურ კავშირს; როდესაც სიყვარული მშვიდია, წყნარი, მოკლებული ხიფათს, კანონიერია – განა ეს ჭეშმარიტი სიყვარულია?!

**მორუა**: რესტორანში მაგიდასთან მსხდომ წყვილზე დაკვირვებისას იოლად შეიძლება ამოიცნო, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ ერთად – მათ საუბარში პაუზის მიხედვით.

# თუ გამოიცნობთ

1. დასავლეთში ქიმიურ საწარმოებში ფართოდ ინერგება სამუშაო ოთახებისა და საამქროების გამწვანება, მაგრამ, სასტიკად აკრძალულია ყვავილოვანი მცენარეების დარგვა. **რატომ?**

2. ტარამაცუ იკატუ იყო იმ მუზეუმის პირველი დირექტორი, რომელიც თავისნაირ ადამიანებს მიეძღვნა. საოცარი კი ისაა, რომ მუზეუმში გამოფენილი იყო ამ ადამიანების სიკვდილის ამსახველი ექსპონატები. **ვისი?**

3. ეს უძველესი ქრისტიანების გამოგონებაა: ჯიბის წელიწადი, თავისი კვირებითა და დღეებით, ქრისტეშობის გარდა, სულ – 364 დღე. **დაასახელეთ, რა?**

4. კრომველის დროიდან, ინგლისელი მონარქები პირობითად შეიძლება დავყოთ „მემარჯვენეებად“ და „მემარცხენეებად“. ამასთანავე, ყოველ მომდევნოს წინამორბედის საწინააღმდეგო „პოზიცია უჭირავს“. **რა პრინციპით დაყვეს ისინი ასე?**

5. ცნობილია, რომ თვალგახელილი შეიძლება წყალქვეშ ყვინთვა, ძილი, ტირილი, ცრემლსადენი გაზით გაჟღენთილ ჰაერში გაძლებაც კი, მაგრამ, არ შეიძლება... **რა?**

6. იაპონელებმა ის დატოვეს ფორთოხლის გამო, არაბებმა – თუთის, ჩვენ – ვაშლის. **რა?**

7. 1962 წელს ესპანეთის სანაპიროდან გავიდა კოლუმბის კარაველას – „ნინიას“ ზუსტი ასლი. მეზღვაურების მიზანი იყო, ზუსტად გაემეორებინათ დიდი გენუელის მარშრუტი. ისტორიული სიზუსტისთვის თან არ წაიღეს არაფერი, რაც კოლუმბამდელ ესპანეთში არ არსებობდა, მხოლოდ ერთ რამეზე ვერ შეიკავეს თავი. **რაზე?**

8. მესკალი – მაგარი სასმელია, რომელსაც აგავის წვენის გამოხდით ამზადებენ. ზოგჯერ მესკალის ბოთლს მუხლუხო მოჰყვება. ამას იმით ხსნიან, რომ მუხლუხო სასმლის დამლევსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის მედიუმის როლს ასრულებს; ზოგიერთის აზრით კი, უბრალოდ, მწარმოებლებს საჭირო ხელსაწყო არ აქვთ. **რომელი?**

9. ერთ-ერთ ქალაქში, რომელშიც შავი ჭირი იყო გავრცელებული, წესრიგის დამყარების მიზნით, ყველა ტრაქტირი და ტავერნა დახურეს. აიკრძალა ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების გაყიდვა; ასევე, სულის წარმწყმედი გასართობები. ეკლესიამ, თავის მხრივ, აკრძალა სათამაშო ქვები (ძვლები). დამამზადებლებმა გამოსავალი იპოვეს – ისინი მათ სხვა ფორმას აძლევდნენ, წარმატებით ასაღებდნენ და კანონის დარღვევაშიც ვერავინ ედავებოდა. **რის ფორმას აძლევდნენ მათ?**

10. მეცამეტე საუკუნეში მხატვარმა ჩიმაბუემ შენიშნა მწყემსი ბიჭი, რომელიც ფილაზე ბეკეკას ხატავდა. ეს ბიჭი მომავალში სახელგანთქმული მხატვარი ჯოტო იყო. ჩიმაბუე გააოცა არა მარტო ნახატმა, არამედ იმან, რაც იმ დროს ხელოვნებისთვის უცნობი იყო, ერთი სიტყვით – რევოლუცია. **რა სიახლე შენიშნა გამოცდილმა მხატვარმა?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მაიმუნები — სახელმწიფო სამსახურში

გიბრალტარის კლდეებზე უკუდო მაკაკები – მაგოტები ცხოვრობენ. მაიმუნები იმდენად გათავხედებულები არიან, რომ ტურისტებს თავს ესხმიან, ჯიბეებიდან ცხვირსახოცებს აცლიან, სტაცებენ საფულეებსა და სხვა ნივთებს. საკმარისია, გამწარებულმა ტურისტმა რომელიმე მაგოტი დაიჭიროს, რომ მაიმუნის ყვირილზე ხროვა უშიშრად შეუტევს ადამიანს და ეს უკანასკნელი იძულებულია, თავი დაიცვას. მაიმუნის წყენინება კანონით აკრძალულია.

უცნობია, თუ როგორ მოხვდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები მაიმუნები გიბრალტარში; ყოველ შემთხვევაში, მერვე საუკუნეში, როცა არაბთა სარდალმა თარიკ იბნ-სიადმა იბერიის ნახევარკუნძულზე ილაშქრა, მაიმუნები იქ უკვე ცხოვრობდნენ. 1956 წელს, როცა გიბრალტარი ბრიტანელთა ხელში გადავიდა, მაშინ იქ 140 მაიმუნი დათვალეს. ბრიტანელთა გუბერნატორის განსაკუთრებული განკარგულებით, ისინი დაცვის ქვეშ აიყვანა, მაგრამ, გავრცელდა ეპიდემია და ყველა მაიმუნი დაიხოცა, სამის გარდა. გუბერნატორმა ახალი განკარგულება გასცა: მაგოტები ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოეყვანათ. ინგლისელებს სჯეროდათ ძველი თქმულების: როგორც კი მაიმუნები გიბრალტარიდან გაქრებოდნენ, ბრიტანელები მაშინვე დაკარგავდნენ ამ ტერიტორიას.

მაიმუნები კი მრავლდებოდნენ და თავხედობდნენ: მთებიდან ეშვებოდნენ, ანადგურებდნენ ქალაქის ბაღებს, სახლებში შედიოდნენ, ქალებსა და ბავშვებს სცემდნენ და კბენდნენ. მიუხედავად ამისა, კანონის ძალით ისინი ხელშეუხებელნი იყვნენ.

მაგოტები ემორჩილებიან სამხედრო მინისტრს და მათთვის გამოყოფილია განსაკუთრებული ოფიცერი. „პასუხისმგებელი ოფიცერი“ იცავს მაგოტებით დასახლებულ კლდეებს. თითოეული მაიმუნის (მათი რაოდენობა ორასზე მეტია) შენახვაზე გამოყოფილია დღეში რამდენიმე ცენტი.

თუ რაიმე მიზეზით მოხდება მაიმუნების რაოდენობის შემცირება, ბრიტანელები საშუალებას არ იშურებენ მათ ჩამოსაყვანად. 1942 წელს ჩერჩილმა ბრიტანეთის ჯარების სარდალს აფრიკაში დეპეშა გაუგზავნა, რომ დაუყოვნებლივ დაეჭირათ რამდენიმე მაგოტი გიბრალტარისთვის. გენერალმა ჯარისკაცთა რაზმი გაგზავნა ჩერჩილის ბრძანების შესასრულებლად.

ერთადერთი პიროვნება, ვისაც მაგოტები ცნობენ, არის „მაიმუნების კანონის“ აღმასრულებელი, რომელსაც ყოველდღიური ულუფა მიაქვს მათთან და თითოეულ მაიმუნს სახელით მიმართავს. ალბათ, ამიტომაც, მაგოტები მხოლოდ მას ეპყრობიან პატივისცემით.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლf1-f6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



**ბესო ბერულაშვილის ანეკდოტები**

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:

– რაფერ ხარ?

– გადასარევად! შენ?

– მე გადევირიე უკვე!

***

სვანი ჩართავს კომპიუტერს და გაბრაზდება:

– მოკლედ, ტუალეტში გადაღებული იმდენი ფოტო დევს ამ „ფეისბუქზე", მალე აქ შესვლა 20 თეთრი გახდება!.

***

მიხო ეკითხება მაროს:

– მარო, ვანუა სახლშია?

– არა, ქალაქში წავიდა!

– მამცემ?

– რაა? გაგიჟდი, მიხო?

– რათა ქალო, ლამაზი ხარ, ნაზუქივით, კაცი გულგრილი ვერ ჩაგივლის. ეგეთი გულქვა უნდა იყო?




– უი, დაგაყარე მეხი! მე მეგონა, ჭაჭასა მთხოვდი.

***

ცოლ-ქმარს ისეთი მაგარი სექსი ჰქონდათ, მეზობლები აივანზე სიგარეტს ეწეოდნენ.

***

ექიმი ეუბნება პაციენტს:

– ხვალ დილით ადრე მობრძანდებით, ოპერაციამდე ერთი საათით ადრე, მშიერი, არანაირი საკვების მიღება არ შეიძლება ოპერაციის წინ და ეს გაითვალისწინეთ.

პაციენტი:

– არც ყავის დალევა შეიძლება, ექიმო? ძალიან მიყვარს უზმოზე.

ექიმი:

– არც ყავა!

– რატომ, ნარკოზზე აღარ დამეძინება?

***

მეგრელი ურეკავს სვანს და ეუბნება: ტელეფონზე სალაპარაკო არ მაქვს და შენ ილაპარაკეო.

**ნიკა არაბიძის ანეკდოტები**

იმერელი მამა არიგებს შვილს ჭკუას:

– ისწავლე შვილო, რა გაკლია? აგერ, ეგნატე ნინოშვილი ისეთი გაჭირვებული იყო, ცივ ჭადს ჭამდა, მაგრამ ხომ ხედავ, რა კაცი დადგა და მის დაწერილს ახლაც სკოლაში გასწავლიან.

– ვერ ყოფილა, ეგ ეგნატე ნინოშვილი, მაინცადამაინც მოხერხებული ადამიანი, – მიუგო შვილმა.

– რატომ ვითომ? – გაოცდა მამა.

– რატომ და, ის ჭადი ცხელი არ ცხვებიდა? რას უცდიდა გაციებას.

**ვახო ბიჭიკაშვილის ანეკდოტები**

– რა ღირს თუთიყუში?

– რომელი?

– აი, შუაში რომ ზის.

– 10 000 დოლარი.

– რა ამბავია? რას აკეთებს ასეთს?

– ეგ, უბრალო თუთიყუში კი არაა, „კაგებეს" არქივი იცის ზეპირად!

– კაი, მარჯვნივ რომ ზის, ის რა ღირს?

– ის გენაცვალე, 20 000 დოლარი ღირს, „ცეერუს" არქივი იცის ზეპირად!

– არ მინდა არც ეგ! აი, ის რა ღირს, ეგერ კუთხეში რომ ზის?

– ოო, ეგ 50 000 დოლარი!

– რა ამბავია? მაგან რაღა იცის ასეთი?

– ეგ არავინ იცის, მაგრამ ეს ორივე თუთიყუში მაგას „ბოსს" ეძახის!

## მოტყუებული გივი და მაკვარანცხი იურა

კახეთში ვიღებთ ფილმს: „სიყვარული ყველას უნდა".

სხვათა შორის, ფილმი ძალიან მხიარული გამოვიდა და არც გადაღება გახლდათ „უმხიარულო".

სასტუმრო იმ სოფელში, სადაც ამ ფილმს ვიღებდით, – არ იყო და მცხოვრებლებმა გამოგვიყვეს თავიანთ სახლებში „საპატივცემულო ოთახ-ნომრები".

ერთ დღეს გივი ბერიკაშვილს და მე, ერთმა იქაურმა სამი თუ ოთხი ცალი საზამთრო გვაჩუქა – პირი გაისველეთო.

– ჩააცივე, იურა, ახლა შენთან წყალში ეს საზამთროები და საღამოს, გადაღების მერე, რომ მოვალთ, შევექცეთო, – გივიმ.




ეს ამბავი დილა სისხამზე ხდება.

წამოვიღე ეს საზამთროებში „ნომერში," ავავსე ვედროები წყლით და „ჩავაცივე".

სანამ გივის პერსონალურად იღებდნენ და ჩვენ ვისვენებდით, მე და ტრისტან სარალიძეს („ჰალსტუხია") შემოგვეჭამ-შემოგვეხარჯა ორი თუ სამი საზამთრო.

დარჩა ერთი, მომცრო საზამთრო. ყურყუმალობს ვედროში. საღამოს მოვიდა გივი.

– აბა, გამაიტა საზამთრო, ვნახოთ ერთი, როგორიაო.

ამოვიღე ის საცოდავი, დარჩენილი, პატარა საზამთრო, დავდე მაგიდაზე და დანა მოვიმარჯვე.

– დიდი გამაიტა, კაცო! – გივიმ.

სადღაა?

რაღა ვქნა?

გავედი მეორე ოთახში, ამოვავლე ეს საზამთრო წყალში, ვითომ ახლა ამოვიღე, დავდე მაგიდაზე... მოვიმარჯვე დანა, უნდა გავუსვა და:

– ამაზე დიდიც ხომ იყო, ჯო? – კახურად მოუქცია გივიმ.

– აა, ის?! – გავიტანე, ისევ ამოვავლე წყალში და შემოვიტანე იგივე საზამთრო, აღარ დავუცადე და დავუსვი დანა.

– ეგრე, რა! – თქვა გივიმ... მომატყუებდი გეგონა? აი, ეს მესმის...

ძალიან შემეცოდა მოტყუებული გივი, მაგრამ... მე ხომ „მაკვარანცხი" ვარ?

**იური ვასაძის ნაამბობის**
**მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

### ჯანსულ კახიძის ძიძა

მამას უბნელი და ახლო მეგობარი იყო ჯანსულ კახიძის მამა ვანიჩკა კახიძე.

როდესაც ჯანო დაიბადა, სულ მთლად ქათქათა თეთრი, თითქმის ალბინოსი ყოფილა. არც მერე გამხდარა მაინცდამაინც შავტუხა. მამას ძეობაზე საჩუქრად, მუქი ფერის ზეწრები მიუტანია.

– ბავშვი ლოგინში არ დაგეკარგოთ და დაფერთხვისას ზეწარს არ გადააყოლოთო.

**გია ფერაძის მოგონებებიდან**

**გაციების პირველივე ნიშნებისას**

**მიიღეთ**

**ტაიქოლდი**

**კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**უკვე ოცდაშვიდი წელია, რაც გია სურამელაშვილი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. დიდი ხანია, მომღერალი თავის შესახებ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას შეეჩვია და საზოგადოებასაც ისეთი სახის ინფორმაციას აწვდის, რომელიც ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნება საკმარისი. სიყვარული რომ ადამიანს ათას სისულელეს აკეთებინებს, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამ თვალსაზრისით, არც გია აღმოჩნდა გამონაკლისი და საყვარელი ადამიანის გამო ვენებიც კი გადაიჭრა...**

# რა შესთავაზეს გია სურამელაშვილს და რატომ გადაიჭრა მან ვენები

**– როგორც ყოველ წელს, წელსაც გრანდიოზულად აღნიშნეთ დაბადების დღე. ასაკის მომატებას არ განიცდით?**

– რესტორან „სამ საუკუნეში“ მეგობრებთან, ახლობლებთან და გულშემატკივრებთან ერთად აღვნიშნე იუბილე. 23-ში დავიწყე კონცერტით და 24-ში ასე მხიარულად შევხვდი ჩემს დაბადების დღეს. 46 წლის გავხდი და საერთოდ არ განვიცდი ასაკის მომატებას. უბრალოდ, ძალიან სწრაფად გავიდა წლები. რაც მთავარია, შინაგანად ვგრძნობ, ასაკი რომ არ მეტყობა *(იცინის).*

**– 27 წელია, სცენაზე ხართ. თქვენს პირველ გამოჩენას და 90-იან წლებს როგორ გაიხსენებთ?**

– 27 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ, ასე მგონია, ეს ყველაფერი გუშინ იყო. საკმაოდ რთული გზა გავიარე – ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. პოპულარობა უცებ მოვიპოვე – გამოვჩნდი თუ არა, მაშინვე დაიწყო სისტემატური გასტროლები და კონცერტები. საკმაოდ ახალგაზრდა შევეჭიდე ამ რთულ საქმეს. თავიდან, საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე და ბოლოს ყველაფერი სოლო კონცერტით დავაგვირგვინე – გავრისკე და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვედი. ამდენი წელია, სცენაზე ვდგავარ და ახლაც შიში მაქვს სოლო კონცერტების, მაშინ, ხომ წარმოგიდგენია, როგორ ვიქნებოდი. საოცარი განცდა იყო. ფილარმონიაში ჩატარებული კონცერტების რაოდენობის მიხედვით, რეკორდი მაქვს მოხსნილი – თვეში ხუთჯერ მაინც გამოვდიოდი ამ სცენაზე.

**– როგორც თავად თქვით, ნუგოს მკაცრად ზრდიდით. როგორი ბაბუა ხართ?**

– არც ძალიან მკაცრი ვიყავი. კარგი ბაბუა ვარ. ალბათ, რამდენიმე წელიწადში თავად ლიკა გეტყვით, როგორიც ვარ *(იცინის).* ძალიან ვანებივრებ და, როგორც ბაბუებს შეეფერება, ვათამამებ კიდეც.

**– უცხოეთიდან არაერთი შემოთავაზება გექნებოდათ, რომლის მეშვეობით, უკეთეს კარიერას გაიკეთებდით. რატომ არ წახვედით საქართველოდან?**

– მოსკოვში თერთმეტი წელი ვცხოვრობდი და შემეძლო, იქ დავრჩენილიყავი, მაგრამ, არასდროს მქონია სურვილი, სამუდამოდ გადავბარგებულიყავი უცხო ქვეყანაში. დღეს მაქვს შანსი, ამერიკაში წავიდე. სერიოზული შემოთავაზება მივიღე, მაგრამ, არ ვიცი, რას გადავწყვეტ. არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკაში გადავიდე. თუ წავედი, ერთ-ერთი მიზეზი პირობების გაუმჯობესება იქნება. ჩვენთან, სამწუხაროდ, უფსკრულისკენ მიექანება შოუ-ბიზნესი და არანაირი გასაქანი აღარაა ქვეყანაში, ამიტომ, რასაც ამერიკა მთავაზობს, არ უნდა გავუშვა ხელიდან.

**– როგორც ვიცი, ბევრჯერ გყვარებიათ, თუმცა, მეუღლესთან დაშორების შემდეგ ოჯახი აღარ შექმენით. რატომ?**

– ნამდვილად გეტყვით, რომ არასდროს მქონია ოჯახის შექმნის სურვილი. ჩემთვის იგივე ოჯახია, როდესაც საყვარელი ადამიანი გყავს გვერდით და მასთან ერთად ცხოვრობ. ამისთვის აუცილებელი არაა, ჯვარი დაიწერო და ქორწინილი გადაიხადო. როდესაც საყვარელი ადამიანი გყავს და ბედნიერი ხარ, ეს უკვე ოჯახია.



ცნობისმოყვარეობის გამო, ყავის ჭიქაც გადამიბრუნებია

**– მიუხედავად იმისა, რომ ყველას აინტერესებს თქვენი პირადი ცხოვრება, არ ჭორაობენ ხოლმე. ამას, როგორ ახერხებთ?**

– სიყვარულსა მალვა უნდაო, ხომ გაგიგონია *(იცინის).* რატომ უნდა გამოვიტანო სააშკარაოზე ჩემი პირადი ურთიერთობა და ავალაპარაკო ხალხი?! მიუხედავად იმისა, რომ ყველას აინტერესებს ეს საკითხი, კონკრეტულად არასდროს ვსაუბრობ ვინმეზე. რა ინფორმაციასაც ვაწვდი საზოგადოებას, საკმარისია ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ვფიქრობ, რომ, შენი პირადი ცხოვრება – ვისთან ხარ ღამით ბედნიერი და რამდენჯერ ეუბნებით ერთმანეთს – „მიყვარხარ”, ქვეყანამ არ უნდა გაიგოს.

**– სათვალეების გარდა, კიდევ რისი კოლექცია გაქვთ?**

– სათვალეები ძალიან მიყვარს და მართლა ბევრი მაქვს *(იცინის).* კოლექციონერი ვარ შარფების, სამკაულებისა და ქუდების. რაც შეეხება ქუდებს, ერთი პერიოდი ხშირად ვიხურავდი, ახლა, რატომღაც, აღარ მოვიხმარ, თუმცა, როგორც სათვალე, შარფი და სამკაული უამრავი მაქვს. ადრე გიშრისთვლიან ბეჭედს ვიკეთებდი, თვალი რომ არ ამელო, მაგრამ, ამასაც შევეშვი. საერთოდ, ძალიან ადვილად ვილებ თვალს *(იცინის).*

**– როგორ ხვდებით, რომ „თვალი” აიღეთ?**

– არის მომენტი, როდესაც, ხალხმრავალ ადგილას, უცებ გამიფუჭდება ხასიათი; შეიძლება, თავიც ამტკივდეს და რაღაც მსგავსი დამემართოს. ხასიათი რომ გამიფუჭდება და შებოჭილად ვიგრძნობ თავს, იმ ადგილს აუცილებლად ვტოვებ. შეიძლება, ეს იმ წუთში ვერ ვიგრძნო, მაგრამ, მერე მეწყება უხასიათობა, მთქნარება და ასე შემდეგ. ასეთ დროს ვგრძნობ, რომ არასასიამოვნო თვალი ავიღე.

**– ამბობენ, რომ საკუთარი ექსტრასენსი გყავთ.**

– არა, არავინ მყავს. უბრალოდ, ეს ადამიანი ჩემი ახლობელი იყო და რამდენჯერმე ვკითხე რჩევა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყველა თვითონაა საკუთარი თავის ექსტრასენსი. სხვათა შორის, მაგ საკითხით დაინტერესებული ვარ, მაგრამ, რომ გითხრა, ექსტრასენსებთან დავდივარ-მეთქი, მოგატყუებ. მინდა, რომ ჩემზე წინასწარ გავიგო რაღაცეები საკუთარ თავზე; ცნობისმოყვარეობის გამო ყავის ჭიქაც გადამიბრუნებია. ექსტრასენსი არ ვარ, მაგრამ, კარგი წინათგრძნობა მაქვს.

**– ვენები ვის გამო გადაიჭერით?**

– საყვარელი ადამიანის გამო, რომელიც ჩემგან წავიდა. როგორც იცით, წლების განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი და იქ გავიგე მისი გარდაცვალების შესახებ. სიგიჟემდე მიყვარდა. მის გარდა ასე არანორმალურად მართლა არავინ მყვარებია. ეს პერიოდი იყო ჩემთვის ძალიან მძიმე და, კიდევ – დედის გარდაცვალება. რომ მახსენდება, დედა აღარაა, ძალიან ცუდად ვხდები, თავის შეკავება მიჭირს და ცრემლები მომდის. ძალიან მენატრება, ჩემი ყველაფერი იყო.

**– ვენების გადაჭრა თვითმკვლელობის ტოლფასია. ამ გადაწყვეტილებამდე რამ მიგიყვანათ?**

– თვითმკვლელობაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი, სიკვდილს არ ვაპირებდი.

**– ვენებს რომ იჭრიდით, აბა, რა გეგონათ?**

– ვენაც არ გადამიჭრია, უფრო, გადავისერე ხელი. ნასვამი ვიყავი და თავი ველარ გავაკონტროლე. ძალიან მეტკინა და განვიცადე, რაც მაშინ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. სიკვდილზე არ ვფიქრობდი და არც ვაპირებ *(იცინის).*

**– ყოველთვის ძვირფას სამკაულს ატარებთ. ოდესმე თუ დაგიკარგავთ?**

– ძალიან მიყვარს სამკაულები და, შესაბამისად, მაქვს როგორც ბიჟუტერია, ასევე ოქრო და ბრილიანტებიც. ძალიან ხშირად ვკარგავ, ბეჭედიც მომძრობია თითიდან და ბრასლეტიც დამიკარგავს. ნერვები მეშლება, ხოლმე ასეთ დროს ჩემ თავზე *(იცინის).*

**– ბრილიანტების დაკარგვას როგორ ეგუებით?**

– ძალიან განვიცდი. საკუთარ თავზე გაბრაზებული, ისევ ვყიდულობ ხოლმე *(იცინის)* – ასე ვისაჩუქრებ ხოლმე თავს.

**ეთო ხურციძე**

გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულის და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა აკავშირებს ნათია ფარჯანაძეს ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილთან და იქნება თუ არა მისი პერსონაჟი სერიალის მომდევნო სეზონზე

*თეატრის მხატვარი ლიკუ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ბოლო სეზონის ერთ-ერთი ახალი პერსონაჟია, რომელიც თავისი ექსცენტრიულობითა და ემოციურობით დაამახსოვრდა მაყურებელს. ამ პერსონაჟს მაყურებელი ახალ სეზონზეც იხილავს. მისი როლის შემსრულებელ მსახიობ* ***ნათია ფარჯანაძის*** *ცხოვრებაში ახლა განსაკუთრებით საინტერესო ეტაპია, მან მნიშვნელოვანი გამოწვევა მიიღო და „ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობაზე დათანხმდა, სადაც პარტნიორობას ლუკა ზაქარიაძე გაუწევს.*



**ოთხი წლისაა და პირდაპირ ედინბურგში ჰქონდა სცენაზე დებიუტი**

**ნათია ფარჯანაძე:** სერიალში გამოჩენის შემდეგ, საზოგადოების მხრიდან ყურადღებას ვგრძნობ. ძირითადად, ბავშვებისგან. რაც ძალიან სასიამოვნოა. კარგია, როცა შენი ბევრი ნაცნობი ნახავს შენს ნამუშევარს და შთაბეჭდილებებს გიზიარებს. თეატრს ნაკლები მაყურებელი ჰყავს, სერიალს კი გაცილებით მეტი ადამიანი აფასებს და ძალიან კარგია ეს ყველაფერი. ხუმრობით, ამხანაგებიც ლიკუს მეძახიან.

**– ცოტა უცნაური პერსონაჟია ლიკუ. რთულია მისი განსახიერება?**

– არ ვიცი, ისე ჩანს, რომ მიჭირს? ***(იცინის)*** როლში შესვლის დრო სერიალში საერთოდ არ გაქვს. ძალიან მცირე დროში უნდა მოახდინო ორიენტაცია. ეს არ ჰგავს თეატრს, სადაც სპექტაკლის მოსამზადებლად მთელი თვე გაქვს. რეპეტიციობ, ფიქრობ და ასე შემდეგ. აქ ძალიან სწრაფად უნდა გააკეთო ყველაფერი. დაგროვებული პროფესიული თუ ცხოვრებისეული გამოცდილებიდან უცებ ქმნი ახალ გმირს. ამ შემთხვევაში არ გამჭირვებია და სხვა დროს რა იქნება, არ ვიცი.

**– ლიკუ პათოლოგიურად ეჭვიანია. შენ როგორი ხარ ცხოვრებაში?**

– პათოლოგიურად ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ საერთოდ არ ვარ ეჭვიანი-მეთქი, მაგასაც ვერ ვიტყვი. გააჩნია შემთხვევას. როცა საეჭვიანოა, ვეჭვიანობ. ტყუილად – არა. ლიკუც არ ეჭვიანობს ტყუილად, უბრალოდ, არჩევანში შეცდა.

**– მომდევნო სეზონზე იქნება შენი გმირი?**

– კი იქნება, გადაღებები უკვე დაიწყო.

**– შენი ოჯახის შესახებ რას გვეტყვი?**

– მყავს პატარა შვილი – ელისაბედი. ოთხი წლისაა. თეატრში ხშირად დამყავს. აგვისტოში ედინბურგის ფესტივალზე ვიყავით ერთი თვე. გასტროლზე გვქონდა სპექტაკლი წაღებული. თან მყავდა წაყვანილი და ჩემზე უფრო კმაყოფილი ის იყო. სპექტაკლში ითამაშა პატარა გოჭი. ოთხი წლისაა და პირდაპირ ედინბურგში ჰქონდა სცენაზე დებიუტი.

**– გააცნობიერა, რაც ხდებოდა?**

– ძალიან სერიოზულად მიუდგა ყველაფერს. რეჟისორს უსმენდა და ბოლომდე ასრულებდა მის მითითებებს. არც ეცინებოდა და არც სხვაგან იხედებოდა. ყველაფერს ხუთიანზე აკეთებდა.

**– ხომ არ ინერვიულა?**

– სხვათა შორის, არა და მეც ძალიან გამიკვირდა. ვერ ვუყურე, რადგან, მე რომ შემოვედი, ამ დროს ის გავიდა. მისი მონაწილეობა უცებ გადაწყდა და ამიტომ, ჩემი კოსტიუმი უნდა ჩაეცვა. შევედი, უცებ მივეცი და გავუშვი სცენაზე. თვითონ – არა და მე ვნერვიულობდი, იმიტომ რომ, დანარჩენ ბავშვებს უკვე კოსტიუმები ეცვათ და ეს კი მე მელოდებოდა. შემდეგ, გადაღებულს ვუყურე და ძალიან საყვარელია.

**– გინდა, რომ შენ გზას გაჰყვეს?**

– მართალი გითხრათ, არ მინდა. მირჩევნია, ისეთი პროფესია აირჩიოს, სადაც დამოუკიდებელი იქნება. მსახიობი სხვადასხვა ადამიანზეა დამოკიდებული და თვითონ არ წარმართავს შემოქმედებით პროცესებს. ამიტომ ჯობია, ისეთი პროფესია აირჩიოს, რომელშიც თავად გადაწყვეტს ყველაფერს. ყველგან და განსაკუთრებით ამ ქვეყანაში მსახიობობა რთულია.

**– დატვირთული გრაფიკის გამო, ალბათ, ცოტა დრო გრჩება შვილთან ურთიერთობისთვის?**

– ბოლო პერიოდში ცოტა დრო მრჩება და ამაზე ძალიან ვდარდობ. აშკარად დააკლდა ჩემი ყურადღება. სულ ვენატრები და ამას განიცდის. იცის, რომ გადაღება მაქვს, მაგრამ მერე მირეკავს და ხომ მალე მოხვალო, მეკითხება. როგორც კი დრო გამომიჩნდება, ყველაფერს მასთან ყოფნა მირჩევნია. სერიალს უყურებს და ხანდახან ძალიან განიცდის. ვენების გადაჭრის სცენა რომ ნახა, ჯერ მე შემომხედავდა, მერე ეკრანს შეხედავდა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა და მორთო ღრიალი *(იცინის).*

**– როგორც ვიცი, ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილთან ნათესაური ურთიერთობა გაკავშირებს.**

– ლაშა პაპაშვილი ჩემის დის ქმარია და ძალიან კარგი ადამიანია.

**– „ორი ვარსკვლავის“ ახალ სეზონზე იღებ მონაწილეობას, სადაც ლუკა ზაქარიაძის მეწყვილე ხარ. პროფესიით მსახიობს არ გაგიჭირდა მონაწილეობაზე დათანხმება?**

– კი, ძალიან გამიჭირდა. არ მიყვარს ისეთ რამეში მონაწილეობა, სადაც ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული არ ვარ. სიმღერით ყველა მღერის და მათ შორის, მეც. მაგრამ, ამას ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვუდგები. ჩემთვის მაყურებლის წინ, ცოცხალ ბენდთან ერთად სიმღერის შესრულება, ადვილი არ არის. თავიდან ცოტა შეუძლებელიც მეგონა, მაგრამ მერე ბევრს მელაპარაკნენ და დამარწმუნეს ***(იცინის).*** თან, განსხვავებულ ამპლუაში საკუთარი თავის მოსინჯვა ძალიან დიდი გამოწვევაა მსახიობისთვის.

**– ახლა, ალბათ, აქტიურ სამზადისში ხარ ჩართული?!**

– კი, აქტიური სამზადისი გვაქვს. ჯერჯერობით, ძალიან შეშინებული ვარ და იქ რა იქნება, არ ვიცი. იმედი მაქვს, ნერვიულობა და შიშები მომეხსნება.

**– რაიმე გამოცდილება გაქვს ამ სფეროში?**

– ძირითადად, ჩემთვის და მეგობრებთან ერთად ვმღერი. ვიღაცამ თქვა, რომ კარგად გამომდის. რაღაცეებს ვმღერი კარგად, მაგრამ აქ რისი მღერაც მომიწევს, ის ჩემთვის ახალია.

**– ლუკას როგორ შეეწყვე?**

– კარგად. ძალიან მეხმარება. რაღაცეებს ვეკითხები და რჩევებსაც მაძლევს.

**– შენ თუ აძლევ რჩევებს, როგორც მსახიობი?**

– ჯერჯერობით სამზადისია და მუსიკალურ მხარეზე ვვარჯიშობთ, მაგრამ სამომავლოდ თუ დასჭირდა რამეში ჩემი დახმარება, დავეხმარები.

**ქეთი კაპანაძე**

შპს „კოპიუსში“
ყველაფერი ბავშვებისათვის
ეტლები და საწოლ-მანეჟები ბულგარეთიდან




მარჯანიშვილის №37; 599-55-30-67, 595-01-70-94, 595-01-70-97.
email: copiousge@yahoo.com

# ახალი ბილაინი!

4G LTE

ყველაზე სწრაფი 4G ინტერნეტი
ყველაზე დაბალ ფასად!

11 01 01 www.beeline.ge >

ბილაინი